

517 /2
1998

ლიტერატურის
მატიანე
1998

საქართველოს კულტურის სამინისტრო
საქართველოს ბ. ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

ლიტერატურის მატიანე

გამომცემლობა „ლიოგენე“
თბილისი
1998

რედაქტორი იზა ორჯონიკიძე

შემდგენელი ლალი ცომაია

მხატვრული რედაქტორი ჯაბა ასათიანი

წიგნი გამოსაცემად მოამზადა საქართველოს გ.ლენინძის

სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო

მუზეუმის საგამომცემლო განყოფილებამ

ეკა გრიგოლია, ნატო სეიდაშვილი, თამარ ჯიქიძე

კორექტორი კახი ორჯონიკიძე

Handwritten signature: K. G. G. 1933

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონის ერთი უცნობი ლექსი

ოლია ოკუჯავას არქივიდან

გალაკტიონ ტაბიძის დღემდე გამოუქვეყნებელი ლექსი „სიკვდილის ბრჭყალებში“, მისი მეუღლის — ოლია ოკუჯავას ჩანაწერების ცისფერ რვეულშია¹ ჩაწერილი გალაკტიონ ტაბიძის ხელით ლექსის პირველი ტაეპი — „კაკასიის მთის ციცაბო კლდეზე“, თავდაპირველად ლექსის სათაური ყოფილა, მაგრამ შემდეგ პოეტს გადაუხაზავს და შემოაღნიშნული სათაური დაუსწერია. გადახაზულია აგრეთვე მინაწერი:

„ქანგი წარსული და ძველებური
მინდა ვიმღერო... დამიგდე ყური“.

რვეულის ყდაზე, შუაში, გალაკტიონის ხელმოწერაა და მისივე ხელით წერია: „ოლოლი“ /ასე მიმართაუდა მოფერებით მეუღლეს/ და ორი ტაეპი „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი სტროფიდან:

„მეც გლახაკთა საჭურჭლე, ათვისუფლე მონები,
.....
მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.“

აეთანდღის ამ სიტყვების მოხმობით გალაკტიონმა, უთუოდ, რვეულში ჩაწერილი ოლია ოკუჯავას უსათაურო მოთხრობის რეკონსტრუირებული ხასიათი აღნიშნა. ოლია, როგორც წესი, რუსულად წერდა და ეს მოთხრობაც რუსულ ენაზეა დაწერილი. შინაარსის მიხედვით იგი ოლიას რეკონსტრუირებულ პერიოდის მოთხრობებსა და დღიურებს უნდა მიეკუთვნებოდეს.

1937 წელს ოლია ოკუჯავა ციმბირში გადაასახლეს. ვახტანგ ჯავახიძის ცნობით იგი, სხვა 156 პოლიტკატიმართან ერთად 1941 წლის 11 სექტემბერს, ორიოლის მახლობლად, მდევდევის ტყერში დახვრიტეს.

გამართლდა ოლია ოკუჯავას სიტყვები, რომელიც მან ერთ-ერთ თავის ლექსში იწინასწარმეტყველა:

„ოდესმე ჩემთვის სათაყვანებელს,
დღეს კი საზიზღარს, მურტლად ქცეულსა
ჩემსა სამშობლოს მე ვეთხოვები
და უცხოეთში დავლევ მე სულსა“.²

1 ს. ლ. მ. № 24552/43. ახალი № 7(10).

2 ს. ლ. მ. № 24551/62/.



გალაკტიონ ტაბიძემ სიცოცხლის ბოლომდე სათუთად მოუარა თეატრის „ოლოლის“ ჩანაწერებს ოლია ოკუჯავას რევოლუციური აღმაფრენითა და იმედებით დაწერილი ახალგაზრდობის დროინდელი მოთხრობის გვერდით, თითქოსდა მის საპასუხოდ, ცხოვრებისეული გამოცდილებით დამძიმებულმა გალაკტიონმა პესიმისტური ლექსი ჩაწერა რვეულის თავისუფალ გვერდზე.

*მეზემის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
რუსუდან კანტურიშვილი*

სიკვდილის ბრძალეში

კაკასიის მთის ციცაბო კლდეზე
ძირს ტოტ-დახრილი მუხა დგას ობლად,
ცა მიაჩნია შორეულ ღმერთად
და დედამიწა მახლობელ მშობლად,
წელიწადების ურიცხვმა გროვამ
ვერ გამოსტაცა სიმხნე და ძალა,
ქარიშხლიანი მოგონებები
მისი ხსოვნიდან დრომ ვერ წაშალა.
და მხოლოდ ფიქრი ერთი უმიზნო
ღრმად ჩარჩენია ვით წვეულის კვალი: —
„და ყოველივე და ყოველივე
ამაო არის და წარმატალი,
ნათელი სხივით შემოსუდრული
ხვალ დაბნელებება ცა გამჭვირვალე
და შენც, მოხუცო, სიკვდილის ხელი
გაგანადგურებს ან დღეს, ან ხვალე!“
კაკასიის მთის ციცაბო კლდეზე
ძირს ტოტ-დახრილი მუხა დგას ობლად,
ზურმუხტისფერი ცა არ იზიდავს
და დედამიწა აღარ სწამს მშობლად.

ნიკო სამადაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსები

ნიკო სამადაშვილის პირველი კრებულის — „ბეთანია“ წინათქმაში, რომელიც თამაზ ჩხენკელს და არჩილ სულაკაურს ეკუთვნის, ვკითხულობთ: „შესადლოა არ გაიზიარო ნიკო სამადაშვილის ესა თუ ის სახე, უარყო მისი ესა თუ ის ინტერპრეტაცია, დაიწუნო მისი ესა თუ ის ლექსი, მაგრამ უმთავრესი სხვა რამ არის: ამ ლექსებს გულგრილად ვერ გაეცნობა კაცი და გულგრილად ვერ აუეღის გვერდს“.

ნიკო სამადაშვილის ბიოგრაფიული მონაცემები ძალიან მწირია. იგი დაიბადა 1905 წელს სოფელ ხიდისთავში (გორის რ-ნი), სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გარდაცვალებამდე მუშაობდა რევიზორ-ეკონომისტად. პოეტის სიცოცხლეში არც ერთი ლექსი არ გამოქვეყნებულა. მისი რამდენიმე ლექსი პირველად გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 1967 წელს დაიბეჭდა, ხოლო პირველი კრებული „ბეთანია“ 1973 წელს გამოვიდა გამომცემლობა „მერანში“ /რედაქტორი იზა ორჯონიკიძე/.

გთავაზობთ პოეტის 27 გამოუქვეყნებელ ლექსს, რომლებიც სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე ნიკო სამადაშვილის მგობარმა ბატონმა ნუკრი ტატიშვილმა პოეტის ახალ კრებულში შესატანად გადასცა ქალბატონ იზა ორჯონიკიძეს. ნ. სამადაშვილის ახალი წიგნის გამოცემა კუღარ მოხერხდა; ბ-ნი ნუკრი ტატიშვილის გარდაცვალების შემდეგ ქალბატონმა იზამ ხელნაწერები მუზეუმს გადასცა. ვფიქრობთ, ამ ლექსების გამოქვეყნება დიდ სიხარულს მოჰგვრის ნიკო სამადაშვილის შემოქმედების მოყვარულთ.

*მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
თამარ ჯიქიძე*

ნიკო სამადაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსები

ნიკო სამადაშვილის პირველი კრებულის — „ბეთანია“ წინათქმაში, რომელიც თამაზ ჩხენკელს და არჩილ სულაკაურს ეკუთვნის, კვითხულობთ: „შესაძლოა არ გაიზიარო ნიკო სამადაშვილის ესა თუ ის სახე, უარყო მისი ესა თუ ის ინტერპრეტაცია, დაიწუნო მისი ესა თუ ის ლექსი, მაგრამ უმთავრესი სხვა რამ არის: ამ ლექსებს გულგრილად ვერ გაეცნობა კაცი და გულგრილად ვერ აუვლის გვერდს“.

ნიკო სამადაშვილის ბიოგრაფიული მონაცემები ძალიან შწირია. იგი დაიბადა 1905 წელს სოფელ ხიდისთავში (გორის რ-ნი), სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გარდაცვალებამდე მუშაობდა რევიზორ-ეკონომისტად. პოეტის სიცოცხლეში არც ერთი ლექსი არ გამოქვეყნებულა. მისი რამდენიმე ლექსი პირველად გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 1967 წელს დაიბეჭდა, ხოლო პირველი კრებული „ბეთანია“ 1973 წელს გამოვიდა გამომცემლობა „მერანში“ /რედაქტორი იზა ორჯონიკიძე/.

გთავაზობთ პოეტის 27 გამოუქვეყნებელ ლექსს, რომლებიც სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე ნიკო სამადაშვილის მეგობარმა ბატონმა ნუკრი ტატიშვილმა პოეტის ახალ კრებულში შესატანად გადასცა ქალბატონ იზა ორჯონიკიძეს. ნ. სამადაშვილის ახალი წიგნის გამოცემა უელარ მოხერხდა; ბ-ნი ნუკრი ტატიშვილის გარდაცვალების შემდეგ ქალბატონმა იზამ ხელნაწერები მუზეუმს გადასცა. ვფიქრობთ, ამ ლექსების გამოქვეყნება დიდ სიხარულს მოჰგვრის ნიკო სამადაშვილის შემოქმედების მოყვარულთ.

*მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
თამარ ჯიქიძე*

შემოგრანება

აისის შუქი აიმღერევა მთის ლურჯ თაღებზე
მერცხლების გუნდით გაიმსება დისკოთა ჭერი.
დაათუნდებათ საძნე ურმებს ორლობებთან
ყანაში მაყრულს შემოსძახებს მამალი მწყერი.

ჭალარა ბიძა, გზას მოიჭრის კენახისაკენ,
შაში ნუშიდან ჭინკის დარად დაიჭახჭახებს.
მინდორში კიდევ გაიელვებს სახნის-საკვეთი,
და მზე კეილით წუთისოფლის კარს შემოადებს.

მაინც

როგორც სამრეკლოს ცისკრის ზარები,
ისეთი რხევა გააქვთ ფრინველებს.
ქუჩის ბოგანოს, გზების აბეზარს,
ჩემი სამშობლო რას მომინელებს.

სადაც ქედი ქედს დამუქრებია,
თუ გაჩენილა კაცის ნასახი.
ღრუბელი ღელავს, ძირს ქარბუქია,
და საქართველო მაინც შეძახის.

გულო რა ვინდა მიამბე დღესვე,
იქნებ გიშველო ქვესკნელის ხედრმა,
ამ ქვეყნათ რაზე ჩამომათესლეს?
რას გაიასუხებს, რა იცის ღმერთმა.

სიპართლე

ვინ მისცა პოეტს ან უფლება, ან სამართალი,
რომ დაემდუროს ამ თვალუწვდენ კაცობრიობას,
ან გაებუტოს ბნელ ფიქრებით შემოკვართული,
და დაეშვას ბოძის ხნიერ ობობას.

თაეში ქვა იცეს, როგორც უნდა წარმართოს ბედი,
თუ რიფრაჟებსაც ზურგს შეაქცევს, მოიღრუბლება,
ასეთი კაცი, იყურეუტებს ხრიოკ ქედოვით,
როგორც ცრემლებით მოქსოვილი ქარის თქმულება.

გიშერი

გამოხვალ გარეთ, გახედავ შარას,
ქარში ვგდება ღრუბლების ღერი.
შენს წამწამებთან შეიშრიალებს
ჩემი ცრემლები, შენი გიშერი...

მკერდის უბეში ჩაიკრავ ჩუმად,
თალხი სიზმრების დაყრილ ბარათებს.
ფერად ხსოვნებით გაამსებ უცბად,
ნაის იებით დაწულ კალათებს.

განცდების ფიფქი და გაოგნება
დაღუპულ დღეებს სადღაც ასხია.
შენი გიშერი საფლავს მაგონებს,
მანდ კულულების სითბო მარხია.

შენ ხომ უთევდი ღამეებს თეთრად,
ღია ფანჯრების დაკარგულ ალერსს.
ეზოში შენზე მღეროდა თელა,
ჩაძირულ ჩრდილებს და სივალაღეს.

თვლებმა აღბად დიდხანს ილოცეს,
რადგან სახეზე კრთის კანდლის შუქი,
ამაღამ აღბად ნიკოც ილოფებს,
კარს შემოაღებს როგორც ქარბუქი.

გამოხვალ გარეთ, გაფეხი შარას,
დალუპულ პოეტს რაღას მიშველი,
ფანჯრებთან თუმცა ხომ იშრიაღებს,
ჩემი ცრემლები, შენი გიშერი.

იანვარი 28

განცდების ჭირხლი და გაოგნება,
წაქცეულ ხსოვნებს კიდევ ასხიათ.
შენი გიშერი სიფრმეს მაგონებს,
შიგ კულულები სითბო მარხია.

მკერდის უბეში ჩაიკრავ ჩუმათ,
თაღხი განცდების დაყრილ ბარათებს,
შენ ღვთისმშობელიც კი გაჩუქებდა,
ჯვარზე დაფხრწილ ქრისტეს ხალათებს.

გამოხვალ გარეთ, გახედავ შარას,
დალუპულ ნაწერს რაღას უშველი.
ეზოში დიდხანს იშრიაღებენ
ჩემი ცრემლები, შენი გიშერი.

დღეს შენს საფლაგზე აღარ მოდიან,
მოგვები, შუბლით რო ჰგავდნენ ხეთებს.
შენ რო წახვედი, ასე მგონია,
მთელი ქვეყანა თან გაიხვეტე.

კეთილო, შენ რო ჭმუნვა გადამდე,
არცკი ვუძხვლდი ბინდდარა ველებს,
და გინახვდი განთიადამდე.
გულის უბეში მოგროვილ ცრემლებს.

გეჟურება?..

რას მიჰქარავ, შენც არ იცი,
შენც არ იცი, სად მიდიხარ...
ნუთუ დღემდე კერ შეიცნე,
კაცათ გაჩნდი ვიგინდარა.

რას წრიალებ, ან რას ღნავი,
ხომ დაგცინეს ბულბულებმა,
რასაც ჟღერ სწერ და ჯღაბნი,
თუ გგონია თხუზულება.

ჩამოუარა ტლუ გლჟკაცმა სიონის ტაძარს,
არ დაიწერა პირიჯვარი, არც მიიხედა.
ვიღაც წმინდანი სახტად დარჩა, მგონი ჩამმარდა,
მერე წამოდგა და ზარების ძალა იხელთა.

რეკდა საწყალი, აყრუებდა მთელ არემარეს,
 უღრან გარემოს, ო, რამდენი ოფლი დაღუარა...
 შეწყდა გრიალი. ღრუბელთ ხროვას შვეეფა მოვარემ
 და უღრან ტყისკენ იმ წმინდანმა გადიხარხარა.

ბუტიანობა

შუალამის ფანჯრებშია
 ვარსკვლავების თოფლი ბარდნის,
 ჭანდარს ქარი აჯაჯია
 და ეზოში ისე დადის.
 დადის მძიმეთ, თან ბურტყუნებს,
 ემღურება ხნიერ მუხას,
 როცა გუშინ გაამტყუნეს
 მუხის თურმე ავი უთქვამს.
 ჭანდარს ყური მოუკერია,
 მყის მუხლებზე დაცემულა,
 ძირს ფოთლები, რაც რომ ყრია
 ჭანდრის მსხვილი ცრემლებია.
 ბრგე მუხა კი, ეს დიდგულა,
 იღრიჭება როგორც მოვრალი...
 ქარმა მაინც აითრია
 და ქვეა თმებით სადღაც
 ჩუმათ ვისმენ ჭანდრის შრიალს,
 ვატყობ, უნდა ჩემი ნახვაც.
 ღეროს წვერზე კედება ჭია,
 დეე, ეს იყვეს ჩემი დარდიც,
 მუხას ქარი აჯაჯია
 და ეზოში ისე დადის.

25/11-54 წ.

ქარია გზებზე, მიედივარ, მიჭირს,
მივალ და კიდევ რატომღაც ველელამ,
ჩემო სამშობლოვ ჭირიმე შენი,
ჩემო სამშობლოვ ხუჭუჭ ფოთლებავ!

55 წ.

აღსარება

ასე დაემრწივარ ბავშვობის ხნიდან,
ვერ დავიკაფე გზა სინათლისკენ!
ღმერთო! რა სუფლა გადაშეკიდა,
ნეტა სად მივდექ ამ ქარაფ ქვესკნელს.

ჩემი გაჩენა ცოდვის კითხვაა,
ვინ იტყვის ჩემზე, ის იყო კაცი!
ჩემს ბნელ სამარეს თვითონ გავითხრი
და შიგ ჩავსუვები ფეხის ბარბაცით.

ნისლები მოვლენ მთიდან ბუზღუნით,
დაიწოკებენ და დამწვევლიან
ჩემი ლექსები მწველი ზუზუნით,
სადღაც ქარბუქში ამოწყდებიან.

ახია ჩემზე, ვისი ბრალაია,
რათ ვიბნე ქვეყნად გზა-კვალი...
აგერ თვალს როგორ მიბრიალებენ
წუწკი ყასაბი და ღიაკვანი.

კეთისხევი

54 წ.

აოგბის ლოცვა

სალამო არის ტაძრის კარი ისევ ღიაა,
კანდლებზე მძიმეთ კიაფობენ წერილი სანთლები,
ჩემი ქვეთინით წმინდანები ცრემლებსა ღვრიან,
თურმე ჩუქურთმებს ქვაზე სწნაყდნენ აქ ქართველები.

ღვთისმშობელს ღვიძავს, აკვნის რწვეა ისმის და ისმის,
ხელაპყრობილი პოეტი კი ლოცვას აღაუღენს,
გარეთ ცაცხვის ხე სარანგოვით ქუშათ სისინებს,
ზარებმა რეკით წუხელ, ღამე, როგორ დაღალეს.

ლოცულობს კაცი, და აუედრებს დაღუპულ ღექსებს,
ღიახ, ოდესღაც ისიც ენთო სანთლების დარათ,
ის დაღმუოდა მტკვრის ნაპირზე ვერაგ ლანქერებს,
მთელ სიცოცხლეში მხოლოთ ერთხელ გამოიღარა.

ქბლა კი, ხედავთ ტაძარშია და მუხლმოყრილი,
მათხოვარეით მძლე მაცხოვარს მისწერებია,
ღმერთო სად ბუღობს, მარად ზეცას გადატიხრული,
ან ეს ხატები ჩემი ლოცვით რათ ითვრებიან.

წარმართს შეშინდეთ, თუ სიბრალულს კიდევ ატარებთ,
ჩემ სიყმაწვილეს თქვენ გაუედრებთ — ფიქრები სწუხან.
ღამე ჩამოდგა სიმშვიდეში ელავს ტაძარი,
და აკვნის რწვეა კიდევ ისმის ტრაპეზის უკან.

მოხუცი მნათე ტაძრის კართან სთვლემს და ჩიფჩიფებს,
თითქოს სამრეკლოს მწუხარებას შეუვერცხლია,
ბალახზე სცნობდა დილით ქრისტეს ფეხის ნაბიჯებს,
თურმე ქრისტესთვის ერთხელ თმებიც დაუვარცხნია.

მოდო

...და იცი როდის? ჩემო კეთილო,
კოკისპირული წვიმა რომ მოვა,
კარი დაგხვდება გამოკეტილი
და კარებს შიგნით რაღაც ვრუ გლოვა.

ნუ დაბრუნდები, იდექი გარეთ,
სანამ არ ჩადგნენ პანაშვილები
და როცა დარი გამოიდარებს,
ჩვენ ერთმანეთზედ გადავიშლებით.

შენ გაწუნული სველების თოვლით,
მე კი მდულარე ცრემლების დენით.
წვიმები წაელენ, წვიმები მოვლენ,
ვინ იცის ღმერთო კიდევ რამდენი.

საღამო ბუტყავს, ტაძრის კარი ისევ ღიაა,
კანდელზე მძიმეთ კიაფობენ წვრილი სანთლები,
ხელაპყრობილი წმინდანები ცრემლებსა ღვრიან.
თურმე ჩუქურთმებს ქვაზე სწნაედნენ აქ ქართველები.

ღვთისმშობელს ღვიძავს, აკვნის რწვეა ისმის და ისმის,
კუთხეში კაცი ფეხზე სდგას და ლოცვებს აღაუღენს,
გარეთ ცაცხვის ხე სარანგეით ჩუმათ სისინებს:
წუხელ ქარებმა, იცით ბალი როგორ დაღალეს?

ლოცულობს კაცი და ავედრებს დაღუპულ დღეებს,
ღიახ, ოდესღაც ისიც ენთო სანთლების დართო,
სანამ ქარებმა წალამივით წელში მოღუნეს,
რომ სიცოცხლეში სულ აღარსად გამოედარა.

წარმართს შეშინდეთ, თუ სიბრაღულს კიდევ ატარებთ,
ჩემი ყურებით, ხშირათ ეხედამ მტრედებიც სწუხან.
გარეთ ღამეა, შიგ თოვლივით ელავს ტაძარი,
და აკენის რწვეა კიდევ ისმის ტრაპეზის უკან.

მოხუცი მნათე ღია კართან სთვლემს და ჩიფჩიფებს,
თითქოს სამრეკლოს მწუხარებას შეუვერცხლია,
ბალახზე სცნობდა ყოველ დილით ქრისტეს ნაფეხურს,
თურმე იმის წინ ნინოს თმებიც დაუბარცხნია.

ტაძრის ეზოში ისევ ღვიძამთ ასწლოვან ხეებს,
მნათე ბუტბუტებს, ხან პირს აღებს როგორც ჯაფარა,
აგერ სარკმელში ღამურებმა შემოიხედეს,
და ღვთისმშობელმა ყრმას მანდილი გადააფარა.

ილოცე ძმაო, ასე ჩადი კუბოს ფიცრამდე,
ლტოლვილს, განდევნილს, აბა მეტი რა დაგრჩენია?..
რა უნდა გექნა უბედურო, გზაც არ იცოდი,
მადლობა ღმერთს, რომ მაცხოვარი შემოგჩვევია.

მანიას!

აქ არის თრთოლვა და მოლოდინი,
შეშლილ თვალების ჩუმი დინება,
შენ კულულებში ჩადვრილი ჭინი
და ლაქვარდების ყრუ მღუმარება.

ჩამქრალ ხსოვნებთან ფრთების ფარფატი,
დღის ნაწვერალთან კიაფი მთების,
სალამო ტყისკენ ღამის ნაბადი
აკვნის უღელზე სიმღერა დედის.
მბჟუტავ სიზმრებთან ლოცვა წმინდანის,
და ამღვრეული ნათელი ირგელოვ.
აქვე წარწერა, სისხლიან დანით,
ჩემ ნაკვალევზე ნულარ გაოელი.
ბოხი შრიალი ხნიერ ჭადრების,
ჩრდილების როკვა ქარების სტვენით.
მიწყნარდებიან ბედის აუღრები
და შე კი შენში გადავიმტკრევი.

27. IV. 54 წ.

გადასხეწილი შადრეკანი

(I ვარიანტი)

სიფრიფანა ქალღმრთლის ნახევს ქწერა:
ბიჭო! როგორა ხარ გამაგებინე...
სადღაც, ღრუბლნარა, ცის მინდორში ყიოდა ძერა,
ღამეს ელოდე გრიგალები შემოვირბენენ.

დაგიკოცნიან შუქდაშრეტილ თვალების გუგებს
და წამებისგან გადარუჯულ სახის ზედაპირს,
შერჩები მიწას ნანგრევევით გაუგებარი,
ჩამორჩენილი საუკუნის თვალუწვედენ ნახირს.

ლექსის ფარაონს სიაყაცეს დაგაბრალებუნ,
მოგიწამლავუნ სიკვდილს — შენი გულის სიყვარულს,
დარეკილ ზარებს ლაჟვარდები გაამრავლებუნ
და შენი მთები შესძახებუნ ბოხხმიან მაყრულს.

გადახვეწილი შადრეჰანი

(II ვარიანტი)

სიფრიფანა ქაღალდის ნახვეს ქწერა:
ბიჭო! როგორა ხარ გამაგებინე.
სადღაც უხილავ დასაბამთან ყიოდა ძერა
წამოდი ჩემთან, სივრცეებში ჩაილიღინე.

მე კი შეკიდა ძელების ფიჩხზე ცეცხლი ვერაგი,
და ტკაცა-ტკუციო ვწვეუდი შენი წერილის რტოებს.
ასოებისგან მოქარგული შავი პერანგი,
გქონდეს ნობათად ეს მწყუროდა დაღუპულ პოეტს.

ნუ ეტანები ჩემ ლოცვების ამღვრეულ ფარებს,
აქ წმინდანების ყეფა ისმის ცისმარე ღამე.
გამოქვაბულებს ჭარიჭურის ხმა თუ შეარხვეს,
მაშინ ჩრდილები ოიდიპოს მეფესა სდგამენ.

გაგიკვირდება მეგობარო და გაგაოცებს,
ჩემი თვალები ჩემი გულის სისხლს რო დალევუნ.
ჩამამაღლებუნ ალბად სადმე ხრიოკ ბორცვებთან,
ლექსის ფარაონს ჯიბგირობას დამაბრალებუნ.

დაჯდება მარტო, აიძვრევა და მოსწევს თუთუნს,
 მოგონებებში ჩაინჯღრევა ბედის ნაწუნნი.
 ჩვენ ქინქლებივით დაეტრიალებთ ვერაგ საწუთროს,
 და საფლაკებზედ შემხმარია ხალხის წუნწუნი.
 ანთებულ გულში დადის მუდამ თავისი ჩრდილით,
 ანთებულ სხეულს დააქვს ხოლმე ბედნიერება,
 სინათლე რაა — მაცდურების ხმა წყალვარდნილი.
 და შუაღამე დაერდომილთა დიდი ვედრება.
 ჩემ სიმღერებში შეანთებენ საუკუნენი
 სანთლებს, ჩირაღდნებს ფეხაკრებით, ჩუმი ზმანებით.
 კუბოზე ვილაც მლოცველები მიკაკუნებენ:
 შენი ჭირიმე, ხმა გაგვეცით, სახლში ბრძანდებით?
 გულგახეთქილი წამოვდგები, გამოვალ გარეთ.
 სადღა იქნება ეს სამყარო, ეს არემარე.
 დანახშირებულ ლაქვარდებში იდგება ქარი.

დავიღუპები ამოსული მიწის ქერქიდან,
 გაუხარელი, დაგვალული, ჩრდილშემოყრილი.
 ჩემს საფლავს ალბად მთის ქედნები გადაქექვენ,
 რომ ნახონ გული ბნელ კუბოდან ამოფრენილი.
 ილუღუნებენ ლაქვარდების ტრიალ მინდვრებში,
 აწიოკდება სადღაც ჩემი დიდი სამრეკლო.
 განათებული ზეცა უცბად ჩამოინგრევა
 და ქვეშ მოჰყვება გრიგალების გზა და სამრეკლო.

Handwritten number 3

Handwritten number 28685

ს ა ძ მ რ თ ვ ე ლ ო ს
 ვ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს
 ე რ ო ვ ნ უ ლ ი
 ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

სუვეერული მიწნარდება გადამტკვერდება.
საღღაც წყლის შუქი შეინახავს მკვერდის ნიჭარებს,
არარაობა შეშლილივით დამამტერდება
ღა თან საცოდავს, რაღაც შიში შეაჭრიაღღებს.

ღასასრული

როგორ პირქუშად მიდიღღენ ღღეები ჩემი,
როგორ როკავღა ჩემს ღღინზე ღღშმანის ჩრდიღი,
რაღაც სიციღი უნახავი, შიში დამჩემღა.
ქრისტეს ჯვარღვით ჩემ ღღქსებზეღ გაღაზნეკიღი.
ცოდვის კითხვა... სივრცეებიც დაკეტიღია,
გარეღან აღღეს მთვარის შუქი, როგორც ურღული.
როგორ მომბეზრღა უთავოღო ეს ზეტიღალი,
ქუჩებში ძიღი და ძაღღივით ვეღღგან ძუნძული.
როგორ მომწყინღა ეს სიციცხლე, როგორ შემძულიღა.
ვევის ცხოვრება არ სჯობიღა ამ ჩემ მწარე ზვეღრს.
უნღა აეღღესო ყასბის დანა, ანღა წანღული,
თითქმის ყოვეღღამ ბნელ სიზმრებში სიკედიღსა ვზეღავ,
ო, ღღერთო, როგორ დეიქანცე, მოუწყდი, მოეეშვი,
პირქვე დაციემულს ქარიშხალიც ვერ ამავენებს,
ჩემო ნუგზარ, მამა უნღა დაკემშეიღღობოს,
უკანასკნელად დავიკოცი სავვარულ ზეღებს.

ღღემბერი. 58 წ

წავღენ ღღეები, და გაღღაღმა ძვეღი ჭანღარი
შაშვის ფრთებზე შეიშრიაღღებს,
წადი, იარე, შარავზეზე ჯანღაბამღისაც,
კარგად იცოდე, რომ არავინ არ შეკიბრალღებს.

თუ დაეცი, თავს დაგეცა სულთამხუთაეი,
იქნებ ქარებმა მოგაკითხონ საპანაშვიდოთ.
შენ ხომ სიცოცხლე, შენი ბედი გძულდა მუხთალი.
წადი, იარე, დღე დაიძალე,
ღამე განვლე გზებზე მშვიდობით.

5/1. 59 წ

რა საყვარელი სიცოცხლე მორჩა,
სიცოცხლე კვამლა ზარების ყაყანს,
შენ თითქოს ღმერთებს თვალში გამორჩი,
შენ ვარსკვლავით მოსწყდი ქვეყანას...
შენი განენით დაიწყო გლოვა,
მარადისობის უდაბნოებში
ქრისტეს უყვარდი, შენ მოგელოდა,
თან ქრისტეს რისხვა გედგა თვალეებში...
რა მარტო დაერჩი ჩემო ნუგეშო,
ვიღა აანთებს ჩემს გულს ჭაღებით.
ვინ შეტყვის წამო, ნუ გეშინიან,
ქარმა წაიღო გუშინ ბალები.
მწვება გული, და გულის კვამლი,
მიბურავს თვალებს და ასე აღბად
ბედი ტიალი, ბედი საწყალი
მწუხრის ზეწრებში გაიბლანდება.
მე ვნახე შენი დამშრალი სახე.
შენი თვალეები ვეღარ ვიპოვე.
გავედი გარეთ, პირქვე დავემხე.
მე ჩემი ბედი გამოვიგლოვე.

მიგასვენებდნენ, უკან მოგდევდი,
 მძულდა სამყარო, ხალხი, ბუნება.
 გულში ვფიქრობდი ნეტავ როდემდის,
 ნუთუ ერეკლე არ დაბრუნდება.
 ნუთუ თბილ გულში აღარ ჩამიკრავს,
 გული, რომელიც სცემდა ზარივით
 გული, რომელიც ნანას უკრავდა.
 გული მღელვარე ნიაფ-ქარივით
 როგორ ჩაგაქრეს, რა უცაბელათ,
 როგორ შეჩერდა ზარის ზუზუნი...
 ნუთუ სიკვდილი ჩვენთან აყბედდა,
 ნუთუ შენს ცხედარს აუვა სუნი.
 ჩემო სიცოცხლე, რა ვუყო ეზლა,
 რა მარტო დაურჩი, ჰო, რა უგონოთ;
 თითქოს კლდეების ჯოგი მქზლება,
 და მე ვტირივარ კვლავ უპატრონოთ.
 მიცვალებულებს აღბად უყვები,
 რა ნახე ქვეყნად, თან მწარედ ტირი,
 დაუდივარ, შენი ლანდი დამყვება,
 შენი ფიქრები ტყვებზედ ხშირი.
 არ ვიცი, რა ვქნა ჩემო ოცნებავ,
 როგორ მოვიკლა გული ალალი,
 ეს არის ბედის უცნაურება,
 სად არის, ღმერთო, აქ სამართალი?!
 გადივლის ქარი, და შენ სამარეს
 დაესვეიან ანგელოზები
 და სიჩუმეში, ბეთანიისკენ
 იყურეუტებენ ნათული გზები.

უკანასკნელი ლექსები

თელა და ჩიტი

...პო, იჭიკჭიკე ჩემო ბელურავ,
თელას ფოთლები რას დაგიშლიან,
მე ყველამ კარი გამომიხურა,
იცო, ნუგეში როგორა მშინა?..
ბედი გქონია რომ ჩიტად გაჩნდი.
აღიონს უსწრებ, თუთრად ინთები,
მე კი ცხოვრებით გაჩანაგებულს
ქარის ვვირილზე მტკიცეა ფილტვები.
რო აფრინდები თანატოლს ეძებ,
ეძებ და გიცემს გული ალალი,
მე კი სიცოცხლე ჩაძმარებული
ბნელ ფიქრებს ვმწყეფმსამ ჭმუნვის სარქალი.
ჟღურტულებ, მღერი, ამოყრილ რტოებს
ჭვევი, როგორც ჩუქურთმებს, სიზმარს,
მე მყუდროებაც დამანატრულეს,
ბოლო მომიღეს პანგებით მდიდარს.
ნეტავ იცოდე კითხვა ჩიტუნავ,
წაიკითხავდი სისხლებით ნაწერს,
ყურს მიაპყრობდი ვარდების ტუტუნს,
შემიბრალებდი სახრე გადაწუნულს.
მე ლექსებს ვწერდი ქართა ყაყანზედ,
ეს იყო ჩემი ძუძუ და ხსენი,
მაგრამ, ამ პირქუშ კაცთ სამყაროდან
თავი ვერაფრით ვერ დავიხსენი.
ჯერ კიდევ, თითქმის დედიშობილას,
ტყის ქარიშხლები მაცვამდნენ შავებს,

ეზღაც არ ვიცი ჩემი საშობლო
 რას მერჩის, ნეტავ რა დაუშავე?!
 ნეტავ შენს ფრთებქვეშ გაეჩენილიყავ,
 მეც მასწავლიდი ცის გასწვრივ ფრენას,
 ხან შემზარავდა მამლის ყვილი,
 ხან შენს მკერდიდან მოეწოდდი ღვინას.
 იღბალი იქაც მიღალატებდა,
 მომეწეოდა ჯანლი ტიალი,
 გადამისვრიდნენ ქარაფ ფლატედან,
 დამეცემოდა ღრუბლის წინწყალი.
 ასე შეწერა ალბად მე ცოდვილს —
 მარადისობის კოშკების პატრონს,
 და როცა ჩემო, ერთ სისხამ დილით
 გულ-ღვიძლი ხანჯლით ამომიფატრონ,
 მოდი, იქ სადაც ჩამფლამენ ჩიტო,
 არ შეკრთე, ძეგლი დაკრიჭაეს კბილებს,
 მიუაღერსე, ნუკი იტირებ
 შენი ნისკარტით დარგულ ყვაეილებს.

15 თბათვე, 57 წ

ჩემი დღე

აი გათენდა. ეს ოხერი უნდა წამოვდგე,
 გარეთ გავიდე, ჩემს ბაღებს ეუშოვნო პური,
 უნდა ვიარო, ვიწანწალო, თითქმის მთელი დღე,
 სიცოცხლის გზებზე არ დავინდო არც გარეშე, არც შინაური.
 აბა რას იზამ, როცა უკან ქარი გაწეება,
 წინ კი რიყეა — სამინელი ცხოვრება ჩემი.

რომელი ჯვარცმა შეედრება ამ ჩემს წამებას:
 ხელები მტკივა მოხურული კარების ცემით.
 მესმის ყაყანი, მაგრამ კარებს როდი მიღებენ.
 დაიკარგეო, ქვებზე ელამს ცუდი წარწერა,
 ღამეებს გავცდი, მაგრამ მაინც შემომალამდა,
 ნისლი მწვემსამდა სარქალივით ჩემ ნორჩ პატარებს.
 მამა! მამილო! მიძახოდნენ ჩემი ბავშვები,
 ამ შუალამის ტიალ გზებზე სად ითვისები,
 წყეულიც იყვეს შენი ჯიში და წარმოშობა,
 წყალმა წაილოს, შენი თრთოლეა, შენი ლექსები,
 მოხდე შეილებს, გადაყარე მძიმე ლოცვები,
 ნუ აჭრიალებ უმიზეზოთ ჩვენ ქოხის კარებს.
 აი გათუნდა, პირქუშ სიზმრებს გარეთ ვაცილებ
 და ლუკმაპურის საშოვნელათ გაუდივარ გარეთ

50 წ. თბილისი

როცა შეეხვდებით მგობარო ასე მგონია,
 შენ შეგიძლიან შენს ტიკტიკში გამოვიდარო.
 ჩემი დღეების ქარაუანში ყეფავს თოლია,
 ჩრდილები ხტიან შიშისაგან, მისმინე ქალო.
 მე რომ დავკარგე მისამართი ქვეყნიერების,
 სივრცეებს შეერჩი ვით ლტოლვილი და მანანწალა.
 შენა ხარ, დაო, ჩემი დიდი ბედნიერება
 და ჩემი ხელით აკრეფილი იების ღალა.
 გახსოვს ბინდებში როგორ უცბად შემომყვარე,
 შენ ბრუნდებოდი ლოცვებიდან ჩამქრალ სანთლებით.

საით ვიხივს?..

დღედაღამ მარტო ზის გატრუნული,
 ესმის ზუზუნი ათასი წლების.
 ის ქლა არის გამოქვაბული
 დაღლილი ლოცვით და მოწყალებით.
 მას უწოდებდნენ ფიქრების ფარულს
 და ჩამძარბულს ბინდების ნარზულ,
 ის ჰგავდა ღმერთის გლოვის აფიშას
 გაკრულს ამ ტიალ დედამიწაზედ.
 მაგრამ ვერაუინ ვერ წაიკითხა,
 თუ რა ჟნერა, ან რა [...],
 ჟამმა წარწერა ჩამოარეცხა,
 და თეთრი კაცი ნელა გაშავდა
 და ფეხაკრფით გაჰყვა ლამეებს
 ძილი სად იყო, ან მოხვენება,
 ხადღაც სიბნელის ღურღუტანებთან,
 სთვლემდა გულისწვა და დაოსება.
 მეც შევხვედრივარ ამ კაცს ხანდისხან,
 როდესაც დიდი კვირამაღია,
 შეშინებული და სახლის სხვენზედ
 შეშლილი ღმერთი დაუძალია.
 მაგრამ კანკალი არ გადაჰყრია,
 შუბლიდან მწერნი არ მოშვებია.
 მარცხენა თვალით სახე აჰყრობილს
 ღმერთისთვის რაღაც უნიშნებია.
 მომისმენია ღმერთის გაფრენა
 და თან ამ კაცის — ვაიმე დედა!

„სად არის ნიკო ბედნიერება,
სად შვილით ძმად, სად ვილტვით ნეტა?“ —
თან ყველაფერი მოუცამს დუმილს,
საკველის სუნით, პანაშვიდებით,
ღამე აუდრისგან დაუგვრემელი
და სიცოცხლესთან დამშვიდობებით.
მე წამოესულვარ, კარის დახურვა...
და ის ჟამს იქით გაშენებულა,
თან მარტოობით გახარებული
თავის საკანში აორთქლებულა
და მწვანე შუქზედ უბუტბუტია
წარმავლობის დიდი ზღაპარი.
ათას წლებს იქით წამოუნთიათ
წარმართებს კერპთან რაღაც ლამპარი
და გადამწვარა ველურ ხითხითზედ
ასი ათასი წლების დინება.
და კაცის [...] ცას შეხმობია,
როგორც სიბნელე და გარინდება.
ხო, ის მოვიდა, წასვლას აპირობს,
მაგრამ არ იცის საით, ან როდის.
სულ გაშწარებით დღედაღამ ფიქრობს,
ასე იფიქრებს ქვეყნის ბოლომდის.
გიკვირს რათ შესცდა ღამე ჭკუაზედ,
ანდა რათ გაჩნდა [...] ნილოსი,
რომ დასაბამის თოკის მარყუქზედ
კიღია კაცი და გენიოსი.

ლიტერატურის მუზეუმი დაცული ნიტა (ტანიტ) ტაბიძის ალბომი

საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ინახება აწ უკვე „განძაღ“ ქცეული ალბომი. ადრე იგი პატარა ნიტა ტაბიძის, უახლესი ქართული პოეზიის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის, ტიცციან ტაბიძის ქალიშვილის, პირადი საკუთრება იყო. ალბომში ნიტა ტაბიძე თავს უყრიდა მამის მეგობარ მწერალთა ავტოგრაფებს.

როგორც ქალბატონი ნიტა იგონებს, თავდაპირველად სხვა ალბომი კქონია, მაგრამ ერთხელ ძია სანდროს (სანდრო შანშიაშვილს), ლექსის ჩასაწერად წაუღია და დაუკარგავს. ნიტა ძალიან შეუწუხებია ავტოგრაფების დაკარგვას, დანანებია მრავალი საინტერესო ჩანაწერი; მალე ახალი ალბომი შეუძენია და პირველსავე გვერდზე, საკუთარი ავტოგრაფი აღუბეჭდავს ძია სანდროს. ამ ლექსში ზემოთ მოთხრობილი ამბავია აღწერილი (იხ. გვ. 30-31).

სულ მალე ტიცციანის სხვა მეგობრებსაც ავტოგრაფებით შეუესიათ ახალი ალბომი. თვალს ახარებს პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძის, ანდრე ბელის, ბორის პასტერნაკის, ანა ახმატოვას, ლეონიდ ლეონოვის, მიკოლა ბაუანის, პავლე ანტოკოლსკის, ნიკოლოზ ტიხონოვის, ვიქტორ გოლცვეის და სხვათა ძვირფასი ავტოგრაფები. ამ სახელების ჩამოთვლაც კი კმარა, იმის წარმოსადგენად, თუ რაოდენ საინტერესო უნდა იყოს შთამომავალთათვის ეს ჩანაწერები. ქალბატონი ნიტასთვის კი თითოეული მათგანის გახსენება განსაკუთრებულ მოგონებასთან არის დაკავშირებული. ქალბატონი ნიტა განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდის ანდრე ბელის (ბორის ბუგაევი) ჩანაწერის დაკარგვას. როცა იგი ავტოგრაფის აღსადგენად მოსკოვში ჩაეიდა, პოეტი უკვე ცოცხალი აღარ დახვდა. ტიცციანის მკუდლე — ნინო ტაბიძე, თავის წიგნში — „ტიციანი და მისი მეგობრები“ იხსენებს ამ ეპიზოდს და წერს: „...ანდრე ბელის სიკვდილის შემდეგ, მოსკოვში რომ ჩავედი, კლაუდია ნიკოლოზის ასულმა¹ ნიტას დაკარგული ალბომის სანაცვლოდ ლექსის ავტოგრაფი აჩუქა...“ ეს ავტოგრაფი ნიტას თავის ახალ ალბომში ჩაუკრავს. გთავაზობთ ანდრე ბელის ამ ლექსის ავტოგრაფს:

¹ კლაუდია ნიკოლოზის ასული — ანდრე ბელის მკუდლე.

სერძე

სერძე, მს - მთხრობა;

სის სემონ-

სისა:

სივან ბერიძე

სირა -

სიხრაძე.

სოსო - მცხარი;

სოსო

სოსო;

სოსოის ვინა

სოსო -

სოსო.

სოსო სერძე -

სოსო

სოსო.

სოსო

სოსო

სოსო -

- მს.

სოსო 1901-1912

აღბოშში პირველი ჩანაწერი 1933 წლითა დათარიღებული — ძძძე, მტკივნეული, განსაცდელის მოლოდინით აღსავსე პერიოდი, რომელსაც ხუთ მალე 1937 წელი მოჰყვა. მრავალი ქართველი მწერალი ამ წლების მსხვერპლი შეიქნა და მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი ნიტას შამა — ტიცინ ტაბიძე იყო...

ეს დიდი, ტრაგიკული საუბრის თემაა... ამის შემდეგ ჯოჯოხეთად გეტყვითაბიძეების ოჯახის ცხოვრება. მრავალი განსაცდელის ქაშს, რომელიც შემდგომ წლებში არასოდეს მოკლებიანთ ქალბატონ ნინოს და მის ქალიშვილს, როცა უახლოეს ნათესავეებსაც კი ეშინოდათ მათთან ურთიერთობისა, გიორგი ლეონიძესთან ერთად ბორის პასტერნაკი იყო მცირეთაგან ერთ-ერთი, რომელმაც სიკვდილამდე უერთგულა ტიცციანსა და მის ოჯახს. პასტერნაკისა და მისი ოჯახის ურთიერთობა ტიცციანის მეუღლესა და ქალიშვილთან ჭკუშმარიტად სამაგალითო ამბავია. ამჯერად კი, იმ ერთი პატარა ჩანაწერის გახსენება გვინდა, ნიტა ტაბიძის ალბომს რომ შემორჩა:

Thyssa^s mae chymen
 ღვთისმშობელი ჩემო
 ცეცხლსაგანთაგან ჩემო გულ
 მსხვერპლად მსხვერპლად
 ეს რაყინება ყ...
 მსხვერპლად
 24.XI.33
 ტ. შ. ი. ი.

ერთგან იური ტინიანოვი იხსენებს, როგორ შებენ მას ტიცციანი, ირაკლი ანდრონიკოვი და პასტერნაკი. ეს იყო ლენინგრადში (ქვლანდელი პეტერბურგი) სასტუმროში. პასტერნაკი ახლადჩამოსული იყო საქართველოდან, მისი შთაბეჭდილებები მძაფრი და ემოციური იყო. იგი კითხულობდა თავის მშვენიერ ლექსებს საქართველოზე. ტიცციანი ბედნიერი, ხოლო თვით ტინიანოვი, რომელიც არასოდეს ყოფილა საქართველოში, აღფრთოვანებით უსმენდა მათ და იმეორებდა: „ეს შებვედრა მე ბედად მქწერა. მე ტიცციანი უსათუოდ უნდა მენახა-ო“.

მანვე შემოგვინახა ერთი ეპიზოდი ტიცციან ტაბიძის ანა ახმატოვასთან შებვედრიდან... ანა ახმატოვა, დიდებული პოეტი ქალი, რომელსაც იშვიათად გააოცებდა რამე, გაკვირვებული უსმენდა თურმე ტიცციანს და ვერ გაეგო, საიდან ფლობდა იგი მეოცე საუკუნის პოეზიის ასეთ ღრმა ცოდნას.

М. И. Ахматов

на чертах

от Анна Ахматов

№ 1134

30-იანი წლების ქართულ-რუსული და სხვა ქვეყნების ლიტერატურულ ცხოვრებაში, უდიდესი როლი ითამაშა ტიცციან ტაბიძის ოჯახმა. თქვენი სახლი იყო პირველი თავშესაფარი თბილისში, საიდანაც ჩვენთვის საქართველოს კარი გაიღო, წერდა ერთი პოეტი ნინო ტაბიძეს. ეს კარი მუდამ ღია იყო მათთვის, არა მარტო ტიცციანის სიცოცხლის წლებში, არამედ მისი სიკვდილის შემდეგაც. ეს ტრადიცია არც ქალბატონ ნიტას მოუშლია. ხოლო ალბომი, იმ ტანჯვით სავსე გზაზე, რომელიც მან და მისმა ოჯახმა თითქმის ბოლომდე გამოიარა, არასოდეს მოუშორებია. იგი მუდამ თან დაჰქონდა, როგორც ხსოვნა და სიყვარული იმ შორეული, ძვირფასი დღეებისა... ხსოვნა დიდ, კეთილ, შთაგონებულ ადამიანებთან შეხვედრისა...

ერთხანს თურმე, რომ არ დაკარგოდა, კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის სახლშიაც შეუნახავს. სამაშულო ომის უძძიმეს წლებშიც იქ ყოფილა... ძალზედ საინტერესოა ეს ჩანაწერები, საინტერესო და ხშირად მნიშვნელოვანიც: ვნახოთ ბენედიქტ ლეიშიცის ლექსი, რომელიც მან ტანიტს ჩაუწერა ალბომში: „26 ოქტომბერი, 1935 წელი...“ (იხ. გვ. 44-45). ეს იმ დაუევიწყარი თბილისური ღამის ანარეკლია, როცა ვაჟას ნეშტი დიდი სასოებითა და მოკრძალებით დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე გადაასვენეს.

„ჩვენ ცოტანი ვიყავით — ქართველ, რუს, უკრაინელ მწერალთა ჯგუფი...“ — იგონებს მიკოლა ბაჟანი თავის წიგნში „საქართველოს გზებზე“. — „პაოლო იაშვილი, ტიცციან ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, კარლო კალაძე, ირაკლი აბაშიძე, ლევან ასათიანი ფრთხილად ხდიან კუბოს სარქველს და გაოცებულნი არიან, ვაჟა-ფშაველას მკაცრი და მშვიდი სახე,

ასე ნაცნობი ყველა ჩვენთაგანისათვის, მოგვეახლა სიბნელიდან... ეს იყო შემადრწუნებელი და პათეტიკური ჩვენება. პაოლომ ლესია უკრაინკას მიერ ხოტბაშესხმული ყვაილი ქვატყელა დაუღო პოეტს ფერხთით. შე დავუფინე ჩერნობრეცების, უკრაინის შემოდგომის ბალების მშვენიების უხვი თაიგული“.

— შეუძლებელია ამ სტრიქონების აუღელვებლად კითხვა... მათ, სხვა ქვეყნის ცის ქვეშ გაზრდილებს, შეუყვარდათ საქართველო, შეუყვარდათ მთელი გულით და სიცოცხლის დღეთა ბოლომდე ეს სიყვარული აღარ განელებიათ.

იმხანად, პატარა ნიტა, თურმე ძალიან იყო გატაცებული ჩრდილოეთ პოლუსზე ოტო შმიდტის ექსპედიციებით. ტიცციანის მგობარ პოეტებს ართობდათ ეს ამბავი, პაოლო იაშვილს მისთვის შმიდტის ხელნაწერიც უშოვნია და ლექსიც დაუწერია — „ნიტა კაპიტანი“. სამწუხაროდ, ამ ლექსის ქართული დედანი არ არსებობს... რუსული თარგმანი კი — ქალბატონ ნიტას ალბომშია შემოგვინახა. ლექსი კორნეი ჩუკოვსკის უთარგმნია და გაზეთ „იზვესტიაში“ დაუბეჭდავს.

მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება დღემდე სიყვარულით შემონახული ნიტა (ტანიტ) ტაბიძის ალბომში თვემოყრილი ჩანაწერები, ლექსები და ხუმრობანი, რადგან ეს ალბომი იმ დროის სახსოვარიც არის.

*მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
ნანა კობალაძე*

ნიტას

ბუჩქს ამშვენებს მარწყვი,
ბაღჩას — ალუბალი:
ტიციანის ოჯახს —
ნიტა — კოხტა ქალი!

დაგიწერე ლექსი
კვირცხლი, როგორც რაში,
ის ალბომთან ერთად
დაგიკარგე გზაში.

უხვად იყო მოძღვნა,
ქება, შენ რომ გშვენიხ;
უცხო პოეტების
და ანდრეი ბელის!

დანაკარგი დიდი
ველარ მოგინახე,
ფურცლებს წაჰყვა გრძნობა
და ბეშუობის სახე!

მაგრამ შენ ხარ ჩვენთან:
ნიტა კოხტა ქალი;
განძი — სიამაყე —
ნიტა ქვეყნის თვალი!

ძია ხანდრო!
1933 წ. 26-X

ტანიტ ტაბიქს

ლამაზია სახით, ტანით
ჩამოთლილი ელვის დანით,
ცოცხალია როგორც წყარო
და ფრინველი გარეგანი,
მას შვეხარი მთელი ჩემი
პოეზიის მოედანით,
ტაბიძეა — ქალი გვარად,
და სახელად ჰქვია ტანიტ,
თუ აქამდე არ იცნობდით
ჩემი ლექსით გაიცანით.

პაოლო იაშვილი
6.XI.33

1 ძია ხანდრო — ხანდრო შანშიაშვილი.

Сердца нити
Бегут к Ните.

Ольга Форш¹
1933. Ноябрь 30

СЕРДЦЕ

Сердце, ты — штенчик;
Свой щебет —
Уйми:
Розовый венчик
Зари —
Подними.
Росы — белясье,
Ясни
И — там,
Солнце на вязах
И ясени
Там.
Детское сердце, —
Раскрылись
Цветы.
Легкие
Лепеты
Листиков —
— Ты.

(Андрей Белый)²
Москва. 1901-1921

¹ ოლგა ფორში — ოლგა დიმიტრის ას. კომაროვა, რუსი მწერალი (1873-1961).

² ლექსი ხელმოწერილია, მაგრამ კალბატონ ნიტას განმარტებით ეკუთვნის ანდრო ბელის.

Дорогая, маленькая Нита!

Я запомнил одно, как вы чокнулись со мной — я пил за папу — Тициана Табидзе и за литературу Грузии. За что мне еще было пить?

АЗ/ყვა/!

II/XII-33 z.

Живите, Нита, весело. Слушайтесь папу и маму и никогда не пишите романов на высокохудожественные темы. В этом благословенном климате и при таком исключительном топливе, как Цинандали, например, проживите тысячу лет.

Леонид Леонов?

3 окт. 1934

Москва

ხალხის ჭდევისგან, გულწასვლებიგან,
ქვითინისგან, რაც მას რგებოდა,
ცხრაჯერ დაიმსხვრა რუსთველის კუბო,
ვიდრე საფლავთან დაიდგმებოდა.

მე ასეთ კუბოს არ მოვსწრებოვარ,
საიდან ვიცი, რაა პოეტი,
ცრემლით, სიძღვრით ატაცებული
თავის დიდების სიმარტოეთი...

მე ვარ პოეტი, ან მამაშენი?
ჩვენ ვართ ქართული მიწის ოცნება?
ამოითხრება ჩვენ სულში ლექსი
და ფესვიანად გაიტყორცნება?

1 ალექსანდრე ნიკანორეს ძე ზუევი — რუსი მწერალი (1896-...).

2 ლეონიდ მაქსიმეს ძე ლეონოვი — რუსი მწერალი (1899-1972).

არ დაიჯერო, არ დაიჯერო,
რომ ჩვენ შვეკვეძლო ლექსის დაწერა
ჩვენ კუბოს მაშინ გამოგვიცლიან,
თუ მოხდა ჩვენი გადასვენება.

მაგრამ ერთსა გთხოვ, რომ დაიჯერო,
რომ ჩვენ ვიყავით ლექსის მძევალი;
რომ პოეზიას არა ჰყოლია
გაცოფებული ჩვენზე მწვეარი!

ან თუ ვერ მიეწვდით, ვერ დაეჭვიეთ,
ვერ გაეჩაღეთ ლექსის ბრიალი,
შენ უპასუხე, შენმა თაობამ
ან საქართველომ დაიღოს ბრალი!

ცხრაჯერ დაიმსხერა რუსთველის კუბო,
ჩვენ კი — ერთისაც არ გვაქვს იმედი,
მე მამაშენის რიტმით ვწერ ამ ლექსს
ბევრი სიმღერით, ბევრი მძიმეთი!

გიორგი ლუონიძე
II-XII-33

გ. ლუონიძე

6. ტაბიკმს

პატარა ნიტა ნარჩიტა
ჩვენო მოძაველის იმედო,
ჩვენი ნალველი, ბალღამი
შენ უნდა გადაიტანო.

¹ გ. ლუონიძის ექსპრომტი, ალბომში ჩაწერილია ქ-ნი ნიტას ხელით.

თუ დღეს ხარ ისე პატარა,
როგორც საკურდღლე ჯეჯილი,
იყავი, დრო როცა მოვა
ხანჯალი ამოგლეჯილი.

ДОРОГОЙ НИТЕ ТАБИДЗЕ

Ты дочь грузинского поэта
И как отец твой — Тициан,
Веселой рифмою согрета,
И путь твой песней осиян.

Так пусть же этого блокнота
Листок навеки сохранит
Знак дружелюбного почета
Тебе, весенняя Танит.

Борис Брик¹
12.XII.33 г.

Милая Нита!

Я очень люблю Нишу Александровну и Тициана, чувствую себя в этом доме так, как будто мы знакомы не пол года, а десять лет. Когда приедешь в Грузию, — всегда хочется жить в ней долго. Вернувшись на Север — вспоминаешь о ней, о тифлисских друзьях. Будем же друзьями и с вами Нита!

Виктор Гольцев²
28 мая, 34 г.
Тифлис

¹ შორის ბრიკი — რუსი პოეტი, მთარგმნელი.

² ვიქტორ ვიქტორის ძე გოლცევი — რუსი კრიტიკოსი (1901-1955).

Милой Ните,

Талантливому произведению Тициана, на добрую память.

Бруно Ясинский¹

5. X. 34

Тифлис

Я знаю: Нита рада
Природе Ленинграда,
Пространства простоте —
Меня ж, поверьте, Нита,
Влечет сильней магнита
К Тифлиса высоте.

Н. Тихонов²

16. X. 34

ТАНИТ ТАБИДЗЕ

(подражание Руставели)

Жизнь начинается счастьем, если есть родители.
Девичье детство лучше, светлой райской обители.
Солнечной эры мира, мы — борцы — строители.
Бури близятся! Будь же смелой в страсти ли, в битве ли!

Сергей Городецкий³

24. X. 34

¹ ბრუნო იასენსკი — ვიქტორ იაკობის ძე იასენსკი — პოლონელი, რუსი მწერალი (1901-1941).

² ნიკოლოზ სეზონის ძე ტიხონოვი — რუსი პოეტი (1896-1979).

³ სერგეი შატროვანუს ძე გოროდეცკი — რუსი პოეტი (1884-1967).

Милой Ниточке — которую я встретил в Москве, где не мог
ожидать, и не мог встретить в Тифлисе, где ждал её увидеть —

Привет и надежда
еще
увидеться не один раз.

К. Федин¹
Тифлис, 27.XI.35

Танит Табидзе

на счастье от Анны Ахматовой.

26 февр. 1934²

В память связующей нити, какую был для нас всех I-ый всесоюзный
съезд писателей, — милой маленькой Ниточке Табидзе.

от Мариэтты Шагинян³
1.IX.34
Москва

Пускай мне служат красной питью
Среди закрытых мглою дней,
Живые пожеланья Ните:
Её родителям и ей.

Пастернак⁴
24.XI.33
ტფილისი

¹ კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ფედინი — რუსი მწერალი (1892-1982).

² ანა ანდრეას ას. ახმატოვა (გორუნკო) — რუსი პოეტი (1889-1966).

³ მარიეტა სერგეის ას. შაგინიანი — სომეხი მწერალი (1888-1982).

⁴ ბორის ლეონიდეს ძე პასტერნაკი — რუსი მწერალი (1890-1960).

ორი აპკელა

(პაწაწინა ტანიტა ტაბიძეს)

ჭრელი ცელქი პეპელა
 დაფრინავს, დაცქრიალებს;
 სიყვარულით ვვლება
 მინდურის კოპწია ქალებს.
 ხან ერთს მიუაღერსებს,
 ხან კიდევ მეორესა,
 მათ სიცოცხლეს ავედრებს
 ცაზე კაშკაშა შხესა.
 ყვავილიც უკონიან
 მას ყუყუნა თვლებსა
 და ნამით უსხურებენ
 ფრთებზე დაფრილ ხალებსა.
 ამ სურათს რომ უყურებს
 პაწაწინა ტანიტა
 მამას ეჭიკჭიკება
 ხუჭუნით თანდისთანითა:
 გაზაფხულის მორბედი
 პეპელა ვარ მენაცა
 და მესმის ყვავილების
 სიხარულიც, წყენაცა.
 ნორჩ ყვავილს რო მოსწევითავ
 და მიიბნევი ღილზედა,
 განა არასა ფიქრობ
 შენს პაწია შეილზედა?
 მეც რომ ვინმემ მომწევითოს
 გულზე დასაბნევადა
 ხომ ძაან გწყინება,
 ხომ იქცევი წყვედა!

ყვეილს ხელს ნუ ახლებენ
გადაუცი ყველასა;
ამით გეასიამოუნებ
აქ შე, იქ პეპელასა.
ორივე გავიხარებთ
ერთად ლხენა-ფრენითა
და დიდ მადლობას გეტყვით
ყვეილების ენითა.

შოთა შლავიძელი
1924 წ.

НИТА ТАБИДЗЕ

Ты знаешь, Нита? Этот мир —
Как ты живой — и сладко дышит...
Ты слышишь? Звук волшебных лир
Сей воздух благостный колышет.

Пойми! Прислушайся! Взгляни!
Люби сей мир очарований...
Цветов, дитя мое, не мни
И рай вдыхай благоуханий...

Геორგი Чუღოვი
Тифлис. 1932 з.

На память Ните Табидзе. Привет из Арктики

О. Шмидт ?

1 გიორგი ივანეს ძე ჩუღოვი — რუსი მწერალი (1873-1939).

2 ოტო იულის ძე შმიდტი — საბჭოთა მეცნიერი, მათემატიკოსი, ასტროლოგი, გეოფიზიკოსი, არქტიკის ერთ-ერთი დიდი მკვლევარი (1891-1956).

НИТА — КАПИТАН

Имя её настоящее —
Тавит.
Дома и в школе
Зовут её Нитой.

Думает Нита
Стать капитаном,
Стать путешественницей
Знаменитой.
Инди, Минди,
Перад швинди —
Поеду на полюс,
Поеду в Индию!
На ледоколе, —
Думает Нита, —
Буду я плавать
Помощницей Шмидта.
Все мои спутники
Будут герои.
Новые земли
С ними открою.
Ните сказала
Девочка в школе:
— Быть капитаном
На ледоколе

Только-что Нита
Встала с кровати,
Только надела
Синий халатик,
Только открыла
Двери балкона,
Как увидала
Внизу почтальона.
Серый от пыли,
Черный от зноя,
Подал он Ните
Письмо заказное.

Синий конверт
Распечатала Нита
И увидала
Бороду Шмидта —
Шмидта такого,
Как был он на льдине, —
В тесном конверте
С подкладкою синей.

Нита сестер разбудила
И братьев,
Папу и маму
Стащила с кроватей
И прочитала:
„Маленькой Танит.
Пусть она знатной
Женщиной станет,

Пусть она будет
Первою в школе,
Первою в мире
На ледоколе!“

В это же утро,
Толнясь в коридоре,
Все второклассники
Плавали в море,
Гулко гудели,
Со льдами боролись,
Плыли, качаясь,
На Северный полюс.

В полдень,
Когда на большой перемене,
Нита сбежала
Во двор со ступеней, —
Громко и дружно
Крикнула школа:
— Смирно!
Идет
Капитан
Ледокола!

Милой Ните, моей первой хозяйке в Тифлисе.

Д.Мирский'
27. X. — 11. X. 34

1 დამატარი პეტრეს ძე მირსკი — რუსი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე (1890-1939).

Милой Таниг Табидзе — спасибо за чудесный стакан грузинского
чая, способный конкурировать даже с кахетинским.

Бенедикт Лившиц'

17. X. 35

Тифлис

16 октября 1935 г.

Я твоей не слышал речи горной,
Я твоих полынных не пил слёз:
Я с друзьями прах твой ночью черной
На Мтацминду перенес.

Ты, чей клетот сопроден выси
И перекликаешся лишь с ней,
Ты в последний раз взглянул на Тблиси,
На почное кружево огней.

Не по человечески был жаден
Этот вырвавшийся на простор
Из глазных, землей забитых, впадин
Все еще горящий взор.

Что в ту ночь внизу предстало ишаву?
Что ты видел, темень бередя?
Города недремлющую славу
Или приближение Вождя?

Или, может быть, невероятный
Но действительностью ставший сон:
Неразрывный узел беззакатный
Дружбы побратавшихся племен?

Только там, где прежде билось сердце,
Дрогнули при свете свеч не зря,
В силу нам неведомых инерций,
Два полуистлевших газыря.

Бенедикт Лившиц¹
19. X. 35
Тифлис

Рифмы легкие! Звоните.
Я хочу того добиться,
Чтобы правились вы Нита
Тициановне Табидзе.

Я вас мало знаю, Нита.
Но под всякою звездой, —
От Надира до Зенита, —
Будет в мире знаменито
Имя Грузии молодой.

Напоследок рифмы краткой
Именем не окрестив
Только тост, — и то украдкой
Еле влезет в акростих.

П. Антокольский²
30 ноября 35
Тифлис

¹ ბენედიქტ კონსტანტინეს ძე ლიუშვიცი — რუსი პოეტი (1887-1939).

² პაველ გრიგოლის ძე ანტოკოლსკი — რუსი პოეტი, მთარგმნელი (1896-1978).

Мы селимся в твоём альбоме,
Словно в гостеприимном доме.
Приветствую такой обряд!
Обычай нарушать не стану,
Но Нише, Ниге, Тициану
Расписку в дружбе выдать рад.

*старый тифлисец
Сергей Спасский¹
11.XII.1935*



*a Tant Tabidze
qui a la grace et la simplicité de sa tante
plus que de Glorie et Titian Tabidze
m'a aidé à dessiner.*

*{. შახი
თბილისი 1936*

1 სერგეი დიმიტრის ძე სპასკი — რუსი მწერალი (1898-1956).

2 ტანტ ტაბიძის

რომელსაც აქვს საქართველოს ბუნების მშვენიერება და სისადავე, რომლის აღმოსაჩენადაც დაიჭმინა.

*ჯ. ღიბიძე
1936 წ.*

* უტის დაბი — ფრანგი მწერალი (1898-1951) 1936 წ. ჩამოვიდა საქართველოში, შალე გახდა ავად და გარდაიცვალა.

Southkoum
30 juillet 36

J'attendais avec tant de curiosité
ce pays qui me figurait si beau, si verdoyant
avec tant de pays, j'ai vu avec le souvenir d'être
la terre d'origine et se rassemblent sur une
grande harmonie. La reconnaissance que je
vous pour le livre de l'église, votre livre
à l'effort de regard de l'histoire, à l'usage
de l'histoire, et de sa caractéristique
elle qui se trouve à regarder avec confiance
à l'œuvre. Je ne pourrais, sur la route, enlever
l'histoire, paysage du lac Tchébékoum,
non plus que toute la langue toute de
l'histoire à Southkoum, puis la belle traversée
de Batoum à Southkoum, sans les souvenirs
des jours et leurs souvenirs de tout mon cœur.

André Gide

საბჭო
30 ივლისი 36

1 კვლი რიგის შეესრულებოდა ტანგ ტაბიძეს 15 წელი, რომ ჩამოხსულიყო საქართველოში. მშენებრა და დიპლომატი სევე ვს ქვეყანა, მიყვარს, მაკოცხლებს მოგონება, რომელიც დამწმა. მადლიერების გრძობა, რომელსაც საქართველოს მიწისადმი განვიციდი, უკავშირდება ტაბიძის მწეხარე პოეზიით დამუხტულ მოსიყვარულე მშენას და მისი მომხიბვლელი ქალიშვილის რწმენას, რომლითაც მომწონებს იმდენად შევეგებო მოსიყვარულს. შემდგომში უკავშირდით ვერ შევძლებ მოვიგონო ტამაყურის თვალწარმტაცი პეიზაჟი, არც უკრძელესი გზა თბილისიდან ბათუმამდე, შემდეგ კი ულამაზესი გადასვლა ზღვით ბათუმიდან სოხუმში, თუ კვლავაც არ შევისრულებ გულისწაღილს და არ ვიხილავ ყველა ქალბატონს და მათ მშენებრ დიპლომატი. ანდრე გიდი**

* ფრანგულიდან თარგმნა ლიტერატურის მუზეუმის მუცნიერ-თანამშრომელმა ე. გრიგოლიანმა.
** ანდრე გიდი (პოლ გიოდი) — ფრანგი მწერალი (1869-1951).

ჩაქი შაბიჯი (3. სურათი 5-10*)

...ჩი, ა მე მოლოდი - ი დამ მოლოდი,
 მე მოლოდი ვე ვ კრამი მოლოდი,
 შო ნაე პერეოთა, ნოკოკოხვიში ნა დიო,
 თო მოლოდი ვიქვ დ-ე მე ე ვოდი;
 მე მოლოდი ვიქვ ი მოლოდი იდე
 ვლა მე ე ვოდი ვ სუენივაფო მოლოდი,
 შო სიუნი დოვბიოთ ვბაღენა იდე - ი
 ვ ბოქ თოვლენიქ ი სიქლენიქ ვედე;
 ეა, ვმუთენიქი მიოქ ნასაქვ ი ნორდ-
 ვოდი,
 ვ პრინციპი თოქი, შო ვავეი მორა
 თოლოდივიში სვიქ ვ ბოქ ვდარა,
 სოქიქიო ვიდიქვ სიქოქ კალენდარი.
 დოვბი -

ე. კუმიკი -
 შიქსი, 8/XI - 34.

სიტა ტაბიძის¹

ისევ ახალგაზრდა ვარ, კიდევ უფრო უმხნეულები,
 როგორც მხნეულება ვოველივე ახალ შხარეში,
 მიწვევ იმარჯვებს ის, რაც მხოლოდ ქმედებაშია;
 დროის სახელე მისთვის მუდამ საცნაურია;
 რომ სახელე ეპოქის და სახელე იდეის
 მისთვის ახლოებელია, ვით სახელე ცხოვრების,
 წელთა გამოცდილებით შაბიჯებს მდიდარი,
 ბრძოლებში ვანახლებულს წინ იმედი ენება.
 მეც შამაკი, ვით ქარი — კასატი ჩრდილოეთის
 ახალგაზრდულ ღელევაში, როგორც ზღვის სანუქარი,
 იმ კაცისა დარად, ბრძოლებში რომ შილიებს წრალობას
 ამოეხე მშვიდად კალენდრის ფურცელს.*

* კულიკი **
 თბილისი, 8 XI - 34

* უკრაინულიდან თარგმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტის უკრაინული ენის კათედრის დოცენტი რ. ხვედელიძემ.
 ** ივანე იულიანეს მე კულიკი — უკრაინელი მწერალი, კრიტიკოსი (1897-1941).

გრიგოლ რობაქიძის წერილები გრაფინია გიტა შტრახვიტცისადმი

1996 წლის 24 მაისს საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა ძვირფასი საჩუქარი მიიღო.

ბატონმა დავით მალრაძემ გერმანიაში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდგომ მუზეუმში მოიტანა გრიგოლ რობაქიძის დღემდე საზოგადოებისათვის უცნობი, გერმანულენოვანი პირადი წერილები (დაწერილია 1961-62 წწ.), ლექსები და საქმიანი ბარათები.

1994 წელს ბავარიის ქალაქ ინგოლშტადში საქართველოს დღეები ჩატარდა; ამ დღეების მონაწილეს, ბატონ დავით მალრაძეს, გრ. რობაქიძის ნაწერების ასლები მხატვარმა გერდა ვანდა პოლეიმ გადასცა. ქალბატონ გერდას მოგვიანებით მეც შევხვდი და კკითხე საიდან ჩაუვარდა ხელთ რობაქიძის ნაწერები. აღმოჩნდა, რომ გრ. რობაქიძის მეგობარი ქალის გიტა შტრახვიტცის სახელზე გაგზავნილი ბარათების ასლები, რობაქიძის გარდაცვალების შემდეგ, თავად ქალბატონ გერდა პოლეის შვეიცარიაში დაცული გრ. რობაქიძის არქივიდან გადაუღია.

როგორც ჩანს, გრ. რობაქიძე ყველა გაგზავნილი წერილის ასლს იტოვებდა, ეტყობა სურდა, რომ ქალბატონი გიტა მისი მოძაველი ბიოგრაფიის მიღმა არ დარჩენილიყო. ჩვენამდე მოღწეული, ზემოთ დასახელებული გერმანულენოვანი მასალა მხოლოდ ასლები გახლავთ. დედნები მწერლის არქივში უნდა იყოს დაცული.

ახლა ორიოდ სიტყვა თავად გრაფინია შტრახვიტცის შესახებ. როგორც წერილებიდან ჩანს, იგი გრიგოლ რობაქიძესთან შტუტგტდრისას 31 წლის უნდა ყოფილიყო. ერთმანეთი 1961 წელს — ვენევაში გაუცნიათ.

გრაფინია შტრახვიტცის გრ. რობაქიძესთან შტუტგტდრა რაღაც მისტიურ საბურველშიც კია გახვეული.

19 წლის გრაფინიას ბატონი გრიგოლი სიზმრად გამოცხადებია, პირველი წერილიც, გაცნობის შემდეგ, ქართველი ემიგრანტისათვის ფრაუ გიტა შტრახვიტცს მიუწერია. სამწუხაროა, რომ ამ ქალბატონის შემდგომი ბედი ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

გრაფინია ვიტა შტრაზვიტცისა და გრ. რობაქიძის მიმოწერა უაღრესად საინტერესოა. მიუხედავად დიდი ასაკობრივი განსხვავებისა, ეს სიყვარული (თუ შეიძლება რომ მათ ურთიერთობას ასე ვუწოდოთ!) პლატონურია და იმდენად ამაღლებულიც, რომ ჩვენს საზოგადოებას, შესაძლოა, გრ. რობაქიძის ზეაწეული გრძნობიერების გათვალისწინებით, მწერლის ფანტაზიის ნაყოფადაც კი ეჩვენოს.

უფლებას ნუ მივცემთ თავს ვიშჯელოთ ჩვენთვის მიუწვდომელი და გაუგებარი სამყაროს შესახებ. არის ოაზისები, სადაც არ შეიძლება ყველამ დალიოს წყალი, რადგან ყველამ არ იცის ამ ოაზისებამდე მისასვლელი გზები!

გრ. რობაქიძის, გერმანული ენის ზედმიწევნითა და ღრმად ნიუანსებში ცოდნის შესახებ ბევრი თქმულა, განსაკუთრებით ქართულ პრესაში.

ამ წერილების მთარგმნელის ქეთევან შერვაშიძის თქმით, — ეს ბარათები გერმანულადაც გრ. რობაქიძისათვის დამახასიათებელი სიმბოლურ-მეტაფორული სტილით არის ნაწერი და ქართულად თარგმნისას დიდ სიფაქიზესა და სიფრთხილეს მოითხოვდა.

მინდა ქალბატონ ქეთევან შერვაშიძეს გრ. რობაქიძის ამ წერილების ქართულად თარგმნისათვის ქართული ლიტერატურული საზოგადოების სახელით დიდი მადლობა გადავუხადო, რადგან მისი უანგარო შრომის შედეგად ეს წერილები დღესდღეობით უკვე გრ. რობაქიძის მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილად იქცა.

იზა ორჯონიკიძე



გრიგოლ რობაქიძე
კოლ-მელისინის სანაპირო №8
მუხევა
27.4.1961

ძვირფასო გიტა, გრაფინია შტრახვიტც!

20 აპრილს დაწერილი თქვენი ძვირფასი სტრიქონებიდან შევიტყვეე, რომ ჩემს ლექსებს — *Das vierte Blatt um Jeanne d' Arc und Der sterbende Adler*¹ — თქვენს გულში ხელმეორედ დაბადება ხედათ წილად — უმაღლესი ბედნიერება, რომელიც შეიძლებოდა რგებოდა ოდესმე ლექსს თქვენს სამყაროში, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ გამაზარა ამან. ახლა გიგზავნით ყველა ფურცელს საოცარ ჟანაზე. მეოთხე ფურცელი უკანასკნელია. ვინაიდან ეს ლექსები ერთ მთლიანობას ქმნიან, რა თქმა უნდა, ესეც გადმოგიწერეთ.

გულითადი მადლობა ღია ბარათისათვის: წმ. გიორგის სურათი. მწერთ: „რამდენიმე დღის წინ, როდესაც საღებავებს ვყიდულობდი, ღია ბარათი შევამჩნიე; მან უცებ თქვენი თავი გამახსენა — ხომ არის წმ. გიორგი თქვენი სამშობლოს მფარველი? — ამიტომაც გიგზავნით“. საოცარია დეტალების ცოდნა ჩემს შესახებ. გმადლობთ ვარ გულაჩუყებული. თქვენი წერილი 22 აპრილს მივიღე, გიორგობის წინა დღეს. ბარათზე თქვენი ხელითაა მინაწერი: „23 აპრილი, 1961“. ამან შემძრა სულის სიღრმემდე. ამიერიდან თქვენც ჩემი სამშობლოს მფარველის კალთის ქვეშ გიგულებთ.

სულიერად მონათესავე
თქვენი

გრიგოლ რობაქიძე
კოლ-მელისინის სანაპირო №8
მუხევა
11.5.1961
ამაღლების დღე

ძვირფასო გიტა, გრაფინია შტრახვიტც!

3 მაისს დაწერილი ძვირფასი სტრიქონები, რომლებშიც თქვენი გულიდან მოფენილი შუქი იგრძნობა, ერთი ფრანგი ავტორის რილკეზე მშვენიერად

¹ მეოთხე ფურცელი ჟანა დ'არკის შესახებ და მომაკვდავი არწივი.

ნათქვამს რომ მიემართოთ — „de faire glisser le réel sur le plan du rêve“-ის¹ გზით, ცხადყოფენ ჩემთვის „მეტაფიზიკურ საიდუმლოს“, რომელიც, როგორც თქვენი გაუბედავი აღსარება მამცნობს, ჩემთან გაკეპირობთ. მორცხვად და გულახდილად მიაპბობთ აღდგომის ღამეს თქვენს მიერ ნანახ სიზმარს, რომელმაც აქამდე მხოლოდ გუმანით ნაგრძნობი საიდუმლო მეხსიერებაში მკვეთრად გამოაბრწყინა. პოეტს გაუჭირდებოდა თქვენი ბუნდოვანი წარმოდგენა ისე შესანიშნავად გაეშალა, როგორც ამ სიზმარშია, რომელიც ფრთხილად, მოსინჯვით, აზრიანად გადადის გულისწამლეკავ ხილვაში.

„თქვენ იცით ამ სიზმრის ახსნა“, მეუბნებით. მაქვს კი ამის უფლება? დიდმა ვაიმარულმა სადღაც თქვა: ყოველი საიდუმლო ისე უნდა გამჟღავნდეს, რომ მისი საბურველი არ დაზიანდეს. ალბათ ხელვეყოფდი თქვენი სიზმრის წმინდა საბურველს, მისი სიტყვიერი ახსნა და გადმოცემა რომ მეცადა. განა მე ეს მჭირდება? ჩვენ ეს გვჭირდება განა? ღრმად განვიციდი თქვენს ხილვას: დიახ: ეს „თანაგანცდაა“, განცდა თქვენთან ერთად. დაე მან, უბიწომ თავისი აუხსნელობით, ეთერივით ილივლიოს ჩვენს შორის.

მადლობის ნიშნად გულის აღმესები ამბისათვის გიგზავნით ჩემს „Himne an Orpheus“,² რომელშიც ჩემი გულისცემა საესედ და მთლიანად გაისმის.

ყოველივე საუკეთესო —
თქვენი

15. VI. 1961
უნჯა

ძვირფასო გიტა, გრაფინია შტრაზხვიტც!

თქვენმა 8 ივნისის მშვენიერმა სტრიქონებმა გულის სიღრმემდე შემძრა. ვგრძნობდი განა ქვეცნობიერად, რომ ჩემს შეკითხვაზე, წაკითხული გაქვთ თუ არა ჩემი რომანი „Die Hüter des Grals“,³ შემდეგ პასუხს მივიღებდი? „ეს წიგნი ჩემი შინაგანი შეხვედრა იყო თქვენთან, რომელიც შემდგომ ღრმა განცდად გადაიქცა. ბავშვობაში და სიყმაწვილეში ნანახი ყველა სურათი

1 იცნებაში სინამდვილის შეცურება (ფრ.).
2 „მინი ორფეოსისადმი“.
3 „გრალის მცველი“.

უეცარი რეალობით აღივსო. განა ეს ღრმა შინაგანი ნათესაობის შეცნობა არ იყო?“ (ნამდვილად! ასე ჩანს. ეს მახარებს). ჩემს რომანში იბრძვიან გრაალის თასისათვის. გავიგე, რომ თქვენი სიმბოლო თასი ყოფილა „croix mystique“-იანი¹ ფიალის სახით თქვენს მარჯვენა ხელში ჩახატული (რა საოცარი!) ჩემი რომანი მზიურს წარმოაჩენს. იქ ცხენის ჯირითშიც კი მზე გამოვლინდება. და: გავიგე, რომ თქვენ ასტროლოგიურად „unio mystica“-ში² ხართ მხესთან დაქორწინებული (გილოცაუთ ამას). „გაგიკვირდებათ განა, თუ გეტყვით, რომ თქვენს ლექსს „Orpheus“-ის³ ველოდი?“ (ალბათ, მაგრამ მხოლოდ იმ აზრით, რომ აქ გამოთქმული საოცრად, დიახ მთლად, წინასწარმეტყველურად ახდა).

გულითადად გართმევთ ხელს. თუ თქვენს მარჯვენაზე აღნიშნულია ფიალა „croix mystique“-ით, ჩემი მარჯვენა ხელის გულზე გულის ხაზი მზის ფორმითაა გამოხატული, ეს ნიშნავს: გულის და გონების ხაზები ერთადაა. როცა ხელს გართმევთ — ჩემი „მზის ხაზით“ ვუხები თქვენს — „ფიალას“. ამით ჩვენი შინაგანი ერთიანობა სამუდამოდ დადასტურებულია.

დიდი მადლობა ნიცშეს ლექსისათვის „Ruhm und Ewigkeit“⁴. ამ ლექსს არ ვიცნობდი. მეკითხებით, ემუშაობ თუ არა კიდევ ჩემს „Bildnis Nitzches“-ზე.⁵ ეტყობა როცა ჩემთან სტუმრად იყავით, მაშინ ზუსტად ვერ გამოუთქვი. ეს პორტრეტი ჯერ კიდევ 1948 წლიდან ჩაკეტილი დევს. უთუოდ არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ეს არაა „კიდევ ერთი წიგნი“ ნიცშეს შესახებ. რატომ არაა ის დღემდე დაბეჭდილი? ერთმა აქაურმა ცნობილმა გამომცემელმა ვერ გაბედა ჩემი ნაშრომის „Hitler“-ის⁶ გამო ნაწარმოების გამოცემა, თუმცა მას მიაჩნდა, რომ ის იყო „სიახლე ლიტერატურაში ნიცშეს შესახებ“. (ცოტათი მაინც რომ ყოფილიყო ჩემი ნაშრომი „ნაცისტური!“) მერე ის შვეთაზე ჩემს მთავარ გამომცემელს გერმანიაში. 9 თვის მანძილზე იდო ხელნაწერი მასთან. და პასუხი: ფილოსოფიურ წიგნებს დღეს გასაყალი არა აქვთ და ამას ემატება ისიც, რომ ხელნაწერის მოცულობა წიგნისათვის

1 მისტიური ჯვარი (ფრ).
2 მისტიური კუძირი (ლათ).
3 „ორფეოსი“.
4 „დიდება და მარადისობა“.
5 „ნიცშეს პორტრეტი“.
6 „ჰიტლერი“.

საკმარისი არაა. ორივე შეეძლო მაშინვე ეთქვა, როცა ხელნაწერი ნახა! ნამდვილად უარის თქმის მიზეზი „სხვა“ იყო. ერთმა გამოძიებულმა კი ჩემს შეკითხვაზე მომწერა: „ნიცშეს“ თუმა დღეს აქტუალური არაა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს იმ „მიზეზის“ დაფარვისათვის იყო ნათქვამი.

თქვენ ხედავთ ჩემი წიგნი — რომელშიც სრულიად ახალი ნიცშეა წარმოდგენილი — გამოუქვეყნებელი რჩება. ალბათ ბედი სხვა დროს გაუმართლებს.

თუ თქვენ მოისურვებდით, შეემძლო ხელნაწერის ეგზემპლარი წასაკითხად გამოძეგზავნა.

გრიგოლ რობაქიძე

კოლ-მელსინის სანაპირო №8

თენჯი

გრაფინია გიტა შტრახვიტცის

მილვალდლატე 2

ჟენა IV

14.9.1961

ჩემო ძვირფასო შვეირლო!

„შვეირდი“. ამაზე ამბობთ (3.9.1961): რით დავიმსახურე ეს სახელი? რა თქმა უნდა, მაქვს სურვილი გავხდე თქვენი შვეირდი, რადგანაც ვიცი, როგორია თქვენი „ცოდნა“. აქ საქმე მხოლოდ „ცოდნაში“ არაა — მაშინ გიწოდებდით „მოსწავლეს“. „შვეირდი“ — „მოსწავლე“: ნიუანსის ახსნა საჭიროდ არ მიმაჩნია.

ვფიქრობ თქვენზე. ამავე დროს კვითხულობ თქვენს წერილს.

ძალიან ინტროუერტირებულად მეჩვენებით, რაც უფრო გახსნილად მოეპყრობით თქვენს სამყაროს, იმდენად თავისუფლად და ნაყოფიერად გაიხსნებიან თქვენი მდიდარი ბუნების შესაძლებლობები. ჩემთან შეგიძლიათ სავსებით გულახდილი იყოთ: დიახ, უნდა იყოთ — თქვენი ჩემდამი ურთიერთობის განსაკუთრებულობის გამო.

ხედავ, ასტროლოგიაზე მძალადი აზრის ხართ. „ბოლოს და ბოლოს ყველაფერს წყვეტს ადამიანის პირადი მე, რომელიც ბედის სასწოროზე

შეგდებული“ („Die Hüter des Grals“). „თავის ხატებაში“ შექმნილმა ადამიანმა ეს ხატება უნდა გაამართლოს. ის ამას იმით ამართლებს, რომ თავისი შინაგანი სამყაროდან — წინარეალური არარაობიდან — მოქმედებაში გადაჰყავს ე. ი. actus purus-ში.¹ აქ არის თავისუფლების ადგილი, რომელიც არ ნიშნავს მხოლოდ თავისუფალ არჩევანს. ის ყოველთვის ახალ დასაწყისს ნიშნავს წინარე დასაწყისის ზღვართან. ესაა ღვთაებრივი ადამიანში (შენიშვნა. „თავის ხატებაში“ და არა „ხატად თვისად“. ადგილების გადანაცვლება მარტინ ბებერის და ფრანც როზენკრანცის მიხედვით, ჩანს, უფრო სწორია და: უფრო ღრმა. „წინარეალური არარაობა“. ეს ილბლიანი გამოთქმა ეკუთვნის ოსკარ გოლბერგს და სხვა მიმართებით ნახშიარი წიგნში „Die Wirklichkeit der Hebräer“).²

„ლაშარი“ და სტალინი, მისი მოწინააღმდეგე — ორივე საქართველოდან! როგორ შეიძლება ეს? ალბათ აქ ყოფიერების პოლარულობა მოქმედებს. ალბათ გურჯივეი. დაახლოებით 40 წლის წინ ეხვედებოდი ხოლმე თბილისის ერთ-ერთ კაფეში, რომელშიც ჩვენ, პოეტები და ხელოვანი თითქმის ყოველდღე დაედოდი. ჯერ კიდევ მაშინ ითვლებოდა ჯადოქრად. საოცარია. არავითარი სურვილი არ მქონია გაეცნობოდი. მის წიგნს „Tagebuch des Beelzebub“.³ არ ვიცნობ — მაგრამ კარგად ვიცი გურჯივეის მოსწავლის უსპენსკის განმარტებებით საესე წიგნი მის მეთოდზე სწავლების შესახებ: „Fragments d'un Enseignement inconnu“.⁴ საინტერესოა — თუმცა „ბნელია“. სიტყვის ორივე მნიშვნელობით.

ოლდოს ჰაქსლის წიგნი „Le Temps Futurs“⁵. ჩემთვის უცნობია: საერთოდ არ ვკითხულობ წიგნებს მომავლის შესახებ.

ჟურნალ „ATLANTIS“⁶-ის ოქტომბრის ნომერი ჩემს სამშობლოს ეძღვნება. ჩემი ფართოდ ჩაფიქრებული ესხე ქართველების მსოფლიო სახე სამწუხაროდ შეამოკლეს — თორემ გადააჭარბებდა ჟურნალის ჩარჩოებს. „არაჩვეულებრივად ღამაზი“ — ასე დაახასიათა ის რედაქტორმა.

1 ნამდვილი მოქმედება (ლათ.).

2 „ებრაელთა შინამდილე“.

3 „ბელზებელის დღიური“.

4 „უცნობი მოძღვრების ფრაგმენტები“ (ფრ.).

5 „მომავალი დრო“ (ფრ.).

6 „ატლანტის“.

გუშინწინ გამოგიგზავნეთ ხელნაწერი ნიცშეს შესახებ. გთხოვთ შემატყო-
ბინოთ მისი მიღება.

გელოდებით თქვენი ნატრული
(გიგზავნით „Die Blitzberührte“).¹

10.IV.1962

შენვა

ჩემო შეუდარებელი გიტა!

მწერ: (5.04.62.) „ნუ ხედავ ჩემში ბევრ, თანაც დიდ ღირსებებს: უფრო
მესიამოვნება, რომ ის სისუსტეები, რასაც საკუთარ თავში ვხედავ, დამიდას-
ტურო, რასაც ვერ ვხედავ — მიმიითითო. ვინ უნდა გააკეთოს ეს, თუ არა შენ?“

გეუბნები: დღევანდლამდე შე შენში ერთი ნაკლიც კი ვერ მიპოვნია (შენ
იცოცხლე რა გულწრფელიცა ვარ). თუკი ოდესმე აღმოვაჩენ — დაუფარავად
გეტყვი (ჩემი სიძარბოსისმოყვარეობაც აგრეთვე ცნობილია შენთვის).

შე შენს ქალურ არსებას „ქალწულებრივი“ განსაკუთრებული მნიშვნე-
ლობით ვუწოდებ. რომლით? გერმანული ენა ამბობს: Die See ზღვა —
მდებრობითი სქესის. Der See ტბა — მამრობითი სქესის. გენიალურია.
ქალი ნამდვილად უსაზღვროა, როგორც ზღვა და კაცი ნამდვილად
შემოსაზღვრულია, როგორც ტბა. არსებობს კიდევ შემზარავი ქალური
„რალაც“. თუ ის ერთხელ ქალში გამოჰქვამდა, იგი პიროვნებიდან
უპიროვნო არსებად გადაიქცევა: ბრმა, ქაოტურ, ალოგიკურ, უხეშ. აქ შენ
ბედნიერი გამონაკლისი ხარ. შენ ის „რალაც“ ქალური შენს პიროვნებას
აქცევს უფრო ზეპიროვნებად და არა უპიროვნო არსებად. „ბრმის“ ნაცვლად
ხდები „ნათელი“. აქედანაა შენი შეუდარებელი ნათელმზილველობის უნარი.
თუ ყველაფერს ამას თავს მოვუყრით, შე ვიტყვოდი: შენი ქალური არსება
შეედრება მაგდალინელს: ის წმინდაა, „ქალწულებრივი“.

შენი არსების უდიდესი გახსნაა შენი სიყვარული: სიყვარული ჩემდამი.
ამაოდ ვეძებ მსგავს სიყვარულს მსოფლიო ლიტერატურაში. უფრო გავს
ჩემი ნორინას სიყვარულს ლევენისადმი („Die Hüter des Grals“). ნორინას

¹ „ულანაკრავი“.

მსგავსად შენც „შხის გზას“ ადგახარ. მაგრამ მისი სიყვარულისაგან განსხვავებით შენს სიყვარულს მისტიური საწყისი აქვს. შენ მე მიცნობდი მეტაფიზიკური სამყაროდან, გაუცნობიერებლად. აქ კიდევ უნდა დაემატოს, რომ ნორინას უყვარს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლევანი, შენ კი უკვე მოხუცი გრიგოლი.

შენი სიყვარულის მეტაფიზიკური მხარე ზორცს ასხამს შენში: ენგადის. ემპირიული: გიტას. ისინი შენში განუყურელად არსებობენ: ერთმანეთს შეზრდილნი. ენგადი ჩემი ღვთიური მეგობარია — გიტა ჩემი მიწიერი შეყვარებული. პირველს მე ვუყვარვარ ზებუნებრივად, მეორეს გრძნობით. შენი „ქალწულებრიობის“ გამო ენგადის სიყვარული სძლევეს გიტას სიყვარულს. ამას ის ფაქტიც აძლიერებს, რომ ახალგაზრდა ხარ, მე კი მოხუცი. ისე ვხედავ შენს სიყვარულს. ის შენში ისეთ სახეს იღებს — ისეთ სახეს, როგორიც თავად ხარ. უკიდურესი იშვიათობა!

ჩემს ცხოვრებაში ნამდვილად საოცრება ხარ. ყველა მიზეზი მაქვს ეს ვამტკიცო. ზებუნებრივად ვგრძნობ თავს, რომ გიყვარვარ. ჩემი სიყვარულის ძალა თავისუფლად ეპასუხება ენგადის სიყვარულის ძალას, ნაკლებად გიტას. უკანასკნელი შენთვის ნაკლებმნიშვნელოვანი — ზემონათქვამიდან გამომდინარე საკმაოდ ნათელია. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ამ დედამიწაზე ჩემი შენდამი სიყვარულისათვის ასე ცოტა დრო დამრჩა. დიდხანს, დიდხანს უნდა მყვარებოდით. ეს ნიშნავს: შემსახურა შენთვის. ქვეცნობიერად მჯერა, რომ გრძნობ ჩემს ტკივილს. ხშირად ხმარობ გამოთქმას „მე შენ გიღიმი“. და აქ ხშირად, ხშირად მიღიმოდი. ნეტავი დაგანახა შენი ღიმილი! მასში შორეთიდან გამობრწყინებულ სიყვარულის შხერას დაინახავდი, უსიტყვო, ეთერული ფარული ნაღველით ასეთად მჩვენება ყოველთვის შენი ღიმილი. აქ ერთ რამესაც უნდა შევეხო. „ჩემი გული უერთდება შენს გულს და გადაიქცევა შენს გულისცემადა“, მესმის ჩემთვის ასე საყვარელი შენეული ხმა. მაგრამ ჩემი გული ერთხელ რომ შეწყვეტს ცემას! მერე? რა მოუვა შენს გულს, გიტა? იყავი მშვიდად! შენ ენგადი დაგამშვიდებს, რადგანაც მისი სუნთქვა ჩემს სუნთქვასთან მისტიურად დაქორწინდება.

ცოტა ხნის წინ შენს არსებას „გენიალური“ ვუწოდებ. გადავამეტე? — არა! საოცარია: შენი ინტელიგენტობა, შენი სინათლე, ინტონაცია,

განჭვრეტის უნარი, ღრმა აზრი არსებულზე და ლამაზზე, უნაკლო ლიტერატურული გემოვნება. კიდევ რა? მაგალითების მოყვანა აქ საჭიროდ არ მიმაჩნია.

ბოლოს შენი ხასიათი. ერთი კვირის მანძილზე ჩემს გვერდით განვიცადე. ერთხელაც არ ყოფილხარ ცუდ გუნებაზე, არც „faux pas“ სიტყვაში ან მოქმედებაში. ყოველი ნიშანი — წამში გაგებული, ყოველი მინიშნება — აზრით მიღებული. ყველაფერში შეთანხმებულობა. მე-ს ნაცვლად შეფობდა მხოლოდ შენ. როგორ არ უნდა ვიყო შენით გაოცებული? ვგრძნობ, რომ არ ხარ განებიერებული. ასე რომ იფოს, შენი ქებისაგან თავს შევიკავებდი. გეხვევა შენით აღტაცებული, შენით ზღაპრულად დასაჩუქრებული —

17.IV.1962

ვენკა

ჩემო ღვთიურო მეგობარო: ენგადი!

ჩემო შეუდარებელო სიყვარულო: გიტა!

(რომ იცოდე, როგორ ვიტანჯები!)

საბედნიეროდ ხელთა მაქვს 10 აპრილის შენდამი გამოგზავნილი წერილის ასლი. ვამბობ „საბედნიეროდ“, რადგან ჩემი წერილების ასლს იშვიათად, იშვიათად ვაკეთებ. ვკითხულობ მას, წერილს, შინაგანი მედიტაციურობით და ვაღგენ: შენი არსების ყველაზე ღრმა ფენებში ნათელით შევადწიე. „ნათელში“ აქ იგულისხმება: სიყვარულის ნათელი.

შენი 12 აპრილის ღია ბარათი ამას სრულიად ადასტურებს. ამბობ: „მწერ: შენი არსების უმაღლესი გახსნა შენივე სიყვარულია: სიყვარული ჩემდამი. რა ღრმად გამიცანი. მხოლოდ შენით შევძელი ეს. პო, შენდამი სიყვარულში როგორც ყვაილი ისე გავიფურჩქნე. რადგანაც: შენ (შენგანვე ფარულად) ხარ ის: ხარ — ჩემი არსებობის მთავარი მიზეზი“.

ახლა ვეკითხები ჩემს თავს: როგორ შეძლებდა გრიგოლი, რომელმაც შენს არსებაში თავისი სიყვარულის „ნათელით“ ასე ღრმად შეადწია, როგორ შეძლებდა ის შენთვის „ჩაკეტილად“ ყოფნას?! სიყვარული თავად „გახსნა“

1 ეკლბი ნაბიჯი (ფრ).

არაა?

მერე ვეკითხები ჩემს თავს: როგორ შეძლებდა ენგადი-გიტა, რომელიც გრიგოლის სიყვარულში ყვაეილივით გაიფურჩქნა — როგორ შეძლებდა ის უკან დაბრუნებისას თავის შინაგანი განცდების შესახებ მისთვის, თავისი არსებობის მთავარი მიზეზისათვის არაფერი აღარ ეამბნა? გაფურჩქენა თავად „გახსნა“ არაა! წარმოუდგენელია! მით უფრო, რომ ეს გადაწყვეტილება გარკვეულ კავშირშია ტაბუსთან, რომელიც ჩემთვის სრულიად გაუგებრად რჩება!

აქ ნამდვილად რაღაც ფატალური შეცდომა უნდა იმალებოდეს. ტყუილად კი არ მეშინოდა და უხლაც მეშინია ბოროტების ჩარევის ჩვენს საკრალურ ურთიერთობაში. მართალია დედამიწაზე არანაირ ძალას არ შეუძლია ამ ურთიერთობის დარღვევა — მაგრამ წამიერი „არეულობა“ ჩვენს გრძნობებში შეძლებდა ბოროტების ჩადენას. ალბათ გული მიგრძნობდა, ერთხელ რომ მოგწერე: ჩვენი სიყვარული პირადულზე მაღლა დგას: ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ: ის „დავიფაროთ“, დავიცვათ.

უახლოეს დღეებში, როდესაც ყველას სიცოცხლის აღდგომას ლოცვებში მოვიხსენიებთ, ჩემო შეუდარებელ გიტა, მისტიური კავშირის საღამს შემოგითვლი.

გუშინდელი შოკის მერე ჯერ ბოლომდე არ გამოვკეთებულვარ. მხოლოდ ერთადერთი შენი სიტყვა გამომაცოცხლებს. ეს სიტყვა, დარწმუნებული ვარ, არ გამოგრჩება. ამ წერილს ზევ მიიღებ. თუ იმავე დღეს მომწერ, შაბათს უკვე მივიღებ მას — ვიმედოვნებ.

უნინარეს ყოვლისა გთხოვ ამიხსნა შენი სტრიქონების კონტექსტი.არ მინდა იმით (ე. ი. ჩემი წინადადებით) ვისარგებლო. ეს არის ჩემთვის (შენგან დაფარული) ტაბუ. — შენი ტაბუ — შევამჩნიე ეს და დაბრუნების შემდეგ აღარ ვილაპარაკებ ჩემს შინაგან განცდებზე (შენ იყავი ერთადერთი ადამიანი ვისაც მათ შესახებ უუამბობდი)“. გაუგებარია ჩემთვის.

რომ იცოდე, როგორ ვიტანჯები!

გუგუვი ძლიერ, ძლიერ, შენი, შენი —

ჩემო შეუდარებელი გიტა!

15 აპრილის წერილი. „წერილი“ მხოლოდ ერთი სტრიქონი. იმედგაცრუების წამები. სტრიქონი: „ნაზად გვხვევა...“ „ნაზად“. სინაზე მჭირდება ამ წუთში და თანაც: შენი (გუშინწინდლიდან მოყოლებული სული მტუთება. გუშინ და გუშინწინ გწერდი ამის შესახებ). ახლა ვგრძნობ: შენი ხელები ეალერსებიან ჩემს დაღლილ საფეთქლებს. რა შვებაა.

სურათი: „Il faraone Seti le la Dea Hathor“.¹ აღტაცებული ვათვლი-ერებ ღმერთქალს. გასაოცარი მსგავსება შენთან. წამიერი აზრი: ხომ არ გასულიერდა ის როგორღაც შენში? ახლა შენთვის საიდუმლო სახელი მაქვს: პატკორ. ჩემთვის ხარ: გიტა: მიწიერი საყვარელი. ჩემთვის ხარ: ენგადი: ღვთიური მგობარი. დღეიდან ხარ ასევე! პატკორ: მისტიური მეუღლე.

პაიმიტო ფონ დოდერერის მოთხრობა. კითხვის დროს უფიქრობდი: უეცრად გიტას რომ შეუმცდარმა ლიტერატურულმა გემოვნებამ უმტყუნოს? „წარმოდგენები“ — „დადუმებული!“ „გაელვება!“ მაგრამ დასასრული — ცნობა: ლუდვიგ ვან ბეთოვენის ის იყო გარდაიცვალა — ამართლებს მოთხრობას. ქარიშხალი აბობოქრებულ ბეთოვენს მარადისობაში მიაქანებს.

„ჩემი გული იღვრება შენს გულში და იქცევა შენს გულისცემად“. მოხდებოდა ეს შენთვის რომ გულდახურული ვყოფილიყავი? მოხდება თუ უკან დაბრუნებისას შენს შინაგან განცდებზე აღარაფერს მიაძვობ.

აღტაცებული გვხვევა —

(გიგზაენი „Die ruhende Stutte“-ს).²

1 „ფარაონი სეთი და ქალღმერთი პატკორ“.

2 „წამოწოლილი ფაშატი“ (ან „ფაშატი ისვენებს“).

ჩემო ღვთიურო მეგობარო: ენგადი!

ჩემო შეუდარებელი სიყვარულო: გიტა!

ჩემო მისტიურო მეუღლე: პატჰორ!

ეს წუთია მივიღე შენი წერილი, 24 აპრილს გამოგზავნილი. ის ყველაფერს ნათულს ჰფენს. იყავი მშვიდად, სრულიად მშვიდად!

მწერ: „შენ გეშინია ბოროტების, რომელმაც შეიძლება ავნოს ჩვენს სიყვარულს? მე არა. ჩვენი ფარული შენ და მე მიუწვდომელია ყოველგვარი ბოროტებისათვის“. დღეიდან აღარც მე შეშინია. ეს გრიგოლის — სიტყვაა, სიტყვა ლაშარის წინაშე.

დღეისათვის ეს იყოს. ხვალ შეტს მოგწერ.

თუ ამჩნევ, რომ შენ განსაკვიფრებლად გაეხარ პატჰორს?

გუბგვეა ძლიერ, ძლიერ შენი საყვარელი და:

ძმა —

ბოლოში ხელით მინაწერი ვერ გავარჩიე.

(როგორ მიყვარხარ!)

I. იოანე, 4, 18: „სიყვარულში არ არის შიში, ხოლო

სრულყოფილი სიყვარული სდევნის შიშს,

ვინაიდან შიშში ტანჯვაა, ხოლო შიშშარა

არ არის სრულყოფილი სიყვარულში“.

30.IV.1962

მანუა

საყვარელო გიტა!

გუშინ მივიღე შენი ტკივილიანი ექსპრეს-წერილი, გამოგზავნილი 27 აპრილს. მაშინვე გიდეკეშე: დასამშვიდებლად. ვიმედოვნებ ჩემი ბოლო ორი წერილი ტკივილებს ოდნავ დაგაიამებს.

25 აპრილს, ღამით, ნამდვილად გეძახდი. მონატრებით შეპყრობილი შენს გულს ჩემ გულთან ახლოს ვგრძნობდი. ნამდვილად. *Imaginaire présence*¹

¹ წარმოსახვითი ყოფნა (ფრ.).

ისე მწველად ტკბილი იყო — რომ რეალური absence¹ იმ მომენტში ისეთივე მწველ ტკივილად იქცა და მე აეყვირდი — შენ გეძახდი.

ასე ვიტანჯები ხანდახან შენგან მოშორებული. მაგრამ შენ ამის გამო არ უნდა იტანჯო. მე სხვა ვარ. შენს გამო რას არ გადავიტან! შენ მე სიყვარული უბრალოდ კი არ მაჩუქე: არამედ შენივე თავი სიყვარულში! მე, შენმა შეყვარებულმა, ვიცი ამის ფასი: ისევე როგორც ლამაზის რაინდმა.

შენი გულისცემა ჩემს გულისცემად გადაიქცა. შენ ეს იცი. მაგრამ არ იცი, რომ ამით ჩემი გულის თასი გადაიქცა თავისებურ გრაალის თასად შენთვის. ამ თასში შენს გულს მხესავით შეუძლია იბრწყინოს, ისე რომ უბედურების ჩრდილი ოდნაეადაც არ შეეხოს.

გიტა, ჩემო წყაროსთვალო! მაგრად გეხვევი, ძლიერ, ძლიერ: და: ვართ განუყრელად ერთად.

P.S. დამუიწყდა. 13 აპრილის წერილში ჩემი „Kentaur“-ის² შესახებ ამბობ: „განსაკუთრებულად ლამაზი“ (ხაზგასმა შენია). მე კი თავს ვიკავებდი მის გამოგზავნაზე.

11.V.1962

შენკვა

ჩემო შეუდარებელო გიტა!

„შეგიძლია გაზომო ჩემი ბედნიერება, როცა შენი სიახლოვის სითბოს განვიცდი?“ (7.V.62.) შესმის ჩემთვის ესოდენ საყვარელი შენი ხმა და თავს ბედნიერად ვგრძნობ. რადგანაც: მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი, როცა შენ ხარ ბედნიერი. ჩემი სიახლოვე ყოველთვის გაგათბობს. ისე ძლიერ მიყვარხარ, შენი ძვირფასი თავი რომ ჩემს მარჯვენა მხარზე ჩამოგაყრდნო, ეს სიახლოვე მკურნალ ძალად გადაიქცეოდა და იმ თავის ტკივილისაგან გაგათავისუფლებდა, რომელიც ცოტა ხნის წინ ასე გტანჯავდა.

„შენს გულში რომ ჩემი გრაალის თასი იმალება — უკვე მიჩვენე შარშან,

1 არყოფნა (ფრ.).

2 „კენტაური“.

როცა მეორე საიდუმლო სახელი მივიღე: „ათანასია“. იცი რას ნიშნავს ეს ბერძნული სახელი? „ათანასია“: უკვდავი. ეზღაც ნათლად ვხედავ, რომ შენ ჩემში უკვდავი ხარ. რა წამია?

შეპიროდი, რომ მომდევნო წერილში ბოლო სიზმარს მიაბობდი. შენ კი უარყოფ ამ ვეტოს. იმედი აღარ მაქვს მოძველებში შენი შინაგანი განცდები შევიტყო. ჩემს შეუდარებელ გიტას არ სურს მისმა გრიგოლმა იტანჯოს. გამაღლობთ, ჩემო მფარველო ანგელოზო!

სიბილასაყით ამბობ, იმ მომენტში, როდესაც ჩვენ ერთმანეთს ვეხვევით, სულიერად შენ სხვა გზას გადიხარ, მე სხვას. შეიძლება. მაგრამ: ჩემ გზას შენთან მოვყავარ, ისევე როგორც შენსას ჩემთან. „Le bon Dieu est dans le detail“.¹ თუ მაღალი ღმერთი არა, ადამიანი ხომ დაადასტურებს. ხომ გახსოვს ის შემთხვევა: როცა ქალაქში მოულოდნელად ერთმანეთს შევეჯახეთ. ასეთი რამ ათასში ერთხელაც არ ხდება. არ იყო ეს საოცრება? დღეს კიდევ ერთი დეტალი, თუმცა ნაკლებმნიშვნელოვანი, ვიდრე მაშინდელი. შენს წერილში იღო ბარათი, მასზე გამოსახული სტელით — ქვადიის მეფე, რომელიც გველებს მეფედაა წოდებული. მერე? ჩემი „Schlangenhemd“-ის² ქართულ გამოცემაზე იგივე ნახატია. ეს „დამთხვევა“?

ერთში მართალი ხარ. ამაზე დაწვრილებით შემდეგ წერილში.

ამ დღეებში საფუძვლიანად დავამუშავე ჩემი ძველი სტატია. ის ეტება პოეტურ **სახეებს** ანტიკურ სამყაროსა და მოდერნში. ასლს უახლოეს ხანში გამოგიგზავნი („Pro domo Sua“³ ჯერ არ არის კოპირებული).

გიტა! იცოდი: „ათანასია“ უკვდავს რომ ნიშნავდა?

ვარ შენი საყვარელი, ვარ შენი მსახური! იცოდე ეს!

გეხვევა ძლიერ, ძლიერ, შენით ენით აუწერლად

დასაჩუქრებული —

1 მაღალი ღმერთი წერილმანებშიაც მონაწილეობს (ფრ.).

2 „გველის პერანგი“.

3 „შამო-შელობისათვის“.

ჩემო შეუღარებელი გიტა!

19 წლისამ შენ, თითქოსდა ახალგაზრდა ქურუმმა სიზმარში ოსირისი ნახე. 12 წლის პერე „დაუბრუნდი მას“. სიზმარი ახდა. არ არის საჭირო მეტი დაკონკრეტება. გრიგოლი აღფრთოვანებული კითხულობს ამ ადვილს შენი 13 მაისის წერილში და: იმყოფება „mysterium tremendum“-ში.¹

გუშინ ოკულისტთან ვიყავი. ჩემი მოტირალი თვალებისათვის გამოძიწვრა წვეთები „ოკულოსანი“. თუ წვეთები არ მიშველის — საცრემლე არხს ოპერაციის საშუალებით „გამინხის“. არ ღირს სალაპარაკოდ!

ამ დღეებში ჩემი სიძე იყო აქ. გაკვირვებული თვალებს არ უჯერებდა — ასე გაახალგაზრდაებული რომ მნახა. რომ იცოდეს ვის უნდა ვუმაღლოდე ყოველფე ამას!

წარმოსახვაში ხშირად ჩემს ძკლავებში მყავხარ მომწვედელი ისე მხურვალედ, თითქოს მართლაც ასე ხდებოდეს. ახლა გავიგე, რომ შენც თითქმის ყოველთვის ჩემს ძკლავებში გრძნობ თავს. რა საოცარია!

შევაძნინე, რომ ბოლო დროს ზუსტად ისე გიყვარვარ, როგორც აქ, ჩემთან ყოფნისას გიყვარდი, ე. ი. არა როგორც ორივესათვის უსაზღვროდ საყვარელი ენგადის „შუამავალი“. ერთი „საიდუმლო“ შეკითხვა: არ „ექვიანობს“ ენგადი შენზე? მითხარი! შენი 18 აპრილის წერილში ამ „ექვიანობამ“ ბრწყინვალე გამოხატულება პპოვა. ამის შესახებ შემდეგ წერილში.

დღეს გიგზავნი „Pro domo Sua“. მალე გამოგიგზავნი: „Rilkes Duineser Elegien“.² ნაწყვეტს სტატიიდან წარმართული და ქრისტიანული დროების პოეზიის შესახებ. მე დავადგინე, რომ ქრისტიანული დროის პოეტური სურათები ბევრად უფრო ღარიბია წარმართულთან შედარებით. რით ახსნი ამას?

გუშინ ღამის 4 საათიდან გათენებამდე ჩემთან იწექი მკერდზე მოკრული. მოწყურებულმა შვესვი შენი უსაზღვროდ საყვარელი ტუჩებიდან და: ვიყავით განუყოფლად ერთად (ენგადიმ ეს არ უნდა იცოდეს. იღიმები).

გვხვევა ძლიერ, ძლიერ შენი საყვარელი და
შენი მსახური —

1 მისტიური შიში.

2 „რილკეს ღუნური ელეგიები“.

ჩემო შეუღარებელი გიტა!

Pro domo Sua. ეს შთამომავლობისთვისაა განსაზღვრული. არ უნდა იცოდნენ მათ: ვინ ვარ? არ მესმის რატომ უნდა გეჩვენებოდეს ჩემი ხელნაწერის დასაწყისი ნაღველიანად! „შემდეგში მეტს მოგწერ“ ამბობ, „რადგანაც დღეს ისე ძალიან ვჩქარობ“. რაღაც ძალიან ხშირად „ჩქარობ“. სიამოვნებით გაუიგებდი: რაშია საქმე. ამის შესახებ კონკრეტულად თითქმის არაფერს მწერ.

ენგადი „და“ გიტა. „და“: ნიუანსი შენ თვითონ ჩასვი. ერთხელ მომწერე: ენგადის შენ უყვარხარ — მე მხოლოდ მისი შუამავალი ვარ. ე.ი.: შენ მე გიყვარვარ, რადგანაც ენგადის ვუყვარვარ. მე კი ენგადი მიყვარს, რადგანაც გიტა მიყვარს.

შენი აქ ყოფნის დროს ამ „დას“ ბრჭყალებშიაც არ გრძნობდი. გიტას და ენგადის განუყოფლად განვიცდიდი: ორივე ერთი იყო. ეს ნიუანსი „და“ ამოტივტივდა შენი გამგზავრების შემდეგ. ყოველი წერილი მას მერე ამას მიმტკიცებს. ჩამოვყალიბებ.

ენგადის ვუყვარვარ დროის გაგების გარეშე: აგრეთვე ამ დროშიც. გიტას ვუყვარვარ ამ დროში და: დროის გაგების გარეშეც. მაგალითად: როცა მწერ: ჩემი შენდამი სიყვარული განხორციელდა, მაგრამ ის აღარ ეკუთვნის ამ სამყაროს — ასე ამბობს ენგადი. როცა ამბობ, მაგალითად: თითქმის ყოველთვის ვგრძნობ: რომ გულში გყვარ ჩაკრული — ასე ფიქრობს გიტა.

18 აპრილის შენ წერილში ეს ნიუანსი მშვენიერად გამოიხატა: „როგორ მიყვარხარ, საყვარელო, საყვარელო. შენ!“ მერე ბრჭყალებში: „ენგადის უყვარს შამაში — შამაშს უყვარს ენგადი“. ბოლოში ხელმოწერა: „გიტა (გიტას უყვარს გრიგოლი)“.

მშვენიერია არა? პირველი წინადადება ეკუთვნის გიტას. მეორეში სწრაფად ერთვება ენგადი, თითქოს უნდა გიტას ნათქვამი „დააზუსტოს“: „ენგადის უყვარს შამაში — შამაშს უყვარს ენგადი“. გიტას მაინც სურს ბოლოს თავისი გაიტანოს: „გიტა (გიტას უყვარს გრიგოლი)“. აქ ფრჩხილია! „უყვარს გრიგოლი“ — ამას თითქოს ენგადისაგან საიდუმლოდ წერს.

ასეთია ჩემი ახსნა. როცა ჩამოხვალ — (მაგრამ როდის?) — აგიხსნი უფრო დაწერილებით, უფრო კონკრეტულად. იყავი, და ხარ ჩემი შეუდარებელი სატრფო: ენგადი „და“ გიტა შენი ორი სახეა. ასე განგიცდი მე შენ.

საჭიროა გრიგოლმა გითხრას, რომ შენი მონატრება დღითიდღე იზრდება? წვეთები არ მომიხდა. სამწუხაროა.

გეხვევი ძლიერ, ძლიერ: და: ვართ
განუყრელად ერთად — შენი გრიგოლი

26.V.1962

ქენკა

გიტა, ჩემო წყაროსთვალო, შენ!

19 მაისის წერილის პასუხად. ნათლად ეხედავ, რომ დღითიდღე უფრო დაკავებული ხდები, ასე რომ უნდა შემოგთავაზო: მომავალში კვირაში ორჯერ ნუ კი მომწერ წერილს, როგორც შეთანხმებულები ვიყავით, არამედ ერთხელ, კერძოდ: სამშაბათს. წერილი ერთი და იმავე დღეს ჩააგდე საფოსტო ყუთში იმისათვის, რომ მე ის ხუთშაბათს ან პარასკევს მივიღო. ჩემს წერილს ყოველ ორშაბათს მიიღებ.

მეუბნები: „შენ რომ ენგადი ისე გიყვარს, როგორც გიტა — ეს მე შემძლია გავიგო“. არაა აქ მხედველობაში მიღებული ის უსაზღვროდ ფაქიზი ნიუანსი — „და“ შემდეგ: „შენ ენგადი უფრო უნდა გიყვარდეს, ვიდრე გიტა“. ისევ ის ნიუანსი. მოეშვათ ამ დახვეწილობას. არსებითად აქ საქმე არ ეხება ჩვენს სიყვარულს, რომელიც ჩვენშივე ყოფად იქცა — არამედ იმ ეგზისტენციალურ „ჩარჩოს“, რომელშიაც მას განვიცდით. როცა ისევ ჩემთან იქნები — აგიხსნი კონკრეტულად. მაგრამ როდის მოდიხარ? ალბათ ხუთ კვირაში, ამბობ და თან უმატებ: „ეკ, როგორ მოითმინოს შენმა მონატრებამ!“ და ჩემმა?

„შენი ენგადი უფრო უნდა გიყვარდეს, ვიდრე გიტა. თუ არა და გიტას ქწინება“. გამორიცხულია, რომ ოდესმე გიტას ვაწყენინო! მე ისე მიყვარს ის, რომ თითოეული მისი სიტყვა ჩემთვის კანონია. რა თქმა უნდა, შვეიცლები

ენგადი უფრო მიყვარდეს, ვიდრე გიტა, რადგანაც გიტასაგან ვიცი, მისი სიყვარული ჩემს მიმართ ენგადის სიყვარულიდან მოდის. ამასთან არ შემძლია თავი შევიკაო და ის პირველი წინადადება ისევ არ გავიხსენო: „შენ ენგადი ისე გიყვარს, როგორც გიტა — ეს მე შემძლია გავიგო“. ზუსტად მიზანში ხედება.

ახლა კი შენი 25 აპრილის სიზმარი. გუშინწინ უკვე მოგწერე რომ მან სრულიად შემძრა. ესაა ამაღლევებული წინასწარმეტყველება. „ჩვენ გადახვეულები ვიყავით“. აქ იგულისხმება ჩვენი მიწიერი კავშირის ბოლო აქტი. „როცა მომცილდი და ფეხზე აღექი ორდენის მფლობელის ნაცრისფერი ტანისამოსი გეცვა“. ეს ნიშნავს: მე იმად ვიქექცი, ვისაც შენში ენგადისთან მეტაფიზიკურად აიგვებ. „წინ გამიძები საქარაუნო გზაზე. უდაბნოში ირგვლოვ ბრტყელი მთები იყო“. ეს ნიშნავს: ვეშხადებოდი, რომ საშუღამოდ გამოგთხოვებოდი, მხოლოდ შენ მარტოს, მთული ქვეყნისაგან მოშორებულს. შენთან მსურდა ცოტა ხნით ყოფნა. „მოსახვევში უეცრად გაუჩინარდი“. ეს ნიშნავს: გარდავიცვალე. „სასოწარკვეთილი გექმდები — შორს პორიზონტზე წერტილოვით მგგონა კიდევ გხედავდი“. მე უკვე მარადისობაში ვიყავი. „მერე უღამაზეს ლანდშაფტში გადაეინაცვლე, მესმოდა როგორ მეძახდი“. მიცვალე-ბულებს ვერ ხეღავენ — მათი ესმით. ასე იყო ამჯერაღაც. „უღამაზესი ლანდშაფტი“ შვა მარადისობის მიჯნაზე მყოფმა ჩვენმა სიყვარულმა. „შენ ღამიძახე“. გესმოდა როგორ ვიძახდი შენს სახელს: ნეტარება ჩემთვის — ნეტარება შენთვის. ჩემთვის უკვე ზეციური, შენთვის ამქვეყნიური. „ბედნიერი გავიქექცი ხეებისაკენ, დარწმუნებული, რომ გნახავდი“. შენ უკვე ექსტანში იყავი. „უცებ აღმოჩნდა, რომ ირგვლოვ ღობეშემოვლებული ვარ, ღობის იქით კი კბილებღაკრეჭილი ურჩხულები დაყუღებულან, რომლებიც ყოველ წუთს შეიძლება მეცნენ. ერთი ფეხით „უღამაზეს ლანდშაფტში“ ვიყავი, მეორეთი კი ამ „ბოროტების“ სამყაროში: თავისი ვგზისტენციღალური სისღამაღლით. „უეცრად აზრად მომივიღღა, მხოლოდ სიყვარულით შემიძღღღა ღავძილი ეს — და მე მათ სიყვარული მიღაფრქვეი“. შეგახსენებ რღ მოგწერე ერთხელ: ჩვენი სიყვარული პიროუნუღობღს სციღღღება. ახღღ მღთი იღინღ: შენ იყავი სრულიღღ გღსულიერებუღღი სიყვარული. „ცხოვეღღები ზტოღღენ ჩემს ირგვლოვ, მიღღოკავღღენ სახეს ღღა ფეხებს“. შენ გღხღი წმინღღა ფრანცის



ღვთიური და. სიზმარი — ნოველა მეტს აღარაფერს ამბობს. დასრულება ალბათ ცოცხალ გრიგოლს ევალება. ესაა: „გაგვიმარჯოს შენ, გიტა!“

გიკრავ გულში: და: ვარ განუყრელად შენთან.

დაგავიწყდა გეპასუხა: რატომ გეჩვენება ჩემი ხელნაწერის დასაწყისი ნაღვლიანად.

4.VI.1962

გუნკუ

(პასუხი შენს 1 ფენისის წერილზე)

ჩემო შეუდარებლო გიტა!

შენ და მე. ჩვენ მართლაც ერთმანეთს ვუძღვევით ჩვენსეუ თავი სამყაროს შიგნით. ვშორდებით და კვლავ ვპოულობთ თავს ერთმანეთში. კვლავ და კვლავ. ასეა ნამდვილად. მტკივნეულია განშორება. მაგრამ მოვიგონოთ სტროფი ჩემი ლექსიდან — „Die Sehrende“:

„როგორ შეძლებდი
თუ არ ვიწებოდი ბედის რჩეული.
შენთან შეხვედრას!
განშორებაც კი ღვთიურია!“

შენ მე კვლავ მიპოვნე — მე შენ გიპოვნე კვლავ. ჩვენ უფრო ძლიერად უნდა ჩვეუბილოთ ამ მიწიერ მონაპოვარს და სრულიად „ვიგეპოთ“, რათა ჩვენსეუ თავი კიდევ ერთხელ, უფრო ძლიერად ერთმანეთში აღმოვაჩინოთ ასეა ნამდვილად.

ციფრი 8. გავიგე. ნიშნავს (თანმიმდევრობით): პაროლი: ზმნა: ლოგოსი: ღვთის შვილი. ახლა გასაგებია, რაზე მიანიშნებდა ეს შენს სიზმარში.

გიტა, ჩემო სიცოცხლის წყარო! ისე შენატრები, რომ დღეს ერთხელ ნათქვამი ისევ უნდა გავიმეორო: *imaginaire présence*, მკერდი მკერდს მიკრული ისე ტკბილია, რომ რეალური *absence* იმწამსვე ტკივილად იქცევა.

„მომხევი ხელები“. მუდამ ხელმოხვეული მყავხარ.

და მერე როგორ?!

1 „სედიანები“.

ჩემო შეუღარებელი გიტა!

ე.ი. შენ არ მოგწონს სიტყვა „წყაროსთვალი“ — ნაკარნახევი გრძნობით: ე.ი. ველარ უნდა გიწოდო „ჩემი წყაროსთვალი“. სამწუხაროა! მაგრამ: ყოველ ჩვენგანს აქვს რომელიღაც იდიოსიკრაზია: ძლიერი აპათია რალაციის მიმართ.

გსურს აგისხნა ჩემი ლექსი „Als Knabe“.¹ ამაზე არ მიფიქრია. სწორედ ახლა მახსენდება: რა დუწერე ჩემს ხელნაწერების წიგნში „ირმის ნახტომის“ შესახებ. „ყველგან: „დიდი დათვი“ — ქართულად: „ირმის ნახტომი“. გასაოცარი სურათი ცაზე. ელასტიურობით მას არც ერთი სხვა ცხოველი არ შეედრება. სასიცოცხლო ძალა აქ იღებს ძლიერი, მბრძანებლურად უკან გადაყრილი. გატოტვილი რქების გამძლეობას. თითქმის ყველა ხალხში ირმის რქებს სამკურნალო საშუალებად თვლიან: ისინი თითქოს სიცოცხლის პლაზმას შეადგენენ. ირმის რქების ერთი მხარის დაზიანება, შესაბამისად მეორე მხარესაც სცეკის. რაც უფრო სრულყოფილია ირმის სხეული, მით უფრო პარმონიულია რქებიც. ამბობენ, რომ მათი განმკურნებელი ძალა ძირითადად მარჯვენა და მარცხენა მხარეების სრულყოფილ შესაბამისობაზეა დამოკიდებული. პარმონია კურნავს: და: ირემი ამას ულამაზესად გამოხატავს. „ნახტომში“ მინიშნებულია დაბადების მისტიური ხედა, ეს ნიშნავს: დასაწყისი თედაპირველი საწყისის საზღვარზე. ვინც იხილავს ცაზე ნახტომს ვარსკვლავებს შორის — სურათის ღრმა ინტუიციურობა ყოველ მათგანს გაანათებს: ასეთი საზე უნდა მიიღოს ყოფიერებამ“ (აინების დათვის კულტს არ ვიცნობ. მადლობა ცნობებისათვის მის შესახებ. გველების მეფის სტელის სურათს განგიმარტვე შემდეგ წერილში).

გიგზავნი: ნაწყვეტს ჩემი ვრცელი თხზულებიდან „Aus dem Reich der Poesie“.² ნაწყვეტს რილკეს „Duineser Elegien“-ის შესახებ. ნამდვილად ძალიან დაგაინტერესებს. დანარჩენ ნაწილებს აქ წაიკითხავ (იმედი — რომ მოხვალ ჩემთან და თანაც: მალე — არ დამიკარგავს).

ამ წუთში გამახსენდა არაბების დევიზი: თუ ცეცხლს საწვავს არ მისცემ

1 „მიკობამი“ (ან: „როცა პატარა ბიჭი ვიყფი“).

2 „სოქნიის საჰაროდან“.

— ის თავის თავს შეკვამს.

გებვევი და ჩაგისუნთქავ დაუსრულებელ ნეტარებაში — შენ!

18. VI. 1962

ჟენევა

ჩემო შეუღარებელო გიტა!

ვკითხულობ 15 იენისს გამოგზავნილ წერილს და განვიცდი შენი სიახლოვის მაგნიტურ ძალას: გრძნობით კონკრეტულად: პირისპირ.

მწერ: „მიუხედავად იმისა, რომ წარმოუდგენლად არ მიყვარს სიტყვა „წყაროსთვალი“, ვინაიდან ეს ხაზს უსვამს ჩვენს ასაკობრივ სხვაობას, მაინც ყოველთვის მინდა შენი „წყარო“ ვიყო: დაულაღავე შენს სიყვარულში“. შეკი შეგონა, არ გიყვარდა შენს მიმართ ნათქვამი „წყაროსთვალი“. რა სინაზეა! ენით აუწერელი! შენ, ჩემო მოუღლელო წყარო!

ზომ იცი, სიტყვა „das Herz“ — ქართულად „გულია!“ ნამდვილად შეუძლებელია, რომ ჩვენი სახელები სხვა ასოზე იწყებოდეს გარდა ამის — „გ“.

ახლა მძიმე დრო გაქვს — წინა წერილიდან გავიგე. უზომოდ კწუხვარ. ნეტაეი შეშქმლოს შველა: შველა, შველა!

უკვე მოეხაზე ჩემი განმარტება „გველების მეფის“ სტელის ნახატობის შესახებ. გადავწერ და მაშინვე გამოგიგზავნი.

როგორ მოგწონს ჩემი „Duineser Elegien“-ის კრიტიკა?

„ვარ შენი: ვარ განუყოფლად შენთან“. გებვევი ძლიერ და დაუსრულებელ თრობაში მესმის მხოლოდ შენი ტკბილი „შეენ!“

20. VI. 1962

ჟენევა

ჩემო შეუღარებელო გიტა!

„გველების მეფის“ სტელა. ზემოთ — შევარდენი, ქვემოთ გველი.

შევარდენი. დიდებული მბრძანებლური თავდაჭერილობით. კეთილშობილების განსახიერება. გამოხედვაში: შხის სხივი მუქ-ლურჯ აღმასებად შეკრული. ფრენაში — ნავარდი (ქართულ სიტყვაში „შევარდენი“ მინიშნებულია ნავარდი). ნავარდში: თავგამოდება, შთაგონება, გამბედაობა. მთლი-

ანობაში: ღვთიურად ფრთაშესხმული ტალღა. ძველი ეგვიპტელი მერთებდა მას, შვეარდენს. ამომავალი მზის პირველ სხივთა კონაში ხედავდა ის მქროლავ შვეარდენს. და მხოლოდ შემდეგ, თითქოს მზის თესლით ავსილი, მიუახლოვდებოდა ის მიწას: შეყვარებულს. (მე მიყვარს ცხენები, ირმები, მიყვარს არწივი. შვეარდენში კი შეყვარებული ვარ. ნიუანსი თავისთავად მეტყველებს. გინახავს ოდესმე ასეთი შვეარდენი?)

გველი. „Die Hüter des Grals“-ში ლაპარაკია ვარდნაზე: ადამიანის პიროვნულობა ღმერთიდან გადმოვარდნილა, შეჯახებია მის მეტაფიზიკურ საზღვარს: სიკვდილს. „Dämon und Mythos“-ში.¹ ნათქვამია: გველია ეს საზღვარი, ცხადია: „მძაფრი ცივი ტალღა, რომელიც ღვთიურსა და არაღვთიურს შორის ელვასავით ამოიკლანება. მის დანახვისას ადამიანი გუმანით შეიგრძნობს საკუთარ ვარდნას და უძლურად ხედავს, რომ არარაობად შეიძლება გადაიქცეს“. დღეს ვაზუსტებ: გველი გრძნობადი ცენზურაა ღმერთსა და არარაობას შორის. საზიზღრობაა!

ჩემი აზრი გველზე განცდილი აზრია. ბავშვობაში, ზაფხულობით, არდადეგებზე მთელ დღეებს მდინარესა და მის ნაპირზე ვატარებდი, თანასოფელებთან ერთად. ჩვენ ვცურავდით, ვთამაშობდით, ვბანაობდით: კამეჩები, ცხენები, ძროხები. ერთ ადგილას, სადაც მდინარე დაბალი იყო, ქვების ქვეშ თევზს ვიჭვრდით. ერთხელ ჩემს მარჯვენას ამოკვავა — საშინელება — თევზის ნაცვლად, გველი. გულშეწუხებული დაეგვარდი. შოკმა შინაგანად დამჭრა. ამ სულიერი ტრამეისაგან დღემდე მთლიანად არ განვკურნებულვარ. გველის მიმართ თავისებური მეტაფიზიკური შიში მაქვს. სიზმარშიაც კი მეშინია მისი ნახვის.

შვეარდენი და გველი — ერთად. ფარული აზრი: შვეარდენის მზიური გამოხედვა დაიმორჩილებს გველის გამანადგურებელ შხერას. ასე ვხსნი „გველების მეფის სტელას“ (ტყუილად კი არ ამოვარჩიე ეს სტელა ჩემი „Schlangenhemd“-ის ქართული გამოცემის თავფურცელისათვის. დღეს მე ამაში უფრო დაერწმუნდი).

გიტა! ჩემო შვეარდენო! როგორ მენატრები! გქვვევი და დაუსრულებელი თრობით გსვამ შენს ტკბილ ბაგეთაგან. შენ — ჩემო შვეარდენო!

¹ „დემონი და მითოსი“.

ჩემო შეუდარებელი გიტა!

დღეს შენს წერილს ველოდებოდი. არ მოვიდა. ალბათ ზევ მოვა. ალბათ „როგორც კი შევძლებ შეკვეთის დამთავრებას (...), ჩამოვალ. ალბათ ხუთ კვირაში...“ (19 მაისს). ვითვლი დღეებს.

შენს ნატერაში ვიწვი და: დავიწვი. დარწმუნებული ვარ გრძნობ ამას.

რა უნდა მოგწერო კიდევ? ჩემში დღეს სიცარიელე ბატონობს. შენ კი მანდ ხარ: და: ღმერთს მადლობას ვწირავ ამისათვის. უფრო მეტიც: მადლობა მას, რომ შენ საერთოდ არსებობ!

გეზვევი მაგრად

და ვლოცულობ შენთვის და

გლოცავ, გლოცავ!

ჩაი ჩამომივიდა, გმადლობ!

30 VI. 1962

ვენეა

ჩემო შეუდარებელი გიტა!

27 ივნისის წერილში ვწუხდი, რომ შენ, როგორც ეტყობა, ივლისშიც ვერ მოახერხებ ჩამოსვლას. წუხილის მიზეზი შემდეგშია:

ამბობ: „ვაი, რომ დღესაც ღია ბარათი“. განმარტავ: „ერთ კვირაში ორი პორტრეტი მაქვს დასახატი, ისინი სრულ კონცენტრაციას საჭიროებენ“ (25.VI.62.), ასეთი განმარტება ჩემზე „უცნაურად“ მოქმედებს. რატომ? მახსენდება შენი სიტყვები: „ვარ შენი — ვარ შენთან“ (15.VI.62.), ყოველი სიტყვა სიმართლეა, თითოეული ასოც კი. მეც გეუბნები. შენი ვარ — შენთან ვარ. აქედან გამომდინარეობს: რომ ყველაფერში შენთან ვარ, შენთან. და: როცა რაიმეს ვქმნი — შემოქმედების დროს კი ყოველთვის უკიდურესად კონცენტრირებული ვარ — ვარ შენთან. სწორედ ჩემი კონცენტრირებული შემოქმედების პროცესში გწერ უფრო დეტალურად.

ეს ზოგადად.

მთავარი კი სხვაა.

ყოველ შენს წერილში, ყველაზე პატარაშიც კი, არის სულ ცოტა ერთი სტრიქონი მაინც, რომლის წაკითხვისას შინაგანად ვგრძნობ შენს ჩემსკენ მაგნიტურად მომდინარე სიახლოვის ტალღას. შენს 25 ივნისის ბარათს აკლია ეს დღეუა. ეს ხაზგასმულია კიდევ ერთი გამოვლენებული დეტალით სახელდობრ:

წარმოიდგინე: მწერ წერილს. კიდევ აწერს ორ სიტყვას ჩემთვის სრულიად უცხო შრიფტით. მერე წარმოიდგინე. საპასუხო წერილში არც ერთი სიტყვით, სრულებით არ ვეხები ამ საიდუმლოებით მოცულ „ორ სიტყვას“, უბრალო ცნობისმოყვარეობასაც კი არ ვიჩენ. რას იფიქრებ? არ დაიბნევი? ერთ ბარათში ორი ქართული სიტყვა ქართული შრიფტით დაგიწერე. მერე? არც ერთი სიტყვა შენს წერილში ამის შესახებ. ცნობის-მოყვარეობის ნატამალიც კი არა! უნ შეტლებს ამის ახსნას! ალბათ შენ! ამიხსენი! აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ეს რაღაც განსაკუთრებულ მდგომარეობაში ყოფნისას, ასე ეთქვათ „წამიერად“ მოხდა. მაგრამ თუნდაც „წამიერად“ რომ მოხდა — „შემაშფოთებლად“ გამოიყურება.

ზემოთქმული რომ დამეძალა, ჩვენს წმინდა სიყვარულს მივაყენებდი ზიანს.

გეხევეი ძლიერ, ჩემო შეუდარებელო გიტა: და: ვარ მუდამ შენთან.

გუშინ დიდი სიხარული განვიცადე — როგორც ქართველმა. კალათბურთი. **Finale de la coupe d'Europe des champions DYNAMO TBILISI contre REAL MADRID.**¹ („ტიფლისი“ ახლა ქართულად იწერება „თბილისი“). მატჩს დავესწარი — რასაკვირველია. ძალიან ველეაუდი: სიხლი! არ მეშინოდა. ჩემმა თანამემამულეებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. ესპანელები უფრო დიდი ანგარიშით დამარცხდებოდნენ, რომ არ ყოფილიყო გასაოცარი მოთამაშე: ზანგი ჰიგტოუერი.² ესპანელების 83 ქულიდან — 32 მის ანგარიშზეა. ფანტასტიკურია! გიგზაენი კორესპონდენტისას. საქართველო ცოცხლობს. გაუმარჯოს საქართველოს!

¹ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება თბილისის დინამოსა და მადრიდის რეალს შორის (ფრ.).

² იგულისხმება — ჰიტლერი (შარგმ.).

გიტა: ჩემო სიხარულო!

შენი ვარ — ვარ განუყოფლად შენთან. ჩემი ხარ — ხარ განუყოფლად ჩემთან. ამიტომ: რაც შენ გეხება, მეც მეხება. შეძრწუნებული ვუყურებ, რომ შენი გადაღლა უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ფიზიკური დაღლა. ბოლო პატარა წერილის სტრიქონები ისეთ შთაბეჭდილებას მიქმნის: თითქოს შენ მთვარეულის მდგომარეობაში იყო. გარემო, სადაც ცხოვრობ, შენთვის — როგორც სჩანს — საესეა უბედურებით. არსებობს გადარჩენის ერთადერთი გზა: შენ იცი ის, ვგონებ. წერილში ამაზე ლაპარაკი მიძნელებს. ყველაფერი შენს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. პრობლემებზე აქ მოვი-ლაპარაკებთ: პირისპირ. საშინლად შეწუხებული ვარ შენს გამო. ზომამზე მეტად შეშფოთებული. გფარავდეს ღმერთი!

ვლოცულობ შენთვის. გლოცავ: ჩემო შეუღარებელო

საყვარელო და ღვთიურო მეგობარო: დაო.

3. VII. 1962

გენგა

გიტა: ჩემო სიხარულო!

მე ჩავწვი შენი ბოლო მოკლე წერილის სტრიქონებს. შეძრწუნებული ვხედავ, რომ შენი დაღლა: გადაღლა წმინდა — ფიზიკურზე მეტია. შენი მდგომარეობა მთვარეულის მდგომარეობას უტოლდება (სხვა სურათს ვერ ვხედავ). შიშში ჩავვარდი. ღმერთმა დაგიფაროს!

ვლოცულობ შენთვის და — გლოცავ.

შენი კრივილი

ჩემო შეუდარებლო გიტა:

სატროფო და დაო!

ჩემმა „წინათგონობამ“ არ მიმტყუნა. ვგრძნობ ახლა უსაზღვროდ იტანჯები. შენი სიტყვები (3.VII.62.) ამას სრულად მიდასტურებენ: „მხოლოდ წყვილიადაში ყოფნის დღეებია, აუტანელი ნევრალგიური ტკივილებით“. გიტა! შენ „ნება“ არა გაქვს „წყვილიადაში“ ყოფნის! იფიქრე გამუდმებით ჩვენს სიყვარულზე, ჩვენს წმინდა კავშირზე! შენი და ჩემი გული — ერთია. ორივეს ფეთქვა — შენი მზის დაბადებაა შენშივე. „წყვილიადას“ აქ ადგილი არა აქვს. იყავი მხნედ!

„ჩენი გამონათქვამი“ ჩემს ენაზე ასე ჟღერს: „შენთან!“ ის ორი სიტყვა ნიშნავს: „გფარვიდეს ლაშარი!“ გერმანულად დაწერილი“.

შენი სიტყვები გრიგოლზე: „ის არის უდიდესი და უმხურვალესი გული“. ზედსართავი სახელები გვერდზე გადაედოთ. გული მართლაც ვარ. მხოლოდ შენს გულს შეეძლო ეს ეთქვა!

მოუთმენლად გელოდები. ჩემს მკლავებში „წყვილიადაში ყოფნისაგან“ მაშინვე განიკურნები. ეს შენც იცი.

გუბვევი ძლიერ და დაუსრულებელ თრობაში ვართ განუყოფლად ერთად. „გფარვიდეს ლაშარი!“

P.S. ოტო ვილჰელმ ბარტის გამოცემას შე არ ვიცნობ.

7. VII. 1962

ქვემოთა

საყვარელო გიტა!

კვლავ და კვლავ ვკითხულობ შენი 3 ივლისის წერილს. „დღეები, როდესაც ღმერთის სიშორისა და ერთი აზრის გამო ვიტანჯები, რომელიც ბანალური და სტერეოტიპულია“ (წინადადება — დაუმთავრებელი).

ვკითხულობ ამ სტრიქონებს და უფრო თავზარდაცემული ვარ, ვიდრე მაშინ, როდესაც პირველად წაუკითხე. როგორ დაგეხმარო აქედან? ყოველ-

დღე იფიქრე: იმაზე კი არა: რა ხარ, არამედ იმაზე: რომ შენ საერთოდ ხომ შესაძლებელი იყო დღის სინათლე საერთოდ არ გენახა. მაგრამ რადგან ახლა „აკ“ ხარ, შენივე თავისთვის ხარ ღმერთისაგან საჩუქარი (პინდარის იმ ფრაგმენტის შესაბამისად, რომელიც ციტირებული მაქვს ნიცესეს შესახებ ხელნაწერში). „საჩუქარი შენივე თავისთვის“: და ჩემთვისაც, დავძენ მე.

ატმოსფერულად ვგრძნობ: საიდან მოდის შენი მწუხარება. წერილში ამაზე ლაპარაკი არ შემიძლია. მხოლოდ — პირისპირ. ხომ მოხვალ ძაღვ ჩემთან, ჩემო ღვთიურო მგობარო!

ჩემს მკლავებში — მკერდით მკერდზე, საფეთქელით საფეთქელზე — კვლავ მოიპოვებ სასიცოცხლო ძალებს.

ო, როგორ მენატრები!

ვლოცულობ შენთვის.

გლოცავ

გფარვიდეს ლაშარი!

9. VII. 1962

ვუნკა

გიტა: ჩემო შეუდარებელო სატრფოვ

ჩემო ღვთიურო დაო — მგობარო!

5 ივლისის შენი სტრიქონები. რა ცოტაა დაწერილი და: რა ბევრია თქმული! შენ ეს შეგიძლია: შენ, რადგანაც „სახეს“ ხარ, დიახ, ჩემს აწმყოში არაფერი შეგემთხვევა. დიახ, ჩემი სიყვარული დაგიფარავს.

კვლავ ვიგრძენი შენს სტრიქონებში ჩემსკენ მომართული ის მაგნიტური ტალღა. ნიშანი იმისა, რომ ეს ასეა: მე ვგრძნობ ამ ტალღას, შენს **ისიდას ტალღას** ჩემი **მზის ფესვით** (დღეს შემიძლია ეს გითხრა). წინათაც ვგრძნობდი რამდენიმე წამით დღეს — ბჟერად, ბჟერად დიდხანს. თვითონაც გოცნებული ვარ!

ე.ი. ძაღვ ჩამოხვალ! ჩემი სიხარულის გადმოსაცემად სიტყვებს ვერ ვპოულობ. ეს — დამიჯერე — არ არის „ფრაზა“. ვიმედოვნებ დარჩები

უფრო დიდი ხნით — თუ სამუდამოდ არა. დამოკიდებული წინადადება ამ
თუ-თი სრულიად სპონტანურად წამოშვდა. არ მინდა გადაუშალო. ალბათ
მიმიხვდები რას ვგრძნობ!

დღეს ისე ძლიერ გეხვევი,
რომ ვართ განუყოფლად ერთი.
გფარვიდეს ლაშარი!

13.VII.1962

ჟნფ

ჩემო შეუდარებელი გიტა!

„...ხმალს, რომელიც გველს გაეს, ვადაზე არწივის თვალი აქვს. გველი
შხის შეილია...“ შესანიშნავი სურათი! რა ადგილასაა ეს „Schlangenhemd“-
ში? დამავიწყდა. თითქმის აღტაცებული ვარ.

გველის ჩემეული ახსნა. ვიმეორებ: „მძაფრი ცივი ტალღა, რომელიც
ღვთიურსა და არაღვთიურს შორის ელვასავით ამოიკლაკნება“. თუ ჩაე-
თვლით რომ ღმერთი არარაობის პირას შეიცნობა, მაშინ შიში გველის
მიმართ განიხილება, როგორც MYSTERIUM TREMENDUM ხედავ, რომ
გველის ჩემეული ახსნა შენულისაგან შორს არ არის.

ენატონის ბრწყინვალე პორტრეტი!

შეკარდენის ფრთამ დიდი სიხარული მომანიჭა. უფრო სასიხარულო
იქნებოდა თვითონ შეკარდენი რომ მოფრენილიყო ჩემთან. საჭიროა აგიხსნა
რას ვკულისხმობ?!
მოუთმენლად გელი, გიტა. უკვე „ღვთიურ“ მოუსვენრობაში მოვექცევი.
ამ მოუსვენრობით ვზომავ სიყვარულს: მისი სიძლიერის ხარისხს.

გეხვევი მაგრად

და ვართ განუყრელად ერთად.

საყვარულო გიტა!

16 ივლისს ტბის ლინციდან გამოგზავნილი ბარათი დროულად მივიღე. მას შემდეგ არც ერთი სიტყვა შენგან! უნდა ვიფიქრო, რომ ამ პერიოდში ორიოდე წუთი ვერ გამონახე, რომ ორიოდე სტრიქონი მოგეწერა! საშინლად აღელვებული ვარ. ეს ღელვა არაა: „ღვთიური“. კორინთიაში „რამდენიმე“ დღე აპირებდი დარჩენას. ივლისი მთავრდება და აგვისტოში კი საბერძნეთში მიემგზავრები. როდის ჩამოხვალ ჩემთან? შენი ლინციდან გამოგზავნილი ბარათი მეუბნება — „მალე ნახვამდე!“ ჩემი შიში იზრდება. ერთადერთი ნუგეში: მესმის შენი ესოდენ საყვარული ხმა: „შენთან ერთად!“ მაპატიე, გეთავყვა, ჩემი შიში. იცოდე. არაჩვეულებრივად ძლიერი, ზედმიწევნით ძლევამოსილი ვარ გარკვეულობის დროს, თუნდაც ის ცოტა ფატალური იყოს. მაგრამ ასევე სუსტი ვხდები გაურკვეველობის წინაშე.

გეხვევი ძლიერ და ვართ განუყოფლად ერთად.

26.VII.62

გვრჯე

გიტა: ჩემო ღვთიურო სატრფოვ!

როგორც იქნა! როგორც იქნა დღეს მოვიდა 23 ივლისის წერილი. ჩემს ცხოვრებაში ისე არასოდეს დავტანჯულვარ, როგორც ამ დღეებში, შენგან რაიმე ამბის მოლოდინში. შენი დროებითი მისამართი რომ მქონოდა, დაგიკავშირდებოდი. როგორც ვენაში გამოგზავნილ სასწრაფო წერილში მოგწერე, ვარ არაჩვეულებრივად ძლიერი გარკვეულობის დროს, თუნდაც ის საშინლად ფატალური იყოს, მაგრამ ასევე სრულიად უმწყო ვარ გაურკვეველობის წინაშე. რა არ ვიფიქრე. დავიბენი. მეტოც: ქოსმა მომიცვა. უძილო ღამეებმა თავისი გაიტანა. ჩემი სულიერი მდგომარეობა გუშინ ისეთი შემამფოთებელი იყო, რომ საჭირო გახდა ვენის მისამართზე შენთვის დეპეშით შეტყობინება.

გიტა! დღემდე კიდევ ვერ ჩაწვდი ბოლომდე: რა, ან უფრო სწორედ: ვინ ხარ ჩემთვის. შემეძლო ეს მეთქვა ამ წერილში, მაგრამ ჩემს არყოფნაში *Mysterium tremendum*-ში რომ არ ჩავარდე, უმჯობესია გითხრა

პირისპირ.

შემგვითხები: სახელდობრ რატომ ავლელდი ასე? მისმინე. ჩვენ ორივენი, შენ და მე, ვართ მისტიურად დაქორწინებულნი: სამუდამოდ დაძმობილებულები. შენ ეს უკეთ იცი, ვიდრე მე. მერე? მე ზავრობისას ორიოდე წუთი ვერ ნახე, რომ ორიოდე სტრიქონი მოგეწერა. რა უნდა შეფიქრა ასეთ შემთხვევაში? შენი თავი წარმოიდგინე ჩემს მდგომარეობაში. ჩემს კითხვას გამიგებ სავსებით და მთლიანად. ერთხელ მომწერე: „როცა შენთან ვარ, არაფერი დამემართება, შენი სიყვარული დამიფარავს“. სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ — მიაქციე ყურადღება „როცა შენთან ვარ“ და თუ შენ ჩემგან შორს ხარ? მაშინ, ალბათ, ჩემი სიყვარული მთელი ძალით ვეღარ შეძლებდა ჩასაფრებული მოწინააღმდეგისაგან შენს დაცვას!

ყოველ შემთხვევაში ჩვენი წმინდა კავშირის სახელით გთხოვ, პო, გეშუდარები: ნათქვამის გათვალისწინებით „დამინდო“ (სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ: მაპატიე!) დიდია ჩემი თხოვნა: „ორიოდე წუთი“ — „ორიოდე სტრიქონისათვის?!“

ამ წერილს ალბათ მიიღებ, როცა ვენაში დაბრუნდები. შენი სიტყვებიდან გამოძინარე. ვენაში კიდევ ერთ კვირას დარჩები: და: მერე ჩამოხვალ ჩემთან. ახლავე რომ შეგეძლოს დაახუსტო: როდის ჩამოხვალ? ღვთის გულისათვის, მე შენ არ „გაჩქარებ“: მე ეს რალაცისათვის მინდა ვიცოდე — უმნიშვნელოსათვის — რასაც აქ გეტყვი.

გიტა! ჩემო შეუდარებელო
სატრფოვ! ო, როგორ მიყვარხარ!
გეზვევი ძლიერ, ძლიერ და:
ვართ განუყრელად ერთად.

4.VIII.1962

შენგა
სასწრაფო

გიტა: სატრფოვ და დაო!

შენი პასუხი ჩემი 26 ივლისის სასოწარკვეთამდე მისულ წერილზე კიდევ არ არის. გაუგებარია! მთელ მსოფლიოში შეძლებს ვინმე გაიგოს: რომ შენ ორიოდე წუთს ვერ პოულობ ჩემთვის, ორიოდე სტრიქონის მოსაწერად?

ვერაინ! საშინელი წინათგრძნობით ვარ მოცული, საშინელ გაურკვეველობაში ჩაგარდნილი.

მეჩვენება, რომ შენ ჩემთვის რაღაც გაქვს სათქმელი, რაც მე უდიდეს ტკივილს მომაყენებს: და: ჯერ ვერ გადაგიწყვეტია, რომ გამიმხილო. ჩემი წინათგრძნობა რომ გამართლებულიყო — კონიუქტოს ეხმარობ: რადგან სულიერ არეულობაში ჩემი შევექსე გრძნობაც მიმტყუნებს — ჩემი წინათგრძნობა რომ გამართლებულიყო, მაშინ გეცოდინებოდა, რომ უბრალოდ ვერ შეძლებდი ტკივილის მოყენებას, რადგანაც ამ შემთხვევაში ტკივილი ბედნიერება იქნებოდა. ისე მიყვარხარ მე შენ.

ამ დღეებში რამდენჯერმე გამოვიტირე ჩემი თავი — უცრემლოდ.

ვაიმე, თუ ეს სტრიქონებიც უპასუხოდ დარჩა! მაშინ... მეტი წერა აღარ შემიძლია.

შენი კრივოლი

5. VIII. 1962

ვენეცია

გიტა: სატრფოვ და დაო!

ჩემი გუშინდელი სასწრაფო წერილის გაგრძელება. ეტყობა ახლა არ გიხერხდება: შენი დანაპირები: ჩემთან ჩამოსვლის შესახებ რომ შეასრულო, თანაც ამ თვეში საბერძნეთში მოგზაურობაც წინ გაქვს. ალბათ ამიტომ დუმხარ „უხერხულად“. თუ რასაც მე ვვარაუდობ სწორია — ნუ იფიქრებ ამაზე. იცოდლე: შენდამი ზეადამიანური სიყვარულის გამო მე შენს მხურვალე მონატრებას გულში ჩავიკლავ (ამჯერად). საბერძნეთში გაემგზავრე და ჩემთან მოგვიანებით ჩამოდი: სექტემბერში. მხოლოდ შემატყობინე: ჯერ დეკემბით, მერე წერილით დაწერილებით მაცნობე — რადგან: შენ შესახებ რაიმე ამბის მოლოდინით მოგკვდება. ელოცულობ შენთვის, ღმერთმა დაგიცვას!

გიტა: ჩემო ღვთიურო სატრაფოუ!

ახლახან მივიღე 7 აგვისტოს კლაგენფურტიდან გამოგზავნილი შენი წერილი. როგორც იქნა! შენი სიყვარული ჩემდამი. არასოდეს — წამითაც კი არ შემპარვია ეჭვი. არასოდეს! ეს იქნებოდა ჩვენი წმინდა კავშირის შეურაცხყოფა. მაგრამ რა დღეში ვიყავი?

მწერდი 23 ივლისს კლაგენფურტიდან: „ვენაში სამუშაო დაუმთავრებელი მაქვს. უახლოეს დღეებში უნდა დაებრუნდე ვენაში. იქ (?) დაახლოებით ერთი კვირის მანძილზე ბევრი სამუშაო მექნება — მერე კი შენთან ჩამოვალ!“

ამის მერე აღარაფერი გამიგია (4 აგვისტოს ჯერ კიდევ არ მქონდა შენგან მიღებული წერილი). სამიშ მოუსვენრობაში ჩავეარდი. საშინელი წინათგონობით მოცული მთლიანად მტანჯველ გაურკვევლობაში ვიმყოფებოდი. ვეკითხებოდი ჩემს თავს: „რა მოხდა?“ „რა მოუვიდა?“ „ღმერთმა დაიფაროს და რაიმე უბედურება ხომ არ შემთხვა?“ თავი მივანდე დამაუძღურებელ ეჭვებს. ხასიწარკვეთილებამდე მისულმა გადავწყვიტე მამაშენისათვის მიმემართა, იქნებ შენს შესახებ რაიმე შემეტყო. დავწერე დიდი წერილი, მაგრამ არ გამიგზავნია. მაინც ველოდებოდი შენგან რაიმე ცნობას. ზოგი რამ იმ წერილიდან:

„თქვენი ქალიშვილის, გიტას პიროვნებას ზედმიწევნით ვიცნობ. არაჩვეულებრივად ნიჭიერი, ამავე დროს უაღრესად მოწყალეა — უკიდურესი იშვიათობა ჩვენს უმოწყალო დროებაში. მისი „თავისებური სტილი“ თავიდან მჭკვენებოდა: *comme la manière de faire glisser le réel sur le plan du rêve*¹ თუ ერთი ფრანგი ავტორის გამოთქმას მივმართავთ რილკეს შესახებ. შემდგომი გამოირკვა საწინააღმდეგო, სახელდობრ: *La manière de faire glisser le rêve sur le plan du réel*² („Rêve“ აქ: სურათში ფარული რეალობების ხედვა). ის ნათელია. მისი ხედვა წინ კი არაა მიმართული, ისტორიულში, არამედ: უკან მეტაფიზიკურში. აქედანაა მისი ვიზიონერობა, რომელიც მე, მრავალი საიდუმლოს მცოდნეს, მაკვირვებს. ზოგიერთი ამ ვიზიონერობიდან განუზომელი სიღრმისაა. ის (გიტა) ფაქიზია, მეტიც, უფაქიზესი — როგორც საერთოდ მისი კალიგრაფია. ამიტომ ადვილად გულსატკენი

1 როგორც მანერა, სინამდვილე შეიცვალს ზმანების ნაცვლად (ფრ.).

2 მანერა, რომ ზმანება შეიცვალს სინამდვილის ნაცვლად (ფრ.).

და ყოველთვის დაღლისათვის: გადაღლისათვის განწირული. როგორც ზედმიწევნით განსაკუთრებულ არსებას — თუ არ ვიტყვით გამორჩეულს — არ უადვილდება გარემოში: თანატოლებში ორიენტირება (ერთხელ მე ის შევადარე გზაარეულ მთვარეულს). ალბათ ამიტომ მის გარემოს: მის თანატოლებს ის ეჩვენებათ თავისებურად და „უცნაურად“. და კიდევ ერთი: ქვეცნობიერად წარმოჩენილი ეშმაკური ქალური ფენომენის კვალიც არაა მის ბუნებაში. ის სუფთაა, ნაღდი. ჩემთვის გიტა საოცარი არსებაა, როგორც მე მისთვის, თემცა უნდა ვაღიარო, იგი აღმატებულია ჩემზე. ყოველთვის, როცა მასზე ვფიქრობ, მაგონდება ლამარტინის შესანიშნავი სიტყვები: „L'homme est un Dieu tombé qui se souvient des cieux“.¹ ჩვენი სიახლოვე, რომელიც ორ წელზე მეტია რაც გრძელდება, მისტიური წარმომავლობისაა. ეს მან უფრო მეტად იცის, ვიდრე მე. ჩვენი კავშირი საკრალურია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ორივენი ღრმად: მთელი პასუხისმგებლობით ვგრძნობთ ამას. ამ კავშირის კონკრეტიზება არ შემოიძლია: ჯერ ერთი იმიტომ, რომ რამდენადაც ვიცო, მსგავსი არ არსებობს. ისე რომ, მას „მესამე“ ვერ გაიგებს. მეორეც, აქ სიტყვა არა მხოლოდ ამ სიტყვების ავტორს ეკუთვნის, არამედ კიდევ უფრო მეტად მას: გიტას. ყოველ შემთხვევაში ერთ რამეში რაინდულად დაგარწმუნებთ, ის რომ ზღაღვე ვინმეზე გათხოვდეს, ამით ჩვენს კავშირს არაფერი დაუშავდება, რადგან ჩვენი სიახლოვე ასეთ რაიმეზე მაღლა დგას. და რა თქმა უნდა, მის ქორწინებას წმინდა გულით დაელოცაუდი. ეს მან იცის, ეს მისმა მამამაც უნდა იცოდეს“.

ეს რაც შეეხება ნაწყვეტს. გვეითები, შეეძლო ამ სტრიქონების ავტორს გიტას სივარულში მის მიმართ წამითაც კი ეჭვი შეპარვოდა? გამორიცხულია.

კიდევ რამდენ ხანს რჩები კლაგენფურტში? როდის ბრუნდები ვენაში? მიემგზავრები ამ თვეში საბერძნეთში? აგვისტოში თუ მაინც შეძლებ ჩემთან ჩამოსვლას, თუ გირჩვენია სექტემბერში ჩამოხვიდე? კითხვები რომლებზედაც, ვიმედოვნებ, მაშინვე მიპასუხებ. ძალიან გთხოვ ამას.

გფარვიდეს ლამარი!

შენი გრავილი
/Ton mari éternel!²

¹ აღამიანი არის ჩამოყალიბებული ღმერთი, რომელსაც ახსოვს ზეცა (ფრ.).
² შენი მარადიული შეუღლე.

გიტა: ჩემო ღვთიურო სატრფოვ!

ამწუთას მივიღე შენი 10 აგვისტოს გამოგზავნილი წერილი. სიმშვიდის დეფიციტი! და ეს ზაფხულის არდადეგების დროს? წარმოუდგენელია! ამიხსენი კონკრეტულად.

ჩემი საშინელი მოუსვენრობის დროს სულ დამავიწყდა, რომ ეს ამბავი შეცნობებინა. ერთ მიუნჰენის გამოძცემლობას — ყმაწვილთათვის განკუთვნილს — სურს ჩემი კავკასიური ნოველების გამოცემა. ჯერ კიდევ ამოწმებს: არის თუ არა ყმაწვილთათვის შესაფერისი. ჩემი აზრით ის სწორედ ყმაწვილთათვისაა „ზედგამოჭრილი“.

ნაცნობია შენთვის ვენის ეს ტელეფონის ნომერი: 65-14-883? მარტო ეს შეეითხვაც ბერს გაუწყებს. არ დამირეკავს — აღარ იყო საჭირო.

6-დან 7 აგვისტოს, ღამის 12 სთ-ზე, მე შენ გიგრძენი — ისე, როგორც მაშინ. 7 აგვისტოს, საღამოს, შენ წერილს მწერ!

ასე მგონია, ლამარტინის ის სიტყვები — ციტირებული მამაშენისადმი მიმართულ, მაგრამ გაუგზავნელ წერილში — ამ წუთში წაგეკითხოს. თითქოს შენთვისაა ნათქვამი! იცი ახლა: როგორი არსება ხარ ჩემთვის? ალბათ იგრძენი MYSTERIUM TREMENDUM, როცა ამას კითხულობდი.

ეტყობა, არ მოგიხერხდება ამ თვეში ჩემთან ჩამოსვლა. სამწუხაროა! მაგრამ: მე არ გაჩქარებ. მე ყოველთვის მაქვს მოთმინება — მაშინაც კი, როცა შენი მონატრებით ვკვდები. ასე მიყვარხარ მე შენ!

რა ბერი მაქვს შენთვის სათქმელი, რამდენი მაქვს მოსალაპარაკებელი! ერთი რამ კი უნდა იცოდეს აქ ჩამოსვლამდე. ერთი წამითაც, რომ ეჭვი შეპარებოდეს შენს ჩემდამი სიყვარულში — იმწამსვე ფსიქიურ წონასწორობას დაკარგავდი. იცოდეს ეს, იცოდეს!

გამიზიარე შენი უახლოესი გვემები.

შეგძლია შენი ერთი ნახატის ესკიზი მაჩუქო? მე ეს ჯერ კიდევ აღრე უნდა მეთხოვა.

გფარვიდეს ღამიანი!

შენი კრიეოლი

გიტა: სატროფო და დაო!

კვითხულობ შენს 12 აგვისტოს წერილს. კიდევ უფრო მეტად, სუნთქვა-საერთ ახლოს ვგრძნობ შენს სიახლოეეს — გამაბედნიერებულს, დამათობულს, თამარ მეფის სურათი. გული მიგრძნობდა, რასაც იტყვოდი ამ სურათის შესახებ. შერწმუნე. სწორედ ამიტომ გამოგიგზავნე.

ფრანკ თეასის წიგნი „Das Reich der Dämonen“.¹ ვიცნობ. მართლა — შესანიშნავია! უფრო უკეთესია ჩემის აზრით „Tsushima“.² სხვა მისი წიგნები არ მიყვარს. ავტორს ვიცნობ პერსონალურად.

„როგორ ვისწრაფვი იმ წამისაკენ: როცა შენთან ვიქნები, შენს გვერდით! მაინც ვმერყეობ — შევიძლია გამოვიყო?“ მესმის. იმ ჩემს ზეადამიანურ ბედნიერებაში, რომელიც მაჩუქე, სწორედ ეს შენი „მერყეობა“ არის ჩემი უღრმესი ტკივილი. მაგრამ ჩვენ, შენ და მე, საკმაოდ ჭკვიანები ვართ: და იმას, რაც მე ასე ძტკივა, სწორედ გადავწყვეტო. ამაზე მხოლოდ პირისპირ, იცოდე: შენი სიტყვა ჩემთვის არის: კანონი.

სიბილასაერთ ვლერს შენი სიტყვები: „რა ძნელია (?) ცხოვრება შენს სამყაროში, როცა არაფერი იცი ამ სამყაროს შესახებ“. ამის შესახებაც ვილაპარაკებთ პირისპირ.

მაგრამ: როდის ჩამოდიხარ? ამბობ: „სამწუხაროდ, დღეს არ შემიძლია გიპასუხო აგვისტოში ჩამოხვალ თუ მხოლოდ სექტემბერში. ალბათ მხოლოდ სექტემბერში“. ვაიმე, თუ სექტემბერშიც არ ჩამოხვდი!

ე.ი. შემდეგ კვირაში რამდენიმე დღით იტალიაში მიემგზავრები. ამ წერილს ხვალ მიიღებ. შეიძლება ჯერ კიდევ შაბათს კლაგენფურტში მოგწერო? მაცნობე დაუყოვნებლო! მომწერე იტალიიდან. არ დაგვიწყდეს: მისამართი. ვარ შენი — ვარ განუყოფლად შენთან!

გვარვიდეს ლამარი!

1 „დემონია სამყარო“.

2 „ცუსიმა“.

საყვარელო გიტა!

ამ კვირაში ორი სასწრაფო წერილი მოგწერე: 13 და 15 აგვისტოს. მეორეს — ასე მგონია — გუშინწინ მიიღებდი. გთხოვდი, მაშინვე გეცნობებინა: შემეძლო თუ არა შაბათს კლაგენფურტში მომქერა. დღეს შენს პასუხს ველოდი. ტყუილებრადღოდ. ძალიან ვნერვიულობ. გეხვევა ძლიერ შენი წამებული

კრივოლი

P.S. წინა წერილში შემეძალა შენი ციტირება: „ამ სამყაროში“-ს ნაცვლად „შენს სამყაროში“ დავწერე (ამაში დამნაშავეა შენი შემოკლებული კალიგრაფია. მისამართი მაინც მომწერე გარკვეულად! ამით შენს კალიგრაფიას სილამაზე არ მოაკლდება. პირიქით: პლასტიური გახდება). ამოსაღებია სიტყვაც „სიბილასავით“.

ახლა ვკითხულობ პერმან კაიზერლინგის წიგნს „Reise durch die Zeit“:¹ II ნაწილი. ჩემის აზრით შენ ის არ მოგეწონება. ავტორს ვიცნობდი პერსონალურად.

გვარვიდეს ლაშარი!

22. VIII. 1962

გიტა: ჩემო ღვთიურო მგობარო!

გუშინ საღამოს მივიღე შენი 19 აგვისტოს ტრიესტიდან გამოგზავნილი წერილი. „12 წელი გელოდი!“ ეს სიტყვები სიხშირიდან ოსირისზე დღეს ჩემზე უფრო ამაღელვებლად მოქმედებს. უსასრულოდ ვნეტარებ და: განსაკუთრებულად. ერთხელ გწერდი: გულში მყავხარ ჩაკრული, მკვრდით მკვრდზე: *imaginaire présence* ისე ტკბილია, რომ რეალური *absence* ტკივილად იქცევა. დღეს ვაპბობ: *imaginaire présence* ისე ღვთიურია, რომ რეალური *absence* ნეტარებად იქცევა. ეს ნამდვილად იმიტომ ხდება, რომ დამატარებელ

1 „მოგზაურობა დროში“.

წამში განგიცდი ერთდროულად როგორც სატრფოს, და ასევე როგორც დას. რა ღვთიურია ყოფნა შენს გამო და შენთან ერთად.

ერთი რაღაცის გამო, უმჯობესია, შუა სექტემბერში ჩამოხვიდე. 18 სექტემბერს ქენევაში გამოვა სახელგანთქმულ ქართველ მოცეკვავეთა ანსამბლი: 65 წევრი. ერთი ლოზანაში მცხოვრები ჩემი თანამემამულე, ჩემთან დამეგობრებული — თავადი, მალტის ორდენის რაინდი, კეთილშობილი, ძალიან ცნობილი, მდიდარი — დამპირდა ბილეთებს. შენთვისაც სიამოვნებით შეუკვეთავს ერთ ბილეთს იმ პირობით, თუ შუა სექტემბერში ნამდვილად ჩამოხვალ. ის „დედოფალი“, ხომ უნდა ესწრებოდეს! მომწერე ახლავე: შეძლებ თუ არა იმ დროისათვის ჩამოსვლას.

გულში მფეხზარ ჩაკრული მკერდით მკერდზე, საფეთქელით საფეთქელზე: და: გგრძნობ დაუსრულებელ ნეტარებაში, როგორც სატრფოს და დას.

Ton mari éternel

29.VIII.1962

ჟერკა

საყვარულო გიტა: ჩემი გულის დედოფალი!

აღტაცებული ვკითხულობ შენს 27 აგვისტოს წერილს. უსაზღვროდ სასიხარულო სიურპრიზი. შენ მჩუქნი იმას, რასაც თებერვლის პერე ასე მწველად ველოდები: შენ: თავისთავად საოცარი საჩუქარი ხარ ჩემთვის. „დღეს რაღაც უნდა გაგიმზილო“ — ამბობ — „მინდა სამუდამოდ შენთან ახლოს ვიცხოვრო“. ჩემი სიხარული აუწერელია!

„ზეციური და მიწიერი აზრი დიდხანს ებრძოდა ჩემში ერთმანეთს: მიწიერმა გაიმარჯვა“. ახლა ვუხედავ, რომ ჩემი მოუსვენრობის შემოტყვევის ბოლო მიზეზი აქ უნდა მოიძებნოს: როგორც ჩანს, ამ შენს ბრძოლას შინაგანად ვგრძნობდი.

შენი გვემა: ქენევაში სამუშაო ადგილის შოვნა და ჩემთან ახლოს ოთახის დაქირავება. ამ ადგილს იმდენ ხანს შეინარჩუნებ, სანამ მხატვრობით რაიმეს გამოიმუშაებ.

მოგიხერხდება, რომ ეს გვემა განახორციელო? როგორც უცხოელმა აქ

უნდა მიიღო ცხოვრების ნებართვა. ამას კი მაშინ მოგცემენ, როცა სამსახური გექნება. სამსახურის შოვნა კი საშინლად ძნელია, თუ სულაც შეუძლებელი არაა.

რა ექნათ? პრობლემების მთელი კომპლექსი ერთი რაღაცით წაშში გადაწყდებოდა, რომელზედაც მე ერთხელ ჩურჩულით მიგანიშნე. შენ კი გადაჭრით უარყავი, ისე რომ ის რაღაც კონკრეტულად არ გაგიშიშვლებია. ჩემი მინიშნება არასოდეს აღარ გამოიქორებია, რადგან: მე ნება არა მაქვს მსურდეს რაღაც, რაც შენ არასასურველად მიგაჩნია. ეს ჩემთვის წმინდა კანონია. ამაზე დაწვრილებით პირისპირ ვილაპარაკებთ.

უენიდან შენ აქ ვერც ადგილის და ვერც ბინის ძებნას ვერ შეძლებ, პოვნაზე რომ არაფერი ეთქვათ. და ასე: ხანამ ორივეს არ იპოვნი, შენ — რა თქმა უნდა — ჩემთან იცხოვრებ. ალბათ შენისთანა საოცარ არსებებს — რომლისაც მე ასე მჯერა — ყველაფერი გამოუვა.

„თორმეტი წელი გელოდი“. შესანიშნავია შენი სიზმარი! „შარშან მე ეს გვირგვინი მივიღე: შენი ჩემდამი სიყვარულის სახით“. ვკითხულობ ამ სიზმარს კვლავ და კვლავ: და: ნეტარებით სავსე ვზეიმობ ჩვენ მისტიურ ქორწილს. გაუმარჯოს ჩემს ღვთაებრივ გიტას!

„ნეტავ ამაღამაც თუ შემიგრძენი?“ შევიგრძენი: და როგორ!

არ მგონა, თუ ისეთი უკიდურესად ჩემუელი წიგნი როგორიცაა პ. კ.-ს „Reise durch die Zeit“ მოგწონებოდა. ყველაზე საინტერესო თავი ამ წიგნისა, ჩემის აზრით, არის „Victoria Okampo“.¹ არაჩვეულებრივად ნიჭიერი ქალი! კაიზერლინგი ვერ ზედავს, ან: თავის თავს არ უტყდება, რომ თავისი „შხიური ძალა“ არ აღმოჩნდა ვიქტორიას „იხიდას ძალაში“ გადასული. აქედან: ამ უკიდურესად მნიშვნელოვანი ქალის მცდარი მსჯელობები. უახლოეს დღეებში გამოგიგზავნი ნარკვევს: „Meine erste Begegnung mit Hermann Keyserling“² ჯერ უნდა გადავბეჭდო.

გეზვევი ძლიერ, ჩემო დედოფალო
გიტა და კართ განუყოფლად ერთდ.

Ton mari eternal

1 „ვიქტორია ოკამპო“.
2 „ჩემი პირველი შეხვედრა ჰერმან კაიზერლინგთან“.

გიტა!

შენი გადაწყვეტილება — სამუდამოდ იცხოვრო ჩემს ახლოს — სრულიად მათრობს. წარმოსახვით გამუდმებით გულში მყავხარ ჩაკრული, სუნთქვა-სავით ახლოს. მკვრდით მკვრდზე — ჩემთვის ხარ: სატრფო. საფეთქელით საფეთქელზე — ჩემთვის ხარ: და: მთლიანად: ჩემთვის ხარ: მისტიური შეუღ-ლე. ჩემი დარჩენილი დღეები შენთვისაა მოძღვნილი: მთლიანად და სრულად. ჩემს სიახლოვეში მთელი სისახვით განიცდი ჩემს შენდამი სიყვარულს. შენს მკლავებში ვპოვებ მე ჩემს აღსასრულს. მაგრამ ეს არ იქნება შენთან გამომშვიდობება. მეორე ცხოვრებაში შენთან ვრჩები: სამუდამოდ შენთან. იყავი მხნედ!

P.S. შვეიტყვე. აქ ადგილის შონა — შესაძლებელია, თუცა ადვილი არაა. რა სახის სამუშაოს შეძლებ? მომწერე!

8.IX.1962

გვ. 10

ჩემო შეუდარებლო გიტა!

მხოლოდ გუშინ მოვიდა შენი 3 სექტემბრის წერილი. წარმოუდგენელია, რომ „ვენა-ვენევის“ ფოსტა ხშირად იკვიანებს.

„შემაძრწუნებელი კითხვა წამოტყუტვილება ხოლმე ჩემში — პასუხის-მგებლობის გრძნობით: — „შეძლებ მე გრიგოლი ბედნიერი გაეხადო?“ როგორ მოგდის ასეთი აზრი? შენ ჩემთვის უმაღლესი ბედნიერება ხარ. მკვრდით მკვრდზე — ჩემთვის ხარ: სატრფო. საფეთქელით საფეთქელზე — ჩემთვის ხარ: და: მთლიანად — ჩემთვის ხარ: მისტიური შეუღლე. შეძ-ლებდა რომელიმე შეყვარებული თავის სატრფოსთვის უფრო მეტის ჩუქე-ბას?! შენი შეკითხვა საკუთარი თავისათვის უნდა დამესვა: როგორ შეძლებ გაგაბედნიერო: მე: ხნიერმა — შენ: ახალგაზრდა? მაგრამ მე ამ შეკითხვას თავს არ ვუსვამ, რადგან: ჩემი სიყვარული ისე დიდია, რომ მან შეძლო ასაკობრივი განსხვავების დაძლევა. მით უფრო, რომ ჩვენი სიყვარული არაჩვეულებრივი ბუნებისაა. იყავი მხნედ!

„შეგიძლია ყოველ წამს აწმყოში იცხოვრო? მე არა: შეუამჩნიე, თებერვლის შერე, მომკაღლში ვცხოვრობ: რომ მხოლოდ ერთი დღისათვის ვცხოვრობ, როდესაც შენ კვლავ გულში ჩამიკრავ“. თებერვლიდან მეც ამ ერთი დღისათვის ვცხოვრობ. ასეთ ნატვრაში მისი აზღენის ერთგვარი წინაპირობაა. ასე შეიძლება აწმყოში ცხოვრება. ამ წუთშიაც მწველი მონატრებით, ხელების ცეცებით, დაგეძებ ჩემო შეუდარებელი გიტა: დაგეძებ მთერალი.

ე.ი. ჩამოხვალ სექტემბრის ბოლოს: შესანიშნავია! ჩემს მკლავებში უფრო მეტად გაიგებ: როგორ მიყვარხარ.

მუდამ „შენთან“ — შენს სუნთქვასთან.

გ. ლ.

გადაუღე ფოტო ამ ქართული შრიფტით დაწერილ დალოცვას?

1919. 1962

ქენკა

გიტა: ჩემო შეუდარებელი სატრფოვ!

ასე მხურვალედ რომ გენატრები — ეს მე დიდ სიხარულს მანიჭებს. შენი გული კი — რომელიც ჩემს გულში ძგერს: ჩემი შენდამი სიყვარულის გრაფის თასში — ამით „აუად“ არ „უნდა“ გახდეს. თუმცა: მალე ჩემთან იქნები. არ გრძნობ, რომ ჩემი გიტას მოლოდინში ის *par anticipation imaginative*¹ გულში მყავს ნეტარებით ჩაკრული? იყავი სრულიად მშვიდად! შენი ვარ, მთლიანად შენი!

როლფ იტალიანდერის (რა თქმა უნდა ებრაელია) „Besuch bei Marc Chagal“.²

წვეიკითხე დიდი ინტერესით — შენს მიერ ხაზგასმული სტრიქონები, კი შინაგანი თანაგრძნობით შენ იცი რატომაც. მხოლოდ ერთი რამე არ მესმის: სახელგანთქმული მხატვარი რომ თავის სტუმრებს არ გაუძახავინძლდა.

გვ. ლაშ.

¹ წარმოსახვითი ანტიციპაციით (ფრ.).

² „სტუმრად მარკ შაგალთან“.

ქრეა

გიტა: ჩემო ღეთიურო სატრფოვ!

პირველი უმაღლესი ბედნიერების წამი ჩემთვის იყო, როცა გავიგე, რომ გიყვარვარ. მეორე, არის შენი დღევანდელი **გადაწყვეტილება**. შესამეს მალე განვიცდი. შენ იცი რას ვგულისხმობ. „ჩვენ ორივეს“ — ამბობ — „სიძნელები გვაქვს გადასალახვი“. მე კი, მათ ვერ ვხედავ. **შემართება** არ მაკლია: პასუხი შენს შიშზე. გეტყვი და *par anticipation imaginative* შვიისუნთქე.

19.IX.1962

ქრეა

გიტა!

შენმა სიყვარულის ძალამ გამაახალგაზრდავა. ამ ძალის მადლით ჩემი საშინო ნერვიული დეპრესია თითქმის ნულამდე დავიდა. შენი სიყვარულის წყალობით განვიცდი არსებობის სიხარულის მადლს და შემოქმედებით აღმაფრენას. ყველაზე მთავარი კი ისაა: რომ შენმა სიყვარულის ძალამ ჩემი სიყვარული შექმნა, რისთვისაც ზედსართავ სახელს ვერ ვპოულობ. მალე გულში ჩაგიკრავ. ოო, როგორ მენატრები!

გვ. ლ.

22.IX.1962

ქრეა

ჩემო შეუდარებელო გიტა!

გიგზუნის რეცენზიას „Tribune de Genève“-დან¹ ქართული ბალეტის შესახებ. შესანიშნავადაა შეფასებული! ბალეტი ორჯერ ვნახე. ფანტასტიური — სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ. მთვრალივით ვარ!

ოქტომბრის დასაწყისში ეს ბალეტი ავსტრიაში მოემგზავრება. წარმოდგენები კენაში დაიწყება 5 ოქტომბერს — სულ იქნება ექვსი. შენ

1. „ტრაბუნ დე ვენე“.

აუცილებლად უნდა ნახო ჩემი თანამემამულეების ცეკვები. მე **par anfiction** **pation imaginative** შენს გვერდით ვიჯდები და შენი ხელი ჩემსაში შეჭირება. ასე ვიზიემებთ ჩვენ ამ ჯადოსნური ცეკვების დროს ტკობაში შენს **გადაწყვეტილებას**. მხოლოდ ამის მერე მოხვალ ჩემთან. „მხოლოდ ამის მერე“. შენი მონატრებით ვკედები — მაგრამ: ჩვენი სიყვარული მოითხოვს ამას.

შენი ნიუთები წინასწარ ფოსტით გამომიგზავნე. წამოიყვანე თან შენი მუსი. წამოიღე ჩემი წერილებიც.

ჩემი ქალიშვილი, ალბათ, წინააღმდეგვი იქნება — მაგრამ მხოლოდ „ფსიქოლოგიურად“. ის ძალიან გონიერია და ჩვენს კავშირს უსიტყვოდ გაიგებს. ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ!

ლექსმა — რომელიც შენ ერთხელ ჩემი რომანის „Die Hüter des Grals“ წაკითხვის მერე დაწერე — უსაზღვროდ გამაბედნიერა. ჩემი მარჯვენა საფეთქელით ვეხები: ვკოცნი შენს მარცხენა საფეთქელს.

გვხვები ძლიერ, ძლიერ და: აუწერელ თრობაში ვართ განუყრელად **ერთად**.

29.IX.1962
მანკა

საყვარულო გიტა!

გუშინ, დღეს ველოდებოდი შენს წერილს. ველოდებოდი დიდი გზნებით ტყუილუბრალოდ. არ მოვიდა. ძალიან დამწუხრებული ვარ. აჟად ხომ არა ხარ? ძალიან დაკავებული გახდი? რა მოხდა? დამაუძღურებელ ეჭვებში ვარ. ვიმედოვნებ, ზევ მივიღებ შენს სტრიქონებს. **ვიმედოვნებ!**

მიიღე ჩემი 22 სექტემბრის წერილი „Tribune de Genève“-ს რეცენზიით ქართული ბალეტის შესახებ? ორჯერ კიდევ წავედი ამ ბალეტზე. **ფანტასტიურია!** სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ. ძალიან დამაბული ვარ: რა შთაბეჭდილებას მოახდენს შენზე.

გუშინწინ საღამოს ნაწლაგები ამტკივდა. ბერი ყურძენი ვჭამე: კანით და კურკებით (უკანოდ და უკურკოდ ისე გემრიელი არაა). თუ არ გავინძროდი, ტკივილს არ ვგრძნობდი, მოძრაობისას კი — ძალიან მტკიოდა. განსაკუთრებით — დალუნვისას. გუშინ ექიმმა ორი მედიკამენტი გამომიწერა.

ემზადები სამგზავროდ? შენი ნახვის სურვილით ვიწვი. არ გრძნობ აქამდე ჩვენი კავშირი გარე სამყაროს მიმართ უნდა მოეგვაროთ და კერძოდ: ისე, როგორც შენთვის იქნება მისაღები. ჩემს თავს სრულიად განდობ შენ. იცოდე: შენი სიტყვა ჩემთვის უბრალოდ კანონი კი არა, არამედ: **ბრძანებაა**. ჩემი **სიტყვის** ალბათ აბსოლუტურად გჯერა!

გქვევით ძლიერ, ძლიერ და **par anticipation imaginative** ვარ **განუფრულად შენთან**.

ამ წერილს სამშაბათს მიიღებ: I ოქტომბერს. მიღებისთანავე მოიწერე. P.S. Weltwoche-ს¹ 21.IX.62. ნოემბრის საქართველოზე დაბეჭდილ სტატიაში აღშფოთებას იწვევს შემდეგი სტროფები საქართველოზე: „ეს შეგვერემანი, მკვირცხლი, უქნარა და ტრაბახა სამხრეთელები — საბჭოთა კავშირის მარსელელები — უთუოდ უაღრესად სიმპათიურები არიან. „უთუოდ“. მადლობა მოწყალე განაჩენისათვის! „უქნარა?“ თუ ასეა, ეს ჩინური სიბრძნის უმაღლესი გაგებით უსაქმურობით დაკავდი და ვველა საქმე შენთან მოვა. „ტრაბახა მარსელელები“. ეს საკითხი სასაცილო იქნებოდა, მტკივნეული რომ არ იყოს. გუშინ რედაქციას დიდი (II ნაბეჭდი გვერდი) საპროტესტო წერილი გაუგზავნე სათაურით **ქართველების საეიზიტო ბარათი**. იცოდე: რაც უფრო აღშფოთებული ვიყავი — იმდენად მშვიდი იყო ჩემი ტონი და ასევე: იმდენად გამანადგურებელი. გამოგზავნიდი ასლს — მაგრამ მალე ჩემთან იქნები. ოო, როგორ მენატრები!

2.X.1962
შენჯა

საყვარელო გიტა!

მივიღე შენი სტრიქონები, 29 სექტემბერს გამოგზავნილი. აღარ იყო უწინდელი სიტყვების „მიშხიდველობა“ (17.IX.62.), რომლებმაც ასეთი ბედნიერება მომიტანა? „კიდევ რამდენი დღე მაშორებს შენგან?“ ეხედავ რა საშინლად დაღლილი ხარ. „10 დღის მანძილზე 12 საათი კატორღული შრომა“. ბოლოს და ბოლოს როდის განთავისუფლდები ამ დაწვევლილი

¹ კულტობა

ეგზისტენციალური გარემოსაგან: როდის ჩამოხვალ ჩემთან? აქ სრულიად უზრუნველად იცხოვრებ. შენ: დახატავ, წაიკითხავ, დაწერ — სიწყნარეში — ყველასაგან ხელშეუშლელად, ჩემგანაც კი. მხოლოდ ხანდახან მოვალ შენთან, იმისათვის, რომ ჩემი მარჯვენა საფეუთქელი შენს მარცხენას ალერსიანად შევახო.

ილია ერენბურგი. ვიცნობ პერსონალურად. როგორც ჟურნალისტი — ნიჭიერი. როგორც რომანისტი — საშუალო. როგორც ადამიანი — არასაიმედო. ვიცნობდი აგრეთვე ოსიპ მანდელშტამს, იმასაც პირადად. სრულიად საწინააღმდეგოდ ერენბურგისაგან — კეთილშობილი. როგორც ლირიკოსი — ძალიან ნიჭიერი. პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე — გამოჩენილი ლირიკოსები: ორივე რეჟიმის მსხვერპლნი — იყვნენ ჩემი ყველაზე ინტიმური მეგობრები. ჩემს რომანში „Die Hüter des Grals“ პაოლო „ოდელიანია“ და ტიციანი „ავალა“. გასაოცარი ადამიანები.

მიხარია შენს გამო: ნახავ ახლა ქართულ ბალეტს. მომწერე შთაბეჭდილებები! ეწერ დიდ სტატიას ამ ბალეტის შესახებ. ჩვენ მას à part¹. გამოუცემთ და რამდენიმე ეგზემპლიარს საქართველოში გაუგზავნით.

ახლა უკეთესად ვარ.

ვიმედოვნებ ძალე ჩამოხვალ. უკვე თავს იჩენს ჩემი მოუთმენლობა. შენ არ იცი როგორ შენატრები.

გებეჯვი და ვართ განუყრელად ერთად.

6. X. 1962

ქენკე²

გიტა: სატრფოვ და დაო!

ჩემს 29 სექტემბრისა და 2 ოქტომბრის წერილებზე შენგან პასუხი არ არის. „12 საათი კატორღული შრომა ყოველდღიურად“ — ეს ბუნებრივია, რალაცას ნიშნავს. მაგრამ მხოლოდ ამით აიხსნება, რომ დაბრკოლდა შენი წერილები? რაიმე ხომ არ იმალება ამის მიღმა? მაპატიე ჩემი შიში —

¹ ცალკე (ფრ.).

ძალიან დავიქანცე. დარწმუნებული იმაში — რომ **სიტყვით** ბედის ვოცირება არ შეიძლება — აღარ ვლაპარაკობ ჩემს წინათგონობაზე. ის ალბათ სწორი არ არის.

ვიმედოვნებ! რაღა მრჩება უშენოდ ამ ქვეყნად? არავინ და არაფერი! ვიმეორებ, რაც უკვე ნათქვამი მაქვს. შენი სიტყვა — ღვთისური! — ჩემთვის უბრალოდ **კანონი** კი არაა, არამედ: პირდაპირ **ბრძანება**. იცოდე ეს!

გეჭვევა ძალიან ძლიერ და **განუყოფლად** შენთანაა —

10.10.1962

ვერვა

ჩემო შეუდარებელო გიტა!

შენ მართალი ხარ. ტყუილად არ უნდა გეგრილიყავი ჟურნალ Slogan-ში¹ მოხვედრილი აზრის კრიტიკისათვის. სიმართლე „შენსკენაა“. ჩემს **ქართველების სავიზიტო ბარათი**-ს დასაწყისში ხომ სწერია: რომ ეს „ბარათი“ პასუხი კი არაა ხსენებულ სტატიასზე, არამედ ცნობა საქართველოს შესახებ ვეროპულ-ამერიკული სამყაროსათვის, სადაც ამ ქვეყანას დღემდე მხოლოდ „თავაზიან“ ეთნოგრაფიულ საკითხად განიხილავენ. ეს შენიშვნა ცოტაოდენ მაშართლებს.

იორგე ლუის ბორგესი. გამიგია. არ ვიცნობ. პარიზიდან მივიღე უაღრესად საინტერესო, მაგრამ ამავე დროს უკიდურესად საშიში წიგნი ლუი პაუელის და ჟაკ ბერჟიეს: „Le matin des magiciens“² ამონაწერი შენს მიერ ნახსენები ბორგესის ნოველიდან „ALPH“³ წიგნის დებულების გასაძლიერებლადაა ციტირებული და თვით ნოველა დახასიათებულია როგორც „გენიალური!“ წიგნიკითხე ამონაწერი. **Aucune trace du génie.**⁴ წიგნში ძალიან მზაკერულადაა წარმართული ღმერთის წინააღმდეგ მოქმედება: ის უბრალოდ გამორიცხულია ფიქრებში. წაიკითხე ამ წიგნს ჩემთან. მასზე ბევრი რამ მაქვს სათქმელი.

1 სლოგან.

2 „ჯადოქრების დილა“ (ფრ.).

3 „ალფ“.

4 გენიოსობის არაეითარი ნიშანწყალი (ფრ.).

„შეძლებ შენს დაბადების დღეზე გულში ჩამიკრა?“ და მერე როგორც
დღეს ორივენი ვიზიემებთ დაბადების დღეს და ჩვენს ახალ კავშირს.
რომელიც აგრეთვე იქნება აუწყრელი სიხარულის დაბადება. მაგრამ
გელოდები უფრო ადრე. ალბათ წამოიყვან შენს მუსის? თუ იცის, რომ
გიყვარვარ? ეჭვიანობს ჩემზე?

გიტა! ვიცი, შენი შშობლები ჩვენი კავშირის წინააღმდეგნი იქნებიან. ხომ
არ იქნებოდა მართებული — ნუ დამცინებ — მათთვის შენი ხელი მეთხოვა?
ისინი ჩვენს კავშირს: თუ არ „დალოცავენ“, უცვლელად მაინც ხომ „დატო-
ვებენ“. მომწერე შენი აზრი! ამით მინდა გადაწყვეტილება გაგიადვილო.
როგორც უკვე გითხარი: ჩვენი კავშირი გარე სამყაროსთან უნდა მოწეს-
რიგდეს და სახელდობრ ისე: როგორც ეს შენთვის იქნება მისაღები (ეწერ
ამ სტრიქონებს და მრცხვენია — გამიგებ. მგონია, რომ შენც შგვრცხვება
ამ სტრიქონების კითხვისას. ეს ბუნებრივია).

ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა: „ადამიანის სიყვარული ნიშნავს: დაინახო ის ისე,
როგორც ღმერთმა ჩაიფიქრა“. გვიყვარს ჩვენ — შენ და მე — ასე ერთმანეთი?!

რა შთაბეჭდილება მოახდინა შენზე ჩვენმა ქართულმა ბალეტმა? როგორ მოე-
წონათ შენიანებს — განსაკუთრებით შენს „ტვისტის მოცეკვავე“ დას?
მაინტერესებს.

გეხვევი იიისე — შენ იცი, როგორც.

13. 10. 1962
გერვა

გიტა: ჩემო მზიურო საცოლევ!

მალე ჩამოხვალ ჩემთან. ვითვლი დღეებს. ვარ მთლიანად შენით აღესილი.
უსიტყვოდ: რათა ამ სისხლის არც ერთი წვეთი ერთი „სასიყვარულო სიტყვით“
არ დაიღვაროს. ამ წერილს მიიღებ სამშაბათს, ძალიან გვიან. საღამოს 10 საათზე
წაიკითხე „Waldgang“¹ „Hüter des Grals“-დან. მეც იმავე დროს წაიკითხე
მას. სიყვარულით ასე მოგეაღერსები საფეთქელთ საფეთქელზე. ჩემი
მზიური ფესვი უკვე გრძნობს შენი ისიდას ლოტოსის დამათრობელ
სიახლოვეს.

¹ სულა ტეფში.

რეცენზია ქართულ ბალეტზე, შენს მიერ გამოგზავნილი. დაწერა ~~სა~~
აღფრთოვანებით მხოლოდ ამ სტროფებმა გამაბრაზეს: „სტილიზებული
კაზაკების ცეკვები“ — ისინი ისევე შემოქმედებენ, როგორც გოგოლის
„ტარას ბულბას“ გამმაგებულ „შენელებულ კინოკადრებში“. რა საერთო
გვაქვს ჩვენ, ქართველებს კაზაკებთან, განსაკუთრებით ტარას ბულბასთან?!
სასაცილოა! ჩვენ ბალეტზე დიდი სტატია დაეწერე (12 ნაბეჭდი გვერდი) à
part დაიბეჭდება და ისე: გაიგზავნება საქართველოში.

გრიგოლი, პოეტი, გეკითხება: იცნობ თუ არა მსოფლიო ლიტერატურაში
ერთ ნაწარმოებს მაინც, სადაც სიყვარულის გამოხატვა „სიყვარულის
ახსნის“ გარეშეა, როგორც ესაა „Waldgang“-ის შემთხვევაში.

15.10.1962

შენვა

გიტა: წყარო ჩემო!

შენი 12 ოქტომბერს გამოგზავნილი წერილი ხელმოწერილია: „შენი
წყარო“. რა სიხარულია! სწორედ „წყაროში“ ვარ შეყვარებული. ამასთან
გერმანული სიტყვა: „წყარო!“ იერარქიული ფონეტიკის მიხედვით ყველაზე
საუკეთესო სიტყვაა სხვა ენების შესაბამის სიტყვებს შორის. მას ალბათ
ქართული **ენგაღი** თუ შეეჯიბრება. და მთავარი. შენი წერილიდან შევიტყვე:
რომ **წყარო** და **ქალი** ებრაულად სინონიმები ყოფილა! ახლა კი ჩემი
სიხარული უსაზღვროა. ე.ი. ჩემთვის ხარ: წყარო: ქალი.

„ალტაცებული ვარ შენი ოპტიმიზმით: არ ფიქრობ ჩვენს რისკზე?“ რატომ
არ უნდა ვიყო „ოპტიმისტი“, როცა შენისთანა „წყაროს“ ვფლობ?! მხოლოდ
ერთი რამ მცირედ მადლეკებს, ძალიან ხნიერი ვარ შენთვის. შესაძლოა
ამის გამო შენში ქალურობა დაიჩაგროს. მაგრამ. შენ სიყვარულის „ძებნისას“
უძველეს დროში შემხვდი — მე კი სამუდამოდ ვპოვე ჩემი თავი შენს
სიყვარულში. ასე რომ, ჩვენი სიყვარული უფრო ზებუნებრივიდან წარმოიშვა,
ვიდრე ბუნებრივიდან. ზებუნებრივში კი ასაკობრივ განსხვავებას დიდი
მნიშვნელობა არა აქვს. ეს მაიმედებს. უშიშრად გავყურებ მომავალს. ძალიან
შორს. სხვა დანარჩენს იმ უხილავ მისტიურ **რადაცას** მივანდობ, რომელმაც
ჩვენ წინასწარ მიგაკავთუნა ერთმანეთს. ის იზრუნებს ჩვენთვის.

შენ? თუ იფიქრე ჩვენს რისკზე? თუ კი, მიახმე ამის შესახებ!

„რატომ უნდა მეცინა შენს შეკითხვაზე?“ კარგია, ძალიან კარგია შენი შეკითხვა! მხოლოდ გინდა, რომ ამაზე უფრო დიდხანს იფიქრო. მერე შემატყობინებ.

ე.ი. უფრო ადრე ვერ ჩამოდიხარ! მაგრამ ჩემი დაბადების დღისთვის ხომ ნამდვილად ჩამოხვალ! ამ დღეს ეიზენშტეინმა ჩვენს ახალ კავშირს.

ე.ი. შენ საყვარელ მუსის ვერ ჩამოიყვან! რა ძნელი იქნება შენთვის მასთან დაშორება! ვინ იზრუნებს მასზე ვენაში?

პაულსისა და ბერჟესს შესახებ — შემდეგში.

ჩემო მოჩუჩხუხე „წყარო!“ ვერ გრძნობ როგორ მენატრები, როგორ გკლოდები?! შენ: ჩემო სიცოცხლის — წყარო!

18. 10. 1962

შენკა

გიტა: მზეო ჩემო, „წყარო“ ჩემო!

შენი მშობლებისათვის განკუთვნილი ჩემი წერილი მზადაა. ის ასე უღერს: პატრიცემულო გრაფინია და გრაფ ფარალდ შტრახვიტც!

მოგმართავთ: გიტას მშობლებს შემდეგი აღსარებით.

ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს: გიტას და მე. ჩვენი სიყვარული ისე განუზომლად ღრმაა, რომ ვერავითარი მიწიერი ძალა ვერ შეარყევს. თვით სიკვდილიც ვერ დაგვაშორებს ერთმანეთს, რადგანაც: სამუდამოდ ვართ მისტიურად დაქორწინებულნი. „მისტიურად დაქორწინებულნი“. ამით აიხსნება, რომ არცთუ იშვიათად თავს და-ძმანვით ვგრძნობთ.

ვალღარებ, რომ ნებისმიერი მესამე ადამიანი — რადგანაც გიტასათვის ძალიან ხნიერი ვარ — ჩვენს სიყვარულს არაბუნებრივად მიიჩნევს. მაგრამ, გიტასეული სიზმრით მე მას, როგორც სიყვარულს, უძველეს დროში შევხვდი — მე კი, ჩემი თავი სამუდამოდ ვპოვე მის სიყვარულში. ასე რომ, ჩვენი სიყვარული უფრო ზეგრძნობადზეა დაფუძნებული, ვიდრე გრძნობადზე. აქ კი ასაკობრივ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

ახლა გადუწყვეტეთ: ჩვენი სიყვარული ქორწინებით დუკანონოთ ვიცი, თქვენთვის ფსიქოლოგიურად ძნელი იქნება ეს მოიწონოთ და ვერც გაგებდებ.



გთხოვოთ. ერთს კი მაინც მოველი თქვენგან: რომ საკუთარ გულეში ჩვენი წინება არ „შეჩვენოთ“. დიახ, მე ვიმედოვნებ ამას, განსაკუთრებით გიტას გამო.

გიტა გენიალური არსებაა. ჩემთვის კიდევ უფრო მეტია: საოცარი საჩუქარი. ჩემი გული გადაშლილია თავისებურ გრაალის თასად, რომელშიც გიტა ყოველთვის იპოვის სიკეთეს და მფარველობას. ეს ჩემი პატიოსანი სიტყვაა. ეს ჩემი რაინდული ფიცია!

*ნათესაობის გრძნობით
თქვენი*

როგორ მოგწონს ეს ტექსტი? თუ რაიმე შესასწორებელია — გამაგებინე. ზევ ჩვენი ქორწინების შესახებ შევატყობინებ ჩემს ქალიშვილს. როგორც უკვე მოგწერე, ის ალბათ, ფსიქოლოგიურად, ჩვენი კავშირის წინააღმდეგი იქნება — მაგრამ: ის ძალიან ჭკვიანია და ყველაფერს გაიგებს. საერთოდ კი, მე აქ სულ მცირედითაც კი არაუვისზე არა ვარ დამოკიდებული.

გეზგევა შენი, შენით ასე დასაჩუქრებული, ასე გაბედნიერებული კაცი —

*19.10.1962
გეგვა*

გიტა: მზეო ჩემო, „წყარო“ ჩემო!

შენ მე როგორც საყვარელი, „ზებუნებრივში“ უძველეს დროში ერთხელ ისე განმიცადე, რომ მე ღრმად, ღრმად ვიყავი დარწმუნებული: „ზებუნებრივი“ შენში „ბუნებრივს“ დაძლევდა. 17 ოქტომბრის წერილის მერე ეს ისე აღარ მჯერა. ამბობ: „ჩემი სადარდებელია: ვაითუ ერთ დღეს „ბუნებრივი“ უფრო ძლიერი აღმოჩნდეს, ვიდრე „ზებუნებრივი?“ ასეთ შემთხვევაში შეგიძლია ჩამომშორდე. ამაზე ნუ ფიქრობ. შენ ჩემგან ჩამოშორებული იქნები „ბუნებრივში“ და არასოდეს „ზებუნებრივში“. იქ ჩვენ თვით სიკვდილიც ვერ დაგვაშორებს. რა თქმა უნდა, ძალიან დავიტანჯუბოდი, მაგრამ შენი გულისათვის რას არ გადავიტანდი. გარდა ამისა: ჩემი წლები დათვლილია.

ჩემი გარდაცვალების შემდეგ, შენ ისევ ახალგაზრდა ქალი „ბუნებრივმზნობრივად“ თავისუფალი იქნები.

„მშვენიერებაში ცხოვრება, მშვენიერებით თავის გარემოცვა, ჩემთვის უდიდესი მოთხოვნაა“. როგორ ვწუხვარ, რომ არ მაქვს შესაძლებლობა ეს „მშვენიერების — ჩარჩო“ შევიქმნა! შენ იცი ჩემი მდგომარეობა.

ასეთია ჩემი გულითადი პასუხი. სავსებით უუერთდები შენს სიტყვებს: „მივანდოთ ეს მომავალ, კვლავ ერთმანეთის პოვნას!“ სავსე ვარ რწმენით. წამოილე პასპორტი. გარდა ამისა იკითხე მშაჩის ბიუროში: ქორწინებისათვის კიდევ რაიმე ქალაქი ხომ არ არის საჭირო.

გეხვევი ძლიერ დაუსრულებლად

შენი „დიონისო“:

შემარქვი „დიონისო“. ხომ არ გაგახსენო, რომ „დიონისო“ წამებული ღმერთი იყო?!

23.10.1962

გენკა

გიტა: მზეო ჩემო, „წყარო“ ჩემო!

დღეს საღამოს, 9 საათზე: შენი მონატრების უეცარი, საშინელი შეტევა. ტელეფონი. ჩემი თანამემამულე თავადი ჩხოტუა, ლოზანადან. „საერთაშორისო მდგომარეობა: კატასტროფული“. შენი მონატრება უფსკრულივით ღრმავდება. „ალბათ ველარასოდეს ვნახავ ჩემს გიტას“. ელვასავით გამიელვებს აზრი სხეულის ყოველ ნაკვთში. გიკვივით გირეკავ ტელეფონთან მოდის შენი დედა (ლამაზი ხმა. მულაპარაკება სიყვარულით მადლობა მას!) გიტა სახლში არაა. ვაძლევ მას ჩემს ტელეფონის ნომერს. მაღალი სიცხე. ცეცხლმოკიდებულებით ველოდები შენს ხარს. გულისცემად ვარ ქცეული. გადის ერთი საათი. ტელეფონი. მესმის შენი ხმა. ასე საყვარელი. რაღაცას ვლულულულებ. შენ მაწყნარებ. პერე გეკითხები: „ჩამოხვალ ჩემს დაბადების დღეს?“ შენ: „იძულებული ვარ შენთან ჩამოსვლა კიდევ ერთხელ გადავდო“. ტკივილი. ტკივილი. ტკივილი. „10 ნოემბრამდე ხომ ჩამოხვალ?“ „კი!“ „ნამდვილად?“ „ჰე მგონი“. ვმშვიდდები. მაგრამ, მაგრამ: **გულო, რატომ**

სცემ ასე მოუსვენრად?! ჩემში მყოფი დემონი — „დემონი“ ანტიკური
გაგებით — მეუბნება: „გრიგოლ, ხომ ხარ არაადამიანურად ძლიერი?!“
მესმის — მაგრამ გული?

შენ იცი როგორ მიყვარხარ. ერთი რამ კი არ იცი: მიყვარხარ უფრო
მეტად შენთვის, ვიდრე ჩემთვის: ნიუანსი თავისთავად მეტყველებს.

გჭკვევა დაუსრულებლად ძლიერ

გრიგოლი.

(შენი წამებულო „დიონისო“)

გფარვიდეს ღამსარი!

26.10.1962

გუნკვა

გიტა: შუო ჩემო, „წყარო“ ჩემო!

1. ეტყობა კარგი შეკვეთა მიგიღია. გინდა შენვევაში „რალაც კაპიტალით“
ჩამოხვიდე? ამ მიზეზით უფრო ადრე ვერ ჩამოდიხარ: ყველაფერი სავსებით,
ულაპარაკოდ მესმის.

2. გიგზავნი წერილს შენი მშობლებისათვის გადასაცემად. თუ მიიჩნევ,
რომ ტექსტი კიდევ შესასწორებელია, კონკრეტული შენიშვნებით უკან
გამომიგზავნე. უფრო მარტეად — ე.ი. ყოველგვარი „მისტიკის“ გარეშე
— ვერ შეეძელი დამეწერა.

3. ამბობ: „ხანდახან ვფიქრობ, რომ შენ ალბათ მთლად კარგად არა გაქვს
შგნებული რას ნიშნავს ჩემთვის გადაწყვეტილება, შვეკერიოთი ჩემი და შენი
ცხოვრება“. დარწმუნებული ვარ: რომ სრულიად კარგად მესმის. დაწერი-
ლებით ამის შესახებ — ზეგ. გარდა ამისა. დაეიწყე ჩვენი სიყვარულის მოკლე
ბიოგრაფიის წერა. იქ ყველაფერი ნათლად იქნება გამოხატული.

4. უკვე ვაცნობე ჩვენი ქორწინების შესახებ ჩემს ქალიშვილს. დღეს
მოვიდა პასუხი (ამჯერად მომწერა გერმანულად). უკიდურესად გაკვირ-
ვებულია. მისი აზრი: ეჭვნიება, რომ ჩვენ, მე და შენ, ერთმანეთს ახლოს არ

ვიცნობთ — (მიუხედავად იმისა, რომ მას ჩვენი სიყვარულის ისტორია დაწერილებით აუწერე). მას მიაჩნია, რომ ჩვენი გადაწყვეტილება საკმაოდ სახიფათოა. ისე კი ლოცავს მას. „სავერიო (მისი ქმარი) და მე აქედან გისურვებთ ყოველივე კარგს შენი გადაწყვეტილებისათვის და ძალიან ვიმედოვნებთ, რომ ის მოგიტანს ყველაფერს, რასაც მოული“. კარგია!

5. ყველაფერი უკამბე ჩემი ქალიშვილის შგობარს. ძალიან გონიერი ახალგაზრდა ქალია, გათხოვილია ესპანელზე, თვითონ რუსია (ჩემი ქალიშვილიც, თუ გახსოვს, რუსია: ნაშვილებია, ჩემი გარდაცვლილი მეუღლის დისშვილია). ის ალტაცებულია შენით, ჩემი წარდგინების მიხედვით და მას ახარებს ჩემი ამბავი. დაწერილებით — პირისპირ გეხვევა დაუსრულებლად ძლიერ

შენი „დიონისო“

კრიკოლი („დიონისო“: დღეს შენს საწოლში)

28.10.1962

ქნევა

*L'amor che muove il
sole es l'altre stelle.*

Dante'

გიტა: მზეო ჩემო, წყარო ჩემო!

ახლა ჩემს დაბადების დღეს უზეიმობ. მაკლიხარ. მაგრამ: პნემატიკურად ყოველთვის ჩემს გვერდითა ხარ. განსაკუთრებით ამ წუთში. გვრძნობ სუნთქვასავით ახლოს, ჩემო საყვარელო.

ცოტა ხნის წინათ გწერდი: რომ ჩვენი სიყვარული უფრო ზგვრძნობად ბუნებაზეა დაფუძნებული, ვიდრე გრძნობადზე — აქ კი ასაკობრივ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. შენ მიპასუხე: „ჩემი შენდამი

1 „რომ სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამობრავებს ამ მშვენიერ ციურ ცდომილებს“.

დატე

თარგმანი ეკუთვნის კ. ჭიჭინაძეს კ. გამსახურდიას მიერ შესრულებული პნემატიკის მიხედვით „ღვთაებრივი კომედია“. „ჯოჯოხეთი“. ქება პირველი. კ. გამსახურდია. ტ. VIII. გვ. 385. 1967 წ.

სიყვარული მეტ ზებუნებრიობას მოითხოვს, ვიდრე შენი ჩემდამი“. მიზეზი საშიშროებაშია: „ვაითუ ერთ დღეს „ბუნებრივი“ (ჩემში) უფრო ძლიერი აღმოჩნდეს, ვიდრე „ზებუნებრივი?“ უსაზღვროდ დახვეწილად, ამასთან უაღრესად ზუსტადაა ნათქვამი! მაგრამ მეორეს მხრივ კი: იმისათვის, რომ ერთ დღეს „ბუნებრივმა“ შენში უფრო ძლიერ არ იჩინოს თავი, ვიდრე — „ზებუნებრივმა“, ჩემი შენდამი სიყვარული მოითხოვს მეტ „ზებუნებრიობას“, ვიდრე შენი ჩემდამი. ეს დღესავეით ნათელია.

მწერ — „ლონემიხილი ვიყავი ერთი საშინელი სიზმრის გამო, მესიზმრებოდა, რომ აღარ გინდოდა სიცოცხლე ჩემს გარეშე“ („ჩემს გარეშე“: გასაგებია: ემპირიულად). ამჯერად სიზმარმა შეცდომაში შევიყვანა — მხოლოდ ამჯერად. თუ ოდესმე უშენოდ (ემპირიულად) სიცოცხლე არ მენდომებოდა, ეს იქნებოდა იმის ნიშანი, რომ „ზებუნებრივში“ განუყოფლად დაკავშირებული არ ვიქნებით. გარდა ამისა. უარყოფილი მოვალეობას, მთლიანად შემესრულებინა ამქვეყნიური ჩემი მისია. და ბოლოს: ხელი უნდა ამელო წმინდა განზრახვაზე, მივანდო უკანასკნელი ამოსუნთქვა მხოლოდ ჩემ — შექმნელს.

შენთან დაშორებული „ბუნებრივში“ ნამდვილად უსაზღვროდ დაიტიანჯებოდი. მაგრამ შენი გულისათვის რას არ გადავიტანდი. გახსოვს ჩემი სიტყვები: „შენთვის უფრო მიყვარხარ, ვიდრე ჩემთვის?“ მეორეს მხრივ „ბუნებრივში“ ჩემთან დაშორებული უსაზღვროდ დაიტიანჯები, უფრო მეტად, ვიდრე მე, რადგანაც ჩემთან ერთად „ზებუნებრივში“ განუყოფლად ყოფნა და „ბუნებრივში“ კი სხვასთან ცხოვრება სრულიად განადგურდება.

ასეა ჩვენი სიყვარული წმინდა სიმკაცრით პნევმატოლოგიურად დანახული. რა ვქნათ?

ჩვენი სიყვარული მალლიდან მოდის და იქიდანაა განსაზღვრული. ეს შენ უკეთ იცი, ვიდრე მე. სიტყვები შენი წერილი — „ფიქრიდან“ — „ეგრძობ ჩვენზე მფარველი ძალის მოქმედებას“ — ამაზე მიუთითებენ. სრული სიცხადეა, ამის მიუხედავად და ამიტომაც, ჩვენი სიყვარული მისტერიაა, ეს არის ქმედებად ქცეული საიდუმლო. როგორც ბოძებული მაღალი წყალობა, ჩვენი სიყვარული ამავე დროს მაღალი ვალდებულებაცაა. ასე ვართ ორივენი მოწოდებულნი შევასრულოთ ეს დავალება (ერთხელ მოგწერე: ჩვენი სიყვარული

პირადულზე მალლა დგას). შეეძლებოთ კი ჩვენ ეს დავალება შევასრულოთ?
ეფიქრობ: კი. ნიცშეს სიტყვები: „რაც ვერ მანადგურებს, მაძლიერებს“ —
შეგვიძლია ჩვენზე ვთქვათ ჩვენ ძლიერები ვართ, ძალ-ღონით სავსე.

ერთი კი უნდა დავსძინო. შენთვის, როგორც ქალისათვის ამ დავალების
შესრულება ისე ადვილი არ იქნება, როგორც ჩემთვის. ერთხელ გითხარი:
გერმანული ენა გენიალურად წვდება „კაცის“ და „ქალის“ ფენომენის არსს,
იმით, რომ ის ამბობს: „der“¹ see (კაცი: შემოსაზღვრული) — „die“² see
(ქალი: უსაზღვრო). შენში ქალური, რაღაც ეშმაკურის კვალიც კი არაა.
განა შენში ზღვა არ იჩენს თავს? შეძლებ დაძლიო ეს უსაზღვრო ქალურობა?
ჩემთვის საოცარი საჩუქარი, თავად საოცრება ხარ. მჯერა ამ საოცრების,
ეს ნიშნავს: მჯერა შენი ძალების (Nota bone.³ ჩემი რწმენის ძალა
არაჩვეულებრივი ბუნებისაა. მოწაფეობის დროს ორჯერ შევეცადე მკვდარი
გამეცოცხლებინა. მთელი დღეები მხოლოდ ლოცვად ვიყავი ქცეული.
ბუნებრივია არ გამიმართლა. მაგრამ გული არ გამტკბია. მხოლოდ ჩემ თავს
ვეუბნებოდი: ძალები არ გეყო): ჰო, მე მჯერა შენი, გიტა. სასწაულმოქმედად
გააძლიერა ჩემი რწმენა შენმა 25 ოქტომბრის წერილმა, რომელშიც მოციქულის
სიტყვები მოგაყავს: რომაელთა მიმართ: VIII 9, 14. ენით აუწერელი ბუნდოვნება
ჩემთვის და შენთვის ჩვენი სიყვარული ამავე დროს გამოცდაცაა შენთვის.
შენ მას დაძლეე.

შეგიძლია ზემოთქმულის შერე შენი დაეჭვება — „ხანდახან ეფიქრობ
მთლად კარგად არა გაქვს გააზრებული, რას ნიშნავს ჩემთვის გადაწყვე-
ტილება, შევყერთო ჩემი ცხოვრება შენს ცხოვრებასთან“ — შეგიძლია ეს
დაეჭვება კიდევ გაიმეორო?

ახლა ისევ ჩვენს სიყვარულზე. ვანთებ სანთლებს. დგახარ ჩემთან ძალიან
ახლოს. მხრით ჩემს მხართან. ელოცულობთ. უეცრად ვგრძობ, როგორ
გიცახცახებს მხრები. ნაზად გაბრუნებ ჩემსკენ და შენს თვალებში ეხედავ
ორ დიდ ცრემლს. „დაიკო, ძვირფასო დაიკო, ალბათ მნელია შენს საოცარ
სიყვარულში ჩემთვის „წყარო“ გახდე?“ უეცრად მეხვევი. მესმის ჩემთვის
ასე საყვარელი ხმა: „შენ, შენ! დამშვიდდი! შენი ვარ: შენი და, შენი საყვარელი

1 მამრობითი სქესის არტიკლი.
2 მდედრობითი სქესის არტიკლი.
3 მთაქციე ყურადღება.

და ამიერიდან: შენი წყარო!“ ინტონაციაში „ამიერიდან“ წარმოთქმისას მეჩვენება, თითქოს შენს თავს, როგორც „წყაროს“, წმინდა მსხვერპლად მთავაზობ. ნეტარებით გაოგნებული მუხლებზე ვეცემი, რომ თავყანისცემით მუხლებზე მოგეხვიო. სრული მეტანიის მდგომარეობაში ვარ. მერე ვდგები და გეხვევი. შენც მტყვევი. ჩემი გული ერთვის შენსას. შენი გული ერთვის ჩემსას. ორივე იქცევა ერთ გულისხგერად. ჩვენ განუყოფლები ვართ. ჩვენი ქორწინების აქტი შესრულებულია. ამინ!

31.10.1962

ქნ:ჟა

გიტა: მზეო ჩემო, წყარო ჩემო!

ათასი ბოდიში! შენი გადაწყვეტილება საბოლოოდ მივიჩნევ. გარდა ამისა ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს გამოგიგზავნე სასწრაფო წერილი. გწერდი: „ზეგ ვაცნობებ ჩემს ქალიშვილს ჩვენი ქორწინების ამბავს“. რატომ მაინცდამაინც — „ზეგ?“ ვიფიქრე: თუ გიტა ამ მოსალოდნელ განცხადებას არ ეთანხმება, შაბათს დეპეშით მაცნობებს. „შაბათს“ — რადგან წერილიც ყველაზე გვიან შაბათს ჩამოვიდოდა. დეპეშა არ მოვიდა, მიეწერე ჩემს ქალიშვილს. მაგრამ ასე კი არ დაეწერე: „ეკორწინდები“, არამედ, „მოსალოდნელია ქორწინება“. ეს ნიუანსი, პატარა რა თქმა უნდა: თავისთავად მეტყველებს. ჩემი ქალიშვილის მეგობარს ვუთხარი: „მან (ე.ი. შენ) შეიძლება გადაიფიქროს“. ათასი ბოდიში, ჩემო გიტა! ე.ი. მალე ჩამოხვალ და დაწვრილებით მოვილაპარაკებთ იფავი სრულიად მშვიდად! „შენთან იმისათვის მოვიდვარ, რომ შენთან ვიყო. სხვა ყველაფერი უმნიშვნელო უნდა იყოს“. გეთანხმები თავიდან ბოლომდე. სრულიად!

ჩემი 28 ოქტომბრის წერილი ალბათ უკვე მიიღე. ამ წერილს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. შეასწორე, გეთავვა, სიტყვები დანტყდან: „es“-ის ნაცვლად „e“. პირველი გვერდი. „უსახლეროდ დახვეწილად, როგორც... „აქ უნდა ჩაემატოს: „აგრეთვე“. გვ. 2, სტრ. 2. წერია „გახსოვს...“, აკლია „შენ“. შენიშვნა სიტყვაზე „METANOLA“ ითარგმნება, მაგ. ლუთერთან: „მონანიება“. ქართული ეკლესია, რომელიც უფრო ძველია, ვიდრე ლუთერი

და სხვები, „Metanda!“-ში გულისხმობს: წმინდა პატერის მიგებას უზენაეს სისაღმი, გამოხატულს მუხლებზე დაცემით. მე ვიხმარე ეს შესანიშნავი სიტყვა უზენაესისაღმი თავგანწირვის მნიშვნელობით.

გვხვევი დაუსრულებლად ძლიერ შენი —

3.11.1962

შენკვა

გიტა: მზეო ჩემო, წყარო ჩემო!

დამაბული ვარ — როგორ რეაგირებას მოახდენ 28 ოქტომბრის ყველაზე მნიშვნელოვან წერილზე. ალბათ გამგზავრების სამზადისი დიდ დროს გართმევს — თორემ დღეს შენს წერილს მივიღებდი.

შენი მიზეზით თავს სრულიად განახლებულად ვგრძნობ. უფრო მეტიც: შენი სიყვარულის წყალობით ამ დღეებში სრულად და მთლიანად შევიცანი ჩემი მისია ამ ქვეყნად. „მისია“. ეზალტირებული? შემძლია მხოლოდ გავიმეორო, რაც გოეთემ ეკრმანთან საუბარში თქვა: „მე ხომ თავი ჩემი არ შემეიქმნია!“ ეს საკმარისია.

ჩემი ხელები, რომლებიც მალე მკერდში ჩაგიკრავენ, ახლა ფრთებია მზის ჩიტის: არწივის. ისინი შენ მზისკენ წაგიყვანენ. შენ ხომ ნაწილი ხარ მისი: მზეო ჩემო!

გუშინ წაეკითხე, რომ შენი სახელი ებრაულად „სიმაღლეს“ ნიშნავს. ეს ისედაც ვიცოდი.

იცოდე, ჩემო ლეთიურო მგობარო: ჩემთვის ხარ წყარო ბრწყინების გარეშე. გვხვევა ძლიერ დაუსრულებლად შენი —

P.S. წამოიღე ის ინდური ჩაი.

ჩემო შეუდარებელი გიტა!

მხოლოდ შენ შევიძლია „ჩაწვდე“ ამ ფანტაზიასთან ნაზიარებ ამბავს.

ბიჭი სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში (დასავლეთ საქართველო). ერთ დღეს ის დაავადდა ტიფის უძძიმესი ფორმით მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. სიკვდილის პირას უგონოდ იბრძვის სიცოცხლისათვის. მამამ და ბიძამ გადაწყვიტეს: ბიჭი მაშინვე წაიყვანონ ქალაქიდან სახლში, რომ იქ სიკვდილის შემდგომ მშობლიური სოფლის მიწას მიაბარონ.

შეუთხვა. უფრო ჭკვიანური არ იქნებოდა მოძაკვდვის აღსასრულს საუკდმყოფოში დალოდებოდნენ, ვიდრე შესდგომოდნენ საბედისწერო მგზავრობას? (როდესაც ამბობენ „უიმედოა“ — სასწაულზე იმედოვნებენ!) პასუხი. ბიჭის მამას და ბიძას სასწაულის იმედი აღარ აქვთ მათი ერთადერთი საზრუნავი ესაა: თუ აუადმყოფი ქალაქში გარდაიცვლება, მაშინ მიცვალებულის გადატანის ნებართვა ქალაქის მესვეურებისაგან უნდა მიიღონ: ეს კი მათ ძალიან ძნელად მიაჩნიათ. წუთიც აღარ უნდა დაკარგონ! ახლავე უნდა იმოქმედონ!

მაგრამ როგორ წაიყვანონ აუადმყოფი საუკდმყოფოდან? მათ მოისყიდეს მკველი. ის თურება. უკვე ღრმა ძილით სძინავს. ბავშვი გამოაპარებს.

წენარი გვიანი ღამე. ქალაქს სძინავს. ისინი ჩრდილებით მიდიან: მამა ფეხით, ბიძა ცხენზე. წინ უნაგირზე გადაწოლილი უჭირავს უგონო ბავშვი. ღამის გასათევი — ქალაქიდან 7 კილომეტრზე. აქ უნდათ რომ შეისვენონ. ჩამოხტა თუ არა ცხენიდან ბიძა ბავშვით ხელში-ო. საოცრება — ბავშვი გონზე მოდის?! მეორე დღეს — ეს უკვე ფანტასტიურზე მეტია — ბიჭი სრულიად ჯანმრთელი და გაბრწყინებული ზის საყვარელ ცხენზე!

Mysterium tremendum! ეს ბიჭი — უკვე ხვლები — შენი გრიგოლია. ის ჭბვევა შენს ფეხებს და მუხლებს გიჟოცნის. ასე იქმნება ის ჩემი შენდამი სიყვარულის ფორმად. უფრო მეტი. ეს სასწაული ბევრს მოჰყენს ნათელს შენი უძველესი გრიგოლის — განცდებში. სახელდობრ რას? ამას უკვთ გამოიცნობ, როცა საყვარულად მიგანიშნებ.

იყავი დალოცვილი: მზეო ჩემო, „წყაროვ“ ჩემო!

გიტა: შხო ჩემო, წყარო ჩემო!

მწერდი: „ვიმედოვნებ თუ რაიმე არ მოხდა, ათისთვის ბოლოს და ბოლოს, შენთან ვიქნები“ (28.10.62.) 4 ნოემბრის წერილში კი ამაზე ერთი სიტყვა აღარაა! სამწუხაროა.

„Die see“. დაწერილებით ამაზე პირისპირ ვილაპარაკებთ. სხვაგვარად არ შეიძლება. პრობლემა რთულია.

„Smara“.¹ არ ვიცნობ. ნახატი შესანიშნავია, შესანიშნავი!

ახლა ორ რჩეულ წიგნს ვკითხულობ: რუდოლფ ოტტოს „Das Heilige“² და ჰაინრიხ ციმერის „Das ewige Indien“³. ალბათ იცნობ ამ წიგნებს — შენ ისეთი ნაკითხი ხარ!

წიგნის „Le matin des magiciens“ ჩემი კრიტიკა უკვე შხადაა. აქ წაკითხავ.

გიტა! ნუ გეშინია! ვფლობ ორივესათვის გარანტირებულ საარსებო მინიმუმს. დანარჩენი თავისით მოვა. მე როგორც მწერალი, შენ როგორც მხატვარი — რაიმეს ხომ გამოვიმუშაებთ! ჩვენ, რა თქმა უნდა, მომჭირნედ ვიცხოვრებთ. მაგრამ: რაა ეს ჩვენი სიყვარულის **შინაგან** სიმდიდრესთან შედარებით, რომლითაც დაუტკებით?!

ჩემი დის სურვილით ამ დღეებში სურათი გადავიღე. დღეს მინდა **une pièce**⁴ გამოგიგზვნო. მაგრამ ერთი გაურკვეველი გრძნობა მაკაეებს. სურათზე წარმოუდგენლად გაახალგაზრდავებული გამოვიყურები. ეს გრძნობა ესაზღვრება — **გაუგებარია** — „სირცხვილს“. რა თქმა უნდა, უაზრობაა! ალბათ შეძლებ ამის ახსნას!

„შენი მგზნებარე გული ჩემთვის მზის ანარეკლად ქცეული ენით აუწერლად მიყვარს“ (ბედნიერი ვარ, ბედნიერი — ყვირის ჩემი გული). შეეძლებ მე როგორც „წყარო“ ისეთივე ბედნიერების ჩუქებას?“ ამაში ერთი

1 „სმარა“.

2 „წმინდანი“.

3 „პარადიული ინდოეთი“.

4 ერთი ცალი.

წამითაც არ შეპარება ვეჭვი! შენ, შენ!
გეჭვევა ძლიერ შენს სიყვარულში
განახლებული შენი —

17.11.1962

შენგა

გიტა: მზეო ჩემო, „წყაროვ“ ჩემო!

ამ კვირაში შენთვის ცნობილმა შიშმა კვლავ ძლიერ შემიპყრო: შიშმა შენს გამო. ხელშესახებად ვგრძნობდი, არ იყავი კარგად არც ფიზიკურად, არც სულიერად. შენმა 13 ნოემბრის წერილმა ეს სრულიად დამიდასტურა. ხარ დაღლილი, დაძაბული, ძალღონეგამოცლილი. გთხოვ: მოერიდო გადაღლას! თორემ depression nerveuse“-ს¹ „მოიმკი“ — რაც ძალიან საშიშია. სწუხარ იმაზე, რომ იძულებული ხარ ჩემთან ჩამოსვლა კიდევ ერთხელ გადადო. დამშვიდდი! მაშინ ჩამოხვალ — როცა **შექდებ**. ჩამოხვალ: რომ ჩემთან დარჩე სამუდამოდ. ესაა არსებითი. ჩვენი ბავშვი იქნება ჩვენზე სიყვარული გამოხატული მარადიულ დაბადებაში. ამ მარადიულობაში შენ გაიფურჩქნები, როგორც ღვთიური ყვავილი — მე შევასრულებ ჩემს მისიას ამ ქვეყნად. ღმერთმა დაგვლოცოს!

„შენთან რომ ხელმოკლე ცხოვრება მექნება — არ მაშინებს. არჩევანი შეგნებულად გავაკეთე. გიამბე შენვიდან უკან დაბრუნებისას ერთმა 38 წლის, ექვსი ენის მცოდნე, ბრწყინვალე მდგომარეობის, კარგი გარეგნობის ამერიკელმა დაქორწინება რომ შემომთავაზა? ივლისში კი ხელი მთხოვა 60 წლის ყოფილმა დიპლომატმა, არისტოკრატმა, კარგად მოვლილმა. განა ბედი უცნაური არაა? არჩევანის საშუალება მომცა!“² იმ ამერიკელზე გამიგია — მის მიერ შენი ხელის თხოვნა ალბათ ჩემს Mneme-ს² მოსწყდა. შენ მაინც ის აირჩიე, ვინც მისტიურად როგორც შეყვარებული უძველეს დროში განიცადა. აღელვებული ვკითხულობ ამ სტრიქონებს. ახლა კი მე, პოეტს, ნამდვილად არ მყოფნის სიტყვები ჩემი გრძნობების გამოსახატავად. უსიტყვოდ გეჭვევი: და მაშინ, როცა შენს ქალწულებრივ მკერდს „ვეწაფები“.

¹ ნერვული დეპრესია (ფრ.).

² ხსენა, მახსოვრება (ფრ.).



დაუსრულებლად კოცნი შენს გულს, იმავე დროს ჩემი მარჯვენა მხარე გრძნობს, თუ როგორ სიყვარულით ეაღვრება მას შენი ასე დაღლილი, ასე გრძელი მარჯვენა (უნდა ითქვას, ჩემს შენდამი სიყვარულს არაფერი მოაკლდებოდა იმ ორიდან ერთ-ერთზე რომ გათხოვილიყავი, რადგან შენ მე შენთვის უფრო მიყვარხარ, ვიდრე ჩემთვის. თუმცა, უნდა დაეძინო, რომ სიყვარული მსუბუქი ნაღველით გახდებოდა მოცული).

ამ დღეებში ერთმა ჩემმა მეგობარმა ასმინ ზიგრისტმა, დახვეწილმა ლირიკოსმა (ციურიხი-ცოლიკონი) მომწერა: „ორმაგი სიხარული მომანიჭეთ თქვენი ფოტო რომ გამომიგზავნეთ ჯერ ერთი, თავად გამოგზავნამ გამახარა, მეორე, ისე კარგად და ჯანმრთელად გამოიყურებით, რომ ნამდვილად შეიძლება ირწმუნო გაახალგაზრდავება!“ შენ იცი, ვისაც უნდა უუმაღლოდ ამას. ასე რომ, დღეს ვბედავ და გიგზავნი ამ სურათს (შენ იცი, რას ვწერდი ამის შესახებ). არცერთ ფოტოსურათს ისე არ „მოუხიბლობარ“, როგორც ამას. რით აიხსნება ეს? ალბათ იმით, რომ გადაღებისას მხოლოდ შენზე ვფიქრობდი.

მალე ნახვამდე. გჯევეა ton mari éternel.

ტიციან ტაბიძის ეპისტოლარული მეგობრობიდან

(საოჯახო წერილები)

მნიშვნელოვან შემოქმედთა პირადი ცხოვრება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. მიზეზიც გასაკებია: თავისი არაორდინარული ბუნების გამო ეს ადამიანები ჩვეულებრივ მოკვდავთა თვალში უჩვეულოდ გამოიყურებიან: მათ თითქოს ნაკლებად აღელვებთ მიწიერი ყოფა, აღსავსე უამრავი „წერილმანი“ პრობლემით და მხოლოდ ირეალური სამყარო იზიდავთ მათივე ღრმა რწმენით, გარშემო მყოფთა შორის ყოველთვის მოიძებნება ვინმე ისეთი, ვინც „უმტკივნეულოდ“ მოაგვარებს ყოფით პრობლემებს. მაგრამ ეს ყველაფერი თითქოს... არსებობს გამონაკლისიც... ზოგჯერ შემოქმედი ადამიანები ამჟღავნებენ გასაოცარ უნარს — ზეაწეულ, ამაღლებულ განწყობილებასთან ერთად დაიტვირთონ თავი სამეურნეო-ყოფითი, ასე ვთქვათ, „პროზაული“ საზრუნავითაც და შეძლებისდაგვარად ართმევენ ხოლმე თავს ამ საქმეს. სწორედ ამ თვალსაზრისით შევაჩერეთ ყურადღება ტიციან ტაბიძის საოჯახო წერილებზე და მრავალთა გასაკვირად ჩვენი საყვარელი პოეტი, პოეტი-ბოპემა, ცისფერყანწელთა ორდენის სანიმუშო კავალერი — მეურნედ, მზრუნველ, ყურადღებიან მეუღლედ და ნახ, მოსიყვარულე მამად წარმოგვიდგა.

დავძენთ: წერილებში არაფერია სენსაციური. მხოლოდ პოეტის ადამიანური ცხოვრების რამდენიმე ფრაგმენტია აღნუსხული. აქ დაუფარავად ჩანს ნამდვილი ტიციან ტაბიძე...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეპისტოლარული მეგობრობა, ჩვეულებრივ, აიოლებს პიროვნების პორტრეტის წარმოსახვას, იკვეთება ავტორის (ზოგჯერ ადრესატისაც) ჭეშმარიტი ხატი, ხასიათი. ტიციან ტაბიძის პორტრეტის გაცოცხლება კი აუცილებელია და მეტად საშური, რადგან დიდი ხანია შეთხელდა პოეტის არათუ ნაცნობ-მეგობართა, უბრალოდ მხილველთა რიგიც კი. კრიტიკოსი გურამ ასათიანი ახლო წარსულში წერდა: ჩემი თაობის კაცს ერთხელ მაინც უნახავსო ტიციან ტაბიძე... მომდევნო თაობები კი პოეტს გაიცნობენ შემონახული ფერ-

დაკარგული ბარათებითა და ფოტოსურათით, — რომელზედაც განუყრედღა წითელი მიხაკი უმშვენებს მკერდს; დაამახსოვრდებათ მისი ფართოდ გახელილი ცისფერი თვალები და ულამაზესი თითები (უნებურად გვაგონდება პოეტ ნინო თარიშვილის სიტყვები: „იყო ღამე და მთვარე, როგორც რევოლვერი, როგორც შეყვარება ტიცციანის თითებზე“).

იღვრა მეოცე საუკუნე. ჩვენი საზოგადოება გულწრფელად მიაგებს პატივს საბჭოთა ხელისუფლების დროს რეპრესირებულთა ნათელ ხსოვნას და ამასთან ერთად ძლიერდება სურვილი — ყველაფერი ვიცოდეთ იმათ შესახებ, ვინც ამ პერიოდის ქართული ელიტარული ინტელიგენციის დიდებულ გუნდს ქმნიდა.

წარმოდგენილი წერილები,¹ დათარიღებული 20-30-იანი წლებით, იწერებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში; ხელს აწერს ჩვენი დროის დიდი პოეტი და მოქალაქე — ტიცციან ტაბიძე, „ტიციანელო...“

წერილების განხილვისას საინტერესო ცნობები მოგვაწოდა პოეტის ქალიშვილმა ქალბატონმა ნიტა (ტანიტ) ტაბიძემ. დროისა და ენერჯის დაუშურებლად, ჩვეული სითბოთი და სიწრფელით, ცრემლშეპარული ხმით გვიამბობდა მისთვის ესოდენ ძვირფასი ბავშვობის წლებისა და სათაყვანებელი მამის შესახებ.

დიდ მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ ნიტას...

*მუზეუმის აღრიცხვა-დაკომპლექტების სექტორის გამგე
ნინო ვადაჭკორია*

¹ადრესატები არიან: პოეტის მეუღლე — ნინო მაყაშვილი, ქალიშვილი — ნიტა (ტანიტ) ტაბიძე და სიდედრი — ვარვარა მაყაშვილი.

**ტიციან ტაბიძის წერილები მუხლისადმი
— ნინო მაყაშვილისადმი**

(თბილისიდან-თელავში)

ნინა, გწერ ამ წერილს შემთხვევით დღეს მოდის საშა რუხაძე, რომელიც ამ წერილს მოგიტანს. ბათუმში წასვლა ვერ მოეახერხე, რადგან გზებია გაფუჭებული. მგონი ვერც პაოლომ მოაწყო საღამო. ჩვენი სოფელი რიონს სულ გაუფუჭებია. ელიან სიმშობას. მე როგორც იქნება უნდა წამოვიდე კახეთში დასასვენებლად, თორემ საძაგელ ხასიათზე ვარ. თუ შევძელი აღავერდობამდე ჩამოვალ. წამოსვლისას მოგწერ ფული 1,500000 მაიკოს² გამოეტანე. ერთ მილიონს კიდევ გიგზავნი. მომწერე წერილი, რამდენი დამჭირდება ორი კვირა რომ ვიცხოვრო თელავში.

გაჯოცებთ ბევრს შენ და ნიტას.

სალამი დედას.

შენი ტიციანი

16. X. 1922

1927 წ. 3. VIII

(თბილისიდან-ქობულეთში)

ნინა, შენი წერილი მივიღე საშასაგან. ოთხმოცი მანეთი, ზაკენიგიდან აღებული 100 მანეთიდან, გამოგიგზავნე — თუმანი საშასოვის მინდოდა და არ აიღო — ნინა მისცემსო მაქ. ასე რომ აუცილებლად მიუტანე. „ამორბალებს“³ თუ გამოვირკევი რამე, ჩამოვალ ქობულეთში — თვალები კიდევ მაწუხებენ.

შენ საყიდლებს გიყიდი ყველაფერს.

იყავი კარგად.

შენი ტიციანი

1 აქ და ყველგან ქალაქების დასახელება ჩუქნია (ნ.კ.).

2 მაიკო — მაიკო ჯანდიერი — ნინო მაყაშვილის ნათესავი, ეკონომისტი. წერილის მარჯვენა მხარეს მიწერილია: ნინას საღამო — შალიკო.³

3 შალიკო — შალვა აფხაიძე. კართველი პოეტი, ლიტერატურათმცოდნე (1894-1968).

3 „ამორბალები“ — ტ. ტაბიძის ნოველა დაიწერა 1925 წ. გამოქვეყნდა 1927 წ. (ეურნ. „წათობი“, №7).



ნინა ძვირფასო!

მე ჯბლა ბათომში ვარ — ერთი დღით ადრე ჩამოვედი, რომ ასე მცოდნოდა მე, სანდრო¹ და გრიშაშვილი ჩამოვიარდით ქუთაისში. ჯბლაც არ შემიძლია ჩამოვრჩე ამ პროცესიას. შემთხვევით ვნახე მაიკო ჯანდიერი, რომელიც აქ იყო ექსკურსიაში და მგონია მოახერხოს ქუთაისში ჩამოსვლა.

ამ წერილს ვსწერ თამარ იაშვილთან² — სადაც პაოლოსთან ვართ სადილათ დღეს თურმე მისი დღეობაც ყოფილა, როგორც ეტყობა ერთ კვირას კიდევ რჩება. შენი წერილები მივიღე ტფილისში. არ ვიცი როგორ მოახერხო, რომ მეც ვნახო შენთან ერთად ქუთაისი. რატომ არ მოიწერე წერილები. ტფილისში ყოფნის დროს ორჯერ შევხვდით ბანკეტზე ტაიროუს და კონენს.³ მაინც და მანც საინტერესო არაფერი ყოფილა. ისე თეატრი ზოგიერთებს მოსწონთ, მაგრამ მე დაუნანებლად დავტოვე.

აბა შენ იცი, როგორ ჭკუით იქნები, რომ სხვა დროსაც შემეძლოს შენი სხვაგან გაგზავნა — დედასთვის სიტყვა მივიცია, რომ დაიხეივებ და კარგად იქნები.

სახლში ყველანი კარგად დავტოვე. თქვენი სახლის მისამართი რომ მქონოდა, ტფილისიდან დაგელაპარაკებოდი, დღეს კი ბათომში უქმეა და არც მოხერხდება.

ყოველ შემთხვევაში მოგაწვდენ სიტყვას და როგორც შენ გინდოდეს, ისე მოიქეცი — შეგიძლია კიდევ რამდენიმე დღე დარჩე.

რუსულ ჟურნალ „Красная Новь“-ში დაბეჭდილია ანდრეი ბელის „Кавказскія впечатленія“, სადაც მოთხრობილია ჩვენი მგზავრობა. შენთვისაც არის საინტერესო მოგონებები.

მეეჭვება, ეს წერილი გამოუტანო მაიკოს, რადგან არ აქვს გადაწყვეტილი გამოვლა, მაგრამ მაინც ვსწერ, თანაც გიგზავნი 20 მანეთს.

მოკითხვა ყველა ჩვენებისგან...

უშნობა ძალიან მანუხებს და მიშლის ყველაფერს და საერთოდ ვერ ვარ ხასიათზე.

ვეედები მალე გნახო

1 სანდრო — სანდრო შანიშვილი — პოეტი, დრამატურგი (1888-1979).

2 თამარ იაშვილი — პაოლო იაშვილის მეუღლე.

3 ტაიროვი და კონენი — ტაიროვი ალექსანდრე იაკობის ძე — რუსი რეჟისორი (1885-1950). აღისა გიორგის ძე. კონენი — რუსი საბჭოთა მსახიობი (1889-1974). 1914 წ. ტაიროვმა ა. კონენთან ერთად დააარსა კამერული თეატრი ე. მარჯანიშვილის მიერ შექმნილ თეისუფალ თეატრში. 1928 წელს კამერული თეატრი საგასტროლოდ ამოფეხიდა თბილისში.



ძვირფასო ნინელი, ეს ეს არი ჩამოვუდი სოხუმში ზუგდიდიდან; გზაში ბევრი რამ იყო საინტერესო. მაგრამ ყველაფერი მოგვიწამლა ამ მაძაძაღლმა ურიამ(?) ასე, რომ არ ვიცით ეხლა, როგორ წაუა საქმე — ლამის გაწყდა არ მოეკალი, ისეთი ტუტუცია. ნუცაც¹ ძალიან წუხს. ამ (დილას?)... მოელაპარაკება გიორგი ყურულაშვილს,² უნდა როგორმე მოაგვაროს ეს საქმე. ეს რომ არ აფუჭებდეს ხასიათს, ისე აქ ყველაფერი კარგადაა, ჯერ თამარა³ არ მინახავს, ალბად ვიქნები დღეს გულრიპში. აქ არის თინა ლალიძე.⁴ მოგწერ ყველაფერს ან დაგელაპარაკები ტელეფონით. შენი მხოლოდ ორი ბარათი მივიღე ქუთაისში.

სალამი ჩვენებისგან.

შენი ტიციანი

(სოხუმიდან-თბილისში)

1930 წელი, 14 აპრილი

ძვირფასო ნინა!

გაგონებ ბევრს, სოხუმი ჯერ მაინც საოცნებოა: ეხლა ყრილობაა⁵ პარტიის და სასტუმროში ადგილები არ იშოვება — მაგრამ თუ კარგად წავიდა ჩემი საქმე — უთუოდ უნდა ჩამოხვიდე. ერთი რომ დავისვენო, თორემ ნერვები ამიშალა ამ მგზავრობამ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ საუცხოოდ და დაუეწყარი წამები განვიცადე: ოქროყანას⁶ მიხედვ, ფული ორივე ადგილას მივიღე: და თუ წამოსვლა გინდა, ნუ გაანიაკვებ.

დღეა და ნიტა დამიკოცნე.

შენი ტიციანი

1 ნუცა ხუციშვილი. ლევან ლოღობერიძის⁸ მეუღლე.
2 ლევან ლოღობერიძე — საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე (1896-1937).
3 გიორგი ყურულაშვილი — საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე (1893-1937).
4 თამარ ჭავჭავაძე, ნინო მაყაშვილის შვილობილი.
5 თინა ლალიძე — მატროფანე ლალიძის⁹ ქალიშვილი.
6 მატროფანე ლალიძე — საზოგადო მოღვაწე, საქართველოში უაღკაცოდო ხასიძელების წარმოების ფუტყმდებელი (1869-1960).
7 საქართველოს კპმ/ VII ყრილობა — 1930წ. 28.V.—5.VI.
8 ქ-ნ ნიტას ცნობით, იურისტმა ალექსანდრე ფანეს მუ პოლტორაკიმ, რომელიც მუგობრობდა ტიციან ტამბიძესთან, დროებით დაუთმო თავისი აკარაკი ოქროყანაში ტამბიძეების ოჯახს.



ნინა ათასჯერ გეუბნები, როცა წერილს მოიწერ, მოიწერე ისე, კაცმა გაიგოს როდის არის დაწერილი და გაარჩიოს რაშე. რასა გავს შენი წერილი, ვერც მე გაუარჩიე და ვერც დეღამ.

შენი წერილიდან მინც არ ირკვევა არაფერი.

1. უნდა მოიწერო, რა ღირს თვიურათ ბინა!
2. როგორია ოთახი.

რატომ არ მოხერხდა გაგრიფში. ვისგან არის დამოკიდებული ამ საქმის გაკეთება, მერე კიდევ როგორია მანდ ფასები პროდუქტებზე. რა იშოვება და რა არა? რა ღირს ცხოვრება და რა გიჯდება თვიურათ, ოთახში კიდევ რამდენია ლოგინი და საერთოდ რას იძლევიან ბინის ქირის ანგარიშში.

არ ვიცი, შენი წერილი როდის არის გამოგზავნილი, მე კი ფული როგორც ჩამოუვდი ტფილისში, იმ დღესვე, 5 ფელისს გამოგიგზავნე 75 მანეთი ლენას¹ მისამართით. ნუთუ აქამდე არ მივიღია.

ეხლა მივდივარ ქალაქის ტელეფონის სადგურზე. მგონი მანდ შეიძლება გაგრასთან ლაპარაკი. ფულს თაყის დროზე მოგაწვდი, რაც არ უნდა იყოს.

დედას მოწერე წერილი — თანაც შემოუთვალე შეუძლია თუ არა, რომ მოეწყოს მანდ თქვენ ოთახში... აბა შენ იცი ყველაფერზე მოიწერე პასუხი და თანაც სწორი მისამართი. წერილი როგორც დაგაგაღე ყოველდღე მომწერე.

გკოცნით შენ და ნიტას.

ტიციან ტაბიძე

(მოსკოვიდან-თბილისში)

ძვირფასო და საყვარელო დედა და ნიტაკო!

წინა წერილში გწერდით და ეხლაც გიმეორებთ როცა მიიღებთ მოსკოვიდან გამოგზავნილ ფულს, მოაწყვეთ ისე, რომ წამოხვიდეთ

¹ ლენა — ლენა ვანბაძე, ნინო მაყაშვილის ნათესაი, ცხოვრობდა გაგრაში.

მოსკოში. სახლი იოსებს¹ და ქეთოს² ჩააბარეთ, მეზობლებიც მოუვლიან, ბარგი ჩვენ ოთახში ჩაიკეტება.

მოგზაურობა ძალიან ადვილია. ტფილისიდან ყოველთვის მოდის ვინმე ნაცნობი მატარებელში. ესეც არ იყოს მატარებელი პირდაპირ მოდის მოსკოში და ნიტა გზას გაიგნებს. დეპეშით მოიწერეთ რა დღეს გამოხვალთ და მატარებლის ნომერი და ჩვენ ვოგზალზე დაგხვდებით.

ძალიან მახარებს ნიტას ასეთი სწავლაში წარჩინება, გუშინ მივიღეთ თქვენი წერილი, სადაც მაგის ნიშნები იყო ჩაწერილი.

რომ წამოხვალთ წამომიღეთ უთუოდ ჩემი „ბლუზა“ თეთრი და გაზეთები ქართული. აგრეთვე ქართული „ლიტერატურული გაზეთი“, თუ იყოს გამოსული „მნათობი“ № 4, ნიტამ დარეკოს სასახლეში.

ბილეთების აღებას თუ იოსები მანდ არ არის, სერგო³ ან კოლია მიწიშვილი⁴ მოგიწყობთ ანდა ყველას სჯობია ნიტამ დაურეკოს პლატონ კეშელავას⁵ სასახლეში ჩემ მაგიერ და ის ყველაფერს გაუკეთებს. ერთი სიტყვით გელით და ამ წერილზე პასუხი დეპეშით გამომიგზავნეთ. მე ამ თვის ბოლომდე ნება მაქვს დაერჩე მოსკოში, მერე კი თქვენ დარჩით და მე მივხვდავ სახლს.

აბა თქვენ იცით, როგორ მოიტკეპით. ნინა კარგად არის, თქვენ გელის, ეხლა სადღაც წასულია და მე ვჩქარობ წერილის გამოგზავნას... ნინა ექსკურსიაში იქნება. ნიტა ძალიან გაიხარებს მოსკოში.

თქვენი ტიცეან ტაბიძე

(მოსკვიდან-თბილისში)

სასტუმრო „ეროპა“

1933 წელი, 24 თებერვალი

საყვარელო ნინა, ეს სამი კვირაა და შენგან ერთი ბარათი არ არის. ერთი დეპეშის მარკა — ხომ არ გაწყდა სახლში ხალხო. მე რომ მოვდიოდი,

1 — 2 იოსები და ქეთო — ტიცეან ტაბიძის უმცროსი და-ძმა.

3 სერგო — სერგო კლდიაშვილი — შვერალი-ნოველისტი (1893-1986).

4 კოლია მაწიშვილი — ნიკოლო მაწიშვილი — შვერალი, საზოგადო მოღვაწე (1896-1937).

5 პლატონ კეშელავა — საზოგადო მოღვაწე (1893-1963). 1921-1939 წწ. ხელისუფლების (შვერალია) სასახლის კომენდანტი.

ყველანი აუად იყავით.

ეს მეორე დღეა ნორმალური ტემპერატურა მაქვს, მაგრამ ისეთ სისუსტეს ვგრძნობ, რომ ლანდღვით დავდივარ.

ექიმები მირჩევენ, ჯერ კიდევ არ ავდგე ლოჯინიდან და ყოველ შემთხვევაში არ გავიდე გარეთ. სწორედ ისეთი მდგომარეობა არის, როგორც ქობულეთში იყო ჩამოსვლის წინ. თუ მომიხდა მართლა აქ დარჩენა — უნდა ვეჩვენო უეჭველად კრემლის სააუადმყოფოში რენტგენისა და სხვა ანალიზისათვის.

ჩემ აუადმყოფობის გარდა არაფერს არ გწერ. იმიტომ რომ ჩაკეტილი ვარ ოთახში და ვერაფერს ვხედავ.

დამიკონცნე დედა, ნიტა, ქეთო, იოსები და ვინძლო მალე შევხვდეთ ერთმანეთს ტფილისში.

თქვენი ტიციანი

*(მოსკოვიდან-თბილისში)
სისტუმრო „ვეროსა“
1933 წელი. 25 თებერვალი*

ნინა, გწერ ამ წერილს და ხელი მიკანკალებს. რა არის რომ ამდენ ხანს შენგან ერთი წერილი არ არის; სხვა არ იყოს რა ნიტას მაინც დააწერინებდი.

ისე კი ტელეფონით ქეყანა შეინძრა და ახლა არც დეპეშაა და არც წერილია. რა ექნა, არ ვიცი.

მე ეხლა სიცხე არ მაქვს, მაგრამ საშინელ დაღლილობას ვგრძნობ — ასე მგონია ერთი წელიწადი ვიყავი აუად. თუ მოვახერხე აქ კრემლის სააუადმყოფოში უნდა ვეჩვენო ექიმებს და გავაკეთებო ანალიზი.

მაგრამ მკლავს ის, რომ თქვენგან ამბავი არაფერია. ყველა ხომ ერთად არ გახდით აუად. ამჟამად ამ წერილს მეც ჩამოუსწრებ — რაც არ უნდა იყოს ვჩქარობ ტფილისისკენ.

შენი ტიციანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა
(მოსკვიდან-თბილისში)
სასტუმრო „ვეროსა“
1933 წელი. 1 მარტი

ძვირფასო და დაუვიწყარო ნინა! დღეს პირველი დღეა, რაც ავდექი და ტანისამოსი ჩავიცვი. ისე ვარ გამზდარი, როგორც ლაღო გუდიაშვილის დახატულ სურათში. საერთოდ მოსკოვში რას იშოვის საჭმელად კაცი და ჩვენ სასტუმროში კიდევ ყველაფერი საძაგელია და თანაც ცეცხლი ეკიდება. ერთი ჭიქა რძე და კისელი თურთმეტი მანეთი ღირს და ასე სადილი, ვახშამი. ეს არის, რომ გული არ მწყდება, რადგან არაფერს გემო არ აქვს. ეხლა პირდაპირ ვოცნებობ ტფილისში დაბრუნებაზე. ამ ერთ კვირაში აღბად მანდ ვიქნები, ჩემზე ნუ გეფიქრებთ, როგორც იქნება თავს გავიტან. ეს არის რომ ქალაქში გამოსვლა მეძნელება და ფულის აღებას მიშლის, ისე კი როგორც იქნება შეუწუხებლად ჩამოვალ ტფილისში. აბა თქვენ იცით, როგორ მოუართ თავს და კარგად დამხვდებით ამ წერილის პასუხს არ ველი. გნახაეთ ტფილისში. დამიკოცნე დედა, ნიტა, ქეთო.

შენი ტიციაანი

(მოსკვიდან-თბილისში)
1935 წელი, 2 მარტი

ძვირფასო ნინა, გუშინ ველაპარაკე ტფილისს და ნიტა მოვიდა ტელეფონთან. შენ როგორც წესია, სახლში არ იყავი. კარგად არ ვიცი რას შელაპარაკა ნიტა... მაღე ჩამოვალ ტფილისში.

აბა, შენ იცი თუ უჩემობას არ დაამჩნევ ჩემ საქმეს, განსაკუთრებით ყაზბეგში. ალბათ ლეოს¹ ინახულებდი. ეხლა მონახე კოლია ჩერნიავსკი² და დაიწყეთ „არსენა“-ს ლექსის „პოსტრონნიკი“. ჩამოვალ და მაგას გავუსწორდები. გადაეცი სალაპი ჩვენ მეგობრებს. მე აქ ძალიან მომწყინდა. ორ დღეს ვიქნები პლენუშზე და მერე ჩამოვალ.

სალაპი დედას, ნიტას...

შენი ტიციაანი

¹ ლეო — ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი (ქ-ნ ნიტა ტაბიძის ცნობით ნ. ე.).

² კოლია ჩერნიავსკი — პოეტი, მთარგმნელი (1893-1943).

*(ბათუმიდან-ახალ ათონში)
1932 წელი, 14 სექტემბერი*

ჩემო ძვირფასო ნიტალი. როგორ ხარ გენაცვალე, უეჭველად წერილები მომწერე ტფილისში. დედას გაუგონე და მოუარე. პაპიროსს ნუ მოაწვევინებ და ნუც ზღვაში ნუ იცელებ. აქ გეშში ერთ კაცს ზღვის ფეხის საათი ჰქონდა ძეწკვიანი. ისეთი კარგი იყო. მაგრამ თურმე ჩვენში არ იყიდება, ვილაც უცხოელს უჩუქებია მისთვის. იმ კაცმა იქნებ ტფილისში კიდევ გეიშოვნოს ისეთი საათი. მაშინ უეჭველად გიყიდი.¹ გაკოცებ ბევრს და ველი შენგან წერილებს.

შენი მამიკო ტიციანი

*(სამარყანდიდან-თბილისში)
1934 წელი, 18 აპრილი*

ჩემო ძვირფასო და საყვარელო გოგო ნიტკო, გაკოცებ ბევრს და ველი შენ ნახვას. მე ეხლა ვარ სამარყანდში. აკოცე ბებოს, დედას და იოსებს.

შენი ტიციან ტაბიძე

(ლენინგრადიდან-თბილისში)

ჩემო ლამაზო და საყვარელო ნიტა!

როგორ ხარ გენაცვალე და რას აკეთებ. მე უშენოდ ძალიან მოწყენილი ვარ. უეჭველათ მალე წაგიყვან რუსეთში. ეხლა შენ იცი როგორ ჭკუით

¹ ქალბატონმა ნიტამ საუბრისას აღნიშნა, რომ მისი ბავშვობის ოცნება იყო გამზდარაყო შორეული ნაოსნობის კაპიტანი. ამით აიხსნება ტ. ტაბიძის დიდი მონდომება ქალიშვილისათვის მუზღავურის საათის შესაძენად.

იქნები და კარგათ ისწავლი, არ გაცვივდები და არ იცეღქებ.
აკოცე ბვერი დედას, ბებოს, ქეთოს და შენ კოშკას.¹

შენი ტიციან ტაბიძე

(გავრიდან-თბილისში)

ჩემო ლამაზო გოგონა ნიტო!

როგორ ხარ გენაცვალე, თურმე შემდური, რომ ვერაფერი გამოგიგზავნე.
ჩამოგიტან ფუტბოლის ტუფლებს, ტრუსიკებს საბანაოს და ბვერ ყვეუილებს.
გაკოცებ ბვერს, შენ იცი თუ ჭკუით იქნები და ბებოს არ გააჯავრებ.

შენი მამიკო ტიციანელი

(გავრიდან-თბილისში)

ძვირფასო დედა!

მოგიკითხავთ ბვერს და ბოდიშს გიხდით, რომ ამდენს გაწუხებთ. აქ ჭკლა
ნამდვილი სამოთხეა. თუ მოქწყო კარგად საქმე, ნინას დაუტოვებ ათი დღით,
მე კი მალე ჩამოვალ.

აკოცეთ ნიტას ჩემ მაგიერ და გადაეცით რომ ბვერ ყვეუილებს ჩამოუტან.

თქვენი ტიციან ტაბიძე

¹ კოშკა — ასე უნახდა სიყვარულით ჰატარა ნიტა ტაბიძე ბიძას — იოსებ ტაბიძეს.

კოლაუ ნადირაძის არქივში, რომელიც საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს 1996 წელს ჩააბარა პოეტის მეუღლემ — ნორა ნადირაძემ, დაცულია პოეტისადმი მიწერილი წერილები და დეკემპები. წერილების ადრესატები არიან: შალვა კარმელი, პაოლო იაშვილი, ტიცინან ტაბიძე, მიქელ პატარიძე და სერგო კლდიაშვილი. მიქელ პატარიძის გარდა ყველა „ცისფერყანწელია“. თუმცა, კოლაუ ნადირაძის თქმით, მიქელ პატარიძე მხოლოდ შემთხვევით არ იყო „ცისფერყანწელი“. მათი სულიერი და პოეტური განცდების თანხვედრა კარგად ჩანს ამ წერილებში.

კოლაუ ნადირაძე „ცისფერყანწელთა“ ორდენის ერთ-ერთი უთვალსა-ჩინოესი წევრი გახლდათ. იგი გამორჩეული პოეტიც იყო და მგობარიც. მის პოეტურ მრწამსს საბჭოთა სინამდვილეში ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზეც კი არ განუცდია მკვეთრი ცვლილებები. შეუდრეკელი და შურიგებელი ხასიათიც, სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. ბედმა მას „ცისფერი ორდენის“ „უკანასკნელი მოპიკანობა“ არგუნა, აკი წერდა კიდევ — მგობრები აღარ მყავს, ვინც მყავდა არაჲინ აღარ არისო ცოცხალი...

პოეტის პირადი წერილები საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ ისეთ უფაქიზეს ნიუანსებს, რომლებიც ერთი შეხედვით უჩინარია. წერილების წერა, ურთიერთობის ეს მშვენიერი ტრადიცია, გარდა ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისა, ღრმად ჩაფიქრებისა და გულახდილი შეფასების საუკეთესო საშუალებაც იყო და არის.

კოლაუ ნადირაძის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ჩვენ მიერ შემოთავაზებული ნაკრები იმიტაც არის საგულისხმო, რომ ამ წერილებიდან ზოგი გამოქვეყნებულია ფრაგმენტულად, ზოგიც სრულად, მაგრამ მკვლევართათვის მოუხელთებელია, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით მათი ერთად გამოქვეყნება.

*მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
განცა ჩვენკელი*



მარცხნიდან დგანან: რაჟდენ გვეტაძე, ნინო მაყაშვილი,
ვალერიან გაფრინდაშვილი
სხედან: ტიცვიან ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე



მარცხნიდან: სერგო კლდიაშვილი და
კოლაუ ნადირაძე



შალვა კარმელი

ძვირფასო კოლლა!

აგერ მეორე თვეა ტფილისში ვცხოვრობთ მე და რაჭდენი¹ ერთად. მე ვბოდიშობ, რომ წერილს დაგვიანებით გიგზავნი, მაგრამ იმედია მაპატიებ, რადგან შენი ჩვენება ხშირად იყო ჩვენთან და მეგობრობა მართო წერილებით არ მტკიცდება. გავიგე რომ ცოტა „უქეიფოთ“ ყოფილხარ! ალბათ ახლა კარგათ ხარ! ტფილისში არაფერი ახალი არ ხდება ლიტერატურაში; საყურადღებოა გრ. რობაქიძისა და გრიშაშვილის პაექრობა² იმ ხრით, რომ გრიშაშვილმა უფრო გამოაშკარაე თავისი „ხელის დიდება“. პაოლო და ტიცინი მოკლე ხანში საორშაბათო გაზეთს სცემენ. წაიკითხვედი ტიცინის მანიფესტს ბათომის გაზეთში, რომელიც ქართულ პრესაში გახშირდა. გალაქტიონის შესამე წიგნი 170 გვერდიანი უკვე იწყობა და ერთ თვეში გამოვა. შეიძლება მეც გამოვცე მოკლე ხანში, თუცა ძლიერ ძვირი ჯდება. წაეკითხე ივ. გომართლის³ ბიბლიოგრაფია „ბალდახინზე“. არ მაქვს სრულებით თავისუფალი დრო: ვმსახურებ და ლექციებსაც ვისმენ უნივერსიტეტში. საინტერესოა გ. წერეთლის⁴ ლექციები აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიიდან. ტფილისი დიდი ქალაქი ყოფილა, მაგრამ ჯერ მაინც არ დაუკარგულვართ, რადგან უღვინოდ ახელება ძნელია. ისე კი ხანდახან ვთათრიახნობთ აქ არის მიწისშეილი,⁵ გოგლა, სერგო,⁶ შალიკო აფხაიძე,⁷ რომელმაც ქალი ითხოვა, და სხვა... მომიკითხე ჩვენი ძველი მეგობარი ქუთაისი, რომელმაც ერთხელ კიდევ გაიხსენა თავისი შვიანი აღტაცება სოციალისტურ დელეგაციის ჩამოსვლისას თურმე. მხურვალე მოკითხვა რაჭდენიდან. დაგვაღებ მეგობრულად, თუ წერილს მოგვეწერ. მისამართი: ტფილისი: „საქართველოს“ რედაქცია.

სივარულით შენი ძმა შ. კარმელი⁸

1 რაჭდენი გავტაძე — ქართველი მწერალი „ციხეფრანწული“ (1897-1952).

2 ლიტერატურული პაექრობა, რომელიც გამართული იყო 10-20-იანი წლების პრესის ფურცლებზე.

3 ივანე გომართლი — მწერალი „ციხეფრანწული“ (1875-1938).

4 გიორგი წერეთელი — ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე (1904-1973).

5 მიწისშეილი — ნიკოლოზ მიწისშეილი (სირბილაძე) — მწერალი „ციხეფრანწული“ (1896-1937).

6 სერგო — სერგო კლდიაშვილი — პოეტი „ციხეფრანწული“ (1893-1986).

7 შალვა აფხაიძე — პოეტი „ციხეფრანწული“ (1894-1968).

8 შალვა კარმელი — შალვა გოგიშვილი — პოეტი „ციხეფრანწული“ (1898-1923).

ქვირფასო ნიკა და ძმად კოლაუ!

შალვას სიკვდილმა სრულებით არია ჩვენი დღეები: ასეთი მწუხარება ჯერ არ გვახსოვს მგობრის დაკარგვით. ოთხშაბათს დილით ჩამოვალთ მე, პაულე ინგოროყვა, ტიცციანი, ვალერიანი და რაუდენ გვეტაძე. გთხოვთ გადასდოთ ვასვენება ხუთშაბათისათვის. სრ. საქარ. ახალი მწერლობის კავშირის სახელით და ცისფერი ყანწების დავლებით გთხოვთ შეუკვეთოთ ორი გვირგვინი ცოცხალი ყვავილებისა. ფასს ჩვენ გადავიხდით ვეცდებით აგრეთვე ლენტები წარწერებით აქედან ჩამოვიტანოთ, დარწმუნებული ვართ ვასვენებას მოაწყოთ ისე როგორც ჩვენს ქვირფას შალვას შეეფერება.

თქვენი მარად პაოლო იაშვილი

ჩემო ქვირფასო კოლაუ!

შარუხის¹ შეხედვამ გული ამიძგერა, მგონა, ორივეს ერთად გნახავდით ცოცხლად მიაშობს, თქვენს მოგზაურობას რომელიც, როგორც ეტყობა, შარშანდელ აფხაზეთის ტურნეს ემსგავსება. შენი ნინა² სწერდა თამარას³ „Коля прогорает медленно и верно“. ვატყობ ჩემო კოლაუ, რომ შენ კომერციაში უბედო ხარ. მაგრამ ერთია სასიხარულო, რომ ასეთმა უიღბლო ტურნეებმა, ლექსების დახვეწება იცის. მე მიმყავს ჩვენები ბათომში, დაერჩები იქ ხუთი დღე, შემდეგ თბილისში და იქედან ისევ ბათომში, შეიძლება აბხაზეთისკენ შეუერთდე თქვენს ტურნეს.

სოფელში დაესწერე ლექსები, დაეიწვე პიესა, ვიყავი წერის გუნებაზე რაც ჩემთვის ძვირია.

როდის და სად გნახავ? ვცდილობ შენთვის კარგს ოთახს თუ სათუოდ მოვახერხებ.

ჭიათურაში ნახეთ კოწია, რამეს დაგეხმარებათ. რომ ჩამოგესწროთ ჩემთვის სოფელში „Окупил бы все расходы Ренессанса“. გიგზავნი ერთ ლექსს, მხოლოდ მიტომ რომ მოულოდნელია:

¹ შარუხ ჩარკვიანი — წერდა ლექსებს, მგობრობდა კოლაუ ნადირაძესთან.

² ნინა — ნინა მიხაილუა — კოლაუ ნადირაძის მეორე მეუღლე.

³ თამარა — თამარა სერბერიაკოვა-ოქრომჭედლისძევილი — პაოლო იაშვილის მეუღლე.

მელორეს სიმღერა

უფალო! უსმინე შევარდენს
 მის ხელით გიგზაუნი ბარათს,
 მიშველე ღორებში ჩაყარდნილს
 ღორებში დარჩენილს მარად.
 როგორც რომ ბურვაკი პალოზე
 მინდორში ბაწარით აბია,
 მარტო ვარ უფალო დალოცე,
 მელორე ცრემლები ვლაპია!
 უფალო! მომეცი სამხარი
 ძაღლივით ამოსულს ცაზე
 და შენი პერანგი ნახმარი
 ჩამაცევი ცოდვიან ტანზე.
 მომეცი ბეშეებში ჩარევის
 და მათთან თამაშის ნება,
 უფალო! შენს გარდა არავის
 არა აქვს ამის უფლება.
 ფიქრები სამწვესო ღორებზე
 წოფელ დღე ცრემლებით მსჯიდა.
 უფალო! გალაენის ყორებზე
 დამნიშნე ბელურა ნიტად.

არ ვიცი, რამ მათქმევინა ეს ლექსი.

აბა ასე ჩემო ძმაო და ძვირფასო პოეტო! დაახვავე ლექსები, კრებულს
 ვსცემ, „უნდა ავარდე მამა პარნასზე“. უნდა აეტეხო „Орудийная палата
 СТИХОВ“. აბა იყავი შხად! ნუ დაიგვიანებ თბილისისკენ. გაკოცებ ვაბარებ
 შენს თავს შარუხას.

შენი მარად კაოლო
 14.IX.26

ჩემო ძვირფასო დაუვიწყარო მეგობრებო და ძმებო ვალერიან, კლაუ, გოგლა!

უნერ ღამის ოთხს საათზე, ღვეანის¹ ბინაში. ეს სახლია ქართველების და ქართული პოეზიის ბუდე. ყოველ საღამოს გაისმის ვაჟას და ხალხური ლექსები და არასოდეს ღვეანი არ ყოფილა ჩემთვის ასე ნამდვილი და საყვარელი როგორც მოსკოვში. ტიციანი და ღვეანი ხვალ მოდიან ტფილისში და უნდა მოგწეროთ, რასაც ვფიქრობ ეს დღეები: ბუნდოვნები ხართო, რომ ჩემზე უფრო მეტს იცოცხლებთ ტფილისში და საქართველოს მიწაზე. ალბად ხვალდან ყველაფერი უარესად გამოიცვლება. მოსკოვი მიჩვეულია გახიზნულ ქართველების ცრემლებს, მაგრამ შეიძლება არავის არ გამოყოლოდეს თქვენი და სამშობლოს სევდა როგორც მე. მაგრამ მე ეს მჭირდებოდა, და თუ ჩემი ხმა ძვირად გეხმოდათ, შორიდან შევეცდები უფრო დაუბატო თქვენი იმედი, თქვენი ფიქრი — რომ ერთად ერთი გზა დამრჩენია ვიმღერო და ვიმღერო შეიძლება გატეხილი, მაგრამ ნამდვილი ხმით. ტრადიცია გრძელდება, და თუმცა ბატონიშვილი არა ვარ, მაგრამ გულუხვ ღმერთს ბატონიშვილებზე ნაკლები ძალა არ მოუცია ჩემთვის სამშობლოსა და პოეზიის სიყვარულისათვის. რაც უფრო სხვანაირი იქნება ჩემი ხმა, უფრო ახალი და მოულოდნელი იქნება ის თქვენთვის. არც თანამგზავრი ვარ, არც მოკავშირე, ვარ ერთი გზა აცდენილი კაცი, ასეთ მდგომარეობაში სისუსტეც მეპატიება. ვფიქრობ თქვენზე, ვფიქრობ მედღეაზე,² და თქვენი სიცოცხლე მაძლევს იარაღს — მის მოხმარებას არ გადავწყველვარ. ნუ დამივიწყებთ, მოსკოვის სიცივით ატანილს, ერთი თვეა თქვენი ხმა არ მომსმენია, ტიციანის ჩემთან ყოფნა ამას ნაკლებად მაგროსობინებდა, ახლა კი თქვენი წერილების, ლექსების, დეკემების და სადღვრძელოების იმედი მაქვს. კარგად იყავით ჩემო საყვარლებო. მომიკითხეთ სერგო და შალვა და ყველა თქვენები.

თქვენი მარად მოყვარული პაოლო იაშვილი
6.XI.31

1 ღვეანი — ქ-ნ ნატა ტაბიძის ცნობით, იველისხმება ღვეან ღვინოებრივ — საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე (1896-1937).

2 მედღეა — პაოლო იაშვილის ქალიშვილი.

ჩემო ძვირფასო, უსაყვარლესო ძმაო კოლაუ!

არასდროს არ მომნატრებია ისე შენი ნახვა, როგორც ახლა, ამ წუთში, და შენ რომ ახლა ჩემ გვერდით იყო, უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი. არ მგონია თუ შენ ასეთი გულჩახვეული კაცი იყავი. არც კი ვიცი როგორ მოგწერო, როგორ აგიხსნა რისი თქმა მინდა ახლა შენთვის. მოსკოვში მე კვირაში სამჯერ მაინც ვარ გალპერინებთან. ერთად ერთი კაცი რომელიც ყანწელობას მიწევს აქ, თავზე მაკვდება დღეში 3-4 ჯერ მირეკავს, ყოველდღე მიძახის სახლში, არის ლუსიას ქმარი. შემაყვარა თავი, და მთელ მოსკოვს მორაჩია ხმა, რომ მე ვითომ ისეთი კაცი ვარ, რომლის მსგავსი მას არასოდეს არ უნახავს, გენიალური, ვაჟკაცი, რაინდი და არ ვიცი რამდენი ასეთი. პირველად მე ვფიქრობდი რომ ეს იყო ლიუსიას გავლენით, ლიუსიას უთქვამს მისთვის, რომ პაოლო მიყვარდა ყველაზე მეტად და ახლაც მიყვარსო, მგონია რომ ლიუსიას გულის მოსაგებად მველებოდა თავზე, მაგრამ მე ყოველთვის მჯეროდა ლიუსიას სიმართლის თქმის და არ შემიძლია ახლაც არ დაუჯერო. მან მითხრა „Лев Борисович, безумно в вас влюбился, когда вы не приходите, он мечется из угла в угол, я никак не предполагала что вы могли так его влюбить в себя“. — ეტყობა გალპერინი ძალიან ჭკუიანი კაცია, მაგრამ არ მგონია მისი ჩემდამი დამოკიდებულება — დიპლომატია იყოს, ერთი სიტყვით მე მათთან ხშირად ვარ და თავს კარგად ვგრძნობ მათთან. ჩემთვის უხერხულია ახლა ლიუსიასთან დაბრუნება — მეორე მხრივ ძნელია იმ ბავშვური გრძნობების ჩაქრობა რომელიც ხანდახან გამკრავს და მაბრუებს. ყოველ შემთხვევაში მე ვეცდები მათი ერთობა არ დაეარღვიო, ლიუსია ძალიან კარგად არის მოწყობილი. ნამდვილი ღმერთია, ძალიან გალამაზებული, კიდევ უფრო გულითადი და საყვარელი. მისი ტანჯვა ის არი, რომ ქმარი არ უყვარს და ერთ საღამოს ბევრი იტირა ჩემთან. წუხელი ვიყავი მათთან. სამი დღე ძალიან ავად ვიყავი, ცოტა გამოერჩი ვერ აუიტანე მარტოობა, და რადგან ახლა ავტომობილი გვყავს, გაებედე წასვლა, სჯობდა არ წავსულიყავი. სრულიად მოულოდნელად, ლიუსიამ მიაპბო ერთი ამბავი, რომელიც ჩემგან 15 წელი დაფიცული იყო. ჩემო საყვარელო, შესანიშნავო ძამიკო! წერილში არაფერს მოგწერ, გეტყვი მხოლოდ, შენ

ჭკუიანი ბიჭი იყავი ყოველთვის და როგორ დაუჯერეთ შენ და ლეონიდას¹ გათახსირებულ მიშა გელოვანს¹ და ერთ გათახსირებულ გომბიოს. ჩემი ტკივილები უკანასკნელ დღეებში ცოტა დაშუშდა, მაგრამ წუხანდელმა ამბავმა სრულებით გამანადგურა, იმდენი შენ ბავშვებს სიცოცხლე რამდენი წუხელი ლიუსიამ იტირა, როდესაც გაიგო რომ ყველაფერი მოჭორილი ყოფილა, კოლაუ გემუდარებით მეც და ლიუსიაც დაუყონებლივ ჩამოდი მოსკოვში, ჩამოდი თუნდაც ხუთი დღით, არაფერი არ გინდა. ახალგაზრდა კომუნისტის რედაქტორი ახლა ვ. მიქაძეა, უთუოდ გამოგიშვებს, შეიძლება მივლინებაც მოგცეს მოსკოვში, მადედან ტიცციანი ბილეთს მოგიხერხებს, აქედან მე გაეაწყობ. ფულიც სულ ცოტა გჭირდება. თუ საყიდლები არაფერი გაქვს, გემუდარები დაუყონებლივ წამოდი. შენი არ ჩამოსვლა სრულებით გამიმწარებს დღეებს. გაიხსენე ყველაზე უფრო ტკბილი დღეები ჩვენი მეგობრობის, და გახსოვდეს ჩვენი ახლა შეხვედრა ყველაფერს დაფარავს. დაუვიწყარი დღეები იქნება ორივესათვის. სრულებით უძინარი ვარ, და აბნეულად გწერ, მაგრამ მაინც დამაჯერებელი უნდა იყოს ჩემი თხოვნა.

ბერს გაკოცებ ჩემო საყვარელო ძმავ და პოეტო,

ძალიან მომიკითხე ნინა, სთხოვე მედეიას მიხედოს, თამარასაც ნუ გარიყავს, ნელის² ვაკოცებ.

შენი მარად მოყვარული ძმა პავლო

18.XII.31

¹ მიშა გელოვანი — მიხეილ გელოვანი მსახიობი და რეჟისორი (1892-1956).

² ნელი — კოლაუ ნადირაძის ქალიშვილი.



Телеграфъ

№ 0-13

Телеграммы.

ყველაზე
აპირადესად ყელ
ბუკან
ბუკან

№

ბუკან

№ 1302

Принятая

12/1 20

№

9 № 13162

Прислано

ყელ

Время

Службы

Время

15 1/2 20 1

Службы

და ახლად ზვეთ ჯანდეს
ყველაზე და ბუკან უსაფრთხო
ბუკან და ბუკან
ბუკან ბუკან

ქუთაისში. აფთაქის ქუჩა. ნაჯლოზ ნადირაძეს
ოთხშაბათს ჩვენი ქორწინებაა, გაგვახარე და ჩამოდი. ეცადე ვალერიანის
წამოყვანაც.

ნინა, ტყვიან

ძვირფასო ძმად კოლაუ!

ჩვენ უკვე ოთხი დღეა მოსკოვში ვართ. მოსკოვი ფანტასტიურია და ძალიან
პგავს ჩვენი დროის მოსკოვს. სულ გამოცვლილა ამ დღეებში და
აფრიალებულია სანოვაგითა და ვეველაფერი კარგი ამბებით, მაგრამ საჭიროა
ფული და ფული. ეტყობა ამასაც დაეთუვინიერებთ — ეხლა კი ვართ
სტუმრათ რუსის პოეტებთან და მათ არაფს ვაყოლებთ ჩვენ ღვინოს.
პასტერნაკები ხშირად გვიგონებენ. პაოლოს ხასიათი მაინც არ გამოეცვალა,
ძალიან მოწყენილია და მათთან ლაპარაკსაც ერიდება, ეხლა კოლაუ თუ
ძმა ხარ მოიწერე ვეველაფერი როგორ არის მანდ საქმე, და ნურაფერს ნუ

დაგვიმალო — ხომ იცი რა მდგომარეობაა. შენი იმედი ჩვენ ორივეს მანამ
გვაქვს და შენი მანდ ყოფნა გვამხნევებს. მოიწერე როგორ არის თამარა?
როგორ არის ბაეში? ხომ არაფერში ავიწროებენ დაწყებული ჟაქტიდან —
ერთი სიტყვით შენგან ველით ვველაფერზე დაწერილებით პასუხს და
იმედი გვაქვს წერილს ხშირად მოგვწერ, მე დარწმუნებული ვარ პაოლოც
მოგწერს წერილს, მაგრამ ჯერ ძალიან ცუდ ხასიათზეა კიდევ. ლიტერატურულ
მოსკოვზე შემდეგ მოგწერ დაწერილებით — როცა უფრო კარგად
გავეცნობი, ეხლა მხოლოდ შესაუაღია — სახლი გვაქვს დაბრძანების, მთელი
ოსობნიაკი ჩვენ განკარგულებაშია და ჩვენი ძალი ამირანი ისე დადის
როგორც პერუდიას ლომი.

პაოლოს კოსტიუმი არ აქვს და ესსაც აწუხებს, მაგრამ დღეს ხვალ გამოირკ-
ვევა, მაგისი ტანის მოსარგო არსად არ იყო გუშინ თუმცა ორდერიც გვაქვს.
კოლაუ თუ ნინას¹ მანდ რამე დასჭირდეს და მოგმართოს შენი იმედი მაქვს.
სალამი შენ ნინას და ნელის, სალამი ყველას პაოლოსაგან.
გკოცნი ბევრს

შენი ძმა ტიციან ტაბიძე

ძმარ კოლაუ!

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მღელვარებით უკითხავს ლექსს პოეტი
პოეტს, მით უმეტესად პირველად და ისეთს, რომლის მსჯავრი შეიძლება
წამკითხველისათვის დაფარული სინამდვილის გამოძვლავნება იქნეს. ეს
ახლახან დაწერილი ფრაგმენტი, შინაგან სიმკერძოვს მოკლებული და
დაულაგებელი არის იმ დაპირების არა შესაფერი სისრულეა, რომელიც
შენი ლექსის წაკითხვის დროს ესთქვი. ყოველ შემთხვევაში მღვდელი
ფარაჯაშიც იცნობის. მიიღე ეს კიდევ გაუბედავი ჩახველება გამოუცდელ
მომღერლის, რომელსაც დიდ არტისტთან უხდება დუეტის შესრულება.
ყოველ შემთხვევაში დაწყება შენ გეკუთუნის და შენი უნდა იყოს, საერთო
უღლის გაწევა — კი ჩემი უდიდესი სიხარული და სურვილი.

*მიქელ პატარიძე
1932 წლის ზამთარი
ტფილისი*

¹ ნინა — ნინო მკვაშიელი, ტიციან ტაბიძის მეუღლე.



ნორასა და კოლაუს,
ასეთი ვიყავი, ასეთი არ ვარ,
როგორი ვიქნები რა ვიცი,
მაგრამ გიყვარდეთ მაინც.

მიქელ პატარიძე
1941 წ.

ძვირფასო ძმავო კოლაუ!

ხელათმბანი გადაგდებულია და ის იშვიათი იერით და გამბედაობით ავიღეთ. შენი „სკრიაბინის უტიუდი“ ჩემი სიხარული და ტანჯვაა. მიხარია, რომ ამ მარტობის ხანაში მოუისმენ ხმას და ეს ხმა არა მარტო ჩემთვის იქნება ძვირფასი.

მიხარიან, რომ სიყალბეს მოკლებული ხმა, შეუძლებელი საერთოდ, ჩვენთვის შესაძლებელი გახდა. მტანჯავს ეს ხმა და ეს სიმღერა, რადგან ყოველდღიურ წვრილმანში ჩაფლულმა ისევ მადლა ავიხედე და თავზარდაცემული დავრჩი. რამდენი ხანი გასულა, და ჩვეულებათ გადაქცეული იმედი ყველაზე დიდი მირაჟი აღმოჩნდა. უღმობელი დასტაქარივით გაუსვი დანა ამ წყლულს და გაკვეთე. ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ ჩვენი გულები თანაბრად ჰფუთქენ. მიიღე ეს ჩემი გამოძახილი იმ კმაყოფილებით, რომ შენ მიერ ნაჩვენები გამოსავალი მეც გაავარძელე და თუ ოდესმე იტყოდენ, რომ ყველა გზები რომში მიდის, ჩვენ ახლა ვამბობთ, რომ ყველა გზები სამუდამო სიმშვიდის მოედანზე იყრიან თავს.

მიქელ პატარაძე

ძვირფასო მიქელ!

იმ ბუნდოვან დღეებს, როცა იწერება შესანიშნავი ლექსები და იბადება კეთილშობილი იდეები, ალბად, თავიანთი წინასწარგანზომილობა აქვთ შე მჯერა, რომ ისინი განირჩევიან სხვა დღეებისაგან. მათი ტრანსცენდენტალური ლოგიურობა ისეთივეა, როგორც შემოქმედების და ჭვრეტის აქტი. და რასაკვირველია, სამართლიანი იქნებოდა, რომ ამ დღეებს თავიანთი მემატინე ჰყავდეს, თუ საერთოდ, ადამიანის ცივ გონებას კიდევ არ დაუკარგავს ეს უზენაესი თვისება... ჩვენი „შემოდგომის დიალოგები“¹ ასეთ საოცნებო ადამიანის ყურადღების საგანს უნდა შეადგენდეს.

ერთი წლის წინად ჩვენ მიემართეთ ერთმანეთს ორი პატარა, მოულოდნელი ლექსით ერთი წლის წინად საერთო მარტობისა და სკედების დღეებ-

¹ კოლაუ ნადირაძისა და მიქელ პატარაძის მიმოწერიდან ეგზეზობით მათი იდეის შესახებ — გამოსცენ წიგნი — „შემოდგომის დიალოგები“. ეს სურვილი განუზოციელებელ ოცნებად დარჩა.

ში, რომელთაც მხოლოდ ჩვენი მეგობრობის და ხელოვნების სიყვარული ანელეზდა თავისი სითბოთი, ჩვენ დაგვებადა, ძვირფასო მეგობარო, ეს იდეა, უკეთ რომ ვთქვათ, სურვილი, რომ ამ მკაცრი საუკუნის გრიალში გვეთქვა ჩვენი ხმით რამოდენიმე სიმღერა ერთმანეთის გასაგონად და კეთილშობილი რწმენით, რომ შვესძლებდით გამოგვეთქვა ის რაც ასე გვადელვებს ჩვენ, რაც მართლა აწვალებს ჩვენს მოუსვენარ ცოტათი დაღლილ ფიქრს.

უკვე ერთი წელია, რაც მე მივიღე შენი მომართვა და შენი პირველი ლექსი. ჩემი დუმილი ამ ხნის განმავლობაში შეუწყნარებელი დანაშაული იქნებოდა, რომ მე არ მაიმედოვნებდეს რწმენა, რომ ეს დრო ტყუილად არ დაკარგულა, რომ თვითუღი დღე არ ყოფილიყოს გამსჭვალული ფიქრით ამის შესახებ და იმედით, როგორმე მოეშადებულიყავ ამ საპასუხისმგებლო და მაღალი მიზნისათვის.

ეხლა ეს, თითქოს, შეეძელი. ამ წლის განმავლობაში არაფერი არ შეცვლილა ჩვენში: საქართველოს სიყვარული, ჩვენი მეგობრობა, ადამიანისადმი სიბრალული, ჩვენი თავიანთისკმა მშვენიერებისა და ხელოვნების წინაშე — იგოეა. მხოლოდ რამოდენიმე ვერცხლი შემატა ჩვენს თმებს და შთაგონებამ რამოდენიმეჯერ ცეცხლით გაიარა ჩვენს გულში... და თუ მართალია ბარბე,¹ რომ „გრძნობებს, ზოგჯერ, თავიანთი ბედი აქვთ“ — მომეცი ნება, ძვირფასო მეგობარო, მეც დავიჯერო ეს და ვიფიქრო, რომ ამ გრძნობების და უანგარო სიყვარულის ბედი არ იქნება ისეთი მკაცრი და ულმობელი, როგორც ყოველთვის.

კოლა ნადირაძე

18.XI-1933 წ.

ტფილისი

კოლაუ!

ჩვენი „შემოდგომის დიალოგები“ თავის სათაურითაც ნებას მაძლევს ამ ყვითელ და ჭკნობის ხანას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო. გულიც ამას მოითხოვს. როცა ჭადარს ფართუ და ყვითელი ფოთლები შემოქმადრ-ცვება, როცა მუქი ზეცა გამოუშვებს საძოვრათ ღრუბლების ფარას და

¹ ბარბე — ბარბე დ'ორჟილ — ფრანგი მწერალი (1808-1889).

პაერის ცფი სუნთქვა შუარხვეს გატიტვლებულ ტოტებს, მაშინ არაჩვეულებრივი ტკივილით ძვერს და პარმონიულ სიტყვებს ეძებს. რამდენი ასეთი წუთი მახსოვს, და უფრო მეტი დაკარგულა.

თუ ეს გულის ატკივბა ოდნავ მაინც ჩავამწვედიე ამ რითმების ჩარჩოში, მე იმ მონადირეს მამსგავსე, რომელმაც სილამაზით სავსე ფრინველი მოკვლა და ამ „გამარჯვებამ“ მის ფეხთან საცოდავით გაშხლართული ფერადფრთიანი სირის სიბრალული დაუიწყა. ასეა პოეტიც: სიმღერამ გამოსთქვა საბედისწერო წუთი, მაგრამ ეს წუთი განგმირულ ფრინველივით გდია მის წინაშე.

*მიქელ პატარიძე
ტფილისი
1933 წ.*

*რამაზი¹ ინახულე. მომწერე შენი შთაბეჭდილება
მ.პ.
4.III-45 წ.*

ძმარ კოლაუ!

სალამი ამ მიყრუებული კუთხიდან, სადაც ასე უფერულად მიდის ჩემი სიცოცხლე. მოკითხვა შენს პატარა მეგობარს. იმედია ხანდახან მიგონებთ. მე აქ ვცხოვრობ მაინც იმ იმედით, რომ როდისმე შეიცვლება ჩემი მდგომარეობა. ასეთია ყველა ჩვენგანი: არასოდეს არ გაკმაყოფილებს ის რაც არის. ქუთაისში ხანდახან ჩავდივარ და იქ უფრო წარსულის მოგონებებით ვცხოვრობ, ვიდრე აწშყოთი. Какая то особенная печаль в Кутаисе, тихая и нежная. მაგრამ მინდა თავიდან მოვიცილო ის ტრაგიკული აჩრდილი, რომელიც გამქრალი მეგობრების მოგონებით გაიელვებს ხოლმე. Нужно жить мужественно и просто. მაგრამ გული მტკივა, რომ ბევრი შესაძლებლობა იკარგება, რომ ჩვენ არასოდეს არ მიგვიშვეს ხელში აკველო რაიმე იარაღი და ჩვენც გვეკეთებინა რამე. განსაკუთრებით მალონებს ის გარემოება, რომ აქამდე არაფერი გამიკუთბია. კოლია, თარგმანებმა ძლიერ გამიტყბა გული და ენანობ, რომ ამდენი დრო

¹რამაზი — მიქელ პატარიძის შვილი.

და ძალა მოვანდომე მას. თარგმანი სხვისია. ყველას შეუძლია თარგმნოს ის რასაც შენ ასეთი სიყვარულით ელოლიაუებოდი და ებრძოდი, რასაც ქართულ შესატყვისის უძებნიდი. თითქოს გააკეთე და დაისაკუთრე მისი ორეული, მაგრამ აგერ გამოჩნდება ვიღაც „მტაცებელი“ და სურს შენი ორეულის მოკვლა, გაყალბება. არა, ჭეშმარიტი პოეტი არ შეიძლება დარჩეს მარტო მთარგმნელად. მეც გადავწყვიტე თარგმანებს თავი დავანებო. ან ჩემი, ან არაფერი. არ მინდა ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, რომ ჩემი ლექსების კრებული არ გისახსოვრო მოკლე წარწერით რასაკვირველია, არ ეკარგავ იმედს რომ ჩვენი იდეა — „დილოგების“ შესახებ — არ დარჩება მხოლოდ ოცნებად. „ყველაფერს ხომ თავისი ბედი აქვს, თუნდაც შემთხვევით გაცნობას“ — ეს შენი აზრია. მეც მინდა დავიჯერო, რომ დიალოგების ბედიც არ იქნება დაიწყება და გააქრობა უღლეური ბავშვით.

აი, აქ ყოფნის დროს მე წავიკითხე შენი სამი ლექსი, დაბეჭდილი ჟურნალ მნათობში. ყუბასარი (სარდალი) გაგონილი მქონდა. ჩემს ვარსკვლავს მე ვიცნობდი, რომ შენი იყო, თუნდაც ხელი არ მოგწერა. ამ პატარა ლექსს, რომელიც ამ ორის წინ იყო დაბეჭდილი მე ვეხმაურები ჩემი პატარა ლექსით ეს ლექსი თავისთავად შედის ჩვენი წიგნის რეეულში. ეს არის ჩემი გულწრფელი გრძნობა. ლექსი შენ მე წავიკითხე. თუ ეს გამოდგება დიალოგისათვის შეინახე სხვებთან ერთად.

ბინდი ჩამოწეა უჩუპრად
და კარს მოადგა ატილლა...
ღრუბლების რუხმა უჩხულმა
მზე უცებ გააბათილა.
ზვით შეეხდე თვალდია
მთვარის, ვარსკვლავის ქარაგმას,
და გადმოხედა მალლიდან
გასაოცარმა ქალაქმა.
ვღუპვარ და ისიც მღუპარებს —
ეს ამოცანა წვეული;
რას მოიგონებს უარესს
სივრცეთი ცად აწეული.

რა უნდა, რას შეუბნება,
საით შეძახის, რა არი?!
ვარსკვლავთა აგუგუნება
ჩემი მტანჯველი გრაალი.

ძმარ კოლაუ, მომიკითხე ჩვენი მეგობრები. შენ იცი ვის ვგულისხმობ. შარუხას წააკითხე ეს ლექსი მისი ჩახლქილი ხმით და შემდეგ მომწერე მისი აზრი როგორ გამოთქვა. დაეითს¹ უთხარი, რომ ძლიერ მაწუხებს მისი ფეხი და სულ იმის ფიქრში ვარ: როგორ ახერხებს იმ საქმეს?! ნუ დაიზარებს მომწეროს. კიდევ ბევრი რამე უნდა მომწერა, მაგრამ ქალაქის სიმციროს გამო ვწყვეტ. ჩემი მისამართი ასეთია: მაიაკოვსკი. მუზეუმი. მე. იქნებ რამაზი ინახულო. თუ საჭიროა დაეხმარე. ნახვამდის

შენი მიქელი

ძვირფასო ძმარ კოლა!

ასეთი გრძელი ლექსის გადაწერა მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ შენთან საუბრის სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ტრადიციული სიზარმაცე დავსძლიე. უკვე შევეჩვიე იმ გარემოებას, რომ თავის ინიციატივით არაფერს მომწერს, მაგრამ დარწმუნებული ვარ რომ ხანდახან მაინც მიგონებთ. არის რაღაც სასიამოვნო იმ გარემოებაში, რომ განზრახული გვაქვს „დილოგების“ (ან „საუბრების“) გამოცემა და ამდენი წლების განმავლობაში ვატარებთ გულში ჯერ კიდევ განუხორციელებელ იდეას. თუმცა ცალკეული ფრაგმენტები დაწერილია უკვე. თითქოს რაღაც განძი მეგულებოდეს, რომელსაც ვერაფერს წამართმევს და მან დიდი სიხარული უნდა მომიტანოს. ასე ვცხოვრობთ ჩვენ იმედით, რადგან სინამდვილე მაინცდამაინც არ გვანებებურებს.

იქნებ შენ ჩვენი „დილოგების“ ჩონჩხი უკვე მოხაზული გაქვს და მის ცალკეულ ფრაგმენტებს ჩუმად იმეორებ, როცა საკუთარ თავთან და პოეზიასთან მარტოდ დარჩები? მე შემომაქვს წინადადება: უახლოეს დროში მივმართოთ ერთმანეთს „მემორანდუმით“, სადაც მოხაზული იქნება „დილოგების“ რკალები, საერთო იდეა და ის მთავარი და წვრილმანი რაც ჩვენი

¹ დეითი — დეითი გაწილიაძე, პოეტი, დრამატურგი, მიქელ პატარაძის შვილი (1902-1974).

აზრით უნდა იყოს შიგ. შემდეგ მისი ტექნიკური მხარე და განხორციელებას წესები და ვადა. ყველაზე საოცარი და საშიშია ვადა. დროს შეუძლია ყველაფრის არე-დარევა და მოსპობა. ეს „ემპორანდუმი“ შეთანხმებული იქნება ერთ სამუშაო პროგრამად და შემდეგ შაიკაზმება პოეზიის მერნები.

როგორც არ უნდა იყვეს ამ წიგნის გვეგმა, შიგ უსათუოდ უნდა შევიდეს ჩვენი მოგონება ქუთაისზე, კერძოდ გიმნაზია და ჭადარი, რომლის ჩრდილში საქართველოს მეფეები მოისვენებდნენ ხოლმე. იქნებ ენამ წამისწრო, ეს ლექსი შენ უნდა დაგწერა პირუელს. მინდა იმედი ვიქონიო, რომ ჩემი ლექსი მოგცემს იმპულსს რაღაც კარგი და უცნაურად კარგი დასწერო. პირადად სანამ დავსწერდი მეტად გატაცებული ვიყავი, ცალკეული სურათები, ფრაზები, შედარებები რაღაც ფანტასტიურის დაწერას მპირდებოდნენ. სამწუხაროდ ხელში შემჩა, несколько старомодное стихотворение, несколько сумбурное, отчасти запальчивое и во всяком случае неизмеримо ниже тех переживаний под впечатлением которых я несколько дней как пьяный бродил по Кутаису. Привет твоей дорогой Норе¹. Я видел Шуру, они ворчат что не пишете. Так слегка. კოლკა ძამია გაკოცებს შენი მიქელი, გადაეცი დიდი მოკითხვა შარუხას, შეუდარებელს და მასვე უსათუოდ წაუკითხე ჭადარი, თუ მოწონოს მომწეროს. აგრეთვე ხელის ჩამორთმევით მომიკითხე რაედენი. მასიამონა მისმა კოხტა სონეტმა. Старик не сдается. ჩემი მგზნებარე საღამო დავიოს. მისი ამ ბოლო დროს არაფერი წამიკითხავს. იმედია ვახსოვარ და არ მომიძულებს. თქვე უსინდისოებო უძღვევნიტ გენიალური ლექსები ჩემს მარტვილობას. სოსო ასლანიშვილი² თუ შეგ ხვდეს ჩემი სადღევრძელო დალიეთ სხვებიც ყველანი მომიკითხე. იცის ღმერთმა არაუინ მძულს.

შენი მიქელი

P.S. ეს პოსტსკრიპტუმი განსაკუთრებით მალეღებს. ეს შეეება რამაზსა და ჩემს ლალუკას.³ დიდი ხანია წერილი არ მიმიღია. თუ ძმა ხარ, მიაკითხე,

1 ნორა — კოლკა ნადირაძის მეუღლე.

2 სოსო ასლანიშვილი — ექიმი, მთავსეღელი, საზოგადო მოღვაწე. ჟურნალების „შეარდნი“, „თეატრი და მუსიკა“, „ხელოვნება“, „თანამედროვე მდიცინა“ რედაქტორი. მიქელ პატარაძის ახლო მეგობარი (1891-1955)

3 ლალუკა — მიქელ პატარაძის ქალიშვილი.

გაიგე მათი ამბავი და მომწერე. რომ იცოდე როგორ ველეღე მათი გაშორებით და მათი მდგომარეობის უცოდინარობით. შემდეგ, როცა მწერლებზე იქნეს რამე სამრეწველო საქონლის განაწილება არ დაივიწყო მიქელი და რამაზს ააღებინე თუ ძმა ხარ იმედია ამ დელიკატურ საქმეს შენ შეასრულებ.

შენი მიქელი
მაისი 6, 1946 წ.

ჩემო კარგო ნიკოლაოზო!

კარგა ხანია შენი ნახვა მინდა. ვერსად შეგ ხედი, რომ მოგეხეიო ძმურად და გელაპარაკო „მნათობის“ № 6-ში დაბეჭდილ შენს ლექსებზე. ვეღარსად გნახე და სანამ კიდევ იმ ლექსების შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, ამ წერილით მინდა შეგეხმეიანო. შენ რომ ნამდვილი პოეტი ხარ, ამაში ეჭვი არავის არასოდეს პქონია, მაგრამ, მაპატიე პირდაპირობა, ხომ შეიძლებოდა მეც მეფიქრა, რომ წლებმა და სხვა გარემოებამ მოადუნა შენი ძალა და გულიც გაგიბოროტა, რის შემდეგ შეუძლებელია პოეტმა ისევ ნამდვილი ხმა გამოსცეს? მაგრამ შენ არა თუ განულებულხარ, არამედ ძველი ძალა სრულად შეგრჩენია.

გასაოცარია შენი ორი ლექსი — „ზღვის პირას“ და „ჩემი ვარსკვლავი“. სიტყვით ვერ აგიხსნი რაშია მათი ძალა და მომხიბლაობა. მე მხოლოდ ვგრძნობ ამას და განვიცდი საოცრად. ბოლო ხანებში მე ორჯერ განვიცადე ნამდვილი ალტაცება და თრთოლვა პოეზიით — შენი ამ ლექსებით და სიმონ ჩიქოვანის ლექსით „დედა“. შენი ლექსების წაკითხვისას მე ისევ განვიცადე ის მღელვარება რომელიც ყოველთვის განმიცდია დიდი ლირიული კმნილების წაკითხვის დროს. ძალიან ხშირად ვერ განმარტავ, თუ რაშია ნამდვილი ლექსის ასეთი დიდი ძალა, ვერ იტყვი რატომ შეგიტრიალებენ სულსა და გულს, მაგრამ ისინი მუდამ აგამღელვარებენ და რაღაცნაირი ზემოთ აგვიხებენ სულს.

მე ფიქრით გადავხედე შენს წარსულს, ახალგაზრდობას, მომაგონდა შენი ცხოვრების მრავალი დღე. შენ მუდამ შენი თვალით უცქერდი ქვეყანას, ხანდახან მე მაბრაზებდა შენი, ასე ვთქვათ, „გამოუყენებლობა“ ცხოვრებაში, შენ მეტიხმეტი ჯიუტობით ფარგლავდი შენს გარემოს, თითქო ცდილობდი ზედმეტად არ მიგკარებოდა ცხოვრება და არ დაერღვია შენი სულის

ერთხელვე დაწყებული მდინარება. ცუდი იყო ეს თუ კარგი იყო — ამას
არ მინდა ახლა ლაპარაკი, მე მიხარია მხოლოდ, რომ შენ შეინარჩუნე
შენი თავი პოეტად. შენც გქონდა, ასე ვთქვათ, ფეხის ასხლეტა, მაგრამ,
დარწმუნებული ვარ, დიდ სულიერ ტანჯვად გიჯდებოდა ის შემთხვევები.

შენ არაფერზე არ გაგიცვლია პოეზია. ძალიან მწელია ასეთი სულიერი
ძალა გამოიჩინო ადამიანმა. შენ შუგრა საუკეთესო ტრადიციები იმ წლებისა,
როცა ახალგაზრდა, ლამაზი, ჯანითა და ენერჯით სავსე, შენს მგობრებთან
ერთად მთელ სულს მხოლოდ პოეზიას აძლევდი. ქალი გიყვარდა, თუ ქუჩაში
ჩხუბობდი, სეამდი, ხეტიალობდი, დიდ კაცს ან ყველაზე მცირე მოქალაქეს
ელაპარაკებოდი — ყველგან და ყოველთვის მხოლოდ პოეტი იყავი.

შენი ცხოვრება შენ აქამდე გაატარე ისე, რომ შემიძლია შეგადარო
ხანთელს, შენ ისევე იწვი იმ ხატის წინაშე, რომელიც პირველადვე შენმა
სულმა მიიღო. მაპატიე ეს რიტორიკა, არც შენ გიყვარს ის, მაგრამ ახლა
ისე გწერ, როგორც მქნებოდა.

გული შტკეა, რომ შენს ამ ლექსებს უკვე ვეღარ კითხულობენ ის
მგობრები, რომლებიც ყველაზე უფრო გაიზარებდნენ, ისინი, ვინც ჭეშმა-
რიტი პოეტები იყვნენ და რომელნიც ასე უდროოდ წავიდნენ ჩვენგან. ხომ
გახსოვს, რა ზეიმი ისმოდა მათ ხმაში, როცა ნამდვილ პოეტურ ქმნილებას
კითხულობდნენ? მე შკონია შენ ხშირად გესმის მათი ხმები და ესეც ბადებს
შენში ახალ სიმღერებს, გათქმეინებს მათ, რაც მათ ვერ მოასწრეს, — თითქო
ანდერძი დაგიტოვეს მათ მაგიერ სიტქვა ის, რაც მათ დარჩათ უთქმელი.

არ მინდა შეგაშინო, ჩემო კოლაუ, მაგრამ შენც იცი — დიდი ხანი აღარ
დაგრჩა. გაბედული კაცი ხარ და კიდევ შეტი გაბედე. კეთილდღეობისათვის
შენ აქამდე არ გაგიმეტებია პოეზია და მჯერა არც აწი მოიხიბლები
გარეგნული კეთილდღეობით.

ბვერს გკონი ჩემო კოლაუ. რა იქნება ერთხელ მე და შენ განვერიდოთ
ყველას და ყველაფერს, და ისე, როგორც ოდესღაც ბაგრატიის ნანგრევებზე
მგობრებთან ერთად ხეტიალის დროს, აუფორიაქით ჩვენი თავი პოეზიით?
იმ წუთებში ჩვენთან აღბად ისინიც იქნებიან.

შენი სერგო კლდიაშვილი
16.XI.44 წ.

კოლაუ, ჩემო ოქრო ბიჭუნ! რატომ ასე მომიძულე? მინდა თავი შვებახსენო, რომ ჯერ კიდევ ვარსებობ ამ ქვეყანაზე. ვინდა დაგრჩა ძველი მეგობრებიდან, რომ ჩემზედაც ხელი აიდე? ისე მომენატრები ხოლმე, როგორც ჩვენი წლები ქუთაისში, როცა შენს ოქროს საათს ხან ერთ, ხან მეორე რუსტორანში ვაგირავებდით. თურმე რა ბედნიერები ვიყავით მაშინ!

რა იქნება, ერთხელ გასწირო თავი და მოხვიდე? დამატკბე შენთან საუბრით, მოვიგონოთ პაოლო, ტიციანი, ვალერიანი, სანდრო,¹ გოგლა. ამ თუქსუს დროში მეტი რა დაგვრჩენია, თუ არა ჩვენი კეთილი წარსულის გახსენება! ხელი ხელში გაუყარე შენს მეუღლეს, წამოიძვანე ჩვენი კარგი შალვა დემეტრაძე² და მოცანცალდით.

დღეს შენს პირველ წიგნს „ბალდახის“ ვფურცლავდი. იმ დროის სურნელება ვიგრძენი, მომენატრე და იმიტომ შეგაწუხე ამ ბარათით.

გუგუი. გოცნი შენი სერგო კლდიაშვილი

ჩემო ძვირფასო საყვარელო მეგობარო კოლაუ!

მოგილოცავ სახელოვან იუბილეს.

შენ ამშვენებ ქართულ პოეზიას და ამიტომაც ასე უყვარხარ ქართველ ხალხს. იცოცხლე დიდხანს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მე აუად ვარ და ვერ ვესწრები შენს ზეიმს, მაგრამ გულით შენთან ვარ.

შენი სერგო კლდიაშვილი

4.III.85

¹ სანდრო — სანდრო ციციკიძე — შვედელი „ციხეფრანწელი“ (1894-1923).

² შალვა დემეტრაძე — გამომცემელი, კოლაუ ნადირაძის მეგობარი.

ალექსანდრე ხახანაშვილის პირადი წერილები

ალექსანდრე ხახანაშვილი ფილოლოგიურ მეცნიერების ისტორიაში ერთ-ერთი საგულისხმო და ნათელი სახელია. იგი დაიბადა ქ. გორში 1868 წლის 3 იანვარს, მღვდლის — სოლომონ ქრისტეფორეს ძე ხახანაშვილის ოჯახში. დაწყებითი განათლება გორის სამოქალაქო სასწავლებელში მიიღო. 1877 წელს გადავიდა თბილისის ე.წ.თა გიმნაზიაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სახელმწიფო ხარჯით გაიგზავნა მოსკოვის უნივერსიტეტში, ისწავლა ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომლის კურსი დაამთავრა კანდიდატის ხარისხით და მიიღო ვერცხლის მედალი თხზულებისათვის — „ბიზანტიური საზოგადოება და ბერძენთა ეკლესია კომუნების დროს“, ხოლო ოქროს მედალი დაიმსახურა ისტორიული თხზულებისათვის — „Очерки по истории словесности“.

ალ. ხახანაშვილი დიდ ენერგიას ახმარდა ქართული მწერლობის, ისტორიის და ეთნოგრაფიის საკითხების დამუშავებას და შესწავლას, ბეჭდავდა გამოკვლევებს ეთნოგრაფიულ ჟურნალში თუშუბზე, ფშაველებზე, მოხვევებზე. ჟურნალ „Русская мысль“-ში¹ დაიბეჭდა წერილები ალ. ყაზბეგზე, ილია ჭავჭავაძეზე და ვახტანგ ორბელიანზე. თანამშრომლობდა აგრეთვე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ჟურნალ „მწვექსში“² დაბეჭდა და შემდეგ ცალკე წიგნად გამოსცა „გუჯრები“, „მოამბეში“³ — „საერო პოეზიის მნიშვნელობა“, „საქართველოს მეფეთა კურთხევა“ და „ვისრამიანის შესახებ“.

უნივერსიტეტში სწავლის დროს დაწერა და გამოაქვეყნა სამეცნიერო თხზულებები: „ქილილა და დამანას ქართული თარგმანი“, „უძველესი მიჯნები ქართველთა მოსახლეობის მცირე აზიაში“, „მესხნი, ეთნოგრაფიული მოხილვა“, „მკითხავნი და ჯადოქარნი ქართული კანონების მიხედვით“, „ქართული თქმულება წმ. გიორგიზე“, „ხელნაწერნი და ნაწარმოებნი

1 „Русская мысль“ — ყველთიერი ჟურნალი, გამოდიოდა მოსკოვში 1880-1882 წწ.

2 „მწვექსი“ — ქართული სასულიერო ჟურნალი, გამოდიოდა ევრილაში (ხესტაფონის რაიონი) თვეში ორჯერ — 1883-1910 წწ.

3 „მოამბე“ — ქართული ყოველთიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ჟურნალი, გამოდიოდა თბილისში — 1894-1905 წწ.

ქართულის ლიტერატურის, ეკლესიის მიერ არშეწყნარებულნი“, „შოთა რუსთაველი და მისი პოემა ვეფხისტყაოსანი“, „დასაწყისი ქართველთა მატრიანესი და მისი წყაროები“, „აკაკიასის საისტორიო გეოგრაფიის შესახებ“, „ქართული მოთხრობა აღ. მაკედონელზე“ და სხვა.

აღ. ხახანაშვილმა პირველმა შექმნა ქართული მწერლობის სისტემური კურსი. იგი დიდი ინტერესით სწავლობდა და იკვლევდა ქართულ აპოკრიფულ¹ ლიტერატურას.

დამსახურება და ღვაწლი მეცნიერისა ისიც არის, რომ მისი გამოკვლევები იბეჭდებოდა არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ რუსულად, ფრანგულად და გერმანულად. მისი ინიციატივით გამოქვეყნდა ქართული ზღაპრები, მანვე მოიპოვა და გამოაქვეყნა ძველი ქართული ხელნაწერები.

„დასაფასებელია და აღსანიშნავია სწორედ ის მხნეობა და სიყვარული, რა მხნეობითა და სიყვარულითაც ეკიდებოდა აღ. ხახანაშვილი თავისი კვლევის საგანს. 25 წელიწადი ემსახურებოდა ამ საქმეს და ემსახურა ისე, რომ თავი არ დაუზოგია, კალამი ხელიდან არ გაუგდია“. — წერდა აღ. ფრონელი.²

არტურ ლაისტი კი აღ. ხახანაშვილს ასე ახასიათებდა: „ყველაზე უფრო გამძლე და პროდუქტიული ქართველი მეცნიერია თანამედროვეთა შორის. ყველა საკითხი, რომელსაც იგი ხელს ჰკიდებს, კარგ ახსნასა და განმარტებას ჰპოულობს“.

აღ. ხახანაშვილმა 1894 წელს მონაწილეობა მიიღო ორიენტალისტთა მე-10 საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში და წაიკითხა მოხსენება „უცხოური გავლენები ქართულ ცივილიზაციაზე“.

აღ. ხახანაშვილი გარდაიცვალა 1912 წელს. ქართველმა ხალხმა მისი ნეშტი დიდუბის პანთონს მიაბარა. დაკრძალვაზე სიტყვა წარმოსთქვა აკაკი წერეთელმა.

მისი ბიბლიოთეკა, ანდერძის თანახმად, გადაეცა ლაზარევის სახელობის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტს. ქონების ნაწილი (45.000 მანეთი) შესწირა

1 აპოკრიფი — (დაფარული საიდუმლო) ადრინდელი ქრისტიანული ლიტერატურა, რომელიც საეკლესიო კანონში არ შესულა.

2 აღ. ფრონელი — ალექსანდრე ვაფშძე — ისტორიკოსი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე (1862-1916).

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ალექსანდრე ხახანაშვილის არქივი (მცირე ნაწილი მისი მდიდარი შემოქმედებისა).

წერილებში ჩანს ავტორის დამოკიდებულება შშობლიური ლიტერატურის, ზეპირსიტყვიერებისა და ისტორიისადმი.

ალ. ხახანაშვილის პიროვნების სრული წარმოჩენისათვის, გადაწყვეიტეთ მისი პირადი წერილების გამოქვეყნება მცირეოდენი შემოკლებით. იმედია, ქართველი ერი უფრო ახლოს გაიცნობს საინტერესო მეცნიერ-მკვლევარისა და ერის მოჭირნახულე ალ. ხახანაშვილის დანატოვარს.

*მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
დოდო ალიბეგაშვილი*

თქვენო უსამღვდელოესობაჲ,

დიდად პატივცემულო მწყემსთმთავარო ლეონიდე!

მოგილოცავთ წრფელის გულით თქვენს დანიშვნას იმერეთის მღვდელმთავრის კათედრაზე და ვისურვებ თქვენი ნაყოფიერი მოღვაწეობის გაფურჩქვნას დასავლეთ საქართველოში ჩვენი ეკლესიის და საზოგადოების საკეთილდღეოდ. დარწმუნებული გახლავართ, რომ თქვენი ნიჭი, გამოცდილება, ცოდნა და სიყვარული ეკლესიის და ერისადმი შეუქმნის იმერეთს ღირსეულს მემკვიდრეს ნეტარხენებულის, ეპისკოპოზის გაბრიელის² სამწყესობი.

ამ მოლოცვასთან ნება მიბოძეთ გთხოვით გადასცეთ ჩემი უღრმესი პატივისცემა ყოვლად სამღვდლო ალექსანდრეს, თქვენს აღმზრდელს, ჩვენი საზოგადოების კეთილსმყოფელს და ღირსეულს მამას. ვსარგებლობ შემთხვევით გაცნობით, რომ განზრახულს მიქელ მოდრეკილის¹ წიგნის გამოცემაში მე უსარგებლო ვიქნები, ხოლო დანარჩენი ხელნაწერების აღბეჭდვაში გთხოვთ მიყოლიოთ სახეში და ჩემი დახმარებით განაგოთ ამ საგანზედ

1 ლეონიდე — ლონგინოს ოქროპირიძე — საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1918-1921 წწ. (1860-1921).

2 გაბრიელი — (ერისკაცობაში გერასიმე ქაქოძე) — იმერეთის ეპისკოპოსი 1860-96 წწ. ფსიქოლოგი, საზოგადო მოღვაწე.

3 მიქელ მოდრეკილი — X ს-ის ქართველი პოეტი-ჰიმნოგრაფი.

პირადად გაგიზიარებთ ჩემს მოსაზრებას ამ მომავალს ზაფხულს, რომელსაც
გაუტარებ იმერეთში. დიდად სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ჩემთვის,
თუ თქვენი მოგზაურობა ახალს ეპარქიაში იმ დროს მოხდება, როცა მე
იმერეთში ვიქნები. თქვენის ნება-დართვით გამოგვეუბოდიშო, როგორც ოდეს-
მე ბროსეს¹ საქართველოს ვეზარხოსს, და ვნახუდი ისეთს ადგილებს, რო-
მელნიც ჩემთვის მიუწევდომელებნი იქნებიან, თუ კერძოთ მე წავიდოდი.
მეტადრე სვანეთის დათვალიერება მსურს თქვენთან ერთად. მაპატიე, რომ
გუკვირებით და თავს გაბუზრებთ, მაგრამ თქვენი გულკეთილობის მოიძედე
მანაც ვრჩები და იმედი მაქვს, როცა შემთხვევა გექნებათ პასუხს მაცნობებთ.

*თქვენი ღრმად პატივისცემული
ალექსანდრე ხახანაშვილი
1900 წ. სექტ. 12 დღესა
მოსკოვი*

პატივცემულო ბატონო მოსე!²

თუმცა თქვენი ცნობა არ მაქვს, მაგრამ გარემოებამ გამაკადნიერა
მოგმართოთ უმორჩილესის თხოვნით საარხიოლოგიო კრებისთვის ვაშხადებ
მოხსენებას ქართველთა სარწმუნოების შესახებ ქრისტიანობის გავრცელე-
ბამდე. ამ კითხვის რიგიანად შესასრულებლად დამჭირდა ის ხელნაწერი,
რომლის შესახებ თქვენ და დ. ბაქრაძე³ სწერდით ამ წლის „ივერიაში“.⁴
„წერა-კითხვის საზოგადოებას“⁵ ვთხოვე ღრობით დასახელებული მანუს-
კრიპტი, მაგრამ უარი მომივიდა. ერთი გზა-ლა დამრჩა: მოგმართოთ თქვენ
და უმორჩილესად ვთხოვთ გადმომიწეროთ ცნობანი რელიგიის შესახებ და
გამომიგზავნოთ. პატივცემული ისტორიკოსი დ. ბაქრაძე ვერ შეაწუხე და
სხვა არავინ ძვეულება, რომ ეს სამსახური დავეალებინა ჩემთვის.

1 ბროსეს — მარი ბროსე — ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი (1802-1880).
2 მოსე — მოსე ჯანაშვილი — საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, პედაგოგი (1855-1934).
3 დ. ბაქრაძე — დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე — ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი (1826-1890).
4 „ივერია“ — ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1877 წლიდან. დამაარსებელი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე.
5 „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ — დაარსდა 1879 წელს. მისი დამაარსებლები იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი და სხვები.

გარდა ამისა თქვენ გაქვთ ნაწერები „დროებაში“¹ ინგილოელთა შესახებ. მოსკოვში არსად არის ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ძველი ნომრები, ლაზარევის ინსტიტუტისათვის გამოეწერე. მაგრამ ჯერ არ მოგვსვლია, თუმცა მჭეუთ თვე მიდის მას შემდეგ. თუ ამ ნომრებს გამოგზავნით, საცა რელიგიური ცნობანი მოყვანილი საერთოდ თქვენი და ან სხვებისა (მეტადრე თაეისუფ. სვანისა), მაშინ ჩემი თაეი ორ კეცად დეალებული იქნება. ამ ცნობების მიღება მეტად მეჩქარება.

გადაეცით ჩემი პატევისცემითი მოკითხვა დიმიტრი ზაქარიას ძეს.²

თქვენი პატევისცემული ალ. ზახანაშვილი
1889 წ. 14 დეკ.

1891 წ. სექტ. 30 დ.

პატეცემული ბატონო მოსე! გამადლობთ გორგიჯანიძის³ შესახებ წიგნის გამოგზავნისთვის. ერთი სამადლობელი საქმე კიდევ დამავალეთ. გახსოვთ, ამ ზაფხულს თქვენი ხელნაწერიდან გადმოვიღე პირი მხეცთათვის. ახლა შეუდარე იგი ბერძნულს დედანს და აღმოჩნდა, რომ ქართულს ნათარგმნს ბვერი მხეცი აკლია და რაც არის, ისიც დაუბოლოებულია. გთხოვთ მაცნობოთ (მე თვითონ ვერ მოვასწარ შემედარებინა), სრულად არის გადმოლებული თქვენგნით მესხიშვილის კრებულიდან დასახელებული თაეი? დიდად დამავალბთ, თუ დამატებასაც მომაწოდებთ; ამისათვის, საჭიროა თქვენი ხელნაწერი შეუდაროთ მესხიშვილის კრებულს. პასუხს ველი თქვენი ერთგული

ა. ზახანაშვილი

ძვირფასო ძმარ მოსე!

გამოუთქმელად გამადლობ იმ ფასდაუდებელი შრომისათვის, რომელიც ჩემი გულისათვის მიიღე და „მხეცთა“ ხია შემისრულე. მხოლოდ ეს მაცნობე:

1 „დროება“ — სოციალ-დემოკრატიული ქართული ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1908-10 წწ.

2 დიმიტრი ზაქარიას ძე — დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე.

3 საუბარია მოსე ჯანაშვილის წიგნზე — „ფარსადან გორგიჯანიძე“ და მისი შრომანი“. ტფილისი, 1896 წ.

X ფარსადან გორგიჯანიძე — ქართული პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი (1626-1696).

მცენარეებზე და ქვებზე ხომ არა იყო რა და თუ იყო, რომელის სახელწოდებისანი. ბერძნულს „ფიზიოლოგში“ ჩართულია ხენი და ქვანიც. შესადარებლად საჭიროა ვიცოდეთ, რამდენად არის დაცული დედანი ქართულს თარგმანში.

ჩემი მეორე წიგნი „Очерки“-ს იბეჭდება და იქნება იანვარში გამოვიდეს. „ფიზიოლოგზე“ მოვაქცევ ამ კაბადონის ბოლოში. ამ კვირია კი წავიკითხავ სლავიანურ კომისიაში პატარა მოხსენებას შენ მიერ მოწოდებულ „მხეცთა“ სიაზე. რა ამბავია ტფილისში? გიორგი სამაგლოვის¹ ბერად წასვლა რით აიხსნება? საკვირველია, ორი დღის წინათ იმისგან წერილი მივიღე და თავის ბერობაზე არას იწერებოდა. ახლა არც კი ვიცი, სად მფწერო პასუხი. ამიტომ გთხოვ ამ წერილთან გამოგზავნილი ეპისტოლე გადასცე „კირილეს“, ყოფილს გიორგის.

ვინ დანიშნეს რაფიელის² მაგიერად ცენზურად? „ფურია“ გამოეა, თუ „ცნობის ფურცელით“³ კმაყოფილდებიან?

ნუ გაგიკვირდება, რომ ამდენ საკითხავს გაძლევ, ყველას ცოდნა მწყურს. რაც ჩვენს გაწყალებულს სამშობლოს შეეხება.

შენი ერთგული ძმა და მგობარი ა. ხაჩანაშვილი
 1896 წ. ნოემბრის 18 დ.

პატოცემულო მოსე!

გიგზავნით პატარა წერილს, თანახმად თქვენი თხოვნისა, პალეოგრაფიის შესახებ. როგორც მწერდით აქ მოყვანილია აზრი ფრ. მიულლერისაგან⁴ და დ-რი რ. აბიხტისა.

1895 წ. ლეიპციგში დაიბეჭდა პატარა წიგნი რომლის ავტორი, დ-რი რ.

¹ გიორგი სამაგლოვი — გიორგი ივრონიძეს ძე სამაგლოშვილი — კირიონ II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1917-18 წწ. (1855-1918).

² რაფიელი — რაფიელ ერისთავი — მწერალი, უნივერსალი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. 1889-96 წწ. კავკასიის საცენზურო კომიტეტის ცენზორი (1824-1901).

³ „ცნობის ფურცელი“ — ქართული ეოვლთოეური გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1896 წლიდან.

⁴ ფრ. მიულლერი — ფრიდრიხ მიულერი — ავსტრიელი ენათმეცნიერი და კონსერვატი. იკვლევდა იბერიულ-კავკასიურ ენებსა და ხალხებს (1834-1898).

აბიხტი, ირიცხება ლექტორად პოლონური და რუსული ენებისა ბრესლავის უნივერსიტეტში. წიგნი გამოვიდა სათაურით „შემთხვევითია მსგავსება გლაგოლიცას და ქართულ ანბანს შორის“. მოგვხსენებთ „გლაგოლიცას“ უწოდებენ სლავიანურ ანბანს, რომლის შექმნას მიაჩერენ კირილლეს¹ (კონსტანტინეს) მეცხრე საუკუნეში. წმ. კირილლემ სლავიანური ანბანისათვის ასოები გადილო ბერძნულიდან და სხვა ენებიდან, როგორც აქამდე ამტკიცებენ, დ-რი აბიხტი კი გვარწმუნებს, რომ სლავიანური ასოები გადაღებულია ქართული ანბანიდან. ამ მოსაზრებას იგი წინუძღვარებს ისტორიულ ცნობებს საქართველოს და საბერძნეთის მისელა-მოსვლის შესახებ. მეცხრე საუკუნეში, როცა წმ. კირილლე კონსტანტინეპოლში სცხოვრობდა, გაძლიერდა საბერძნეთის გავლენა საქართველოზედ. ბაგრატ I, აშოტ და სხვანი საბერძნეთის ტიტულით იხსენებიან. ამ ისტორიული საბუთის შემდეგ იგი ადარებს სლავიანურ ასოებს ქართულს და პალეოგრაფიული მოსაზრებით ამტკიცებს, რომ ადვილად შესაძლებელი იყო სლავიანური ასოების ქართული ანბანიდან წარმოება. ავტორი დარწმუნებულია, რომ კონსტანტინემ (წმ. კირილლემ), როგორც ბიბლიოტეკარმა და განათლებულმა პირმა იცოდა ქართული მწერლობა და ისარგებლა ამ ცოდნით იმგვარი ასოების შექმნისათვის, რომელთა ბერძნულს ენაში არ მოიპოვებიან. სომხურს იგი ვერ მიჰპართავდა, რადგანაც ხალკიდონის მსოფლიო კრების² შემდეგ სომხები მწვალებლად იქნენ აღიარებულნი. შემდეგ თვით ქართული ანბანის შექმნის შესახებ აქამდის აზრი ვერ გადაწყვეტილა. ბროსე აწარმოებდა ჩვენს ანბანს ინდოეთში მიღებული გავრცელებული ალფაბეტებიდან. ილ. ოქრომჭედლიშვილი³ ეძი-

1 კირილლე — კირილე და მეთოდე — სლავი განმანათლებლები, ჭრისტიანობის მქადაგებლები, რომლებმაც შექმნეს სლავური ანბანი და ბერძნულიდან სლავურ ენაზე პირველად თარგმნეს საღვთო წიგნი.

2 ხალკიდონის მსოფლიო კრება — ქალკედონის საეკლესიო კრება — მოწვეული იქნა ქალაქ ქალკედონში, 451 წელს, 8 ოქტომბერს. კრებაზე მონაწილეობას იღებდა საქრისტიანო მსოფლიოს 630 ეპისკოპოსი.

განხილვის უნაირეს საკითხს შეადგენდა კონსტანტინეპოლელი არქიმანდრიტის ეგტეპის მწვალებლური სწავლას უარყოფა. ეგტეპი ამტკიცებდა, რომ იესო ჭრისტეში იყო მხოლოდ ერთი ღვთაებრივი ბუნება და ერთი ნებისყოფა. კაცის ბუნება და კაცის ნებისყოფა კი — წინაშეული იყო ღვთაებრივი ბუნებისა და ნებისყოფის მქონე. ამ სწავლას წინააღმდეგობას, ანუ ერთბუნებაობა. კრებამ ეგტეპი და მისი თანამაზრენი (მონოფიზიტები) განკვეთა. ჭრისტიანულ მსოფლიოში მათ სწავლას მისდევს სომხთა ეკლესია. („საქართველოს ეკლესიის კალენდარი“ 1970 წ.).

3 ილ. ოქრომჭედლიშვილი — ილია ლაზარეს ძე ოქრომჭედლიშვილი — ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პედაგოგი, ქველმოქმედი. მოსკოვის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის დირექტორის შემდეგ ასრულებდა დოცენტის მოვალეობას (1838-1898).

ებდა მხედრულის დედანს ზენდურს¹ ანბანში, დ. ბაქრაძე და დ. ფურცელაძე ხუცურს ჰხადოდენ უძველესად და მხედრული მიაჩნდათ ხუცურის წარმოშეებულად, თუმცა თვით საგანს ხუცურის შექმნისას იგინი გვერდს უქცევდნენ. შარშან დაიბეჭდა გერმანულად პროფ. ფრ. მიულლერის გამოკვლევა ქართული ანბანის შესახებ. განსვენებული მეცნიერი ამტკიცებს, რომ მესროპს² არ ეკუთვნის ქართული ხუცურის გამოგონება. ხუცური, რომლიდანაც წარმოსდგა შემდეგ მხედრული, აღებულიაო სემიტიური (არამეული) ანბანიდან. პალეოგრაფიულად ცდილობს ავტორი ახსნას კავშირი ხუცურ და არამეულ ანბანთა შორის, თუმცა იგი აღიარებს, რომ არ ვიცით დარწმუნებით არამეული მწერლობა იხმარებოდა თუ არა კავკასიაში. თუ პალეოგრაფიის მხრივ გვესინჯეთ ამ ახალს თეორიას უნდა ვაღიაროთ, რომ იგი ნაკლებ გვაკმაყოფილებს, ვიდრე აზრი ილია ოქრომჭედლიშვილისა ზენდური ანბანის გავლენის შესახებ ქართულს ასოებზედ. ესეც კი უნდა დავუმატოთ, რომ პროფ. ოქრომჭედლიშვილი ადარებდა ქართულს მხედრულს ზენდურის ანბანის იმ ხანას, როცა ამ უკანასკნელში ასოები დამრგვალდნენ. ეს შეცვლა ასოებისა მოხდა მე-12 საუკ. ქრ. შემდეგ. მაშასადამე ფარნავაზ მეფეს არ შეეძლო მითი ესარგებლა მე-3 საუკუნეში ქრისტეს წინათ.

როგორც ხედავთ, ქართული ანბანის ისტორია ჯერ არ არის გამოკვლეული და მის ასახსნელად ფრიად საჭიროა პალეოგრაფიული მასალის შემოკრება, შესწავლა და ნაწერის ხასიათის აღნიშვნა დროთა განმავლობის მიხედვით.

ასე, ჩემო მოსე, მოკლედ მოგახსენე შინაარსი იმ ორი წიგნისა, რომლის შესახებაც მწერდი. ამაზე მოკლედ ვერ შევძელ. გისურვებ თქვენი შრომის ჩქარა გამოცემას. კატალოგისათვის გმადლობ. თუ მუზეუმის ხელნაწერს გამომიგზავნით, დიდად დამაყალებთ.

თქვენი ერთგული ა. ზახანაშვილი
1898 წ. 12 დ.

¹ ზნდები — ირანულენოვანი ტომი და დინასტია დასავლეთ და სამხრეთ ირანში.
² დ. ფურცელაძე — დიმიტრი პეტრეს ძე ფურცელაძე — ქართველი ისტორიკოსი, იკვლევდა ქართული სამართლის ისტორიის საკითხებს (1825-1891).
³ მესროპი — მესროპ მამბრცი — სომეხი სწავლული. 405-406 წ. შექმნა სომხური ანბანი (361-440).

ღია წერილი ბ. მოსე ჯანაშვილისადმი პატრიცეპულო ბატონო მოსე!

მოძიტივეთ დაგვიანებული პასუხი. მხოლოდ დღეს მოსკოვში დაბრუნების შემდეგ წვიკითხე თქვენი ჩემდამი წერილი, შესახებ შეცდომების ჩემ მიერ გამოცემულს წიგნში „ბალკარ და იოდასაფ“¹. ნება მიბოძეთ აგიხსნათ, რა მიზეზებით არიან გამოჩვეულნი თქვენს წერილში აღნიშნულნი შეცდომები აღბეჭდილს „ბალკარ და იოდასაფში“. 1) მღვ. მ. კარბელაშვილს არა რაი ბრალი არ მიუძღვის ამ შეცდომების წარმოშობაში: პასუხისმგებელი შე ვარ და აი რატომ: რადგან აქაურ სტამბაში ქართული ენის მცოდნე ამწიციბი არ მოიპოვება, ამიტომ გადაეწერე მისგან გამოგზავნილი ხელნაწერი როგორც ჩვეულებაა, ბეჭდური ხელით და ამ გადაწერის დროს შესაძლოა შემეპარა შეცდომები.

2) სტამბაში არ მოიპოვება საკმარისად ასო ე და აპიტომაც ზოგან გამოტოვებული იქმნა იგი; დარწმუნებული ვიყავ, რომ იმ შემთხვევაში, სადაც ე ძალაუნებურად გამოეკვლ მკითხველი თვით ჩაუმატებდა მრავალ მაგალითის მიხედვით და შეცდომად არ ჩასთვლიდა მაგალითად ნათესაობით ბრუნვაში მუდამ ხაწუთროსადა.

3) ესევე ითქმის სიტყვაზედ „უკუეთუ“, „გამოთქუმა“, სადაც გამოტოვებულია ხაზგასმული უ; რა თქმა უნდა მკითხველი მართლწერას ამ სიტყვებისას აღადგენს მრავალჯერ განმეორებული მათი კანონიურად აღნიშვნის მიხედვით.

4) დამეთანხმეთ, რომ ეს შეცდომები კორექტურულ ნაკლოვანებად ჩაითვლება და ადვილად შესასწორებელნი არიან, თუ მართლა საჭიროდ ხელავთ, შემოიღიან დაეურთო ამგვარ „შებდალულს“ სიტყვების სია. რაკი ლაპარაკი ჩამოვარდა კორექტურულ შეცდომებზედ, უნდა მოვახსენოთ, რომ იგი შეადგენს სენს ყველა ჩემი რუსულ-ქართული წიგნებისას. აქამდის ვერ შევეჩვიე კორექტურის გასწორებას. ეს კია, რომ რუსული წიგნის მკითხველი უფრო გულმომბიერია და ქართულს მწერლობაში თვალსაჩინო და ადვილად შესასწორებელი შეცდომები იწვევს გაუთავებელ ბრძოლას, როგორც მოხდა ამ შემთხვევაში თქვენს და მ. კარბელაშვილს შორის.

თქვენი პატრისმეცემელი ა. ზაზანაშვილი
1902 წ. 28 აგვისტო
მოსკოვი

1 „ბალკარ და იოდასაფ“ — „სიბრძნე ბალკარისა“ — შუა საუკუნეების პოპულარული ხასულიერო რომანის „ბალკარაინი“ ქართული რედაქცია.



პატრიცეპულო ბატონო მოსე!

ამ წერილს პეტერბურგიდან გწერთ და გიგზავნით სალამს პროფ. ცაგარელი¹ და მე. ჩემი სათხოვარი ის არის, რომ საჩქაროდ გამომიგზავნოთ მოსკოვში ის ნაბეჭდი ქართული სახარებანი, რომელიც თქვენ შესწორეთ ხელნაწერების მიხედვით. აღნიშნეთ თვითოეულის წიგნზე, რომ ხელნაწერის დახმარებით არის შესწორებული. იმედი მაქვს არ დაიშურებთ გადამახედვინოთ ამ თქვენს შრომას, რათა შეიმოსო თქვენ მიერ შედგენილი გამოკვლევა სახარების შესახებ. დამეაღწეოთ, კათოლიკე (ქართველ) მღვდელს გამოძირთვით მიხ. თამარაშვილის² საქართველოს ეკლესიის ისტორია ფრანგულს ენაზე.

თქვენი ერთგული ა. ზახანაშვილი

პატრიცეპულო თაგალო ივანე!

თუმცა თქვენი პირადი ცნობა არა მაქვს, მაგრამ მაინც ვებედავ მცირედი თხოვნით მოგმართოთ. მოსკოვში მოუიდა ხმა, ვითომც საზნაურო ბანკი³ აპირებს დანიშნოს რამდენიმე სტიპენდია ქართველთა სტუდენტებისათვის. თუ ეს ხმა გამართლდა, გთხოვთ იყოლიოთ სახეში და იშუამდგომლოთ კრების წინაშე ერთ გაჭირებული მოსწავლისათვის, რომლის გვარს შეხედებოდით მოსკოვიდამ მოწერილ ამბავში ქართული სალამოს შესახებ. ეს ყმაწვილი კაცი კარგარეთელია,⁴ სწავლობს კონსერვატორიაში და როგორც იქაური პროფესორები ამბობენ კაი ნიჭის და ხმის პატრონია. კარგარეთელს მსურს შემდეგ თავის ცოდნა მონადლომოს ქართული ხმების შესწავლას. ამგვარად მომზადებული და ნიჭით აღჭურვილი პირი, ჩემის აზრით, საჭიროა ჩვენთვის. თუ შესაძლებლისად დაინახოთ, ნუ დასტოვებთ

1 პროფ. ცაგარელი — ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი — ფილოლოგი, ისტორიკოსი (1844-1929).

2 მხ. თამარაშვილი — მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი — ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე (1858-1911).

3 ივანე — ივანე გიორგის ძე მანაბელი — მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი (1854-1899).

4 სათავადაზნაურო ბანკი დაარსდა თბილისში 1875 წ. ილია ჭავჭავაძისა და დიმიტრი ვიფიანის უშუალო ხელმძღვანელობით.

5 კარგარეთელი — ია (ილია) გიორგის ძე კარგარეთელი — კომპოზიტორი, ფოლკლორისტი, მომღერალი, საზოგადო მოღვაწე (1867-1939).

ამ თხოვნას უყურადღებოდ და მიეცით შესაფერი გზა, რომ გაემართონ
ხელი ი. კარგარეთელს. დასასრულ გთხოვთ მომიტკეოთ კანდიერება და
შეიძლება, უსაფუძვლო წერილით თქვენი შუქუბება.

*თქვენი პატრისმცემელი ა. ხახანაშვილი
1891 წ. აპრილის 19 დღეს
მოსკოვი*

**ქრისტე აღსდგა!
ძვირფასო და პატრისმცემლო მგობარო!**

გილოცავ წმ. აღდგომას და ვისურვებ შენს დიდხანს სიცოცხლეს იმავე
ნიჭის სიძლიერით, რომელიც აცხოველებდა აქამდის შენ მიერ შექმნილს
ნაწერებს. იმედი მაქვს ამ წმ. პასექის დიდაზროუან დღესასწაულის გამო
მომიტკევბთ დანაშაულს. მიხვდები, რასაც მოგახსენებთ — ხანგრძლივ
ჩემ სიჩუმეს ბევრნაირს მიზეზის გამო. გმადლობ იმ შენიშვნებისათვის,
რომელიც ჩემს წერილს „შოთაზედ“ უძღვევ: მგობრისაგან მინდა მაინც
ვიცოდე წრფელი და მიუღგომელი აზრი. რაც გასაკიცხია, გამიკიცხე და
რაც მოსაწონია, მომიწონე, — ამაზედ მეტი სასიამოვნო ჩემთვის არა
იქნება-რა. ეხლანდელს დროში მართლაც რომ დასაფასებელია „ხალასი
ტეშმარიტება“. წელს ადრე გვითავდება სამსახური. მაისის დამდევს
თავისუფალი ვარ. იქნება 15-მდის დაერჩე, ვიდრე დაგვირვეგინება დასრულ-
დება და შემდეგ კი არ გადამიწვევტია, საით გავწეე: საქართველოსკენ თუ
საზღვარგარეთ მანდაც საქმე მაქვს და იქაც. თუ დრო და მოცალეობა გქონ-
დეს ვასილ ჩერქეზიშვილს სთხოვე ჩემს მაგიერად რომ ამ წლის იანვრამდის
ჩემი წილი გონორარი გამომიგზავნოს აპრილის პირველს რიცხვებში. ცოტა
კოტრად ვარ და წამოსვლის დროს მაგით ხელს მოვინაცვლებ.

ამ დღეებში გავათავე რუსულად წერილი ვახტანგ ორბელიანზედ¹ და
შვეიტანე „Русская мысль“-ის რედაქციაში. ვნახოთ როგორ მოიწონებენ.

მომიკითხე ანდრია და ნუ დაივიწყებ შენს ერთგულს ა. ხახანაშვილს.

1 დომინიკა ზურაბის ას. ურისთვი — ფსევდ. „ვანდკილი“ — პოეტი და პროზაიკოსი (1864-1929).
2 ვახტანგ ორბელიანი — პოეტი, ურეკლე II-ის ასულის თეკლა ბატონიშვილის უმცროსი ვაჟი (1812-1896).

ბევრნაირად ვარ ჩემო დომინიკა, შენს წინაშე დამნაშავე. მოსატყუებელი მიზეზიც ბევრნაირია. ჯერ ერთი, რომ მხოლოდ წასვლის დროს შემატყობინე რომ მოსკოვში იყავით და ისიც იმ საღამოს. როცა პეტერბურგში მიდიოდით ვისაც ჩემი ნახვა უნდოდა წინა დღით შემატყობინებს და როგორც იქნება, მოვიცლი და წარუდგები. პეტერბურგიდან მოსულს ბარათით ვიწვევდი ჩრდილოეთ სატახტო ქალაქს. ვერც ასე მოხერხდა ჩვენი ნახვა, რადგანაც ჯერ აქ ვიყავ საქმეებში გაბმული და შემდეგ გავეშურე რომისკენ. უსაფუძვლოა, რომ ვილაცამ „გადამიბირა“ თუ გადამიტყუა. სწორედ გითხრა არც კი შესძის, რა გაქვს სახეში, როცა ამას მწამებ. თუ სხვებიც რასმე ფიქრობენ, უმორჩილესად გთხოვ შემატყობინო, რაში დაშეტყო გადაბირება. სრულიად სიმართლეს მოკლებულია, რომ ვითომ ცოლი შევიართე. არც ეს შესძის, რადგან მომდინარეობს ასე ესპობ საყვედურის მიზეზებს. სიჩუმე კი მაპატივე. კარგად იცი, რომ ყოველთვის დიდად სასიამოვნოა შენი წერილები ჩემთვის. ისიც კარგად გახსოვს, რომ ჩემს წერილებზედ შარშან პასუხი არ გამეცი, არ ვიცი კი რატომ. ასე იშვიათად, რომ არ გაგახსენდებოდე (იმერულია!) ძალიან მასიამოვნებდი და ძველებურად მიითვისებდი ჩემს გულს შენდამი მეგობრული გრძნობით აღსავსეს. „ჩემი შენ არ გითხრა, გული მაშ რითი მოგიკლაო“, ხომ გაგიგონია. შენ სწორედ ასე მახვევ თავზედ შენს ბრალს. იმედია ახლა მაინც მიხვდები, რომ დროა გული მოიბრუნო ჩემსკენ და იშვიათი წერილებით მაინც გამიზიარო შენი ამბავი და მანდაური საქვეყნო საქმე. შე სრულიად მოწყვეტილი ვარ მანდაურს საზოგადოებას, რასაც გაზეთებიდან შევიტყობ, იმით თავდება ჩემი თანაზიარება მამულის გარემოებაში, ვინც წერილს მწერს, მხოლოდ თავის კერძო სათხოვარ საქმეს ეხება და ამას უმატებენ ხოლმე, რომ საქართველოში ახალი ამბავი არა არის რაო. არ მჯერა... შენთან ერთად მეც მიხარიათ ქართული ენის კათედრის დაარსება მოსკოვის უნივერსიტეტში. ამ კათედრის გახსნა ზნეობითი გამარჯვებაა და ეს მაკმაყოფილებს იმ მძიმე ტვირთის ტარებაში, რომელიც უსასყიდლოდ თავს ვიდუ. რადგან ამ ახალ საქმეს რიგიანი გაძლოლა და მომზადება

სჭირდება, ამისთვის გიმნაზიუმში გაკვეთილებს თავი გაფანებე, თუმცა ამის გამო მომაკლდა საცხოვრებელი წყარო წელიწადში 1500 მან; ამჟამად მატერიალურად შევიწროებული ვარ, რადგან ინსტიტუტიდან მხოლოდ 1500 მან. მეძლევა. ეს გარემოება მეტად მამბრკოლებს და საგანგებო საქმეში მითრევს. ამით აიხსნება, რომ ვიტყვირთუ აქაურს „Курьер“-ში აღმოსავლეთის შესახებ წერილების წერა. ამ სტატიებს ვბეჭდავ ხელმოწერილი „АНТОНИИ“ რადგანაც არ მინდა ჩემი სახელი გამოქვეყნდეს. ხანდახან გაკვრა დამჭირდება და დაფარვა სახელისა გამოდგება. კარგი იქნებოდა მანდაურ საზოგადოებას (თავადაზნაურობას) ეთხოვა ამ ასი წლის შერრთების გამო ქართული კათედრის მოსკოვში ჯამაგირით დაჯილდოება. თორემ უსასყიდლოდ ჩემს შემდეგ არაეინ იტყვირთებს და იქნება არც უნივერსიტეტში მოინდომოს. ამ საქმეში პირადად ჩემს კავშირს ფაკულტეტთან დიდი გავლენა ჰქონდა კათედრის გახსნის დროს. თუ ჯამაგირი გამოითხოვეთ, მაშინ მთავრობა იძულებული იქნება მიუხედავად პიროვნებისა იყოლიოს ქართული ენის წარმომადგენელი. საქვეწო საქმეს იხამ, თუ ამ ჩემს აზრს ბეჭდვით შენებურათ გამოთქვამ და მანდაურ თავადაზნაურობის გამგეთ ჩააგონებ. იქნება მოხერხდეს რამე... გაუათავო თორემ წელიც და თვალისც მეტკინა. წერილს ველი საჩქაროდ.

ა. ზახანაშვილი

1899 წ. აპრილის 22 დღეს

პატრცემულო ბ-ნო თედო!!

საკვირველია, რომ 12 აპრილს თქვენი დაწერილი ბარათი, მხოლოდ გუშინ ღამის II საათზედ მივიღე. დღეს დილით გწერთ თქვენც და გოგრიჩიძეებსაც წერილს სოხუმის ქალაქის საქმეების შესახებ; უშიშობ კი, რომ დაგვიანებულა, რადგანაც იწერებით, ნააღდგომებზედ არის დანიშნული ამორჩევაო. მე მაინც სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას.

1 თედო — თედო ტომოფს ძე ხახოკია — მწერალი, მთარგმნელი, უნორგრაფი, ლექსიკოგრაფი (1868-1956).

მე ვწერ, რომ ქართველებისთვის საჭიროა შვერთება, რადგანაც განხეთქილობის წყალობით ყველგან ვიძლივნეთ და გამოდევნილი შვეიქებით უსახელებ და ვუქებ, რამდენადაა მოსახერხებელი, თქვენ მიერ დასახელებულ პირებს. სამწუხარო იქნება, თუ განზედ გადგნენ და მხარი არ დაგიჭირეს. შესაძლებელია, რომ უიმათოდაც გაიმარჯვოთ, მაგრამ დიდად შეწუხდები, თუ „ჩრდილოელებს“ მიჰკერძეს.

ვისურვებთ კეთილად დაგვირგვინებას თქვენი კეთილი განზრახვისას. მეტი მხნეობა და გამჭრიახობა მოგეცეს მტერთა შესაბრძოლებლად! ეს კი მიკვირს, ნუთუ სხვა ვერაინ იპოვნეთ, რომ ა. სარაჯიშვილს,¹ რომელსაც სამწუხაროდ პირადად ვერ ვიცნობ, ადგილს აკარგვინებთ და სათუოდ ჰხდით მაგის მოძეაღს. მაინცდამაინც ვისურვებ თქვენს გამარჯვებას.

თქვენი ერთგული ა. ხახანაშვილი

¹ ა. სარაჯიშვილი — ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი — საზოგადო მოღვაწე, მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი (1851-1914).

ნილო ყიფიანის არქივიდან

აჭარა... საუკუნის დასაწყისი. ქართველი ინტელიგენცია, აი უკვე მერამდენეჯერ, სამშობლოს უძველესი ნაწილის გადასარჩენად ირაზმება. ზოგი იარაღით, ზოგიც კალმით გამოხატავს თავის პოზიციას. გამონაკლისი, ამ მხრივ, არც ქალბატონი ნინო ტატიშვილი-ყიფიანისა ყოფილა. ის ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის რძალი და მსახიობ კოტე ყიფიანის მეუღლე გახლდათ და არც შეიძლებოდა ამგვარ გარემოცვაში მყოფს ქვეყნის ჭირ-ვარამზე არ ეფიქრა.

ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ნინო ყიფიანის მოგონებები ქართველ მოღვაწეთა შესახებ, მისივე პუბლიცისტური და პირადი წერილები.

როცა საქართველოს ძირძველ მიწაზეც აფრიალდა თავისუფლების დროშა, აჭარაში გაგზავნილ მილოცვებს ნინო ყიფიანის სასიხარულო დეპეშაც ამშვენებდა.

საყურადღებოა ნ. ყიფიანის გულისტკივილით აღსავსე წერილები აჭარაზე, თბილისს შეფარებულ მემედ აბაშიძის ოჯახზე, აჭარულ ქალებზე. ამ წერილების გამოქვეყნება საჭიროდ ჩაეთვალეთ არა მხოლოდ მათი დოკუმენტური ღირებულების გამო. ურიგო არ იქნება ჩვენს ნიპილიზმით დაღდასმულ დროში თანამემამულეებს ნინო ყიფიანის, ჭკვიანი ქართველი მანდილოსნის გაცოცხლებული ხატი წარმოუდგინოთ ამ მანდილოსანმა იცოდა ქართული მიწის ყოველი გოჯის, თითოეული ქართული ოჯახის ფასი და ჭეშმარიტი სიყვარული.

*მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
ნატო სედიშვილი*

დეპეშა

ბათუმი. მემედ აბაშიძეს¹

უზოხო სიხარულის ცრემლებით ვეგებები სამშობლო აჭარაში ჩვენი დროშის აფრიალებას! გილოცავთ ამიერიდან ჩვენი ძმობის საქართველოს არსებობასთან ერთად მჭიდროდ შეკავშირებას. თქვენ დაგიფასდათ ამისთვის დიდი შრომა და ბრძოლა, ხოლო მე სათუთი მოლოდინი ესოდენ ტკბილი გრძნობათა განცდისა!

კურთხეულ იყოს ჩვენი ქვეყანა!

*ნინო ვიფიანი
1920 წ. ქვიშხეთი*

დეპეშა

ბათუმი. ფაშა ხანუმ ხიმშივეისას

აღფრთოვანებით წავიკითხე თქვენი მილოცვა მთაგრობისადმი! თურმე აჭარაშიც ყოვლია ქართველ ქრისტიან ქალს მასთან ერთად ამ ბედნიერი წუთების მომლოდინე ქალი! მოგესალმებით ნათესაურის გრძნობით იმ იმედით გამხნეებული, რომ დღეიდან ჩვენს შორის კულტურული შრომის ქსელის გაბმვაში ერთ მნიშვნელოვან შემატმასნებელ ძაფად თქვენც გიგულებთ.

*ნინო ვიფიანი
1920 წ. ქვიშხეთი*

გაკმაღიან ქართველებთან

დილის მატარებლით სოფელში წასვლას ვაპირებდი. როდესაც მითხრეს, რომ აჭარელთა ერთი იმ მრავალ ოჯახთაგანი,² სამშობლო კერა რომ

¹ მემედ აბაშიძე — ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი. სანჯაუ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი. აქტიურად იბრძოდა მუსლიმან ქართველთა ეროვნული თვითმწყნების ამადლებისა და საქართველოს ერთიანობისათვის.

² იგულისხმება მემედ აბაშიძის ოჯახი.

დაენგრათ და აოხრებულ-აწიოკებულნი სხვა და სხვა კუთხეს გაიფანტნენ, აქ, თბილისში, ერთ ოჯახში შებიზნულა. ოჯახის უმფროსი მამა-კაცი სად არის არავინ იცის და მისი მოხუცებული დედისა, ცოლისა და სამი შვილი-საგან შესდგებარ შებიზნული ოჯახი.

ადამიანის სულის განცდათა ფილოსოფიურ სფეროს არ შევეპოტინებო და მარტივად ვიტყვი მხოლოდ იმას, რაც ამ ამბის გაგონებაზე ვიგრძენი: უცებ იმდენად ძლიერი შეიქმნა ჩემში მათდამი დაბადებული გრძნობა ერთ-სისხლ-ხორცობა და თანაგრძნობისა, თითქმის სიყვარულისა, რომ ერთი კი დავხედე საათს, რომ დავრწმუნებულვიყავ, მექნებოდა თუ არა იმდენი დრო, რომ უთუოდ დღესვე მენახა ის ჩემთვის უცნობი, მაგრამ შორიდანვე თითქო ნაცნობი, შორეულნი, მაგრამ გულით კი მახლობელნი ადამიანები და მაშინვე ეტლით გავეშურე იმ ქუჩისაკენ, სადაც ისინი მეგულებოდნენ.

გავიარე უმთავრესი ქუჩები და ქალაქის ერთს შორეულს უბანს შევეუდექი. როდესაც ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული, საკმარისად უსუფთაო ქუჩების კარგი მანძილი გავიარე, გაგჩერდი იმ ადგილს, სადაც ვარაუდით უნდა ყოფილიყო იმათი ბინა და აქეთ-იქით შხერა დუიწყე. უცებ ჩემს წინ გაჩნდა ერთი სპარსელი ბიჭი. გაფაციცებით შემომყურებდა და თითქო ჩემგან შეკითხვას მოელოდა. მეც შევეკითხე, ხომ არ იცის ამ უბანში აჭარიდან გამოქცეული ოჯახის ბინადრობა. ამ კითხვაზე ბიჭს ტუჩები სიხარულის უხმო სიცილით განზე გაეჭიმა და დამტერული ქართულ-რუსულით მიპასუხა: „ჰო, იცი, აი აქ არი, აქა. იგინი ჩემი სახლში არიან, მე მიხდი რო შენ იგინისთან მიხვალ, მოდი, მოდი“ — და გამიძღვა გახარებული. მივედით ვიწრო ქუჩაზე ზედი-ზედ მიჯუჯგულ ერთ-ერთ სახლში. ავედი ციცაბო ვიწრო კიბეზე და გაჩერდი. ჩემი მხლებელი დაწინაურდა და გამიღო კარები. შევედი საკმარისად დიდს ოთახში, იატაკზე გაშლილი ლოგინიდან ვილაც ხანში შესული ქალი წამოდგა, ეტყობოდა, შეუძლოდ მყოფი და ქართულად მომესალმა. ჩამოუართვი ხელი, მოვიკითხე და ვთხოვე ისევ დაწოლილიყო. — თქვენ ვისთანაც მოხვედით ჩემი სტუმრები არიან — თითქო მიხვდა რომ მინდოდა გამეგო, ვინ იყო და თითონ დამასწრო, — მე სპარსელი ქალი ვარ, მაგეთ ოჯახში გაზდილი და მეც ვისწავლე ქართული. იგინი სულ ქართულს ლაპარაკობენ სახში. წადი, ბიჭო, შეატყობინე ხანუძის მოსვლა.

ბიჭი შვეიდა მეორე ოთახში: მოლოდინში მე ოთახს ვათვალიერებდი: ყველაფერზე ეტყობოდა, რომ მდიდრისა არ იყო, მაგრამ მის პატრონს არცთუ გაჭირვება უნდა განეცადა. ქალი კი შემოძმოდა.

— ჩაყარდი ასე ლოვინად და ვიტანჯები. ამას უფრო ვწუხვარ, რომ ასეთი საპატიო სტუმრები მყავს და ღირსეულად ვერ ვემსახურები.

ყურს უუგდებდი მას, ნუგეშს კაძლევდი, მაგრამ ჩემი მთავარი ყურადღება კი მეორე ოთახისკენ იყო. გულის ოდნავი ფანცქალით მოუთმენლად მოველოდი იმ ადამიანების დანახვას, ჩემი სისხლ-ხორცი რომ იყვნენ და უღმობელი ბედისგან კი მოწვევტილი ვიყავით ერთმანეთზე. ბოლოს გამოვიდა ჩემი წინამძღოლი და მას მოჰყვა თან ხანში შესული, ოდნავ ქერა მანდილოსანი, ჩადრი ესხა მხრებზე, მხოლოდ პირს არ იფარებდა. დარბაისლური მოძრაობით და მშვენიერი ქართულით მომესალმა და გამაცნო თავი.

— მე დედა ვარ ჩემი ოჯახის უფროსისა. ჩვენში იმ არეულობის დროს, ჩემი შვილი სადღაც დამეკარგა და ვართ ერთად იმის მოლოდინში მისი ცოლით და მისი პატარა შვილითა. თქვენ ქრისტიანი ქართველი ქალი იქნებით?

მეც გავაცანი ჩემი თავი. მადლობა გადამიხადა ყურადღებისათვის.

— რა მიზეზია თქვენი აქ გამოქცევისა, შვევკითხე.

— ჩვენ ჩვენი ნებით არა ვართ აქა; ვინ ასწერს ჩვენ გაჭირვებას; სახლი დამექცა, ქონება დამელუპა. თითონ ჩვენიანებში დიდ კაცებად ცნობილი ვართ და დღეს გლახებად ვიქცეით. ჩვენ რომ სხვებს ვშველოდით, ეხლა ჩვენ ვითხოვთ შველასა და დახმარებას. აბა რა საქმეა ეს ბატონო, ჩვენი ადათით ქალი კაცს არც-კი უჭვენება და ერთ დღე-ღამეს კი ციხეში ვიყავით! დიდი უბედურებაა, ბატონო, ყველა ჩვენს თავს და ვინ იცის, რა მოგველის. რათა, რისთვის? ჩვენ არაფერი დაგვიშაუებია.

მე ნუგეშის სიტყვას ვერ ვახერხებდი და თავ-ჩაკიდებული იატაკს დავსცქეროდი.

— ღმერთმა გიშველოთ თქვენ, ქრისტიან ქართველებს! გამეგონა ეხლა საქმით ვხედავ, რომ ძალიან ეხმარებით ჩვენებს და ჩვენც

დაგვეხმარენ. დიდი მადლობელი ვართ ყველასი. ერთი ჭირი მარგებელიაო, იტყვიან და აი, ეს მაინც არის.

— რა ლამაზი ქალია — ჩაილაპარაკე მე.

— ეხლა რაღა არის, ბატონო, მიპასუხა დედამთილმა, ქმრის დარღით და ვარძით სულ გამოიცვალა, საბრალო!

— ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ თქვენი შვილისა გავიგოთ რამე, ესცადე ნუგეში და მოუკალერსე დედასთან ერთად გამოსულ სამ ბავშვსა: ისინიც დედასა ჰკადნენ.

— აი ეს საცოდავებიც კინამ ციხეში დამომწყვდიეს! — მომიბრუნდა ფმწვილი ქალი, თითქო დედამთილის ლაპარაკს განაგრძობსო, — ღმერთმა უშველოს ერთ ქრისტიან ქართველს, ის დამეხმარა და იმან გადამარჩინა, თორემ დამეხოცებოდნენ, ვერ აიტანდნენ. ეხლა ღმერთი რას გეპიიერებს, არ ვიცი...

— ღმერთი მოწყალეა, ყველაფერი გამოირკვევა და სიმშვიდე დაგიბრუნდებათ, ვანუგეშე კიდევ და დაეხედე საათს; ეხლა კი სადგურზე მიგვიანდებოდა, უნდა აუჩქარებელიყავ უკანასკნელად კიდევ ვუთხარით ერთმანეთს სანუგეშო სიტყვები და გამოვეთხოვე იმ იმედით, რომ კიდევ შევხვდებოდით ერთმანეთს, მხოლოდ უფრო სხვა გუნებაზე და სხვა ბინაზედა.

გამოვედი იმათგან აღტაცებული და გახარებული. დარწმუნებული ვარ, რომ ამასვე განიცდიდნენ ისინიც. მოუდიოდი და ლოცვა-კურთხევას ვუგზავნიდი მაჰმადიან ქართველ იმ ქალთ, საუკუნეთა განმავლობაში რომ მტკიცედ დაიცვეს თვისი ტკბილი, სამშობლო ენა, რომელმაც დღეს სხვა და სხვა ლოცვით ღვთის მკედრებელნი მოძმენი ერთმანეთს ისევ დაგვიბრუნა და მტკიცედ შეგვაკავშირა!

ქართველო მანდილოსანნო! მიიღეთ ჩემი თქვენდამი ღრმა თანაგრძნობით საესე გულით მოძღვნილი მადლობა და ღური საღამი!

ნინო ვიციანი

ატარის ღალატს

აღსრულდა! მარტო ერთის ფიქრით, ერთის წარმოდგენითაც კი შემზარავი რამ — მწვავე სინამდვილეთ გარდაიქცა! ვერ გვიხსნა, ვერ დაგვიფარა ვერავითარმა სწაღელმა, ვერავითარმა ცდამ, ვერავითარმა ამაგმა და შრომამ, რომ არ მომხდარიყო ის გულსაკლავი რამ, რაც უკვე მოხდა და რაც კიდევ მეტს უბედურობას და უბედობას გვიქადის მომავალში! წაწყდა იმედი, ჩაქრა ოცნება, მოიშხამა სიხარული იმ ტკბილი სასოებისა, საუკუნოებით დაშორებული, უკუღმართი ბედისგან გულიდან მოწყვეტილ შვილებს, ძმებს რომ ისევ უკან გვიბრუნებდა!

გავარდა პირველი ტყვია ძმა-კაენისა და ამ ტყვიამ არა მარტო აბელს გაუგშირა გული! ტყვია იგი მოხვდა მთელი საქრისტიანო საქართველოს გულს და წაუკიდა მას ორმაგი ცეცხლი — განსაცდელისა და ღალატისა!

ოჰ, რა ენით გამოუთქმელი სიმწრისაა ამისი განცდა! დარწმუნება იმაში, რომ ეს არ არის სიზმარი, მაჯლაჯუნა სიზმარი! რომ ეს არის სინამდვილე მთელი მისი საშინელებით, მთელი თვისი საშიშროებით აწმყოში და მომავალშიც!

აჭარა, აჭარის ხალხი! ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენთვის ერთგვარ სალოცავად გადაქცეული კუთხე და მისი შვილნი! ენა ვერ გამოსთქვამს იმ სათუთ გრძნობას, რომლის ძალითაც იხარჯებოდა უდიდესი ენერგია და ყოველი ნივთიერი ძალა საზოგადოებათა თუ კერძო პირთა აჭარის ასაყვავებლად, აჭარულთა საკეთილდღეოდ, მათი სწავლისა, მათი განვითარებისა, გამოფხიზლებისა და გათვითცნობიერებისათვის.

თვალ წინ მჭატვის სათუთ-გრძნობა ჩაქსოვილი ლამაზი მუსიკაიფი, სურათ-ნიმუში ამ შზრუნველობისა: გაცხარებული მუშაობაა საცერავისა, ოცამდინ მანდილოსანის, თაე-ჩაკრულნი ზომავენ, სჭრიან, ჰკერავენ სხვა და სხვა ფართალს.

— ოჰ, რა მშვენიერი საბნის პირია! ღმერთმანი, საწყალი აჭარელი კი არა, ცხოვრებისაგან განებიერებულიც კი არ დაიწყუნებდა ამის საბანსა! ამბობს სიამოვნებით ერთი მათგანი.

— ღმერთმა უშველოს მაგის მომყიდავს! სწორედ რომ მაშუღიშ-

ვილური გრძნობა გამოიჩინა საერთოდ ასეთი კარგი ფართლის მოტანის

— უმატებს მეორე.

— შე ქალო! ეს როგორი გვირისტი გაგიკეთებია ამ პერანგისათვის? ნუთუ უკეთ ვერ შეპკერავდი? უსაყვედურებს მესამე მკერავ ქალს, შესაკერად სახლში წაღებული საცვალი რომ მოუტანია.

— ნეტა ერთი გაჩვენათ „ბეჟენცების“ ტანისამოსი, რა შეჯღანილია და მაშინ ამ საკერაუზე ამას აღარ მეტყვოდით! უპასუხებს წყენით მკერავი ქალი.

— პო, იქნებ უკ მართალია, მაგრამ თქვენ ხომ გითხარით, ვისთვის ვპკერავთ ამ ტანსაცმელს და დასახურავს? ისინი თქვენი ძმები არიან, დიდი ხნის მოშორებულნი და ეხლა გვიბრუნდებიან. ამიტომ თქვენ საუკეთესოდ უნდა შეპკეროთ ყველაფერი, რომ იმათაც სთქვან, — ჩვენი დებისაგან ასეთი კარგი ტანისამოსი მივიღეთო!

ამის შემდეგ მკერავი ქალი ხალისით არღვევს თავის ნაშრომს და იქვე ერთგულად ასწორებს დაწუნებულ საკერავსა.

შემოდინ მამა-კაცები ათვლიერებენ ასობით დალაგებულ ლამაზ საბნებს, საცვლებს, კაბებს, უწონებენ მანდილოსნებს საქმიანობას, ბეჯითობას, დიდს შრომას.

— იცოდეთ, რომ ჩვენდამი თქვენს მადლობას მხოლოდ იმით გამოიხატაეთ, რომ ამ ტანისამოსს ჩვენვე გაგვატანთ აჭარაში, რომ ჩვენის ხელით დაეურიგოთ მათ, ჩვენის თვალით ვინახულოთ ისინი — უპასუხებენ ზოგიერთნი და მამა-კაცებიც კპირდებიან მათ ასეთს ჯილდოს...

ხელ-ახლა სიჩუმე, ხელ-ახლა გაჩქარებული მუშაობა... ფიქრი კი უკვე მიჰქრის იქ, იმ მშვენიერ აჭარაში! წინდაწინვე განიცდი ტკბილს გრძნობას, შენს გარშემო რომ შეიყრებიან შენი ძმა-დანი, მათი შვილები! როგორ მოძხვევ მათ ხელს, როგორ მიესალმები! როგორ გაიხარებ მათის გახარებით საჩუქარზე! აღუთქვამ მათ ტანჯულ ცხოვრებაში ჩარევას, დახმარებას ყოველნაირს! გული სიამით აღის და დაღის და ისწრაფვი, რომ რაც შეიძლება მალე, მალე მოხდეს ეს მართლა ასე.

ეხლა კი... საზარელი ხარხარი დამცინავი ნიშნის-მომგებისა!

განიცდი ამის ვაებას და კითხულობ სასოწარკვეთილი: რაღა მინდა მისი საერთოდ ასეთი უიღბლო ჩემი სამშობლო? ეს ტკბილი, მოამაგე დედობილი მის მკერდზე მიყრდნობილი, მის კალთებ ქვეშ შებუდებული ყოველი არსისა, განურჩევლად მოდგმისა და სარწმუნოებისა? რად უხდიან მას ასეთს მშობლიურს ამაგს ასეთის უმადურობით? რადა, რად?

ნეტა სადა ხართ ეხლა ის პირნი, ჩვენსა და აჭარელთ შორის რომ შემაერთებულ ჯაჭვად იყავით? რასა გრძნობთ, რას განიცდით თქვენ ძმათა შორის ამ ჯოჯოხეთურ ბრძოლა-ხოცვაში? ნუთუ, ნუთუ თქვენი გული იტანს ამას? ნუთუ ეს თქვენთვისაც ისევე ზარდამცემი არ არის, როგორც ჩვენთვის? ნუთუ ყველაფერი ჩვენს შორის მხოლოდ მოჩვენება, მხოლოდ შეოცნებება ბოდვა იყო და არავითარი ნიადაგი მას არ ჰქონია!?

აი, ჩემს კედელზე ერთი თქვენთაგანის ნაჩუქარი ნახატი. მის აბრეშუმზე გამოსახული წყვილი მფრინველი მარტო იმიტომ კი არ მიყვარს, რომ ისინი ცოცხლებსა ჰგვანან და თითქო ხელზე შემოფრენას ღამობენო, ისე გამოიყურებიან! არა, მე ეს სურათი იმიტომ უფრო მიყვარს, რომ ის მაჩუქა აჭარის შეილმა, ნაპონმა ძმამ, თვითონაც რომ დათ დამსახა!

და აბა დაფიქრდეს ის, მოიგონოს მან ის სულის განცდანი, რამაც ჩვენ გაგვაცნო ერთმანეთი და შემდეგში დაგვაახლოვა! რაღა შეგვრჩა ხელში ეხლა ჩვენ ორივეს? ის, რომ ეხლა ეს ნახატი მხოლოდ ცრემლებს, მწარე ცრემლებს-ღა იწვევს ჩემს არსებაში! ის, რომ ეხლა არც კი ვიცი, თუ ამ უბედურ ჟამს სად არის ის, რას მოქმედობს, რას ჰფიქრობს იმაზე, რომ ჩვენ ისევ ვიყრებით, მხოლოდ ამ ხნობით კი ჩვენზევე ცეცხლით და მახვილით!

ან იქნება იმასაც ჩემი დღე ადგია! ან იქნება კიდევ უარესიც! იქნება, პირ-იქით ის ჰხედავს ჩემში სასაყვედურო ღალატსა!? — ვის მოეკითხვის?

ნეტა ვიცოდე მაინც, ნეტა ვიცოდე!

ნინო ვიფიანისა

საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია პოეტ სიმონ ჩიქოვანის მდიდარი არქივი: ლექსები, თარგმანები, უბის წიგნაკები, ქ-ნ მარიკას და ბ-ნ სიმონის სიყვარულის ლექვენდის ამსახველი ბარათები და დღიურები, პოეტის იშვიათი უნარის — მოყვასის სიყვარულისა და ტალანტების აღმოჩენის დამადასტურებელი მასალები (მაგალითად ანა კალანდაძის გახსენებაც კმარა). ქართველი და საბჭოთა პოეტების პირადი და ოფიციალური წერილები, რომლებშიც ქართული ლიტერატურის ისტორიის საინტერესო მომენტებია შემონახული, სხვადასხვა პროფესიების ადამიანების მიმწერა, რომლებსაც დიდ სიხარულს ანიჭებდათ ისეთ ინტელექტუალთან ურთიერთობა, როგორც ბატონი სიმონი ბრძანდებოდა.

სიმონ ჩიქოვანის არქივი მდიდარი და მრავალფეროვანია. პოეტის დანატოვარი მოთმინებით ელის სერიოზულ მკვლევარს.

მკითხველის ყურადღება გვსურს შევაჩეროთ არქივში დაცულ მოგონებებზე. რომელთა წერაც პოეტს თავისი ცხოვრების მიმწუხრისას დაუწყია, ამ დროისათვის სიმონ ჩიქოვანი უკვე თვალისწინდაკარგული იყო და ამიტომაც ძნელი გასარჩევია ფანქრით ნაწერი წერილი ასოები, ზოგიერთი სიტყვის ამოკითხვა თითქმის შეუძლებელია და ამდენად, შეიძლება (უნებლიედ!) არაზუსტიც კი იყოს.

ბ-ნ სიმონს თავისი ახალგაზრდობის მეგობრები ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ალექსანდრე საჯაია, ქეთევან მალალაშვილი, ლადო გუდიაშვილი, ირაკლი გამრეკელი, დავით კაკაბაძე და სხვები გაუხსენებია. მათ შორის ისეთებიც, ვისზედაც ერთი ხანობა ფიქრიც კი აკრძალული იყო.

მოგონებები ფრაგმენტულია და სხვადასხვა დროსაა ჩაწერილი. პოეტის სიცოცხლეში არც ერთი მათგანი არ გამოქვეყნებულა. მოგვიანებით ბ-ნი სიმონის სასიკაძულო მუუღლეს, მარიკა ელიაშვილ-ჩიქოვანს უცდია გადაწერა და მოწესრიგებინა ისინი. ერთი მათგანი, მოგონება ტიციან ტაბიძეზე კიდევაც გამოუქვეყნებია „ლიტერატურულ საქართველოს“ 1968 წლის

იენისის ნომერში ტიციან ტაბიძის იუბილესთან დაკავშირებით. სხვა მოგონებებისათვის კი, როგორც უტყობა, ძალა აღარ ეყო, თვითონაც მძიმე აუადმყოფი გახლდათ.

მოგონება პაოლო იაშვილის თვითმკვლელობაზე გამოქვეყნდა 1996 წლის აპრილში სიმონ ჩიქოვანის გარდაცვალებიდან 30 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „კავკასიონში“.

გთავაზობთ სიმონ ჩიქოვანის დღემდე გამოუქვეყნებელ მოგონებებს ქართულ პოეტებზე.

*მუზეუმის წამევანი მეცნიერ-თანამშრომელი
მარინე ვიფიანი*

პაოლო იაშვილი

წითელი არმიის წლისთავი იყო თებერვალში. ჩვენ მოსკოვში ვიყავით პაოლო ცუდ გუნებაზე იყო, დაამუშავეს და თავი ჩრდილში ეკავა. წითელი არმიის სახლში მიგვიწვიეს მწერლები, დიდი ბანკეტი იყო. დიდ დარბაზში პატარ-პატარა მაგიდები იდგა. მათ შორის ესტრადაზე ორატორები გამოდიოდნენ და სიტყვებს ამბობდნენ. ერთ სუფრაზე მოუხედით პაოლო იაშვილი, ბორის პილნიაკი, იური იანოუსკი და მე. ესაუბრობდით მე პაოლოს უუთხარი, გამოდი და სიტყვა თქვიო. პაოლომ მითხრა — ხომ იცი ცუდ გუნებაზე ვარო. მე მაინც დავწერე მცირე ბარათი და პრეზიდენტს გაუგზავნე, სიტყვას თხოულობს ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი-მეთქი. გაგზავნე და ჩვენი საუბარი გაეგრძელე. ცენაზე ორატორები კიდევ გამოდიოდნენ, პაოლოს არავინ იძახებდა, თითქმის დაგვევიწყდა, რომ პაოლოს სიტყვა უნდა ეთქვა. მე გავიფიქრე, ალბათ, ჩემმა ბარათმა ვერ მიაღწია-მეთქი. სულ რომ არ ველოდით ამ დროს შორიდან გამოაცხადეს: სიტყვა ეკუთვნის ქართველ პოეტს პაოლო იაშვილსო. ესტრადისაკენ არ წასულა, მთელმა მისმა ცხოვრებამ გაუელვა და აღიმართა, მთელი დარბაზი მობრუნდა ჩვენსკენ. პაოლომ ხმას

აუწია და საოცარ სიჩუმეში მისი ხმა ამ ვეება დარბაზს თავისუფლად გაჟღერდა. პაოლომ მიულოცა წითელ არმიას თავისი დღესასწაული, მერმე ილაპარაკა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაზე, ამასთან დაკავშირებით მას მოაგონდა სერგო ორჯონიკიძე, რომელიც წითელ არმიას შემოუძღვა საქართველოში, მერმე ილაპარაკა სერგოზე, რომელიც ახალი გარდაცვლილი იყო. სამხედროთა შორის ვიღაცა ახლუქუნდა, მაშინვე გაჩუმდა, შემდეგ მეორე ადგილზე ატირდა ვიღაც, ხოლო პაოლოს ხმა რეკავდა და რეკავდა, ქორალივით გუგუნებდა. გარეთ ზამთარი იყო და ქარი კიოდა. ხოლო დარბაზში გაისმოდა პაოლოს ომახიანი ხმა. ეს იყო ორატორი, არა პოეტი, არამედ გამჭრიახი გონების პუბლიცისტი. სიტყვა დაასრულა და დარბაზი დაინგრა. იანოსკი ამბობდა აწი ველარაუინ გაბედავსო სიტყვის თქმას. არა, ვიღაცებმა სცადეს, მაგრამ ხმა ჩაუხნათ და გულშეღონებულები ჩამოიტანეს სცენიდან.

პალერინან ბაზრინდაშვილი

ჩვენ, მისი პოეზიის პატივისმცემლებს და მეგობრებს, რომლებსაც ვალერინან გაფრინდაშვილთან გვიმუშავია წლობით [მისდამი] გაგვჩენია გრძნობა ჭეშმარიტი პოეტისა და სპეტაკი ადამიანის. იგი დიდი სიყვარულით და ყურადღებით ექცეოდა ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედის შრომას და დიდი განცდა ქონდა კულტურის ფრონტზე მომუშავე ხალხისადმი. მას ქონდა განცდა ორკესტრისა და არა მარტო თავის საკრავი აინტერესებდა, არამედ ახარებდა მის მეგობარ თანამოკალმეთა გამარჯვება და ხმის სიფაქიზე. ამ შემთხვევაში ის იყო მაგალითი, როგორი ყურადღებით და სიყვარულით უნდა ექცეოდეს ყოველი მუშაკი თავისი მეგობრის შრომას და არა მხოლოდ პირადული ზრახვებით აფასებდეს სხვის შრომას. ამ შემთხვევაში იგი ჩვენი დიდი კლასიკოსების ტრადიციას აგრძელებდა, რომლებიც მოღვაწეობდნენ ქვეყნის სიყვარულით და მეგობრის გამარჯვება საკუთარ გამარჯვებად მიაჩნდათ.

შესანიშნავი ოსტატი ქართული ლექსისა და სპეტაკი ადამიანი

გამოაკლდა ჩვენს რიგებს...

ისეთი ლექსი დავწერო მინდა, რომ არ დამჭირდეს კვლავ ლექსის წერა...

მისი შთაგონებული სახე აღიმართება ჩვენს წინაშე ახალი სიმღერის მაძიებელი და როგორც როდენის გამოკვეთილი აზრი. ამ სიმღერის ძიებით [შუა] იგი ქართული საბჭოთა პოეზიის ისტორიაში.

ვალერიან გაფრინდაშვილი ჩვენი საბჭოთა პოეზიის მესაჭეთაგანი იყო და მისი ერთი წამყვანი ძალა. ეს ჩვეულებრივი და ყოველდღიური ფრაზა მატარებელია იმ დიდი შინაარსის, რომელსაც კულტურის ოსტატობა გულისხმობს. ახალი არ იქნება თქვენთვის თუ ვიტყვოდით გაფრინდაშვილი მეოცე საუკუნის ქართული ესტეტიკური კულტურის მოდერნისტული ერის ერთი მეთაურთაგანი იყო და მისი დამწერგავი ჩვენში, როგორც მხატვრული შემოქმედებით, ასევე თავის ფაქიზად გამოკვეთილი თეორეტიული წერილებით, რომლებიც სონეტებზეთ ჩასმული იყვნენ მოკლე ფორმებში. [ამ კვირებდა] რევოლუციამდელ ახალ ესტეტიკურ კულტურას და წერგავდა ახალი პოეზიის ყვავილებს ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში. შეიძლება ჩვენთვის ბევრი რამ მიუღებელია გაფრინდაშვილის რევოლუციამდე განვიღო პოეტური გზისგან, მაგრამ მისი ესტეტიკური კულტურა და ფართო დიაპაზონის მქონე პოეტური პროდუქცია მოითხოვს შეფასებას და ჯეროვან შესწავლას. მან დანერგა ახალი ფორმა ქართული ლექსისა და ქართულ ლექსს გაუხსნა ახალი კვალი. ჩვენს პოეზიაში არ არის ჯერ საკმარისად შეფასებული მუშაობა ამ სიტყვის და მის მიერ ჩატარებული პოეტური მუშაობა გაურკვეველი არის პოეზიაში. პოეტური ფორმები, ლექსიკური მასალა და სიტყვის აღნაგობა, რომელიც ავტორს გამოუქავევებია პირველად, მკითხველი თუ თანამოცალმეები გაუკვირებია თავისებურებით, მაგრამ შემდეგში ეს სიახლე, პირველი გაკვირება თუ თავისებურება პოეტისა ისე შეუთვისებია სხვებს, რომ პირველი ავტორის ნოვატორული ხაზი საერთო მოვლენად გამხდარა... შეიძლება ნაწილობრივ ეს შევებოდეს ვალერიან გაფრინდაშვილსაც. მისი ჩატარებული მუშაობა ეხლა საკუთრებაა მთელი პოეზიის და ჩვეული მოვლენაა ჩვენთვის. მაგრამ ისტორიკოსი პოეზიის, აღადგენს თუ რა სიახლით მოვიდა ჩვენში გაფრინდაშვილი და რა იყო მისი შემოქმედების დამახასიათებელი, რაც მიიღო მთელმა ჩვენმა პოეზიამ.

ჩვენი გუშინდელი დღე, პირველი ხილვები გაფრინდაშვილისა საოცარი იყო და თითქმის უჩვეულო პოეზიისათვის წარსულში.

აჟანთებ სანთელს ვრუბელის წინ მოთვნილ ხელით,
გადავმლი ბოდღერს, გადავიკითხავ მის „მარტოობას“,
მეტყვიან ლანდნი, უცხო ლანდნი. „ისევ მოგვლით
შემოგვიერთი, ახლობლო, გიცხადებთ ძმობას.“

ვრუბელის სამყარო დაბადებული ლერმონტოვის [დემონიდან] განმეორებული [ბლოკის] ფანტაზიებში და ძვირფას ქვებად ამოჭყდილი ძვირფას [ჩანაწერებად] შეეთვისა გაფრინდაშვილის პოეზიას რვეოლუციამდე და ამ ლანდების სამყაროში პოეტი სინამდვილიდან გაქცეული შედიოდა და თითქოს მისთვის სინამდვილე სასტიკი ხდებოდა. ლანდების თუ მირაჟების სამყაროში იგი პოეტი სულიერ სიმშვილეს და მისი სოციალური დრამა შორდებოდა სინამდვილის გარდაქმნას...

„სინამდვილეში დაბრუნება დამეზარება“ ამბობდა იგი... მაღარმეს დარად მან შეითვისა განყენებული სამყარო და მისი პოეტური სიმბოლოებით იგი ცდილობდა ახალი სამყარო შეექმნა... ცდილობდა შეეყვანა საგნები, რომლებიც ქმნიდნენ საუცხოო ასოციაციებს. საგნებში იგი ეძებდა საკრალობას, რომელიც დეკადენტებმა დაკარგულად ჩათვალეს და პარნასელების რეაქცია დაიწყეს... ამიტომ ბაზარზე ნაყიდი პალტო დაკარგული ადამიანის ბიოგრაფიას უხსნიდა პოეტს და ხელთათმანი თავის უცნობ ტურფას ახსენებდა.

მე შევიყვარე ხელთათმანი, ქარში ნახული,
მე უცნობ ქალწულს ვეოცნებე, ვებრუნე ხშირად.

და სული წერილ თითებში გამოსახული იყო, ეს მირაჟი გრძელდებოდა და ღამე თითქო ხელთათმანით მოდიოდა უცხო ასული... მოდის ღამეში თუთრი ქალი ავადმყოფ ხელით... ამიტომ პოეტს სინამდვილეში დაბრუნება ეზარებოდა, რადგან სინამდვილე მისთვის ტრაგიკული იყო.

ვარ მარტოობის ჯვარზე გაკრული,
მხოლოდ ღამეა ჩემი ტამარი,
და მე ვწვდივარ ველასგან კრული,
მივდივარ, როგორც ელიაზარი!

ეს ტრაგიზმი პოეტური ხმისა მას აერთობდა ფრანგ დეკადენტებთან
მაგრამ

ვარ მოწვენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა...
ვით შემოდგომის დამწვებში თეთრი ვერსალი.
შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა.
ვარ მოწვენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა.

უცნაური პოეტური ფანტაზია მას თანა სდევდა და შერჩა ბოლომდე.

ალექსანდრე საჯაია

ათი წლის წინათ ქართული პოეზიის ახალგაზრდა, მაგრამ დახელოვ-
ნებულ სიტყვის ოსტატებს გამოაკლდა პოეტი ალექსანდრე საჯაია. იგი
იყო უტყუარი პოეტური ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდა. ფაქიზი და
თავზიანი ადამიანი და თავისი თაობის ინტელექტუალური ცხოვრების ერთ-
ერთი მესვეური. იგი იყო თავდადებული და შთაგონებული მსახური
მშობლიური ლიტერატურისა. ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი და
ალექსანდრე საჯაია თითქმის ერთდროულად გამოვიდნენ სამწერლო
ასპარეზზე, მაგრამ ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავდებოდნენ და
თვითუელს თავისი პოეტური ხმა და პოეტური თავისებურება გააჩნდა. მათი
ზრდა, დეაჟაკაცება ჩვენს თვალწინ ხდებოდა და ჩვენ, წლოვანებით მათი
უფროსი ამხანაგები მოწამენი და მონაწილენი ვიყავით მათი შემოქმედებითი
ზრდისა და დეაჟაკაცების. სამამულო ომის წინა წლებში, ქართული პოეზიის
ასპარეზზე გამოჩნდნენ რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, გ. კალანდაძე,
გაბრიელ ჯაბუშანური, ანდრო თევზაძე. მაგრამ ლ. ასათიანი, მ. გელოვანი
და ალ. საჯაია ადრე დაშორდნენ ქართულ მწერლობას და მათ ვერ მოასწრეს
საკუთარი ტალანტის მთლიანად გამოვლინება. არ დასცალდა ამ სამ,
ნიჭიერებით საესე ადამიანს სიმწიფის ხანაში შესულიყო და მეტი მოსაყალი
დაეტოვებინათ ქართველი ხალხისათვის. მაგრამ ჩვენ როდესაც ვეცნობით
ალექსანდრე საჯაიას და მისი დაღუპული მეგობრების მიერ შექმნილ

ლირიკულ სამყაროს, ჩვენ ვერწმუნდებით ყოველდღიურად, რომ თვითმკვლელობის მათგანს დიდი მომავალი წინ ქონდა და მადლიერი ქართველი მკითხველი მათ ახალგაზრდულ სიცოცხლის ნაღვეს არასოდეს არ დაივიწყებს. პირადად მე რამდენიმე წლის მეგობრობა მაკავშირებდა სამივესთან, განსაკუთრებით ლადო ასათიანთან და ალექსანდრე საჯაიასთან. ლადო იყო მძაფრი, მუდამ მღელვარე და ჭლექის ალმური თითქოს სახეზე ეტყობოდა. ალექსანდრე საჯაია კი უფრო მშვიდი, მომღიმარი და ავადმყოფობა თითქო დამორჩილებული და მიჩქმალული ყავდა. ორივე ლირიკოსი იყო, უშუალო და მელოდიური, მაგრამ ალ. საჯაია, თითქო თავისი შთაგონების სადავე ხელთ ეჭურა და თავისი პოეტური პიროვნების გაქანებას კონტროლს უწყვედა. თითქო ერიდებოდა მკითხველზე ძალა არ დაეტანებია და თავისი პიროვნება არ განედიდებია.

ალ. საჯაიას პოეტური ბუნება იყო რეალისტური და მისი ლირიკული ხმა ამ გზით ვითარდებოდა. მას უყვარდა პოეტური პეიზაჟი, ცხოვრების სურათების აღწერა, პოეტური ხუმრობები თუ გამოგონებები, იგი სამეგრელოს, სვანეთის, კახეთის თუ მეზობელი სომხეთის პეიზაჟებს პოეტური გამოგონებებით აცოცხლებდა, შესანიშნავ ლირიკულ ესკიზებს ქმნიდა და ქართული პოეზიის თემატურ ნაკადს ამდიდრებდა. მისი თემატიკური სამყარო დიდი იყო. იგი უტუ მიქაეას უტეხი ხასიათის მომღერალიც იყო და კახეთის ისტორიზმით გაფლენილი ბუნებისაც. მის ლექსებს ატყვია ფაქიზი გემოვნება და ავტორის დახვეწილი მუსიკალური სმენა. მას უყვარდა პოეზიაში მელოდიურობა და პოეტური სიტყვის გამჭვირვალობა. იგი დიდი პატივისმცემელი იყო გალაკტიონ ტაბიძის და ჩემთან ბევრჯერ უსაუბრია ამ საგანზე. ალ. საჯაია იყო ნამდვილი საბჭოთა პატრიოტი და ამიტომ მისი ლექსები „ხიხანი ჩვენია“ ან „ოღუგ კოშკი“ დიდი შთაგონებით და უშუალობით არის დაწერილი, მისი და მისი თაობის მიერ შექმნილ ლექსებში უსათუოდ შედეკრებად უნდა ჩაითვალოს. ამ ლექსების დაწერის შემდეგ ჩვენ ყველანი ვგრძნობდით, რომ მისი სახით ქართულ პოეზიაში შემოვიდა დიდი მომავლის მქონე პოეტი და ქართული სიტყვის პოეტური სამყარო მისი ბუნებრივი სამყოფელი იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნე იგი ძლიერი პოეტური კულტურის მქონე

აღამიანი იყო და იგი ნელ-ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად ამელავებდა თავის პოეტურ პოზიციას და ამისათვის იბრძოდა. თავის პოეტურ პოზიციებს იგი ამაგრებდა არა მარტო თავისი ლექსებით, არამედ თავისი მეგობრების შემოქმედებით და ცდილობდა პოეზიაში ახალი გზა გაეკვალა.

აღ. საჯაია იყო ნიჭიერი მთარგმნელი და მისი თარგმანები მეტყველებენ ავტორის მთარგმნელობით უნარს და დიდ შესაძლებლობას. იგი იყო შესანიშნავი მთხრობელი და აღ. საჯაიას მიერ შექმნილი ზღაპრები მომხიბლავია თხრობის სილალით და მაღალი მორალის დაშკვიდრებით ამგვარად მისი სახით ჩვენს ქართულ მწერლობას მაღალი შთაგონებით აღსავსე პოეტი, ლიტერატურული დიდი მუშაკი და მშობლიური მწერლობისათვის თავდადებული მუშაკი ყავდა. მაგრამ უღმობელმა სიკვდილმა ათი წლის წინათ მოგვტაცა იგი და თავისი სიცოცხლის გაზაფხულზე შეწყდა მისი მადლიანი, შთაგონებული ცხოვრება. ჩვენ დღეს ვიგონებთ მას მუდამ თავაზიანსა და მომღიძარს, მეგობრებისთვის თავდადებულს და ქართული სიტყვის ეშხით ამღერებულს. პოეზიის სიყვარულით აღსავსეს და ფაქიზი სულით მომავლისათვის მებრძოლ ახალგაზრდას, მაღალი სულის მატარებელ შემოქმედს. უკვდავი არის ჩვენს ხსოვნაში მისი სახელი, მისი სტრიქონების ფრთებს გადაეტანოს მისი ხსოვნა მომავალში და უკვდავების საეანეში მისთვისაც თავისი ადგილი დაემკვიდრებინოს.¹

¹ ეს მოცონება წაკითხული იყო ალექსანდრე საჯაიას ვარდაცეცულებიდან ათი წლისათვის აღმანიშნავ საღამოზე მე.

კოტე მაყაშვილის სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს პირველი პარლამენტის სხდომაზე

„არაფერს ვიტყვი იმაზედ თუ რატომ ახალს რამეს არ გამოვიგონებთ ემბლემად. ოცნებას საზღვარი არა აქვს, ბევრი რამის, ახლისა და კარგის გამოგონება შეიძლება. მაგრამ ეს იმას აღნიშნავდა, რომ ჩვენ, როგორც ხალხს არავითარი ლამაზი და ძლიერი ტრადიცია არ გვექონია და საეჭვო ძვირფას თვალის ქებნაში დაგვკარგეთ ობოლი მარგალიტი“. — „ქართული ლიტერატურის სინდისად“ წოდებულმა პოეტმა, საზოგადო მოღვაწემ და მწერალთა კავშირის პირველმა თავმჯდომარემ კოტე (კონსტანტინე) მაყაშვილმა ეს სიტყვები დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის სხდომაზე წარმოთქვა.

ქართველი მწერლები ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ. გამონაკლისი არც კოტე მაყაშვილი გახლდათ. საყურადღებოა კ. მაყაშვილის საინტერესო, გაბედული, კომპეტენტურ აზრზე დაფუძნებული და დასაბუთებული მოხსენება, საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გერბის მიღების თაობაზე.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მოხსენებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და იქნებ აქტუალურობაც.

*მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
კატერინე გრიგოლია*

მოქალაქენო! პარლამენტის წევრნო! საქართველოს გერბის საკითხი, რომელიც საკანონმდებლო პროექტის ჩვეულებრივ მსვლელობის პროცესში იყო, მომენტის კატეგორიულის მოთხოვნით სასწრაფოდ გადასაწყვეტი შეიქმნა. თქვენ ალბათ მოგეხსენებათ მიზეზი ამ სისწრაფისა და ამიტომაც, ამაზედ ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია. საგნის არსებითად გარჩევამდე, საჭიროდ ვსთვლი შევეხო საკითხის მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვან ისტორიას. გერბის საკითხი ჩვენი რესპუბლიკის მთავრობას დაებადა ქართული ფულის

შემოღების იდეასთან ერთად. ქართულ ფულს ესაჭიროებოდა რაიმე სახელმწიფოებრივი ემბლემა ანუ გერბი და ამიტომაც, მთავრობამ მოიწვია ჩვენი პროფესორები, მხატვრები და სხვა მცოდნე პირები ამ ემბლემის გამოსარკვევად. აზრის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მოწვეულებმა საუკეთესო ემბლემად მიიჩნიეს — თეთრი გიორგი შვიდ მნათობითურთ. მთავრობის კაბინეტის უმეტესობა იმჟამად არ დაეთანხმა მათ და დაადგინა, აღნიშნულ ემბლემად მიღებულ იქნას განთავისუფლებული ამირანი. იმ კრების შესახებ მასალა მე არა მაქვს და ამიტომაც ვერას ვიტყვი ორივე მხარის მიერ მოყვანილ საბუთებზედ. ამის შემდეგ გამოცხადებული იყო კონკურსი განთავისუფლებული ამირანის გამოსახვის საუკეთესო ნახატებზედ. განთავისუფლებული ამირანის სახელმწიფოებრივ ემბლემად მიღებამ უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოებაში და მხატვრებში. ამ საქმეს უგულოდ მოუკიდნენ და შედეგად ის იყო, რომ ჩვენ მხატვრებს თითქმის სულ არ მიუღიათ მონაწილეობა კონკურსში და ეს კონკურსი არ შედგა. დრომ განვლო და გერბის საკითხს შეუდგა ხელოვნების კომისია. 5 მარიაპოლის თვეს შესდგა ამ კომისიის კრება, რომელსაც დაესწრნენ განათლების მინისტრი: გ. ლასხიშვილი, ფინანსთა მინისტრი: გ. ჟურული, შინაგან საქმეთა მინისტრის წარმომადგენელი: დ. ხოშტარია, პროფესორი ი. ჯავახიშვილი, ექვთ. თაყაიშვილი, მხატვრები: გ. გაბაშვილი, შვეარდნაძე, ზალცმანი, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე და სხვანი. კომისიამ მოისმინა ვრცელი, დასაბუთებული მოხსენება ივ. ჯავახიშვილისა და სხვათა, და თათბირის შემდეგ ერთხმად დაადგინა: საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოხატულება უნდა იყოს — თეთრი გიორგი შვიდი მნათობითურთ ეს დადგენილება ეცნობა მთავრობას თხოვნით, რომ გამოცხადდეს სათანადო კონკურსი. მთავრობამ ყოყმანი დაიწყო და მხოლოდ გარეშე პირობებმა აიძულეს გადაედგა სწრაფი ნაბიჯი და იგი ხელახლა სვამს გერბის საკითხს, ქლა უკვე ეროვნულ საბჭოს წევრთა კერძო კრებაზედ. ამ კრებაზედ მოწვეული პროფ. ჯავახიშვილი დაწვრილებით შეეხო საგანს და სავსებით ყოველმხრივ დაასაბუთა ხელოვნების კომისიის დადგენილება. თათბირმა ბოლოს გამოააშკარაა ორი უმთავრესი მიმდინარეობა: ერთი იყო მომხრე ამირანის გამოხატულებისა, ამირანისა, მაგრამ უკვე მიჯაჭვულისა და მეორე — თეთრი

გიორგისა. კერძო თათბირმა საბოლოოდ არ გადასწვევია საკითხი. შემდგომ ამისა შეიკრიბნენ ფრაქციათა წარმომადგენელნი ხელოვნების კომისიასთან ერთად... და სხ. ამგვარად, სწორე და ხვეულ გზებიდან ეს საკითხი დგას თქვენს სამსჯავროს წინაშე ისევე გადასწვევეტელი, როგორც თავის დაბადების ჟამს. ჭლა მე ვეცდები შეძლებისდაგვარად ავიხსნათ ის პოზიცია, რომელიც უჭირავს ამ საკითხში ხელოვნების კომისიას. მე არ შეშწევს იმდენი ცოდნა, რომ თვალწინ გადავიშალოთ მთელი სურათი თეთრი გიორგისა და ამირანისა ისტორიულ პერსპექტივაში, პერალდებთან არა მაქვს ისეთი მჭიდრო კავშირი, რომ მხატვრის ავტორიტეტით აღვიჭურვო და გიმტკიცოთ კილოთი უცხოელისა ამა თუ იმ სურათის აკარგვიანობაზედ. მე მსურს, მხოლოდ დაახლოებით მაინც გაგაცნოთ კომისიის წევრთა და მცოდნე პირთა შეხედულება საგანზედ და კერძოდ ჩემი აზრი, როგორც ჩვეულებრივი, თქვენისთანა უბრალო მომაკვდავისა.

მე აქ არ შეუდგები გერბის მნიშვნელობის და მის ფილოსოფიის გამოკვლევას. საკმარისია აღვნიშნო, რომ გერბში ზოგი ეტებს სიმბოლოს ერის ხულის მისწრაფებისა, იდეალის, ზოგი მის საუკეთესო ტრადიციისა, ზოგი კი მის მცველსა და მფარველს. ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი ამ ელემენტთაგანი გერბში უსათუოდ უნდა იყოს. შეუდგეთ ჭლა ამის გარჩევას, თუ ჩვენ გერბს რომელი სახიერება უფრო შეეფერება — ამირანისა თუ თეთრი გიორგის.

ამირანი, ეს საზღაპრო გმირი, ნახევარ ღმერთი ჩვენდამი მოღწეულ გდმოცემით, ქრისტეს ნათლული, დაჯილდოვებულია ზებუნებრივ ღონით: ამირანს ქრისტემ დაანათლა გაქანებულის ხის სიჩქარე და სიძარღე. გაქანებულის ზეაისა და თორმეტუღელა ხარ-კამეჩის ღონე და მგლის მუხლი. ამირანი ებრძვის განსწვევტლად დევებს და ვეშაპებს, ქვეყანაზედ მის სწორი ფალაგანი არ მოიპოვება. ბევრ სასახელო და საოცარ გმირობას ჩაიდენს და ბოლოს იქამდინ გაკადნიერდება, რომ თვით თავის ნათლიასთან, ქრისტესთან ჭიდაობას მოინდომებს. ამ გულზვიადობისათვის იგი ისჯება: მას კლდეზე მიაჯატვებენ. სვანური გადმოცემა ამირანის დანაშაულზედ უფრო მკაცრია: თავის სიცოცხლეში ამირანმა ღმერთს ბვერი აწყენინა. მაგალითად, სამჯერ უარყო ქრისტეს თვედებობა და ამგვარი ქცევისთვის ღმერთმა დასაჯა იგიო...

აი ასე ვთქვათ, ჩონჩხი უმთავრეს გადმოცემათა ამირანის შესახებ.

დასაშვებია ის აზრი, რომ ამ გადმოცემაში წინანდელი წარმართული წარმოდგენა ამირანზე შეცვლილია შემდეგში ქრისტიანობის ზეგავლენით, მაგრამ ერთი რამ ეჭვს გარეშეა, რომ ხალხი თუმცა დიდი თავყანისმცემელია ამირანისა, თუმცა მის სულისკვეთებასა და ტანჯვას თანაუგრძობს და მოსურნეა იმის განთავისუფლებისა, მაგრამ მის დანაშაულზე იგი გარკვეულ აზრისაა. ამირანის ღმერთთან შეჯიბრება მას სასახლოდ არ მიაჩნია, პირიქით იგი მას ჰგმობს. კარგია ეს, აჟია, ჩვენის თვალსაზრისით, ყოველ შემთხვევაში ხალხის ამგვარ შტედულებას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ეს უნდა გეჭონდეს ჩვენ მხედველობაში. ცხოვრების ფარგალში, რჩევას აძლევს, აფრთხილებს და იფარავს არამც თუ მკენე სულებისაგან, არამედ ხშირად განრისხებულ ღმერთის და წმინდანების შურისძიებისაგან. იგი შუამავალია ადამიანის და ღმერთის შორის და შუამავლობაში მას ამკარად უჭირავს ადამიანის, ნამეტურ დაბეჩაბებულ გლეხის მხარე. გიორგი სპეტაკი რაინდია, რომელიც განუწყვეტლად ებრძვის ხალხის ყოველგვარ შემხუთველ პირობებს, რომელიც ჰფენს თავის გარშემო, სადაც კი გამოჩნდება შხის სხივებს და კმაყოფილებას. თუ მაღალმა სასულიერო კასტამ, ასე ვთქვათ სასულიერო არისტოკრატამ გამოიგონა ღმერთი ხან შურის მძიებელი უბრალო რამესთვის სასტიკად დამსჯელი და მწყალობელი, მხოლოდ მართალთათვის მდაბიო ხალხმა, დემოსმა, თავის მხრივ გამოიგონა თავისი მფარველი, კეთილი, ნათელი, ქვრივ-ობლების შემბრალეული, ჭირში და ლხინში მასთან მყოფი. ამით აიხსნება ის სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც უკმევეს გიორგის ქართველთა ყველა ტომნი, განურჩევლად სარწმუნოებისა. თეთრ გიორგის თავყანს სცემენ, როგორც ქრისტიანები, აგრეთვე მაკმადიანებიც. ამგვარად თეთრი გიორგი, როგორც ხალხის გულიდან წარმოშობილი სახიერება ჰკარგავს თავის ინდივიდუალურ თვისებებს და თვით ხალხის განსახიერებად ხდება. იგი შედის ქართველის სისხლ-ხორცში, ქართველი უგიორგოდ წარმოუდგენელია და ამიტომაც სამართლიანად ეძახიან უცხოელნი საქართველოს Georgia, Georgi, გიორგის ქვეყნად და მათ ძლიერ გაუკვირდებათ თუ დამოუკიდებელ საქართველოს გერბზედ არ იქნება გამოსახული ეს საუკეთესო წარმომადგენელი ქართველ ხალხის თვისებებისა, ბოროტებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ამხედრებული თეთრი რაინდი,

სანატრული გმირი და საქართველოს მომავლის ნათელ გზის გამკაფიებელი

კიდევ ვიმეორებ, თუთრი გიორგი არ არის საეკლესიო წმინდანი. ამ სიტყვის ჩვეულებრივ შინაარსით იგი გააქრისტიანეს და ჩვენი საქმე არის აღვადგინოთ მისი პირვანდელი სახე. მოუპოროთ წმინდანის ატრიბუტები და დუსახოთ იმათ, რითაც ის იყო უხსოვარ დროიდგან და არის დღესაც ხალხის, საქართველოს გამომხატველი. ამ ერთი საუკუნის წინ ჩვენ დაკარგეთ საქართველო, დაკარგეთ მისი გამომსახველიც, დღეს ჩვენ საქართველო აღვადგინეთ და მამასადაძმე, უნდა აღვადგინოთ ჩვენი თუთრი რაინდი და ამით ვამცნოთ ქვეყანას, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო დღეს კი არ დაიბადა, არამედ, მძიმე მონობის შემდეგ კვლავ განაგრძობს თავის არსებობას თავის ძველ და მძლავრ მფარველებთან ერთად. ჩვენ აღვადგინეთ საქართველო, მამასადაძმე აღვადგინოთ მისი მეორე სახე — თუთრი გიორგი!

კომისიის პროექტით თუთრი გიორგისთან ერთად უნდა იყოს გამოსახული შვიდი მნათობები. შვიდი მნათობი, რომელიც გამოხატული იყო ძველად დროშებზედ და ზოგიერთი სახელმწიფო რეგალიებზედ სიმბოლოა საქართველოს გაერთიანების, მთლიანობისა. ძველთა წარმოდგენით ქართველი ერი შედგებოდა შვიდ თემისაგან. შესაძლოა, რომ შვიდი მნათობი ნიშნავდა საქართველოს შემადგენელ ნაწილებს, სამთავროებს, ყოველ შემთხვევაში სიმბოლო ლამაზია და თავისი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ერთ მნათობთაგან მთავრის გამოსახულება თუთრი გიორგისთან ერთად სიმბოლოურად აღნიშნავს სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოს ძმურ განწყობილებას. არაფერს ვიტყვი იმაზედ, თუ რატომ ახალს რამეს არ გამოვიგონებთ ემბლემად. ოცნებას საზღვარი არა აქვს, ბევრი რამის, ახლისა და კარგის გამოგონება შეიძლება. მაგრამ ეს იმას აღნიშნავდა, რომ ჩვენ, როგორც ხალხს არავითარი ლამაზი და ძლიერი ტრადიცია არ გვქონია და საეჭვო ძვირფას თვალის ძებნაში დაეკარგეთ ობოლი მარგალიტი.

ესტოვებ კათედრას სრულიად დარწმუნებული, რომ საქართველოს პირველი პარლამენტი, დემოკრატიის მიერ შექმნილი, მხარს დაუჭერს ქართველ დემოსის სანატრულ რაინდს თუთრი გიორგის და სახელმწიფო გერბზედ დაგვანახვებს მის საყვარელ სახეს.¹

ალექსანდრე (სანდრო) ცირეკიძის გამოუქვეყნებელი წერილები

სანდრო ცირეკიძე, „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ორდენის წევრი და „ქართული მინიატურის“ მოცარტად მონათლული, ჩუენი საუკუნის დასაწყისის ლიტერატურული ექსპერიმენტების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და მნიშვნელოვანი მონაწილე გახლდათ. მან ცისფერყანწელებთან ერთად თავისი საქმიანობის მიზნად ქართული ლიტერატურის „ევროპის რადიუსით“ გამართვა დაიხატა. უახლესი ფორმების (ტრადიციების გათვალისწინებით) დამკვიდრება, ბრძოლა ეპიგონიზმისა და პროვინციალიზმის წინააღმდეგ, მისი პროგრამის განუყოფელი ნაწილი იყო.

სანდრო ცირეკიძის ფონდი გარდა იმისა, რომ გეაცნობს მწერლის სულიერი გზის განვითარებას და შემოქმედებით ლაბორატორიას, გარკვეულ შთაბეჭდილებას გვიქმნის საუკუნის დასაწყისის ახალგაზრდა მწერალთა ეროვნულ ორიენტაციაზე, ლიტერატურულ მიდრეკილებებსა და მრწამსზე.

ლიტერატურის მკვლევართათვის საინტერესო ფაქტია სანდრო ცირეკიძის მიერ გამოცემული ხელნაწერი ჟურნალი, „ჩონგური“, რომლის 1, 2, 3, 4, 5, 8, 26 ნომრები ინახება ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ სანდრო ცირეკიძის ფონდში.

ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1911 წლის 11 ენკენისთვეს, იმხანად სანდრო ცირეკიძე ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოწაფე გახლდათ. (სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, იგი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში. მცირე ხნის შემდეგ, ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დასნეულების გამო, ექიმები ურჩევენ პეტერბურგის ნესტიანი კლიმატის დატოვებას და იგი იძულებული ხდება სწავლა განაგრძოს კიევის უნივერსიტეტში. 1917 წელს სამშობლოში ბრუნდება და ლიტერატურულ დაჯგუფებას „ცისფერყანწელებს“ უერთდება).

როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერი ჟურნალის „ჩონგურის“ პირველი ნომერი 1911 წელს გამოვიდა. პირველ გვერდზე ლაპარაკია ჟურნალის გამოცემის, როგორც ლიტერატურული ფაქტის, მნიშვნელობასა და მრწამსზე, იმ შესაძლებლობებზე, რომელიც აკავშირებთ კრებულის

სრულიად ახალგაზრდა ავტორებს.

„ბატონებო, დიდი მხიარულება გემართება დღეს. გულის ფანცკალით უნდა ეხედებოდეთ მას: დღეს გამოდის პირველი ნომერი ჩვენი ლიტერატურული წრის ჟურნალის „ჩონგურისა!““

...ჩონგური ერთი საწყალი, ოთხფურცლოვანი პაწაწინა ჟურნალია. ან კი საიდან უნდა იქნეს დიდი? ნათქვამია: „დედა უკითხე და კვიცი იყიდეთ“ თვით ის წრე, რომლიდან გამოდის „ჩონგური“, საწყალი და პატარაა. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ ბატონებო, რომ რკოც პატარაა, მაგრამ მასზე ამოდის უზარმაზარი მუხა, რომელიც ღრმად უშვებს თავის ფესვებს მიწაში...

სწორედ ასეთი პატარა არის ჩვენი „ჩონგურიც“ და წრეც... პატარაა. აბა, რა არის მასში? რასაკვირველია არაფერი! მაგრამ ისინი უშზადებენ ნიადაგს თვის წვერებს კარგად ლიტერატურის შესწავლისას, სამშობლოს გაცნობას და ვრცელ და ნაყოფიერ სამშობლოს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას. აი რა არის ჩვენი წრე და ჩვენი ჟურნალი! ეს წინსვლის პირველი ნაბიჯია, რომელსაც უეჭველად მოჰყვება სხვა მრავალი ნიჭი...”

„აბა „ჩონგური“ გაკარი,
ტბილად აფლერე სიმები...
გამოუღვიძე სამშობლოს
მისი მძინარა შეილები...”

1911 წლის 20 ოქტომბერს „ჩონგურის“ რედაქციას გაუმართავეს სალიტერატურო საღამო, რომელშიც ოთხი ახალგაზრდა მწერალი, — „ჩონგურის“ თანამშრომელი — სანდრო (იგივე ალექსანდრე), „ფუტკარი“, „ობოლი“ და „კენესა“ მონაწილეობდა. საღამოს, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა, ძალიან მცირერიცხოვანი აუდიტორია ჰყოლია. პირველ განყოფილებაში სანდრო ცირეკიმეს წაუკითხავს რეფერატი „ინდივიდუალიზმი ჩვენ ახალ მწერლობაში“ (შემდეგ ეს რეფერატი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა), წრის წვერებს, ახალგაზრდა პოეტებსა და პროზაიკოსებს წაუკითხავთ საკუთარი ლექსები, მინიატურები, პროზაული ნაწევრები. უსაუბრიათ მწერლობის ზოგად დანიშნულებაზე.

„ჩონგურის“ ყველაზე საინტერესო მასალად უნდა ჩაითვალოს სანდრო

ცირეკიძის პუბლიცისტიკა, რომელიც სხვადასხვა რუბრიკებით და რუბრით ქვეყნდებოდა.

პირველი პუბლიცისტური რუბრიკა გახლდათ „კაკილა“, სადაც დაიწყო სანდრო ცირეკიძის წერილის „პოეზიის“ პირველი ნაწილის გამოქვეყნება. წერილში „პოეზია“ საუბარია ადამიანის ესთეტიურ მოთხოვნილებებზე. ავტორი ასაბუთებს რომ ესთეტიური განცდა თანდაყოლილი უნარი არ არის, იგი განსაკუთრებლად ვარჯიშს თხოულობს, თორემ შეიძლება გაქრობის გზას დაადგეს, ვინაიდან „ეს ბუნების კანონია“.

„თუკი ესთეტიკური განცდა მოთხოვნილებაა — წერს ავტორი — მისი დამაკმაყოფილებელი საშუალებაც უნდა არსებობდეს და მართლაც არსებობს: იგი პოეზიაა.“

...სადაც მეტ პარმონიას დაეინახავთ, იქ პოეზიასაც მეტს ვგვრძნობთ. ეს კი ამტკიცებს, რომ პოეზია პარმონიაშია. პოეზია თვით სრული, ყოველმხრივი პარმონიაა...

ადამიანს პარმონია ბუნებაშიაც შეუძლია დაინახოს და მით დაიკმაყოფილოს ესთეტიური მოთხოვნილება, სილამაზე განიცადოს.

ასეთი ესთეტიკური განცდა ბუნებრივია, ე.ი. პოეზიას თვით ბუნებაში ვპოულობთ...“

„...ცივილიზაცია იგონებს სხვადასხვა საშუალებებს ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და არც ესთეტიური მოთხოვნილებაა მიეწყებული. მის დასაკმაყოფილებელ საშუალებებსაც ხელოვნურად ქმნიან, ხელოვნურად ქმნიან პოეზიას...“

(აქ, სანდრო ცირეკიძე სიტყვა „ხელოვნურს“ „ხელოვნების“ მნიშვნელობით ხმარობს. ადამიანის ნიჭით, დიდი შინაგანი ბუნებრივობით შექმნილ პოეზიას, ხელოვნურად შექმნილ მშვენიერებას ანუ წმინდა ხელოვნებას გულისხმობს).

„ბევრს ავიწყდება პოეზიის, ხელოვნების დანიშნულება და რაღაც სულ სხვასა სთხოვენ, ესენი ორ ბანაკად განიყოფიან: პირველნი ხელოვნება ხელოვნებისათვისო გაიძახიან, მეორენი კი ხელოვნებაში ცარიელ აზრს დაეძებენ. პირველნი ფანტაზიორები არიან, ხოლო მეორენი უკიდურესი რაციონალისტები“.

სანდრო ცირეკიძე კატეგორიულად უარყოფს ამ ორივე დევიზის უკიდურესობას. ყოველი უკიდურესობა შეცდომად მიაჩნია და სადღაც მათ შორის დაექმებს ჭეშმარიტებას.

„— ხელოვნება ხელოვნებისთვის — მე აქამდე ეს ფრაზა არც კი მესმის. აქ რაღაც ფანტასტიურია. რას წარმოადგენს ხელოვნება ცხოვრების, თანაც ადამიანის გარეშე თავისთავად, რომ მისთვის ვიშრომით? თუ იქნებ ფიქრობთ, რომ მარადიული რამ შექმნათ? ამ დევიზის მატარებელთ ხელოვნების დანიშნულება აუიწყდებათ, მაგრამ არა ნაკლებ იფიწყებს მას მეორე ბანაკიც. ისინი იქამდე მიდიან, რომ პოეზია და აზრი სინონიმებად გაუხდიათ თუ აზრი ნაწარმოებისა არ მოსწონთ, იქ ყოველივე პოეზიის არსებობას უარყოფენ. აზრში პოეზია არაა! აზრში ხელოვნება არაა! აზრი და ხელოვნება ეს სულ სხვადასხვანია არიან. აზრი პოეზიის ნაწილია და პოეზია აზრისა. ისინი ერთმანეთში იმყოფებიან, მაგრამ განყოფილად. აზრი ხელოვნურ ნაწარმოებში იმოდენად უნდა დაფასდეს, რამდენადაც იგი საერთო გარმონიას ხელს უწყობს. აზრი ხელოვნური ნაწარმოების სულია, მაცოცხლებელი ძალა და საჭიროა მისთვის ისე, როგორც ანგელოზები მღვთისთვის, მაგრამ ამ ბოლო დროს აზრმა თვით მოინდომა ღმერთობა, პოეზიად იავის დასახვა. სცდება, სცდება გეინეც, როდესაც ამბობდა: „ხელოვნებაში ყველაფერს ფორმა შეადგენს და შინაარსი კი არაფერიაო“. ღმერთო ჩემო! ასეთი გაუგებრობა, ასეთი არეულობა და თითქოს გვერდზე ავლა ჭეშმარიტებისათვის! არა ბატონებო ხელოვნება არც თავისთავს ეკუთვნის და არც აზრს, არც მეცნიერებას ემორჩილება. იგი ადამიანის მსახურია. მას გარკვეული დანიშნულება აქვს და პირნათლად უნდა შეასრულოს იგი...“

...ხელოვნებას მშვენიერება უნდა მოეთხოვოთ. ხელოვნური ნაწარმოები პოეზიით საესე უნდა იყოს... აქ აზრმა თავის ალაგი უნდა დაიკაოს...

...აზრი პოეზიაში უფორმო არაა, ხოლო თუკი ფორმის ნაწილებს გარმონიულად შეითანხმებს, შეიმოსავს მშვენიერებას, მაშინ ჩვენც განვიცდით მას“.

ყოველკვირეული ლიტერატურული ჟურნალი „ჩონგური“ №3. სანდრო ცირეკიძე აგრძელებს თავის რუბრიკას „კაკილა“. აგრძელებს საუბარს ხელოვნებაზე. ამჟამად სათაურით „ოცნება“.

„ხელოვნების მიზანია შექმნა სილამაზისა, მშვენიერებისა. ხელოვნება ვეუღლებს და ეძებს ამ სილამაზეს; და ეძებს მას ცაში, და ეძებს მიწაზე, ოცნებაში, სინამდვილეში, სიყვარულში და სიძულვილში... პოეტს ნება აქვს სადაც უნდა იქ ეძიოს მშვენიერება. ოღონდ კი იპოვოს იგი და ჩვენთვის ხილული გახადოს. პოეტი თავისუფალია. ასეც რომ არ იყოს, რატომ მართო სიყვარულშია მშვენიერება და არა სიძულვილში? რატომ უნდა ვეძიოთ იგი სინამდვილეში და არა ოცნებაში?.. სანდრო ცირეკიძე გაკვრით ქება სინამდვილის ცნებას. მიაჩნია, რომ „სინამდვილე არ არის მშვენიერების ნაესაყუდელი. სინამდვილე ტლანქია და მოუხეშავი. ის მხოლოდ გონებისთვისაა, მისთვის პრიმატი მხოლოდ გონებაა და გულს ვერ მიეკარება, თუკი ირეალურში, ოცნებაში არ გაიბანა და არ გალამაზდა“. სინამდვილესთან, უფრო სწორედ ხელოვნების სინამდვილესთან მიახლოების გზად სანდრო ცირეკიძეს რეალურის და ირეალურის თანხვედრა მიაჩნია „ძალიან შემცდარნი არიან, როდესაც ზოგიერთი კრიტიკოსები, ხან პოეტებიც, ტენდენციებით ხელმძღვანელებენ, მოუწოდებენ ნამდვილ ხელოვნებს: „მით, სინამდვილე ხატეთო!“ არა, ბატონებო! ისინი მხატვრები კი არა, შემოქმედნი არიან და ოცნების სამეფოში უფრო თავისუფლად მოიქნევენ მგოსნის ჩაქუჩს და თქვენ, თუ გემარჯვებათ, სინამდვილეში უძიეთ მშვენიერება, ოღონდ ნამდვილი მშვენიერება დაგვანახეთ!..“

წერილში „ახალგაზრდათა პესიმიზმი“ სანდრო ცირეკიძე თანამედროვე მწერლების ემოციურ ცხოვრებას, მათ ემოციურ ბიოგრაფიას მიუახლოვდა.

„თანამედროვე ქართული ლიტერატურის მთლად თუ არა, ერთი ნაწილისას მაინც ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს პესიმიზმი. პესიმისტია შანშიაშვილი, პესიმისტია გ. ტაბიძე და სხვანი. სიყვარულის ტბაში მცურავი გროშაშვილის ლალი ხითხითიც პესიმიზმითაა საესე. მას პესიმიზმი და სიყვარული ერთად შეუზავებია.

ზოგიერთ კრიტიკოსს მიაჩნია, რომ მათი პესიმიზმი კერძო ინდივიდუალურ საფუძველზეა აგებული და სხვებისთვის გაუგებარია. მათი ნაწერები სხვებზე შთაბეჭდილებას ვერ ახდენენო. „აქ ჩემი ფიქრით ხსენებული კრიტიკოსები ცდებიან. ალბათ ვერ ჩაკვირვებიან ისინი საგანს და ან არ უნდათ, რომ ჩაუკვირდნენ“.

წერილის ავტორს მიაჩნია, რომ მათი სვედის მიზეზი პირადული „მე-
გარეშეც იპოება. საილუსტრაციოდ მოჰყავს ახოსპირელის ლექსის ნაწყ-
ვეტი, რომელიც ზოგადკაცობრიულ კითხვაზე „რისთვის მოვედით“ პასუხის
გაცემის ცდაა:

„ვერ გაიგებ — რისთვის გაჩნდი,
ვერ გაიგებ, — რისთვის კვლავი,
და ვიდრემდის ეს ასეა,
მუდამ სვედით აივსები“.

მოჰყავს გრიშაშვილის სტრიქონებიც:

„რად დავიბადე ან რისთვის კვლავი?
ხად არის, ხადა არ-ფოფნის მხარე?“

და დასძენს: „ნუთუ ეს პირადული კერძო სვედაა? არა ბატონებო, ეს
პესიმიზმი პირადი კი არა საკაცობრიოა. მსოფლიო ფილოსოფოსები და
პოეტები ამას დასტირიან და თუ ეს პესიმიზმი ქართულმა ახალგაზრდა
პოეტებმა ინდივიდუალობის სამოსში გვიჩვენეს, ეს არ ამტკიცებს მათი
სვედის აბსოლუტურ პირადულობას. და არც პოეტებს სვამს საბრალდებულო
სკამზე...“ „...ესა თუ ის საერთო საკითხი ან აზრი, როცა კერძო პიროვნების
სახელოსნოშია გატარებული, ამ პიროვნების დაღს გამოიყოფებს... პიროუ-
ნება თავისებურია და ამ თავისებურებების ელფერი დაეტყობა ვველაფერს,
რაც მის სახელოსნოში გაივლის. ...ჩვენი მგოსნების პესიმიზმი კერძო არაა!
იგი მსოფლიოა, ხან ეროვნულიც, ხოლო ყოველი პოეტი, როგორც ინდივი-
დუმი, მას თავისებურად განიცდის და ეს თავისებურებაა კრიტიკოსები, რომ
შეცდომაში შეჰყავს...“

ჟურნალ „ჩინგურის“ გარშემო შემოკრებილი ლიტერატურული წრე
ცოცხალ ლიტერატურულ პროცესში იყო ჩაბმული: ატარებდა სადამოყებს,
აწყობდა დისკუსიებს. ჟურნალის ფურცლებზე ხშირად კკითხულობთ
მზგავს ინფორმაციებს: „კვირას, 1 ოქტომბერს წრის წევრთა საერთო
კრებაა დანიშნული. გაირჩევა ილიას ლექსები და „კაკო ყაჩალი“.

წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასებას დიდი მოკ-
რძალებით უდგებოდნენ ახალგაზრდები, მაგრამ ეს არ გამოირიცხავდა მათ

თამამ, ახლებურ მისვლას საკითხთან, გადაფასებული ჭეშმარიტების თავიდან გადაფასების ცდას.

სანდრო ცირეკიძე განსაკუთრებული ორიგინალობით და ნათელი ხედვით გამოირჩეოდა თანატოლ თანამოკალმეთა შორის; როგორც მისი სტატიებიდან ჩანს, სრულიად ახალგაზრდა სანდრო, ქუთაისის რეალური სასწავლებლის ჩვეულებრივი, თითქოს არაფრით გამორჩეული, ოდნავ აუადმყოფური იერის ყმაწვილი, უკვე საფუძვლიანად გასცნობოდა კლასიკურ მემკვიდრეობას. შექმლო პარალელები გავლო ქართულ, რუსულ და ევროპულ მწერლობას შორის.

ღრმა ანალიზის უნარით დაჯილდოებულს, სურდა გაეშიფრა თანამედროვე ქართული ლიტერატურის მიმდინარეობა.

„ჩვენ ახალგაზრდა მწერლებს ჩვეულებრივად ორ ბანაკად ყოფენ: ერთი ბანაკი სრულ უიმედობას შეუპყრია, ხოლო მეორე აწმყოთი უკმაყოფილო, მომავალს ოქრო-მკვრდით ქარგავს — წერს ს. ცირეკიძე — პირველნი მეტისმეტი ინდივიდუალიზტები არიან, ყველაფერს საკუთარი „მე“-ს თვალსაზრისით ზომავენ, ხოლო უკანასკნელნი საქვეყნო, კოლექტიური იდეალების მატარებელნი არიანო; პირველებს კიცხავენ, ჩვენ არას გვარგვიან, მათი ვერა გაგვიგია რა და მეორე ბანაკს კი აღმერთებენ. თუ რაოდენად სამართლიანია ასეთი კლასიფიკაცია ჩვენი ახალგაზრდა მწერლებისა, მე აქ ამის გამოძიებას არ შევუდგები, ხოლო ვიტყვი კი, რომ იმ მწერლებშიდაც, რომელთ საკოლექტიო იდეალების მატარებელ ბანაკს აკუთვნებენ, იმ პოეტებშიდაც ხშირად გაიგებთ სულის ობლობაზე, მარტოობაზე წუწუნს“.

ეს წერილი „ახალგაზრდათა ინდივიდუალიზმი“ შიგადაშიგ კეთილი ირონიის ინტონაციებს ატარებს.

„გრიშაშვილი ამბობს: თქვენ რა გინდათ, ჩემი საქმე მე ვიცი, მე ერთეული ვარ, ცალკე ვარ და თქვენთან არავითარი კავშირი არ მაქვს“.

შანშიაშვილი კი თავის სატრფოთი სადღაც ზეცისაკენ მიემუხრება და ხალხს ეუბნება: „თქვენ ჩემ იდეალებს ვერ გაიგებთო!“

სანდრო ცირეკიძე ლაპარაკობს ინდივიდუალიზმზე, როგორც ლიტერატურულ მოვლენაზე.

„ინდივიდუალიზმი არა ამა თუ იმ ჯგუფით, არც მთელი ჩვენი ლიტერა-

ტურით განისაზღვრება. იგი მსოფლიო ლიტერატურაში სუფევს. მის არსებობას აღარ უარყოფენ. იგი ფაქტია, სენივით მოედვა თანამედროვე მწერლობას და ანგარიშის გაწევას ითხოვს. ლათინური სიტყვა „Individium“ ნიშნავს მთელს, განუყოფელს. აქედან წარმომდგარი სიტყვა ინდივიდუალური კერძო თვისებრებს, თავისებურს, პირადულს ქვია;

...ინდივიდუალიზმი ჩემი აზრით, ადამიანისათვის შვენებამ გამოიწვია და მოვლენა პირად ინტერესების დაცვისა, ყოველი-ფერის კერძო „მე“-ში გატარებისა დასაბამიდანვე არსებობდა. საკმაოა გავიხსენოთ დარვინის თეორია არსებობისათვის ბრძოლა. ყოველი არსება და მათში ადამიანიც ბრძოლის ველზე მარტო დგას, მარტო იბრძვის ერთი ყველას წინააღმდეგ. აქ ბრძოლა სიკვდილ სიცოცხლეზეა, მაგრამ მებრძოლნი მარტო ხორციელ არსებობისთვის ბრძოლას არ ისეაშენ მიზნად. ეს ძლიერ ცოტაა. ყოველ ინდივიდუმს თავისი კერძო შეხედულება აქვს ყოველ საგანზე. ერთი ადამიანის აზრი, მსოფლმხედველობა, რაც არ უნდა წააგავდეს მეორე ადამიანისას, მის სრულ განმეორებას მაინც არ შეადგენს ბუერით თუ ცოტათი ორიგინალობა ემჩნევა. იგი მოწყვეტილია მსოფლიოს როგორც ერთეული“.

